

ნინო დობორჯინიძე
NINO DOBORJGINIDZE

**ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული
მეტატექსტები**

**პრაქტიკული გრამატიკა და
ჰერმენევტიკა X-XIII საუკუნეების
ქართულ წყაროებში**

**LINGUISTIC AND HERMENEUTIC
METATEXTS**

**Practical Grammar and Hermeneutics in
Georgian Sources
of the 10th-13th centuries**



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი — 2011 წელი



დაიბეჭდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის (გრანტი № A-42-09) ფარგლებში სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ ასახავდეს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის შეხედულებებს.

Published under the project (Grant № A-42-09) of the Ilia State University with financial support of Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the author, and not represent the opinion of the Foundation itself.

რედაქტორები: **თამარ სუხიშვილი**
მამუკა ლეკიაშვილი

Editors: **Tamar Sukhishvili**
Mamuka Lekiaishvili

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ქეთევან გოგავა

დანართში გამოყენებული მასალა დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

© 2011, ნინო დობორჯგინიძე.

ISBN 978-9941-18-093-4

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

შინაარსი

შესავალი	5
პირველი ნაწილი	
ანტიოქიის ქართული მთარგმნელობითი ცენტრის	
კულტურულ-ისტორიული პერსპექტივა	
I თავი	
ანტიოქიის სამეფოს როლი XI-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.....	15
II თავი	
თარგმანის ფუნქციონალიზაციის საკითხი შუა საუკუნეების ქართულ ტრადიციაში	26
მეორე ნაწილი	
Τέχνη γραμματική-ს რეცეფცია შუა საუკუნეებში	
I თავი	
ანტიკური <i>Τέχνη γραμματική</i> და ტექსტის კვლევის ტრადიცია შუა საუკუნეებში.....	45
II თავი	
ძველი ქართული „თხრობისაებრი“ მეტატექსტები გრამატიკის პირველი ნაწილის შესახებ.....	55
III თავი	
გრამატიკის თეორიული საკითხები „თხრობისაებრი“ მეტატექსტებში.....	70
IV თავი	
მეტატექსტები ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანთა ენობრივი და სტილური თავისებურებების შესახებ.....	80
V თავი	
სახელისაგან თარგმანებათა მოპოვნება.....	92

VI თავი

Τέχνη γραμματική და

შუა საუკუნეების ტროპული ჰერმენევტიკა 115

VII თავი

ბიბლიური ტიპოლოგია და ჰერმენევტიკის უმაღლესი

საფეხური – „აღყვანებითი თარგმანება“ (*εις άναγαγήν*) 133

მესამე ნაწილი

თაქსტისა და თარგმანის თეორიის საკითხები

ძველ ქართულ ფილოლოგიაში

I თავი

ტექსტის ისტორიის კვლევა: წინაბჭე (*Προοίμιον*),

თავისა და ბოლოსა ანდერძი 147

II თავი

თარგმანისა და ტექსტის თეორიის საკითხები 164

ინგლისურენოვანი რეზიუმე 183

ბიბლიოგრაფია 193

დანართი

1. ანტიოქიური ხელნაწერები 215

2. ეფრემ მცირის მებათაქსტები 227

შესავალი

ფილოლოგიის ძველი ქართული ტრადიცია მოიცავს ტექსტის კომენტირების, თარგმნის, ტექსტოლოგიური აპარატის შემუშავებისა და გამოსაცემად მომზადების მწიგნობრულ პრაქტიკას. ამასთანავე, ამ ტრადიციას აქვს მკვეთრად გამოხატული კონცეპტუალური ასპექტი, რომლის შესწავლა წინამდებარე კვლევა-ძიების მთავარი საგანია. ამ ტრადიციის პირველწყაროებია ქართველ მთარგმნელ-რედაქტორთა მეტატექსტები, ანუ ძირითად ტექსტზე¹ დართული კომენტარები, განმარტებები და სქოლიოები. X-XI საუკუნეებიდან მეტატექსტებზე მუშაობის პროცესი სისტემურ ხასიათს იღებს; შესაბამისად, ყალიბდება ძველი ქართული ფილოლოგიური დისციპლინა, ტექსტის კვლევის მეთოდოლოგია, ტექსტოლოგიური აპარატი: წინაბჭე, თავისა და ბოლოდა ანდერძი, შეისწავენი და განსაზღვრება მანჩინებითურთ და სამეცნიეროდ ესე.²

მთარგმნელობითი, საზოგადოდ, ფილოლოგიური საქმიანობა X-XI საუკუნეების მეტატექსტების შექმნამდე გაცილებით ადრე დაიწყო. საკმაოდ გრძელი გზის გავლა აღმოჩნდა საჭირო, ვიდრე თარგმნა, კომენტირება, განმარტება ან ტექსტის გამოსაცემად მომზადება მხოლოდ შემთხვევით დაკვირვებასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებული საქმიანობიდან სისტემატიკის კანონებით რეგულირებულ ფილოლოგიურ დისციპლინად ჩამოყალიბდებოდა.³

- 1 მეტატექსტები დაერთვოდა როგორც ნათარგმნ, ასევე ორიგინალურ ტექსტებს.
- 2 ეფრემ მცირე, ზანდუკი და შესავალი წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების გარდამოცემად, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე დამასკელისა, ხელნ. A. 24, 1r-4v. იხ. თვალთვაქე 2009: 200.
- 3 შდრ.: „როდესაც ჩვენ წმინდა წერილის პირველი თარგმანის მეთოდზე ვლაპარაკობთ, სრულიადაც არ იგულისხმება, რომ მთარგმნელს ჰქონდა გარკვეულ პრინციპებზე დაფუძნებული თარგმანის მეთოდი. ჩვენ მხოლოდ იმ პრინციპებზე ვლაპარაკობთ, რომელთაც თავადვე გამოვყოფთ ტექსტში. თარგმანის | ეტაპზე მთარგმნელის ამოცანა ცხადი და მარტივი იყო: ზუსტად ეთარგმნა ღვთის სიტყვა. რაში უნდა გამოხატულიყო ეს სიზუსტე და რა ხარისხისა უნდა ყოფილიყო იგი, ეს საგანგებო თეორიული განსჯის საგანი, ალბათ, არც ყოფილა. მთარგმნელები ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის ინტუიციურად ირჩევდნენ თარგმანის პრინციპს. ამგვარი ხასიათის გამო პირველ თარგმანებს შეიძლება სპონტანური ან ინტუიციური ვუწოდოთ [...] შემდგომში, როცა ინტუიციური ქვრეტა ანალიტიკურმა აზროვნებამ შეცვალა და ბიბლიის ტექსტი პოლემიკის იარაღი გახდა, თარგმანის დედანთან სიახლოვე უკვე ისეთ პრინციპად იქცა, რომელიც კონკრეტულ დეტალებში გამოიხატა“ (ხარანაული 2005: 36).

სისტემატიზაციის ეს ურთულესი ეტაპი დაკავშირებულია ქართველ ათონელთა⁴ საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან, რომლის მეშვეობით თავდაპირველად გაფორმდა და შემდეგ სხვადასხვა დონეზე⁵ დაკანონდა კულტურის მატარებელი ბირთვი ჯგუფის – შუა საუკუნეების ქართველი სწავლულების – ენობრივი, რელიგიური და კულტურული იდენტობა.⁶ ათონელების გარჯა, პირველ ყოვლისა, ამ იდენტობათა ფორმირებას, მათთვის კონცეპტუალური თუ რეალური საფუძვლების შექმნას ემსახურებოდა:

ა) ბერძნულთან შედარებით ღარიბი გამომხატველობითი საშუალებების მქონედ ცნობილი ქართული ენის „განსრულებას ყოვლისა ნაკლებევენებისაგან და სიტყვადუხჭირობისა“ (ესაა ენობრივი დამოუკიდებლობის ლეგიტიმაცია, ქართული ენის ბერძნულთან გასატოლებლად გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი.)⁷

4 ათონის ქართველ მოღვაწეთა როლი ქართული ენის სოციალური და საზოგადოებრივი ისტორიის თვალსაზრისით პირველად უცხოელმა ქართველოლოგმა, ვინფრიდ ბოდერმა შეისწავლა (Boeder 1983: 85-95). ქართული ენის ისტორიული სოციოლინგვისტიკის საკითხების კვლევას, შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის სამწერლობო ენათა კონტექსტში ქართულის „გარეგანი“ განვითარების კანონზომიერებათა შესწავლას ვინფრიდ ბოდერმა უაღრესად საინტერესო ნაშრომები უძღვნა. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: Boeder 1983: 85-95; Boeder 1994: 66-84; Boeder 1997: 183-209; Boeder 1998: 68-81; Boeder 2003. ვ. ბოდერის შრომებით დიდად დავალებულია ყველა ქართველი ავტორი, ვინც მეტ-ნაკლებად შეეხო ქართული ენის ისტორიული სოციოლინგვისტიკის საკითხებს. სწორედ მის შრომებში წამოჭრილმა პრობლემატიკამ, მის მიერ დასმულმა კითხვებმა განაპირობა ჩემი დაინტერესება ამ თემით. წლების განმავლობაში ინტენსიური თანამშრომლობის და ჩემი კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობისთვის, განსაკუთრებით კი ძველი ქართული ფილოლოგიური კომენტარების გერმანულად თარგმნის და ინტერპრეტაციისას გაწეული დახმარებისთვის მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ბატონ ვინფრიდს.

5 ვგულისხმობ ათონელთა ენობრივი და კულტურული საქმიანობის ლეგიტიმაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ბერძნულ-ბიზანტიურ, სირიულ, ზოგადად, აღმოსავლურ და ლათინურენოვან კონტექსტში. ამ ლეგიტიმაციის ენობრივი და რელიგიური პრობლემატიკის შესახებ იხ. Doborjginidze 2009: 52-112; ლეგიტიმაციის კონცეპტუალური საფუძვლებისა და ძველი ქართული „სახელმძღვანელო“ ტექსტების შესახებ იხ. დობორჯგინიძე 2010: 63-125.

6 შდრ. Boeder 1994: 66-84; Pohl 1985: 93-101, განს. გვ. 95.

7 შდრ.: „მათ განანათლეს ენად ჩუენი და ქუეყანად ჩუენი. მან ... შეამკო და ალაყუავა ენად ჩუენი და ქუეყანად ჩუენი თარგმანებითა წმიდათა წერილთადათ. [...] მაჰად იოვანე [...] და ეფთვმე, შემდგომად ღმრთისა ამათ სულთა ცხორებისა მომცემელნი ქართველთა ნათესავისა“ (ჯავახიშვილი 1946: 14; მ. შანიძე 1996: 19).

ბ) თარგმანის მეშვეობით „უგუნურებისა ჩუენისა გონიერ-ყოფას და განბრძნობას“ (ეს კი კულტურული ლეგიტიმაცია და ქართველების ბერძნებთან „სწორ-მყოფელი“ საგანმანათლებლო საქმიანობაა).⁸

ამრიგად, ენის გამომხატველობითი პოტენციალის გამდიდრებასთან ერთად, თარგმანს სრულად დაეკისრა კულტურული ემანსიპატორის ფუნქცია: ქართულად უნდა თარგმნილიყო ყველა ის წიგნი, რომლითაც ასე მდიდარი იყო ბერძენთა და ჰრომთა ქვეყანა და ეკლესია, ხოლო ჩვენი კი – „ნაკლულევან“;⁹ ყველა ის სიბრძნე, რაც ბერძენთა წიგნებში ეწერა, თარგმანის გზით ქართულ ენაზე უნდა „გადმოტვიფრულიყო“; ანუ საკუთარ კულტურულ მემკვიდრეობად ქცეულიყო; შდრ.: „[ექვთიმემ] გამოუცხადა ქართველთა ენასა; დატევნად ჩუენსა ენასა ზედა; დაწერად ჩუენსა ენასა ზედა; გადმოტვიფრვად ჩუენსა ენასა ზედა; ღმერთმან მოჰმადლა [ესე თარგმანი] ქართველთა ენასა, მოჰმადლა ღმერთმან წმიდად ესე თარგმანი ნათესავსა ჩუენსა“¹⁰.

თარგმანის ამ მეტაფორულ კონცეპტუალიზაციებში მინიმუმამდეა დაყვანილი განსხვავება ორიგინალურ თხზულებასა და თარგმანს შორის: თარგმანისას ქართულ ენაში სრულფასოვნად გადმოიტვიფრება ორიგინალის ყველა სიმდიდრე. ამ გზით თარგმანი ორიგინალის ტოლფასად, შესაბამისად, ქვეყნის კულტურული ძლიერების სიმბოლოდ და მეფეთა უპირველეს საზრუნავად იქცევა.¹¹ მაშინდელ ქართველ სწავლულთა თქმით, მეფეები არა მხოლოდ კითხულობენ თარგმანებს, მნიშვნელოვან რჩევებს აძლევენ მთარგმნელებს და საგანგებოდ ასაჩუქრებენ, წაახალისებენ მათ საქმიანობას.¹² ათონელების აზრით, სწორედ ამ

8 ფრამენტი გიორგი მთაწმინდლის ცხოვრებიდან, იხ. ლოლაშვილი 1994: 177.

9 შდრ.: „ქართლისა ქუეყანად დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან“ (ჯავახიშვილი 1946: 28); „არამედ საბერძნეთისა ეკლესიანი და ჰრომისანი სავესე იყვნეს ამათ წიგნთაგან, ხოლო ჩუენისა მის ქუეყნისანი – ნაკლულევან, და არა ესე ოდენ წიგნნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არამედ სხუანიცა მრავალნი“ (მ. შანიძე 1996: 13).

10 თარგმანთან დაკავშირებული ეს კომენტარები სხვადასხვა თხზულებიდანაა ამოღებული. იხ. ხელნ. A. 92, 280r; A. 24, 4r; რაფავა 1976: 66; ყაუხჩიშვილი 1940: 122; თვალთვაძე 2009: 212.

11 შდრ.: „Ich interpretiere diese Stelle so, dass georgische Bücher eine Manifestation des Ansehens der georgischen Königsmacht waren: Der georgische König erkennt, wie wichtig es ist, eigene Bücher zu haben, was vielleicht mit dem besonderen Rang zusammenhängt, den z.B. im Islam die Ahl al-kitab, die Leute der Schrift, haben“ (Boeder 1998: 73).

12 მთარგმნელობით კომენტარებსა და ათონელთა ცხოვრებებში ტოპოსად მკვიდრდება ქართველ მეფეთა ქება-დიდება არა მარტო თარგმანის პროცესში მათი ნივთიერი წვლილის, არამედ უშუალო თანამონაწილეობისა და თარგმანის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო. მთარგმნელობითი მეტატექსტების მიხედვით,

გზით იყო შესაძლებელი უმეცრების გამო „ბარბაროს-წოდებული“ ქართველთა „ნათესავის“ კულტურული ლეგიტიმაცია.¹³

გ) ქართულენოვანი ეკლესიისთვის სრულფასოვანი ლიტურგიკულ-თეოლოგიური ბაზისის შექმნას (მანამადე უთარგმნელი ბიბლიური წიგნების თარგმნა, არაზუსტი, სპონტანური თარგმანების ბერძნულთან დაახლოება, ქართული საეკლესიო კალენდრის ჩამოყალიბება, ქართულენოვანი ლიტურგიის „განსრულება“ და ა.შ.). ეს ურთულესი პროცესი გამოირჩეოდა განსაკუთრებული მოქნილობითა და ერთმორწმუნე ბერძნების მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულების დაკანონებით.¹⁴

ბერძნულთან შედარებით ღარიბი ქართული ენის, ბარბაროსად წოდებული „ჩუენი ნათესავისა“ და წიგნებით „ნაკლულევანი“ ქართული ეკლესიის „განბრძნობა და გონიერ-ყოფა“ ნათარგმნი წიგნებით, რა თქმა უნდა, მთარგმნელობითი საქმიანობის ლეგიტიმაციასა და პრიორიტეტად გამოცხადებას ნიშნავდა. ამას მოჰყვა კიდევ ფილოლოგიური დის-

სწორედ მეფეებს მიეწერება ძველი თარგმანების რედაქტირებასა თუ ხელახლა თარგმნასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება; შდრ., არსენ იყალთოელის კომენტარი, რომელიც ერთვის ანდრია კრიტელის „გალობათა“ განახლებულ (მესამე) თარგმანს: „ვინაძეთგან წმიდათა მამათა და დიდთა მნათობთა ჩუენთა ეფთჳმის და გიორგის მთაწმიდელთა ორგზის ეთარგმნეს წმიდისა ანდრეა კრიტელთა მწყემს-მთავრისა მიერ აღწერილნი ესე გალობანი და პირველსა მას მეტად შეემოკლნეს, რამეთუ საღმრთოხსა წერილისა სახისმეტყუელებანი ყოველნი დაეტევენს და ნაცულად მათდა სინანულისა დასდებელნი შეემატა, ვითარცა მხოლოდ სულთა სარგებელისა ხოლო და არა წიგნთა ძალისაცა უნაკულოებისა მადიებელსა. [...] ხოლო მეორესა უზომოდ განევრცნეს, რამეთუ წმიდისა თქუმილი ყოველი სრულებით ეთარგმნა და მამისა ეფთჳმის შემატებული იგი დასდებელნი არავე დაეტევენს, ვითარცა თუთ აღიარებს წმიდითა პირითა თვისითა. [...] ამისთვის მე, უღირსმან მონამან, [...] მდაბალმან მონაზონმან არსენი, ვიკადრე მესამედ თარგმნაძე ამათი უცვალებელად, ვითარ [...] წმიდასა ანდრეას ბერძულად აღეწერნეს, ბრძანებითა და ჯერ-ჩინებითა კეთილად მსახურისა და ღვთივდაცვულისა დავით აფხაზთა და ქართველთა და რანთა და კახთა მეფისაძათა, რომელმან მე თარგმანებისა ... კმისა დადებისა კელ-ყოფად მიბრძანა. ვინაძეთგან უცხონი იყვნეს ენისა ჩუენისაგან ძლისპირნი ამათნი“ (ხელნ. Sin. 70/57, 131v-132v, იხ. მარი 1940: 203-204); გიორგი მთაწმინდელი: „და მრავალნი წიგნნი [ექვთიმე ათონელის თარგმანები] წარსცნის წინაშე დავით კუროპალატისა, რომელი-იგი, იხილნა რაჲ, ვითარცა იყო მორწმუნე, სიხარულითა აღივსო და აღიდებდა ღმერთსა და იტყოდა, ვითარმედ: მაღლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამთ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა. და ზედადს-ზედა მიუწერნ, რაჲთა თარგმნიდეს და წარსცემდეს (ჯავახიშვილი 1946: 28).

13 შდრ., ბერძენი პატრიარქი ასე აფასებს გიორგი მთაწმინდელის განსწავლულობას: „პატიოსანო მამაო, [...] რამეთუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვთა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ“ გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, იხ. ლოლაშვილი 1994: 213.

14 შდრ. Boeder 1983: 88.

ციპლინის აღმავლობა, ნათარგმნი და ორიგინალური ლიტერატურის, შესაბამისად, ენის გამომხატველობით საშუალებათა გამდიდრება, ქართულენოვანი რელიგიური ტექსტების კანონის შემუშავება, ერთი სიტყვით, ქართველ ათონელთა მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობა.

მიუხედავად ამისა, შუა საუკუნეების ქართველ სწავლულთა ენობრივი, კულტურული და რელიგიური იდენტობის მაკონსტრუირებელი, შესაბამისად, ქართველების ბერძნებთან „სწორ-მყოფელი“ საქმიანობა – თარგმნა, კომენტირება – ფილოლოგიურ დისციპლინად, ანუ საგანგებოდ შემუშავებულ წესებზე დაფუძნებულ სისტემად აქცია ანტიოქიის, ანუ შავი მთის საგანმანათლებლო-მთარგმნელობითმა ცენტრმა, განსაკუთრებით კი – ეფრემ მცირემ. სწორედ ანტიოქიაში შეიქმნა მეთოდოლოგიური საფუძვლები ძირითადი ჰუმანიტარული დისციპლინებისთვის:

1. *პრაქტიკული გრამატიკის (Τέχνη γραμματική) პრინციპებზე დაფუძნებული ძველი ქართული ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ტრადიცია*. ვგულისხმობ გრამატიკის ალექსანდრიულ, შემდეგ კი შუა საუკუნეების ჰერმენევტიკულ დისციპლინას, ტექსტის გამართვას, კვლევასა და თარგმნასთან დაკავშირებული ლინგვისტური თუ თეოლოგიური საკითხების შესწავლას, სკრიპტორიუმებში ხელნაწერი წიგნის მომზადებას და ა.შ.

ქართველ მთარგმნელთა ლინგვისტური ხასიათის თეორიული კომენტარები ეყრდნობოდა ტექსტის ინტერპრეტაციის, კომენტირების, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის ბერძნულ-ლათინურ და სირიულ ტრადიციებს; შესაბამისად, ითვალისწინებდა ალექსანდრიულ გრამატიკებს და, ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში შემუშავებული „ტენენს“ მიხედვით, ხსნიდა და განმარტავდა ქართული, უფრო ხშირად კი ბერძნული ენის გრამატიკის მნიშვნელოვან საკითხებს. თარგმანებზე დართული ლინგვისტური მეტატექსტები პრაქტიკული ხასიათისაა და მიზნად ისახავს სათარგმნი თხზულების თავდაპირველი ტექსტის (Codex archetypus) დადგენას, უფრო ზოგადად კი – ტექსტის კვლევას და კრიტიკული აპარატის მომზადებას.

ქართული ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური დისციპლინის შუა საუკუნეების ბერძნულ-ლათინური და სირიული ტრადიციების კონტექსტში შესწავლა აჩვენებს, რომ თარგმნის, ხელნაწერი ტექსტის მომზადების, კრიტიკული აპარატის, შესავლის, ანდერძ-მინაწერების, კომენტარების დართვის, ვარიანტების აღნუსხვის, იკითხვისების შერჩევის ძველი ქართული პრინციპები მთლიანობაში წარმოგვიდგება როგორც კრიტიკული ტექსტის დადგენის სწორედ ის სისტემა, რომელიც საყოველთაოდ ბატონობდა ფილოლოგიაში ალექსანდრიული სკოლიდან მოყოლებული

კარლ ლახმანის ჩათვლით, ანუ XIX საუკუნის ახალი ფილოლოგიის დასაწყისამდე. ამავე დროს, ისიც ირკვევა, რომ ქართული ტრადიცია შუა საუკუნეების ფილოლოგიურ დისციპლინას არაერთი მნიშვნელოვანი სიახლით ამდიდრებს.¹⁵

2. რიტორიკა, ზოგადად, სიტყვის ხელოვნება. ქართული მასალის მიხედვით რიტორიკისა და ლექსთწყობის, ასევე სკრიპტორიუმებში ხელნაწერი წიგნის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების მონოგრაფიულმა შესწავლამ¹⁶ აჩვენა, რომ სწორედ შავი მთის მთარგმნელთა, განსაკუთრებით ეფრემ მცირის, თეორიულ კომენტარებში დამუშავდა სისტემურად შუა საუკუნეების ლიტერატურის თეორიის, პოეტიკისა და რიტორიკის ფუნდამენტური საკითხები თუ ძირითადი ცნებები.

ეფრემ მცირის მეტატექსტების, ამასთანავე, ანტიოქიის სამწერლობო ცენტრების კომპლექსური კვლევისა და მონოგრაფიული შესწავლის მიზნით, 2008 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავდა სათანადო პროექტი და შეიკრიბა მეცნიერთა ჯგუფი,¹⁷ რომელიც 2008-2011 წლებში რუსთაველის ფონდის სამეცნიერო გრანტის ფარგლებში მუშაობს თემაზე: „შუა საუკუნეების ქართული საგანმანათლებლო საქმიანობის რეკონსტრუქცია ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით“. 2011 წელს დასრულდა პროექტის ძირითადი ამოცანების შესაბამისი კვლევა, დაიბეჭდა ოთხი მონოგრაფია.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ამ პროექტის ერთ-ერთი ამოცანის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები: *ანტიოქიური კოლოფონები და ძველი ქართული პრაქტიკული გრამატიკის საკითხები*. ნაშრომში საკვლევი პრობლემატიკა დაყოფილია სამ ნაწილად. პირველ ნაწილში (თავი I-II) განხილულია: ანტიოქიის სამეფოს როლი საქართველოს სახელმწიფოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში; ფილოლოგიური საქმიანობის ცალკეული საკითხები; თარგმანის, როგორც ენის „განმანათლებლის“ ფუნქციონალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები სხვადასხვა ტრადიციაში, მათ შორის – ქართულში.

მეორე ნაწილი (თავი I-VII) ეთმობა ანტიკურობისა და შუა საუკუნეების ფილოლოგიური დისციპლინის, ალექსანდრიული *Τέχνη*

15 ძველი ქართული ტრადიციის ეს სიახლეები ნაშრომში პრაქტიკული გრამატიკის ცალკეულ საკითხთა განხილვისას იქნება ნაჩვენები.

16 იხ. ქ. ბეზარაშვილისა და თ. ოთხმეზურის ნაშრომები, განსაკუთრებით ამ პროექტის ფარგლებში მომზადებული მონოგრაფიები (ბეზარაშვილი 2011, 1-2; ოთხმეზური 2011).

17 კვლევითი ჯგუფის წევრები: ქეთევან ბეზარაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), ნათია გაბრიჩიძე, ნინო დობორჯინიძე, დარეჯან თვალთვაძე, მაია მაჭავარიანი, თამარ ოთხმეზური, თამარ სუნიშვილი, ლილი ხევსურიაძე.

γραμματική-სა და შუა საუკუნეებში ამ გრამატიკის რეცეფციის საკითხებს. ამის მიხედვით არის განხილული ძველი ქართული ფილოლოგიური მეტატექსტებიც. ბიბლიის ფილოლოგიისა და ჰერმენევტიკული გრამატიკის კვალბაზე ისინი სამ ძირითად ჯგუფად არის წარმოდგენილი: ა. თხრობისაებრი, ანუ ისტორიული (εις ἱστορίαν), ბ. სახისმეტყუელბითი, სახე-მოლბითი, კუმევიითი, (σκόπῳ τροπολογίας, εἰς ἀλληγορίαν, μετὰ τροπολογίαν), გ. ალყვანბითი (εἰς ἀναγνήψ).¹⁸

მესამე ნაწილი (თავი I-III) ძველი ქართული ფილოლოგიის, განსაკუთრებით ტექსტის იმპლიციტური თეორიის ანალიზს ეთმობა. ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი მეტატექსტების მიხედვით გაანალიზებულა თარგმანის თეორიის, ენობრივი შინაარსის ერთი ენიდან მეორეში გადატანის, ლინგვისტური და ტექნიკური საკითხები. ნაშრომს ერთვის ინგლისურენოვანი რეზიუმე, ბიბლიოგრაფია და ორი დანართი: 1. ანტიოქიის სამწერლობო ცენტრებში შექმნილი ქართული ხელნაწერების ნიმუშები, 2. ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეტატექსტების შემცველ ხელნაწერთა ნიმუშები.

18 ისტორიული და ალყვორიული განმარტებების, ზოგადად, ეგზეგეტიკური განმარტებების ტერმინთა შესახებ ძველ ქართულ ტრადიციაში იხ. დობორჯგინიძე 1998: 5a2-110; Doborjginidze 1999:41-48, 91-99; დობორჯგინიძე 1999:41-48; დობორჯგინიძე 1996 ა :241-246.

პირველი ნაწილი

ანტიოქიის ქართული მთარგმნელობითი ცენტრის კულტურულ-ისტორიული პერსპექტივა

ანტიოქიამ, დასავლური (ევროპული) და აღმოსავლური¹ ენების, მრავალფეროვანი კულტურისა და რელიგიების საერთო ქალაქმა,² მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შუა საუკუნეების არაერთი სამეფოს, მათ შორის, საქართველოს ისტორიაში. სავარაუდოდ, ქართველები იქ უკვე მეექვსე საუკუნეში დამკვიდრდნენ, თუმცა VI-X საუკუნეების ანტიოქიის ქართული კოლონიის შესახებ მხოლოდ არაპირდაპირი ცნობები და ამა თუ იმ თხზულებაში დადასტურებული მინიშნებები არსებობს.

XI საუკუნიდან მოყოლებული ანტიოქიის ქართული ცენტრის საქმიანობა ავთენტური საისტორიო-ლიტერატურული და არქეოლოგიური წყაროებითაა დოკუმენტირებული.³ ანტიოქიის სამწერლობო-მთარგმნელობითი ცენტრი პირობითი სახელია; იგი აერთიანებს ჩრდილოეთ სირიაში, შავ მთაზე არსებულ რამდენიმე მონასტერს: სვიმეონწმინდა, კალიპოსი, კასტანა, ეზრას მონასტერი, რომანწმინდა, ბარლაამწმინდა, ლერწმისხევი, თუალთა მონასტერი.

ბერძნულ-ლათინური და აღმოსავლური წყაროების მიხედვით ცხადი ხდება, რომ სწორედ ანტიოქიას უკავშირდება ქართველების, სომხებისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ხალხთა პირველი ურთიერთობები, ერთი მხრივ, ლათინურენოვან დასავლურ და, მეორე მხრივ, არაბულენოვან (მათ შორის, არაქრისტიანულ) კულტურასთან.⁴ სწორედ

1 იგულისხმება როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის ნაციონალურენოვანი ეკლესიები, შესაბამისად, სამწერლობო კულტურა, ასევე აღმოსავლეთის არაქრისტიანული, მუსლიმანური ტრადიცია, განსაკუთრებით უმდიდრესი აღმოსავლური ლიტერატურა.

2 შდრ. Cigaar 2005:243-247.

3 იხ. Djobadze 1976; Djobadze 1986; თარხნიშვილი 1951; მეტრეველი 2007ა: 87-114; მეტრეველი 2007ბ: 115-125; ჯობაძე 2001: 418-431.

4 ევროპელი ისტორიკოსები დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდნენ დასავლეთი და აღმოსავლეთი ქრისტიანული სამყაროს უშუალო კავშირებს ჯვაროსნული ომების მნიშვნელოვან მოვლენებამდე. უკანასკნელი პერიოდის კვლევებმა, ლათინურენოვანი წყაროების მონაცემებით, დაადასტურა ეს კავშირები (შდრ. Cigaar 2003; Cigaar 2005:243-247; Dostoutrian 1993; Halfter 2008: 1-34; Richard 2005: 20). როგორც ირკვევა, ანტიოქია ქრისტიანული და მუსლიმანური კულტურების (განსაკუთრებით სუფიზმის) შეხვედრის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო.

ანტიოქიაში დამუშავდა დისციპლინარული საფუძვლები რიტორიკისა და, განსაკუთრებით, პოეტიკისთვის, ანუ იმ ტრადიციისთვის, რომელიც ქართულ საერო მწერლობაში „ვეფხისტყაოსნის“ შექმნით დაგვირგვინდა.

XI-XIII საუკუნეების ანტიოქიური წარმომავლობის ქართულ ხელნაწერებს, რომელთა ნიმუშები დანართშია წარმოდგენილი, აშკარად განსხვავებული ტრადიციების ურთიერთგავლენისა და ქართულად გადმოღების, ქართულ სინამდვილეში „დატევის“, „გადმოტყფრვის“ (ეფრემ მცირე) საუკეთესო კვალი ამჩნევია.

ათონის სამწერლობო-მთარგმნელობით ცენტრთან ერთად ანტიოქიურმა კოლონიამ ღირსეულად გააგრძელა ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის მიერ წამოწყებული საქმე: მან ხელი შეუწყო ქართლის სამეფოს, იმდროინდელი ცივილიზაციის „შორიელ კიდედ და ზღურბლად“ წოდებული განაპირა ქვეყნის, „წარმომადგენლობით“ დამკვიდრებას ქრისტიანული კულტურის შუაგულში.

ანტიოქიის ცენტრმა უცხო ენობრივ გარემოში მკვეთრად გამოხატული ენობრივი და კულტურული ნიშნებით განამტკიცა მერვე საუკუნეში ქართლის „ფრიადი ქუეყანის“ მიერ მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური კონცეფცია: „რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებად ესე ღმრთისა მიერ მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვდრთა.“⁵

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გაზიარებულია თვალსაზრისი,⁶ რომ ქართველები ანტიოქიაში მიიყვანა ათონზე გაჩაღებულმა ანტიქართულმა მოძრაობამ, ზოგადად, ბერძენებთან გაუთავებელმა დავამ და წინააღმდეგობამ, რომელიც ფაქტობრივად ათონიდან ქართველების გამოძევებით დასრულდა. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ანტიოქიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია; იგი უკანასკნელი პერიოდის კვლევა-ძიებამ გამოავლინა. როგორც ირკვევა, ანტიოქია შუამავლის, მედიატორის როლს ასრულებდა ქართველ მეფეებსა და დასავლეთის უმაღლეს საერო და სასულიერო პირებს შორის.

იერუსალიმში, ათონსა და ანტიოქიაში დაწყებული ქართულ-ევროპული ურთიერთობის პერსპექტივა მეტ-ნაკლები ინტენსივობით გრძელდებოდა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში დავით აღმაშენებლით დაწყებული ერეკლე მეორის ჩათვლით.

5 აბულაძე 1963: 55.

6 მეტრეველი 2007ა: 89.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის წინ, ევროპული პერსპექტივა საბედისწეროდ შეფერხდა და დიდი ხნით გადაიდო – 1783 წლის მარტში მეფის რუსეთის მსტოვრებმა მცხეთასთან დაატყვევეს ელჩები, რომელთაც ერეკლე მეფის ფირმანები მიჰქონდათ ავსტრიის იმპერატორის, საფრანგეთის, სარდინიის, ვენეციის მეფეების, რომის პაპისა და კარდინალების კარზე. 1845 წლის 2 იანვარს კი რუსული ჟანდარმერიის ეტლებით საქართველოდან გააძევეს ამ პერსპექტივის უკანასკნელი ელჩები – ევროპელი მისიონერები.⁷

7 ვეერდნობი მიხეილ თამარაშვილის მონოგრაფიას (თამარაშვილი 1902/2011), ასევე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული პროექტის ფარგლებში რომის არქივებში მოპოვებულ მასალას, რომელიც 2012 წელს დაიბეჭდება.

ანტიოქიის სამეფოს როლი XI-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში

ანტიოქიის სამწერლობო-მთარგმნელობით ცენტრში ქართული ფილოლოგიური დისციპლინის ნორმალიზაციისა და სისტემატიზაციის პროცესი აქაურ კულტურულ გარემოსთან ინტენსიური ურთიერთობის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ამის გათვალისწინებით ერთ-ერთ პირველ საკითხად გამოიკვეთება XI-XIII საუკუნეებში საქართველოსა და ანტიოქიის სამეფოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შესწავლა: ჰქონდა თუ არა ანტიოქიასთან ურთიერთობას, საგანმანათლებლო და რელიგიური ფუნქციების გარდა, სხვა საფუძველი და წინაპირობები, როგორც ეს ათონის ან იერუსალიმის სამონასტრო ცენტრების შემთხვევაშია?¹

პროექტზე მუშაობა სწორედ ამ საკითხთა კვლევით დაიწყო.² წინამდებარე თავში შევხებით XI-XIII საუკუნეების საკმაოდ ინტენსიურ ქართულ-დასავლურ ურთიერთობებში ანტიოქიის სამეფოს სამედიატორო ფუნქციას. როგორც ირკვევა, ანტიოქიის ქართული სამწერლობო-მთარგმნელობითი ცენტრები ამ ურთიერთობებში იმავე ფუნქციებს ასრულებდა, რასაც ათონისა და იერუსალიმის ცენტრები; შესაბამისად, ან-

1 ვ. ბოდერმა (Boeder 1983:85-95; მისივე 1998: 68-81) და ე. მეტრეველმა (მეტრეველი 1996; მის ივე 2007: 7-127) ლინგვისტური და ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევებით დამაჯერებლად აჩვენეს, რომ ათონსა და იერუსალიმში ქართველების სამონასტრო-საგანმანათლებლო საქმიანობა დიდი პოლიტიკური კონტექსტის ნაწილი იყო. X-XII საუკუნეებში უცხოეთის მთარგმნელობითი ცენტრების საქმიანობა ქართული ენის კულტურული და პოლიტიკური ლეგიტიმაციის, ენათა ფუნქციური საურთიერთო ველის (ბერძნული – ქართული) განმტკიცებისა და შენარჩუნების მეტად საინტერესო საფეხურს წარმოადგენს. ენის ლეგიტიმაციის საფეხურების შესახებ იხ. დობორჯინიძე 2009ა: 13-29. Doborjginidze 2008: 193-212; Doborjginidze 2009: 39-60.

2 ანტიოქიისა და საქართველოს პოლიტიკური და კულტურულ-ისტორიული კავშირების შესახებ (მუა საუკუნეებში), ძირითადად, უცხოელი ისტორიკოსები მუშაობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ანტიოქიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით ქართული საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი დისციპლინა საგრძნობლად ჩამოუვარდება ამ ფენომენის ქართულსავე ფილოლოგიურ კვლევებს, ანტიოქიის სკოლის ენობრივი, ტექსტოლოგიური, ლიტერატურული თუ მხატვრულ-ესთეტიკური საკითხების მეცნიერულ შესწავლას. ზოგადად, საქართველოს შესახებ არსებული ვროპული წყაროები და დასავლელ მეცნიერთა კვლევის შედეგები, ამასთანავე, წყაროების ქართული თარგმანები ყველაზე სრულად წარმოდგენილია ალექსანდრე თვარაძის მონოგრაფიაში (თვარაძე 2004).

ტიოქიაში ქართული მთარგმნელობითი და, ზოგადად, ფილოლოგიური საქმიანობის სისტემატიზაციას მნიშვნელოვანი ისტორიული საფუძველი და კონტექსტი ჰქონდა.

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მიიჩნევენ, რომ გააზრებულ სტრატეგიულ ინტერესებზე დაფუძნებული პირველი ინტენსიური ქართულ-დასავლური ურთიერთობები³ და შესაბამისი პოლიტიკური ნაბიჯები ჯერ თეიმურაზ მეფის დესპანის, ნიკიფორე ირბახისა და შემდეგ სულხან-საბა ორბელიანის ელჩობას უკავშირდება. მაგრამ შუა საუკუნეების ქართული და განსაკუთრებით ლათინური წყაროების კვლევა აჩვენებს, რომ ეს ურთიერთობები XI-XIII საუკუნეებში არანაკლებ ინტენსიური და ნაყოფიერი იყო, ვიდრე თეიმურაზის ან ვახტანგ VI-ის დროს.

XI-XIII საუკუნეების საქართველოსა და ანტიოქიის ურთიერთობათა ამსახველ უცხოენოვან წყაროებზე მუშაობდნენ ევროპელი მეცნიერები ანა დოროთეა ვან ბრინკენი, მიშელ ვან ესბროკი, კლაუს-პეტერ თოდტი, ვახტანგ ჯობაძე, პაულ პეტერსი, ბერნარდ ლიმპერი, პეტერ ჰალფტერი და სხვები. კლაუს-პეტერ თოდტმა მონოგრაფიულად შეისწავლა ანტიოქიის საპატრიარქოს ისტორიის ცალკეული საკითხები. თავის სადისერტაციო ნაშრომში იგი დაწვრილებით ეხება ანტიოქიისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხებსაც.⁴ 1980 წელს დაიბეჭდა ბერნარდ ლიმპერის მონოგრაფია, რომელშიც გაანალიზებულია კავკასიის ხალხთა ისტორიის ამსახველი ლათინური, სპარსული და არაბული წყაროები.⁵ საქართველოს შესახებ ლათინურენოვანი წყაროები ყველაზე სრულადაა წარმოდგენილი ანა დოროთეა ვან ბრინკენის ნაშრომში.⁶

ცალკე უნდა აღინიშნოს გერმანელი ისტორიკოსის, პეტერ ჰალფტერის პუბლიკაციები. სწორედ მან შეისწავლა ანტიოქიისა და საქართველოს ურთიერთობის ამსახველი წყაროები, რომელთა მიხედვითაც გამოიკვეთა ანტიოქიის სამედიატორო ფუნქცია.⁷ წინამდებარე თავი პეტერ ჰალფტერისა და კავკასიის ისტორიის ამსახველი უცხოენოვანი წყაროების (ლათინური, სპარსული, არაბული) შემსწავლელ სხვა ევროპელ მეცნიერთა კვლევის შედეგებს ეყრდნობა.

3 აქ არ იფიქსირდება გვიანანტიკურობა და ადრეული შუა საუკუნეები (გაქრისტიანებაამდელი), როცა ქართულმა გაერთიანებებმა, განსაკუთრებით ლაზეთმა, ბიზანტიასთან უკიდურესი დაძაბულობის მიუხედავად (გუზაზ მეფის მკვლელობა), მაინც ირანის მოწინააღმდეგე დასავლურ, რომაულ-ბიზანტიურ ორიენტაციას დაუჭირა მხარი.

4 Todt 2000; მისივე 2006: 33-80.

5 Limper 1980.

6 Brinken 1973.

7 მისი ნაშრომები კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობისას ცალ-ცალკე იქნება მითითებული. აქ Halfter 2008: 403-437.

რადგან მე ისტორიკოსი არ ვარ, ცხადია, არ ვაპირებ საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი მეცნიერების თვალთახედვით განვიხილო ეს ქრონიკები; ჩემი მიზანია იმ კულტურულ-ისტორიული კონტექსტის შესწავლა, რომელშიც ქართული ფილოლოგიური დისციპლინის სისტემატიზაცია მიმდინარეობდა.

ზემოთ დასახელებული ლათინურენოვანი წყაროებიდან პეტერ ჰალფტერი საგანგებოდ ეხება კიოლნელი სქოლასტის, ოლივერის ცნობილ ქრონიკას,⁸ ანტიოქიაში დაწერილ ლათინურენოვან თხზულებას *Bella Antiochena*, რომლის ავტორია კანცლერი ვალტერიუსი⁹ და პაპი ინოკენტი III-ის ერთ-ერთ წერილს, რომელიც 1211 წლის 7 ივლისით არის დათარიღებული. წერილის ადრესატი ანონიმურია: Rex Avoguiiae. პაპი აქებს ადრესატის გაბედულ გადაწყვეტილებას, შური იძიოს ურჯულობებზე, რომელთაც ძალით დაიკავეს წმინდა ქალაქი. ინოკენტი მესამე ადრესატსა და მის მომხრეებს ჰპირდება ყველა იმ სიკეთეს, რაც ეკლესიამ დააწესა ჯვაროსნებისთვის.¹⁰

როგორც უცხოური, ასევე ქართული წყაროების მიხედვით, ცნობილია,¹¹ რომ ლაშა გიორგის იერუსალიმზე გალაშქრება ჰქონდა გამიზნუ-

8 ამ ქრონიკის ტექსტი იხ. Hoogeweg 1894.

9 *Galterii Cancelarii Bella Antiochena*, in: Hagenmeyer 1896. პ. ჰალფტერი (Halfter 2008: 409) საგანგებოდ უსვამს ხაზს ამ ქრონიკის მნიშვნელობას ქართული ისტორიოგრაფიისათვის, ვინაიდან მასში დაწვრილებით არის აღწერილი დიდგორის ბრძოლა.

10 „Illustri Regi Avoguiiae. Hortatur ad defensionem Terrae Sanctae (Laterani VII Idus Iunii). Rex noster potentissimus Iesus Christus, qui dominator a mari usque ad more, et a flumine usque ad terminus orbis terrae, postquam pro redemptione humani generis semetipsum exinanivit, formam servi accipiens, et mortis demum angustias spontanea voluntate subivit, in cruce positus sacratissimi sui corporis brachia expansa tenuit, ad signandum quod non solum postquam assumptus esset, omnia, prout promiserat, traheret ad seipsum, verum etiam suae fidei sectatores in haereditatis suae subsidium, in qua salute fuerat operates assidua imitatione vocaret, ut ad ipsius patrimonium defensandum anxia devotio concurrerent, pro quorum redemptione pretiosissimi sui sanguinis pretium ineffabili pietate persolvit. Propter quod universes principes Christianos, qui sum ipsius tuitiois umbraculo salubri dispositione proficiunt, tanto sollicitius ad terrae Jerosolymitanae subsidium intendere convenit quanto ex eo quod inimici Christianae fidei consulcantur, non tam apud homines tituli eis laudis aecrescunt quam apud coelestem Dominum, qui militant, aeternae retributionis praemia cumulantur. Cum igitur, progenitorum tuorum vestigiis inhaerendo, ad patrimonium Jesu Christi contra perfidos detentores ipsius tam devote quam potenter insistas, propter quod devotionis tuae propositum dignis in Domino laudibus commendamus, celsitudinem tuam rogamus attentius et monemus, in remissionem tibi et tuis peccaminum injungentes quatenus inspiratum tibi divinitus tuae salutis propositum per amplius et perfectius prosequare ad paganorum perfidiam comprimendam, ut per inquietudinem sollicitudinis temporalis, aeternae felicitates quietem tibi valeas comparare, ac is pro cujus obsequio laboras in terris, in participium sui regni te admittat in coelis. Datum Laterani, VII Junii, anno quarto decimo (ob. PL, CCXXVI, 433-434).

11 ამ საკითხთან დაკავშირებით ლათინურენოვანი წყაროების ანალიზი იხ. Brinken

ლი წმინდა ქალაქის გასათავისუფლებლად. როგორც ირკვევა, სწორედ ამასთან დაკავშირებით სწერს პაპი ინოკენტი III ლაშა გიორგის გამამხნევებელ წერილს, მაგრამ უშუალოდ ლაშას კი არ უგზავნის, არამედ ანტიოქიის მთავარს, რომელიც მედიატორი ყოფილა ქართველ მეფესა და რომის პაპს შორის.

პაპის წერილის ანონიმური ადრესატის¹² იდენტიფიკაციისათვის მკვლევარი მნიშვნელოვნად მიიჩნევს მისი დაწერისა და გაგზავნის კონტექსტს: 1211 წლის 7 ივლისს პაპის კანცელარიიდან სულ ოთხი წერილი გასულა, აქედან სამი უშუალოდ ანტიოქიის მთავარს და პატრიარქს მიემართება, მეოთხე კი – ალექსო სულთანს, თუმცა შინაარსით ისიც ანტიოქიის საპატრიარქოსთანაა დაკავშირებული: პაპი სთხოვს სულთანს, ანგარიში გაუწიოს ანტიოქიის პატრიარქის საქმიანობას და დაიცვას არაქრისტიანულ გარემოცვაში მისი უფლებები.

როგორც ირკვევა, ლაშა-გიორგის განზრახვის შესახებ ევროპის არაერთ საერო და სასულიერო პირს სცოდნია: პაპმა ჰონორის მესამემ მესხეთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს (1217-22 წწ.) ფრანგი და გერმანელი ეპისკოპოსები გააფრთხილა, კარდინალი პელაგიუსი ელჩებს აგზავნის საქართველოში და ეს მეომარი ხალხი აღასრულებს თავიანთ კეთილ განზრახვას ჯვაროსნების დასახმარებლად. ეს ელჩები მართლაც ანტიოქიის სამთავროს უშუალო დახმარებით ჩამოსულან საქართველოში და ლაშასგან პირობა მიუღიათ. ქართველების ეს გეგმა ვერ განხორციელდა და რომის პაპმა ამის მიზეზი გეგმის ჩავარდნიდან ორი წლის თავზე შეიტყო მეფე რუსუდანის წერილიდან, რომელშიც დედოფალი ბოდის იხდიდა, მონღოლები გამოჩნდნენ და იძულებული ვიყავით, მათ შევბრძოლებოდითო.¹³

ის, რომ ჯვაროსნული ომების დროს ქართველებსა და ევროპელებს შორის ურთიერთობა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა შესაძლებელი იყო, დადატურებულია არაერთი ლათინურენოვანი წყაროს მიხედვით. ანტიოქია ამ ურთიერთობებისთვის ყველაზე მოსახერხებელი ადგილი ჩანს. ვალტერიუსის ზემოთ დასახელებული ლათინური ქრონიკა პირდაპირ ამბობს, რომ იერუსალიმის მეფე ბოლდვინ პირველმა და დავით აღმაშე-

1973; Halfter 2005: 109-141; თვარაძე 2004.

- 12 ლათინურენოვან წყაროებში ეთნონიმ აბაზგისა და იბერიის, შესაბამისად, აბაზგიისა და იბერიის არაერთგვაროვან დაწერილობას (*Avogvia, Anogvia, Anegnia; Iberia, Hiberia, Hibernia*) ზოგჯერ შეცდომაში შეჰყავდა დასავლელი მეცნიერები და ამ ეთნონიმებს ირლანდიას უკავშირებდნენ.
- 13 იხ. Halfter 2008: 18-22. ლია საომარი მოქმედებების გამო მესხეთე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ პერიოდში ანტიოქია ჩაიკეტა და, სავარაუდოდ, მან დაკარგა საქართველოსა და დასავლეთს შორის სამედიატორო ფუნქციაც.

ნებელმა არამარტო იცოდნენ ერთმანეთის მოქმედებების შესახებ, არამედ უშუალო კონტაქტიც ჰქონდათ.¹⁴ ქრონიკა დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ იღებდა მონაწილეობას დიდგორის ომში დავით აღმაშენებლის მხარეს ორასი მეომარი ფრანკი ჯვაროსანთა საერთო ლაშქრიდან. ეს დახმარება ჯვაროსანთა მხრიდან იყო მაღლიერების გამოხატვა დავითის მიმართ, რომელმაც მათი საერთო მტერი, სელჯუკთა სულთანის დაამარცხა სამშვილდის ბრძოლაში და ამით როგორც სირიის ჩრდილოეთით მდებარე ანტიოქიის სამთავროს, ასევე ლათინთა იერუსალიმურ სამეფოსაც ამოსუნთქვის საშუალება მიეცა. ავტორი აქებს ქართველების საბრძოლო გამოცდილებას და დავითისა და მისი დასავლელი მოკავშირეების შეთანხმებულ ქმედებებს. ქრონიკაში საგანგებოდ აღნიშნულია, რომ დიდგორის გამარჯვების შემდეგ დავითმა სირიის და ჩრდილოეთ ერაყის მუსლიმან სუვერენებს მოსთხოვა იმ ფრანკი ტყვეების გათავისუფლება, რომლებიც ილღაზს ჩაუვარდნენ ხელში ანტიოქიასთან ბრძოლაში და მიაღწია კიდეც ამას.

ოლივერის ზემოთ დასახელებული ლათინური წყარო უშუალოდ ადასტურებს, რომ ანტიოქიაში შესაძლებელია ქართველებთან კონტაქტი პირდაპირ ან თარჯიმნის მეშვეობით. მისთვის მოულოდნელი ყოფილა იმის აღმოჩენა, რომ ქართველები ბერძნულ დამწერლობას კი არ იყენებენ, საკუთარი ანბანური დამწერლობა და მდიდარი ლიტერატურა აქვთ.¹⁵ ამგვარი კონტაქტები სამართლიანად ითვლება იმ დიდი ისტორიული კონტექსტის ნაწილად,¹⁶ რომლის კონცეპტუალურ საკითხებს თუ კონკრეტულ დეტალებს საქართველოსა და ანტიოქიის შესახებ დასავლური და, ზოგადად, უცხოენოვანი წყაროების საფუძვლიანი შესწავლა წარმოაჩენს.¹⁷

14 Hagenmeyer 1896: 114.

15 შდრ. „Georgiani et Greci per omnia concordant in officiis divinis, sed Georgiani litteram habent propriam, quorum codices in monte sancte Symeonis in columpna, ubi propriam habent ecclesiam, diligenter inspicientes per interpretem intelleximus, eos eundem ordinem ewangeliorum habere, quem habent Latini, canones etiam ewangeliorum per columpnellas arcuatas sicut et nos. Epistolarum Pauli idem prosus apud eos est ordo cum nostro, omnibus aliis epistolam Pauli ad Romanos premittunt“ (*Oliverus Historia Damiatina*, Cap.63 p. In: Hoogeweg 1894: 265).

16 Halfter 2008: 10-12.

17 საისტორიო მიმართულებით ანტიოქიური მეტატექსტების პროექტის გაფართოება, შუა საუკუნეებში ანტიოქიისა და საქართველოს ურთიერთობების ამსახველი ბერძნულ-ლათინური წყაროების კვლევა და ქართულად თარგმნა დაგეგმილი იყო შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსის, ქართული და უცხოური პირველწყაროების ცნობილი მკვლევრის, ლელა პატარიძის აქტიური მონაწილეობით. სამწუხაროდ, ლელას სიცოცხლეში მხოლოდ საკვლევი პრობლემატიკის იდენტიფიკაცია და კვლევის

ამ თვალსაზრისით ანტიოქია აგრძელებს იერუსალიმისა და ათონის სამწერლობო ცენტრების ტრადიციას. ცნობილია, რომ უცხოეთის ქართულ კოლონიებში მოღვაწე მთარგმნელ-განმანათლებელთა დიდი ნაწილი ქართული სამეფო ოჯახის წევრები და მათი უახლოესი ნათესავები იყვნენ. სახელმწიფოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, განსაკუთრებით უცხო ქვეყნებთან და ეკლესიებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, მათი რელიგიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. როგორც მიხეილ თამარაშვილისა და ელენე მეტრეველის კვლევა ადასტურებს, სწორედ ისინი წარადგინდნენ შუა საუკუნეებში საქართველოს სამეფოს დასავლეთის ქვეყნებისა და ეკლესიის კარზე.¹⁸

ქართული და უცხოური პირველწყაროების (როგორც საისტორიო, ასევე რელიგიური ლიტერატურა) მიხედვით, ამკარაა ქართული სამეფოსა და ეკლესიის გამოკვეთილი კეთილგანწყობა დასავლეთის საერო და სასულიერო წრეების მიმართ. ფაქტია, რომ ქართულმა ეკლესიამ არ აღიარა ბიზანტიასა და რომს შორის ეკლესიის გაყოფა; ზოგადად, ქართლის სამეფომ ამ მოვლენისგან საკმაოდ შორს დაიჭირა თავი და, სავარაუდოდ, ათონზე ბერძნებთან ამკარა კონფლიქტის შემდეგ, ბიზანტიის იმპერიის გარეთ, უფრო დასავლეთისკენ დაიწყო მოკავშირისა და მფარველის ძიება.

როგორც ჩანს, ქართულმა ეკლესიამ მაშინ ამკარად მოიწონა სამეფო კარის გადაწყვეტილება, მხარი დაეჭირა დასავლეთისთვის და ერთგულების ნიშნად ჩაბმულიყო კიდევ ჯვაროსნულ ომებში. ათონურ, იერუსალიმურ და ანტიოქიურ აქტებსა (იგულისხმება როგორც ქართული, ისე ბერძნულენოვანი წყაროები) და ორიგინალურ ნაწარმოებებში არაერთგზის დასტურდება ეს კეთილგანწყობა და მხარდაჭერა.

ერთმორწმუნე ბერძნების მიმართ ამბივალენტური¹⁹ დამოკიდებულებისა და დასავლელი ქრისტიანების მიმართ თანადგომისა და ერთიანობის ამკარა გამოხატულებაა ათონური ცხოვრებანი,²⁰ განსაკუთრე-

დაგვეგმა მოხერხდა. ამ მიმართულებით მუშაობას დღეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეკვლევრები, მედიევისტიკის მაგისტრები აგრძელებენ. ლ. კუპრეიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ქართულ-ვეროპული ურთიერთობების ისტორიის საკითხები იერუსალიმური ხელნაწერების მეტატექსტების მიხედვით და ახალი არგუმენტებით დაადასტურა, რომ ეს ურთიერთობები გააზრებული სტრატეგიული პოლიტიკის ნაწილი იყო. იხ. კუპრეიშვილი 2010.

18 იხ. თამარაშვილი 1902/2011; მეტრეველი 1996; მეტრეველი 2007.

19 ერთი მხრივ, ბერძნულისგან მკაფიო გამიჯნვა, საკუთარი თვითმყოფადობის დაცვა, და, მეორე მხრივ, თანამონაწილეობა იმ უნივერსალურ რელიგიურ ერთობაში, რომლის სიმბოლოც იყო ბერძნული. შდრ. Boeder 1993: 88.

20 შდრ. „იოვანეს და ეფთემეს ცხოვრებაში“ აღწერილი ამბავი ქართველი ბერის, გაბ-

ბით „გიორგი მთაწმინდლის ცხოვრება“. ამ თხზულებებში თითქმის ერთი და იმავე სიტყვებით, ტოპოსებად ქცეული ფრაზებით არის აღწერილი, ერთი მხრივ, ქართველებსა და ბერძნებს შორის არსებული შუღლი და წინააღმდეგობები,²¹ მეორე მხრივ, ქართველების, განსაკუთრებით, გიორგი მთაწმინდლის, აშკარა მხარდაჭერა დასავლელი ქრისტიანების მიმართ.²²

ზემოთ დასახელებული ლათინურენოვანი ქრონიკები, დასავლეთის უმაღლესი საერო და სასულიერო პირების მიმოწერა ქართველ მეფეებთან, ანტიოქიის მთავრების სამედიცინო ფუნქციები, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ აქაურ სამწერლობო-მთარგმნელობით ცენტრებში ფილოლოგიური დისციპლინის სისტემატიზაცია საკმაოდ ფართო სახელმწიფოებრივი კონტექსტის ნაწილი იყო.

ევროპის პოლიტიკურ და კულტურულ წრეებთან ურთიერთობის ისტორიისთვის, რა თქმა უნდა, ბევრად მნიშვნელოვანი იყო არა ანტიოქია, ჯვაროსნული ომების, ზოგადად, ევროპული პოლიტიკის პერიფერია, არამედ იერუსალიმი, ამ ომებისა და ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის ეპიცენტრი.

ქართულ-ევროპული ურთიერთობების ისტორიის თვალსაზრისით იერუსალიმური ხელნაწერების საფუძვლიანი შესწავლა გასული საუკუნის 80-იან წლებში ელენე მეტრეველმა დაიწყო; მანვე გამოაქვეყნა პირველად იერუსალიმურ ხელნაწერებში დაცული ჯვაროსანთა მოსახსენიებლები.²³

იერუსალიმური ხელნაწერების (გოლგოთას სვინაქსარი და ამჟამად პარიზში დაცული ხელნაწერი Géorg. 28) მეტატექსტების მიხედვით ქართულ-ევროპული ურთიერთობების ისტორიის ზოგიერთი დეტალის რეკონსტრუქცია სცადა ლია კუპრეიშვილმა. მან დაადგინა ჯვაროსანთა აღაპებში მოხსენიებული ტამპლიერი რაინდების ვინაობა, მათი სოციალური და სამხედრო სტატუსი: ჰუგო დე პეინი (Hugues de Payens 1118-

რიელისა და ლეონ ჰრომაელის სასწაულებრივი მეგობრობის შესახებ (ჯავახიშვილი 1946: 31).

- 21 შდრ.: „თვითოულად არცა თუ შესაძლებელ არს ყოვლისავე წარმოთქუმაჲ, რავდენნი გინებანი, რავდენნი შეურაცხებანი და ყუედრებანი მოიწეოდეს მათ მიერ ჩუენ ზედა [...] და მწვალებელად ხადითა შეიწრებულნი დიდსა ურვასა შინა ვიყვნით“ (ჯავახიშვილი 1946: 52).
- 22 გიორგი მთაწმინდლის მიერ წარმოთქმული სიტყვა არაერთგზის არის ამ თვალსაზრისით განხილული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. პირველწყაროების საფუძველზე ეს საკითხები პირველად დაამუშავა მ. თამარაშვილმა იხ. თამარაშვილი 1902/2011: 4-27.
- 23 მეტრეველი 1962; მეტრეველი 2007გ: 277-281.

1136), ბერნარ კლერვოელი (Bernard of Clairvaux 1090–, 1153), ანდრე მონბარი (André de Montbard 1103 – 1156), ჟერარ პირველი (Gérard I Hugues de Vaudemont 1108-1155), ასევე ჰოსპიტალიერთა კარტულარი, სიბილა ანჟუელი (Sibylla of Anjou 1112 – 1165), ჰოსპიტალიერთა ორდენის პრიორი, მარტინ გონსალვი (Martin Gonçalve, გარდ. 1193). აღმოჩნდა, რომ იერუსალიმის ქართულ ხელნაწერებში მოხსენიებული რაინდები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ევროპულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში.²⁴ ის ფაქტი, რომ ქართულ ხელნაწერებში მათი მოსახსენებლობა განწესებული, ჯვაროსან რაინდთა მიმართ მხოლოდ ამ ხელნაწერთა დამკვეთის ან გადამწერის პირადი დამოკიდებულების გამომხატველი ვერ იქნებოდა, ის უდავოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ორიენტაციის ინდიკატორი ჩანს.

ლ. კუპრეიშვილმა იერუსალიმთან დაკავშირებულ ლათინურენოვან და სომხურ წყაროებზე მუშაობისას ჩვენი ისტორიოგრაფიისთვის აქამდე უცნობ არაერთ მნიშვნელოვან გარემოებას, განსაკუთრებით კი, უცხოელ მეცნიერთა) არგუმენტაციას მიაქცია ყურადღება; იგი იმოწმებს საკვლევო საკითხისთვის საინტერესო არგუმენტებს, რომელიც ეხება ჯვაროსნების შესახებ სომხური ხელნაწერების მეტატექსტებში დაცულ ცნობებს.²⁵ ერთ-ერთ მათგანში მოთხრობილია ჩრდილოეთ სასომხეთში, კერძოდ, ჰალბატის მონასტერში დასავლეთის მეფეთა სტუმრობის ამბავი.

ცნობილია, რომ ჩრდილოეთ სასომხეთი მაშინ საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა და ჰალბატი მხარგრძელთა საგვარეულო მონასტერი იყო. ის, რომ ამ მონასტერს ჩვეულებრივისგან განსხვავებული ფუნქციები ჰქონდა, დღესაც იოლად შესამჩნევია: მონასტრამდე მისასვლელი ფართო გზატკეცილი დღემდე თითქმის დაუზიანებლად შემონახული ქვაფენილით, მონასტრის დიდი სასტუმრო დარბაზები, უჩვეულოდ დიდი ზომის თავლა სამეფო ცხენებისთვის და ა.შ.²⁶

ამ და სხვა საისტორიო წყაროების, მათ შორის „ქართლის ცხოვრების“ გათვალისწინებით საფუძველს მოკლებული არაა ლ. კუპრეიშვილის დასკვნა იმის თაობაზე,²⁷ რომ თუ ჰალბატში, მხარგრძელთა საგვარეულო მონასტერში, ასეთი შეხვედრა მართლაც გაიმართა ოკეანისგადაღმელ სუვერენებსა და ადგილობრივ მმართველებს შორის, მასში

24 კუპრეიშვილი 2010: 18-35.

25 იხ. Thomson 2001: 71-82.

26 კუპრეიშვილი 2010: 41-46.

27 ამ და სხვა წყაროების, ასევე, სომხურ ხელნაწერებში მოთხრობილი ამბის იდენტიფიკაციის პრობლემატიკა განხილულია ლ. კუპრეიშვილის სამაგისტრო ნაშრომში. აქვეა წარმოდგენილი მისი დასკვნები. იხ. გვ. 45-51.

უსათუოდ მნიშვნელოვანი როლი (ფუნქციები) ექნებოდა ქართველ მეფესა და ქართულ არისტოკრატიას.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ანტიოქია მნიშვნელოვან სამედი-ატორო როლს თამაშობდა არა მარტო დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთის უძველესი კულტურის ქვეყნებთანაც. ანტიოქიაში, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის, ენისა და რელიგიური აღმსარებლობის ხალხთა ურთიერთობის ეპიცენტრში,²⁸ ქრისტიანულის გვერდით ვითარდებოდა სხვა კულტურებიც. ცნობილია, რომ ერთ-ერთი გზა, რომლითაც აღმოსავლურ არაქრისტიანულ ლიტერატურას გაეცნო დასავლეთი, სწორედ ანტიოქიას უკავშირდება.²⁹

უკანასკნელი პერიოდის ევროპელ მეცნიერთა კვლევები ადასტურებს, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის რელიგიურ და კულტურულ ურთიერთობათა კონტექსტში ანტიოქიის შესახებ არსებული ლათინური წყაროები ქართველებსაც მოიხსენიებს.³⁰ სავარაუდოდ, ანტიოქიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საერო პოეზიის განვითარებაში, მის დაახლოებაში აღმოსავლურ პოეზიასთან.

ეს საკითხები საგანგებო კვლევას მოითხოვს, რათა განისაზღვროს, რამდენად მოამზადა ნიადაგი საერო პოეზიის განვითარებისთვის რიტორიკისა და პოეზიის თეორიულმა საფუძვლებმა (კომპოზიცია, იმპროვიზაცია, ჟანრი, ბაძვის თეორია, მშვენიერების ანტიკური და შუა საუკუნეობრივი გაგება და ა.შ.), რომლებიც ეფრემ მცირემ დაამუშავა სწორედ ანტიოქიის სამწერლობო-მთარგმნელობით სკოლაში,³¹ ენობრივი, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების გარემოში.

ამგვარმა გარემომ დიდწილად განსაზღვრა შუა საუკუნეების ქართული საისტორიო კონცეფციაც. იგი დაეფუძნა აღმოსავლური წარმომავლობის, ძირითადად, სირიულ-ეთიოპურ კულტურულ კონტექსტში ჩამოყალიბებული რელიგიური ისტორიოგრაფიის მთავარ იდეას, რომ კაცობრიობა ერთი საწყისიდან გამოსული მრავალფეროვნების ისტორიაა.³²

28 კ. ციგარი ანტიოქიას უწოდებს, ქვეყანას მრავალი კულტურით, ენითა და ხალხით (შდრ. Antiochia – eine Stadt mit vielen Völkern, Kulturen und Sprachen). იხ. Cigaar 2005:243.

29 Burnett 2000: 1-78.

30 Halfter orive; 2005:109-141; Halfter 2008:403-436; Cigaar 2005;243-247.

31 იხ. ბეზარაშვილი 2004:159-218.

32 ამ იდეას რადიკალურად დაუპირისპირდა ჯერ ბიზანტიური, მოგვიანებით კი სლავურ-რუსული კონცეფცია. ვერც ბიზანტიურმა და ვერც რუსულმა საისტორიო დისციპლინამ ვერ „აღმოაჩინა“ ეთნოსებისა და ენების, როგორც მრავალფეროვნების, ისტორიული განვითარების ლოგიკა და საკუთარი ისტორია სხვა კონცეფციას – ბიზანტიის კეისრის, როგორც საყოველთაო მბრძანებლის, იდეას დაუკავშირა: სულ-

საკუთრივ ფილოლოგიურის გარდა, ამ თვალსაზრისითაც უაღრესად მნიშვნელოვანია უცხოეთის რელიგიური და სამწერლობო-მთარგმნელობითი ცენტრების, ათონური, იერუსალიმური თუ ანტიოქიური გამოცდილების შესწავლა. სახელდობრ, საქიროა იმის გარკვევა, თუ რა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა ამა თუ იმ სკოლის მთარგმნელობით, ზოგადად, საგანმანათლებლო საქმიანობასა და კონცეფციებს კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში და რა პერსპექტივას დებდნენ ან ხედავდნენ მასში ამ კონცეფციების შემქმნელები თუ მათი მიმდევრები.

უცხოეთის სამწერლობო-მთარგმნელობით ცენტრებს მეტ-ნაკლებად საერთო მიზანდასახულობა ჰქონდა: იმდროინდელი მსოფლიოს საუკეთესო მემკვიდრეობის (ლიტერატურული, საისტორიო, ფილოსოფიურ-თეოლოგიური), სხვების „წესთა და ჩუულებათა“ გადმოღება და ამ გზით ღარიბი ქართული ენისა და „ბარბაროს-წოდებული“ ქართველთა ნათესავის განათლება.

ამის მიუხედავად, ვფიქრობ, მაინც შესაძლებელია თითოეული სკოლისთვის სპეციფიკური მიზნებისა და ფუნქციების გამოყოფა. ქართველ ათონელთა საქმიანობას უკავშირდება ერთიანი საურთიერთო ენობრივი სივრცის შექმნა: **ქართული – ბერძნული**, ამ სივრცეში წონასწორობის შენარჩუნება და ქართულისა და ბერძნულის თანასწორუფლებიანობის იდეის **ლეგიტიმაცია**, კონკურენცია გაცილებით უფრო ფართო კულტურული და რელიგიური კონტექსტის მქონე ზენაციონალურ საურთიერთო (ბერძნულ) ენასთან და ა.შ. ეს ყოველივე კი ეროვნული ცნობიერების მნიშვნელოვანი საფუძველია.³³

თმოფენობის სასწაული დაგვირგვინდება არა სხვადასხვა ენაზე მეტყველი კაცობრიობის ერთობით – ეს იყო პატრისტიკისა და რელიგიური ისტორიოგრაფიის ამოსავალი თეზა – არამედ მართლმორწმუნე ბიზანტიის კეისრის მეშვეობით; კეისრის იდეალურ სახეში შეხვდება ერთმანეთს წარსული და აწმყო, რწმენა და ისტორია. სხვადასხვა ეპოქის, რელიგიურ, ენობრივ და კულტურულ კონტექსტში შემუშავებული საისტორიო კონცეფციების მიმოხილვა მოცემულია ა. ბორსტის მონუმენტურ ნაშრომში. იხ. Borst 1957-1963. აქ Borst 1957: 304.

33 მართლია, განსხვავებულია ევროპული ნაციონალიზმის წარმოშობის ეპოქა და კონტექსტი, მაგრამ წინაპირობებით (ვგულისხმობ ენობრივ წინაპირობებს) იგი ძალიან ჰგავს შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში ადგილობრივი ენების სამწერლობო ენებად ჩამოყალიბებისა და საბოლოოდ მათი სტანდარტიზაციის პროცესს. შდრ., იდენტობის თეორიის ავტორები გამოყოფენ სამ საფუძველს, რომლებმაც XVI საუკუნიდან დასავლეთში ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი: 1. ლათინურსა და საერო ენებს შორის მიმოცვლის ერთიანი ველის შექმნა: ლათინური – ადგილობრივი ენა, 2. ენის დაფიქსირების ახალი საშუალება და ამით ერის მუდმივობის იდეის საფუძველი, 3. ძალაუფლების ენები, რომლებიც განსხვავდებოდნენ მანამდე არსებული ლათინური ენისგან (ანდერსონი 2005: 18).

ქართული ენის ფუნქციების ლეგიტიმაციის ათონურ პერიოდს ქართულის ბერძნულთან თვისობრივი გატოლების ანტიოქიური ხანა მოჰყვა. ლეგიტიმაციის ათონური ფაზისგან განსხვავებით, ენობრივი დამოუკიდებლობის რეალიზაციის ანტიოქიურ ფაზაში უნდა ეზრუნათ არამხოლოდ „ბერძენთა და ჰრომთა“ საუკეთესო წიგნების თარგმნაზე, არამედ ამ თარგმანების მაღალ პროფესიონალურ ხარისხზე, ანუ სათარგმნი დედნების მაქსიმალური სიზუსტით გადმოღებაზე. ეს ქართული ენის გამომხატველობით საშუალებათა გამდიდრებას, ძველი თარგმანების დახვეწასა და ბერძნულთან მაქსიმალურად დაახლოებას, ასევე სპეციალური ტერმინოლოგიის, ანუ ცნებითი ენის შექმნას და „გონიერთა ხედვათა მომმარჯვე“ (იოვანე პეტრიწი) ბერძნულთან „სწორ-ყოფას“ ნიშნავდა.

მომდევნო თავებში სწორედ ამ რეალიზაციის ეტაპს, შესაბამისად, ქართველ მთარგმნელთა ფილოლოგიურ კონცეპტებს განვიხილავ; შევეცდები ვაჩვენო, თუ როგორ და რა კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში შეიძინა თარგმანმა ბერძნულთან შედარებით ღარიბი სამწერლობო გამოცდილების მქონე ენების ემანსიპატორის ფუნქცია და როგორ წარიმართა მთარგმნელობითი საქმიანობის სისტემატიზაციის ეტაპები ქართულ ტრადიციაში. იმ კითხვაზე პასუხის გაცემასაც ვცდი, თუ რომელი სისტემის, მოდელის მიხედვით შეიქმნა თარგმნის, ინტერპრეტაციისა, და, ზოგადად, ტექსტის კვლევის ძველი ქართული „ტეხნე“, კონკრეტულად რაში გამოიხატა ბერძნულის „ღობა“³⁴ და „უგუნურებისა ჩუენისა გონიერ-ყოფა“³⁵

34 შდრ. იოვანე ზოსიმე: „ესე არიან ორნი დანი“ (ცაიშვილი 1979: 72).

35 გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება, იხ. ლოლაშვილი 1994: 177.

თარგმანის ფუნქციონალიზაციის საკითხი შუა საუკუნეების ქართულ ტრადიციაში

შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის სამწერლობო ენების ისტორიას სამართლიანად განიხილავენ, როგორც მთარგმნელობითი საქმიანობის ისტორიას, რადგან ისინი სწორედ თარგმანთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული პროცესების წყალობით იქცნენ სტანდარტულ სამწერლობო ენებად.¹

წინამდებარე თავში სწორედ ამ საკითხებს განვიხილავ. კერძოდ, შევხებით თარგმანთან დაკავშირებულ ზოგადთეორიულ კონცეპტს, უფრო ზუსტად, ტოპოსს, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეებში სხვადასხვა ენის, მათ შორის ქართულის, ლეგიტიმაციისა და სტანდარტიზაციის პროცესებზე. ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით ეს ტოპოსი ინტენსიურად ვრცელდებოდა ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ გეოგრაფიულ, კულტურულ და რელიგიურ სივრცეში, მათ შორის საქართველოში.

ანტიკურობის სალიტერატურო, ფილოსოფიურ და რიტორიკის ტრადიციაში ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა არაერთი ტოპოსი, რომელიც იმ დროის კონკრეტულ გარემოებასა და წინაპირობებთან იყო უშუალოდ დაკავშირებული. ბევრი ასეთი ტოპოსი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გავრცელდა შემდგომ ეპოქებშიც, უკვე იმისდა მიუხედავად, ახალ პირობებში ისევე მოქმედებდა თუ არა მისი ჩამომყალიბებელი თუ მაპროვოცირებელი წინაპირობები.

თარგმანთან დაკავშირებულ ტოპოსს, რომელსაც ქვემოთ განვიხილავ, შეცვლილ გარემოებებში, შეცვლილ ისტორიულ, კულტურულ თუ სალიტერატურო კონტექსტში ხელახლა დამკვიდრების განსაკუთრებული უნარი აღმოაჩნდა. ამ უკანასკნელმა ფაქტორმა კი სხვადასხვა ეპოქაში მარტივად, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, „წარმართა“ ტოპოსის ფუნქციონალიზაციის პროცესი.

Egestas linguae, egestas patrii sermonis (ენის სიღარიბე, მშობლიური ენის სიღარიბე)² – ეს იყო თვალსაზრისი, რომელიც ასახავდა ფილოსოფიასა და რიტორიკაში გაწაფული ბერძნული ენის გამომხატველობით შესაძლებლობათა ლათინურად გადმოტანისას გაჩენილ პრობლემებს;

1 შდრ. Keipert 1982.

2 წყაროები, რომლებშიც ლათინური ენის სიღარიბის ტოპოსი აისახა, შესწავლილი აქვს მ. მიულერ-ვეტცელს. იხ. Müller-Wetzel 2000: 120-145.

უფრო ზუსტად, ეს იყო იმ სირთულეების აღიარების ერთგვარი ფორმა, რომლებიც მთარგმნელ ენაში ახალი ცნებებისა და მათი ეკვივალენტი ტერმინოლოგიის დამუშავებას ახლავს თან.

„Nostra lingua, quae dicitur inops“ (ჩვენი ენა, რომლის შესახებ ამბობენ, რომ ის არის ღარიბი) – ციცერონის ეს სიტყვები (ძვ. წ. ა. 69 წ.) არის პირველი წყარო, რომელშიც ლათინური ენის სიღარიბის ტოპოსია დაფიქსირებული.³

განსხვავებული ეპოქის პირველწყაროთა მაგალითებზე შევეცდები ვაჩვენო, რა როლი ითამაშა ამ ტოპოსმა სხვადასხვა კულტურულ და რელიგიურ გარემოში და როგორ „დაამსგავსა“ ერთმანეთს სრულიად განსხვავებულ ენათა ე. წ. გარეგანი ისტორიის ცალკეული ეტაპი.

ენები არა მარტო შინაგანი კანონზომიერებებით, შინაგანი ისტორიით შეიძლება ჰგავდეს ერთმანეთს, არამედ სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქციების განვითარების კანონზომიერებების, ლოგიკის თვალსაზრისითაც. თუ შინაგანი კანონზომიერებების მიხედვით სისტემური მსგავსება მკაცრად განსაზღვრულ გენეტიკურ წინაპირობას ემყარება, სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქციების, ანუ გარეგანი განვითარების მიხედვით მსგავსება სულაც არაა დამოკიდებული „სისხლით ნათესავურ“ კავშირებზე; უმეტეს შემთხვევაში ეს სრულიად განსხვავებული ბუნების მქონე ენათა „ქცევის“ ერთნაირი (ან ძალიან მსგავსი) წესია, და, შესაბამისად, ერთნაირი ან მსგავსი სტატუსის, ფუნქციებისა და გავრცელების სფეროების მოპოვების ისტორია.

ამჯერად სწორედ განსხვავებული იმანენტური ბუნების მქონე ენათა „ქცევის“ საერთო წესს შევხვები. ქართული ენის ისტორიული სოციოლინგვისტიკის საკითხებს, მისი ლეგიტიმაციის ცალკეულ ეტაპებს განვიხილავ ლათინური, სირიული, სომხური და საეკლესიო სლავური ენების „გარეგანი ისტორიის“ ზოგად კანონზომიერებათა კონტექსტში. ამასთან დაკავშირებით მიმოვიხილავ:

1). ენის სიღარიბის ტოპოსის ფუნქციონალიზაციას ანტიკური, გვიანანტიკური და შუა საუკუნეების ლათინურენოვანი წყაროების მიხედვით;

2) ამ ტოპოსის ტრანსფორმაციის შემთხვევებს ქრისტიანული აღმოსავლეთის განსხვავებულ რელიგიურ, ლინგვისტურ, სოციოკულტურულ და ისტორიულ სივრცეში (სირიული, ქართული, საეკლესიო სლავური). კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით დაწვრილებით წემოვადგენ იმ ლინგვისტურ და თეოლოგიურ წინაპირობებს, რომელთა ფონზე ქარ-

3 იხ. Cicero, *Pro Caecina* 51, 2.

თულის სიღარიბისა და ბერძნულთან მისი კონკურენციის, გატოლების ტოპოსი დამკვიდრდა ძველ ქართულ ტრადიციაში.

ამ ტოპოსის ფუნქციონალიზაციასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღვნიშნო ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: წყაროები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება ქართული ენის სიღარიბის ტოპოსის შესახებ საუბარი, არაა ბერძნულიდან ქართულად შესრულებული პირველი ნათარგმნი ტექსტების თანადროული (არაუგვიანეს V საუკუნისა), ანუ იმ პერიოდისა, როცა ქართულ ენაში რეალურად გაჩნდა ახალი ცნებებისა და ახალი მიმართებების გადმოტანის სირთულეები. ეს წყაროები განეკუთვნება გვიანდელ პერიოდს (X-XII საუკუნეებს), როცა ამ ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინების გააზრებული განხილვა, ბერძნული ტერმინების ქართული ეკვივალენტების სისტემატიზაციის პროცესი დაიწყო.

როგორც ზემოთ ვთქვი, თარგმანის ისტორიის პირველი, სპონტანური ეტაპის,⁴ ანუ დღეისათვის ცნობილი ყველაზე ადრეული თარგმანების შესახებ არავითარი თეორიული ხასიათის წყარო, კომენტარები და შეფასებები, შესაბამისად, არც ენის სიღარიბის ტოპოსის გაჩენის შესახებ რაიმე ინფორმაცია არ არის ცნობილი. ნიშანდობლივია ისიც, რომ აღმოსავლეთ ქრისტიანობის ზემოთდასახელებულ სალიტერატურო ტრადიციებშიც, კერძოდ, სირიულში, სომხურსა და საეკლესიო სლავურში, ამ ენების სიღარიბის, თარგმანთა კორექტირებისა და ბერძნულთან მათი გატოლების ტოპოსი შედარებით გვიანდელია. ქართულის მსგავსად, იგი უკავშირდება არა თავდაპირველი თარგმანების პერიოდს, არამედ თარგმანთა გააზრებული ანალიზისა და მშობლიურ ენაზე ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინების სისტემატიზაციის პროცესს.

ა. ლათინური ენის სიღარიბის ტოპოსი და მისი ფუნქციონალიზაცია სხვადასხვა ეპოქაში

ძნელი სათქმელია, ლათინური ენის სიღარიბის ტოპოსის ჩამოყალიბებას უძღოდა თუ არა წინ მსგავსი ინტუიციური, სპონტანური თარგმანის პირველი პერიოდი, როგორც ეს აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს ენების შემთხვევაში ხდება. ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია და პირველი ლათინური თარგმანების წინაპირობათა საგანგებო ანალიზს მოითხოვს. ამჯერად მე ვეყრდნობი მკვლევართა უმეტესობის მიერ გაზიარებულ თვალსაზრისს, რომ წყაროებში პირველად ციცერონ-

4 შდრ. ხარანაული 2005: 36.

თან დადასტურებული ეს ტოპოსი საკმაოდ ძველი უნდა ყოფილიყო.⁵ ამაზე მეტყველებს ფორმულირებათა გასაოცარი სიუხვე ანტიკურ და გვიანანტიკურ ხანაში: „Haec inops lingua,“ „Nostra lingua, quae dicitur inops“ (Cicero); „Egestas linguae, egestas patrii sermonis“ (Lucretius); „Inopia ac potius ut Lucretius ait egestate patrii sermonis“ (Plinius); „Latini sermonis angustiae“, „Inopia sermonis nostri,“ „Latinae linguae paupertas“ (Hieronymus), „Paupertas sermonis“ (Quintilianus).⁶

საწყის ეტაპზე, როცა თარგმნის პროცესთან დაკავშირებით გამოითქმება თვალსაზრისი ენის სიღარიბის შესახებ, ის ადეკვატურად თუ არა, გაზვიადებულად მაინც ასახავს რეალობას, იმ პრობლემებს, რაც ტექსტის და, განსაკუთრებით, ცნების აღმნიშვნელი ტერმინის გადმოღებას ახლავს თან. მაგრამ როცა ტოპოსი მისი წარმომქმნელი წინაპირობებისა და არგუმენტაციის გარეშე ვრცელდება სხვადასხვა ეპოქაში, ცხადია, იქმნება სრულიად განსხვავებული კონტექსტი: ციცერონის, კვინტილიანესა და ჰიერონიმეს ეპოქის ლათინური სწორედ რიტორიკული ფიგურებისა და გამომხატველობითი საშუალებების გასაოცარი სიმდიდრით გამოირჩეოდა და არა სიღარიბით. მიუხედავად ამისა, მას ამა თუ იმ ახალი ცნების გამოსახატავად წინასწარ „გამზადებული“ ტერმინები, ცხადია, არ გააჩნდა. სწორედ ამ პროცესს, ენაში ახალი ტერმინის დამკვიდრებას, „აიოლებდა“ ეს ტოპოსი.

ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ არა ახალ კონტექსტში, ახალ რეალობაში ტოპოსის შესაბამისობისა და ადეკვატურობის, არამედ მისი ფუნქციონალიზაციისა და სხვადასხვა პირობებში ტრანსფორმაციის შესახებ. ასე შეიძლება აიხსნას თარგმანის არა საწყის, არამედ სწორედ გაწაფულ ფაზაში ამ ტოპოსის გაჩენა.

რას ნიშნავდა ციცერონისთვის ტოპოსი: „ლათინური ენა არის ღარიბი“? ბუნებრივია, რომ თარგმანის გზით ახალი ცნების, ახალი მიმართებების შემოტანისას ენა ან „სესხულობს“ ცნების აღმნიშვნელ ტერმინს, ან თავად „აწესებს“ ამ ცნებისთვის სახელს საკუთარი ლექსიკური მა-

5 ამის დასტურად მ. მიულერ-ვეტცელს მოჰყავს ამ ტოპოსთან დაკავშირებულ ერთ-ერთ კონტექსტში ციცერონისავე გამონათქვამი: „Ut vulgo putarent“ (როგორც საზოგადოდ ფიქრობენ). შდრ. „Das lateinische sei eine arme Sprache – diese Annahme ist seit Cicero bis in die Neuzeit hinein immer wieder vertreten und begründet worden. Zwar fehlen Belege, die die Existenz dieser Annahme für die frühen Epochen der lateinischen Literatur nachweisen, doch lassen die Formulierungen, mit denen dem Leser der antiken Texte die Armut der lateinischen Sprache vorgeführt wird, darauf schließen, dass es sich um einen verbreiteten und alten Allgemeinplatz handelt.“ (M. Müller-Wetzel 2000: 120).

6 რომაელ ავტორთა გამონათქვამები დამოწმებულია მ. მიულერ-ვეტცელის დასახელებული ნაშრომის მიხედვით (Müller-Wetzel 2000: 121).

რაცისა და გამომხატველობითი საშუალებების მიხედვით. ისმის კითხვა: რატომ ესამუშება მთარგმნელს ასეთი ბუნებრივი პროცესი და რატომ მიუთითებს მშობლიური ენის სიღარიბეზე?

ზემოთ დასახელებულ ავტორთა ფრაგმენტების შესწავლამ აჩვენა,⁷ რომ თითოეული მათგანი ორ ძირითად პრობლემას გამოყოფს:

ა) ბერძნული ლექსიკა უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ლათინური;

ბ) განსაკუთრებით რთულია ზოგიერთი ბერძნული ტერმინისთვის ადეკვატური შესატყვისის მოძებნა, ენაში ახალი ტერმინის შექმნას და დამკვიდრებას კი ბევრი სირთულე ახლავს თან.

რომაული აპოლოგეტიკიდან მოყოლებული ეს ტოპოსი რიტორიკული ფიგურის ფუნქციას იძენს: არა მარტო ცნების აღმნიშვნელი ტერმინის სესხების ან ენაში მისი ეკვივალენტის დამკვიდრებისას, არამედ ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ შინაარსის გადმოცემის ფორმალურ მხარეზე სურთ ყურადღების გამახვილება, მთარგმნელები მოიშველიებენ ამ ტოპოსს, რათა ერთგვარი „თავმდაბლობით“ ხაზი გაუსვან საკუთარ ოსტატობას, მაღალ პროფესიონალიზმს.

საინტერესო ტრანსფორმაცია განიცადა ამ ტოპოსმა გვიანანტიკურობისა და ადრეული შუა საუკუნეების ლათინურ პატრისტიკაში. თარგმანის გამომხატველობითი საშუალებებიდან აქცენტი ამჯერად შინაარსობრივ მხარეზე, წმინდა თეოლოგიურ საკითხებზე, გადავიდა და რიტორიკულ ფორმულად ქცეული „*egestas patrii sermonis*“ ახალი ფუნქციებით დაიტვირთა: იგი სრულფასოვანი არგუმენტი გახდა თეოლოგიურ პოლემიკაში.

ამის მკაფიო მაგალითია რუფინუსის კომენტარი, რომელიც ეხება ორიგენეს თხზულების (Περὶ Ἀρχῶν) ჰიერონიმესეულ ლათინურ თარგმანს. რუფინუსი, ერთი მხრივ, განადიდებს ჰიერონიმეს და, მეორე მხრივ, „იცავს“ ორიგენეს ტექსტს, რომლის სიღიადე და ნამდვილი ძალა სრულყოფილად ვერ წარმოჩნდა ლათინურ თარგმანში ლათინური ენის სიღარიბის გამო.⁸

7 ამის შესახებ იხ. Hille-Coates 2000b: 206-238, განსაკუთრებით გვ. 215-234; H.-J. Hartung 1970.

8 შდრ.: „და მე მეშინია, რომ ჩემი შეცდომით ეს ადამიანი [იგულისხმება ორიგენე], რომელსაც ის [ჰიერონიმე] მოციქულების შემდეგ დამსახურებულად თვლიდა თავის მეორე მასწავლებლად სიბრძნესა და მეცნიერებაში, ჩვენი ენის სიღარიბის გამო უფრო უმნიშვნელოდ წარმოჩნდება“ (Unde vereor, ne vitio meo id accidat, ut is vir, quem ille alterum post apostolos ecclesiae doctorem scientiae merito conprobavit, inopia sermonis nostri longe se inferior videatur), Hieronymus, Epist. 80. სხვადასხვა ეპოქაში ამ ტოპოსის ტრანსფორმაციის ცალკეული მაგალითები განხილულია მ. მიულერ-ვეტცელის ზე-

მნიშვნელოვანი ფუნქციით გამოდიოდა ენის სიღარიბის ტოპოსი ადამიანთა თავდაპირველი ენისა და სამი წმინდა ენის შესახებ დისკუსიებშიც. ეს ორი დისკუსია მჭიდროდ უკავშირდებოდა ერთმანეთს და გვიანანტიკურიობიდან მოყოლებული აქტუალური იყო თითქმის XVIII-XIX საუკუნეებამდე, სანამ დაიწყებდნენ ინდოევროპულის, როგორც მეცნიერული კრიტიკრიუმებით აღწერილი პროტონის, შესწავლას.

ამ პერიოდში ენათა წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხებს⁹ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ დისკურსში განიხილავდნენ და შემეცნების თეორიისა და „წმინდა ისტორიის“¹⁰ პრობლემებს უკავშირებდნენ. მართალია, ბიბლიაში ვერსად ვიპოვით პირდაპირ პასუხს კითხვაზე, თუ რომელ ენაზე ლაპარაკობდა ადამი, მაგრამ ადრექრისტიანულ პატრისტიკულ ლიტერატურაში მაინც ერთხმად გაზიარებული ჩანს თვალსაზრისი, რომ ადამის ენა ებრაული იყო.¹¹ ეს თვალსაზრისი განსაკუთრებით მყარია ლათინურენოვან პატრისტიკაში: თითქმის ყველა ავტორი ერთხმად აღიარებს ებრაულის პირველობას და მიიჩნევს, რომ ლათინური სწორედ კაცობრიობის თავდაპირველ ენას, ებრაულს, მიჰყვება.¹²

მოდ დასახელებულ ნაშრომში.

- 9 თავდაპირველი ენის, ენათა და ხალხთა ურთიერთმიმართების, ენათა ლეგიტიმაციის შესახებ სხვადასხვა კულტურულ ტრადიციაში იხ. ა. ბორსტის მონუმენტური ნაშრომი: Borst 1957-1963; ასევე: Hille-Coates 2000a: 129-147; Eco 1997.
- 10 როგორც ცნობილია, ბაბილონისდროინდელი ამბების ინტერპრეტაციით რელიგიურმა ისტორიოგრაფიამ ახ. წ.ა. I საუკუნიდან მოყოლებული მსოფლიოს ხალხები ორ ნაწილად გაყო: ისტორიის ნამდვილ შვილებად, ანუ „წმინდა ისტორიის“ მონაწილე სამოცდათორმეტ (ზოგიერთი წყაროს მიხედვით სამოცდაათ) ხალხად და დანარჩენ სამყაროდ, ე.წ. „ისტორიის გერებად“ (შდრ. Borst 1957, I: 292); დობორჯგინიძე 2010: 3-63.
- 11 სირიული და, საერთოდ, აღმოსავლეთ ქრისტიანული ტრადიცია ალტერნატიულ ვერსიასაც იცნობს: არა ებრაული, არამედ სწორედ სირიული არის კაცობრიობის თავდაპირველი ენა. ეს ვერსია შედარებით გვიან გაჩნდა (მესუეთე საუკუნიდან დასტურდება) გარკვეულ თეოლოგიურ კონტექსტში და სირიული ენის ებრაულთან „გატოლებას“ ისახავდა მიზნად. ამის შესახებ იხ. დობორჯგინიძე 2007ა: 92-100; დობორჯგინიძე 2010: 100-111.
- 12 შდრ. ჰიერონიმე, მცირე წინასწარმეტყველთა წიგნის ერთ-ერთი კომენტარი: „Id quod diximus nugas, sciamus in Hebraeo ipsum Latinum esse sermonem, et propterea a nobis ita ut in Hebraeo erat positum, ut nosse possimus linguam Hebraicam omnium linguarum esse matricem“ (Adrian 1969: 708). „Et sicut ante aedificationem turris fuit, quando una lingua omnes populi loquebantur“ (Adrian 1969:700). აგუსტინე: „Quando autem erat una, nihil aliud, quam humana lingua vel humana locutio vocabatur, qua sola universum genus humanum loquebatur“ (Augustinus Hipponensis, De civitate Dei, in: Dombart-Kalb 1955: 48).

თვალსაზრისი, რომ ებრაული კაცობრიობის თავდაპირველი ენაა,¹³ საფუძვლად დაედო ბიბლიურ ისტორიოგრაფიას და მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საყოველთაოდ გაზიარებული ჩანს: ჰიერონიმეტი დაწყებული დანტეს ჩათვლით, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, ამტკიცებენ, რომ ადამმა პირველი სიტყვა – ელ – ღმერთის სახელი, ებრაულად წარმოთქვა:

„მეტყველების ამ სახეობით ლაპარაკობდა ადამი; მეტყველების ამ სახეობით ლაპარაკობდა მისი ყველა შთამომავალი ბაბილონის გოდლის მშენებლობამდე. გოდლისა, რომელიც აღრევის გოდლად განიმარტება. მეტყველების ეს სახეობა მემკვიდრეობით მიიღეს ჰებერის ძეებმა, რომლებიც აქედან მოყოლებული ებრაელებად იწოდნენ. ისინი ასეთებად დარჩნენ ენათა აღრევის შემდეგაც, რათა მათ შორის ადამიანად დაბადებული ჩვენი მსხნელი არა აღრეულთა, არამედ ამ [თავდაპირველი] ენით დამტკბარიყო.“¹⁴

ბერძნულთან და ლათინურთან ერთად ებრაული, საგანგებო არგუმენტების საფუძველზე,¹⁵ წმინდა ენად, ბიბლიის ენად იყო აღიარებული და მას სამი წმინდა ენის, ანუ ტრილინგვიტას, იერარქიულ რიგში პირველი ადგილი ეკავა. ამის მიუხედავად, გვიანანტიკურობისა და ადრეული შუა საუკუნეების პატრისტიკული ლიტერატურა მაინც ეჭვქვეშ აყენებდა ებრაული და ლათინური ენების ბერძნულთან თვისობრივი თანასწორობის არგუმენტებს. იგი სამართლიანად თვლიდა, რომ ებრაული საკმაოდ ვიწროდ შემოსაზღვრული ერთობის, იუდაიზმის, იდენტობის სიმბოლოა და არა ქრისტიანული უნივერსალიზმის; ტრილინგვიტას კონტექსტში მას უფრო სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა – ქრისტეს

13 პატრისტიკულ ლიტერატურაში თავდაპირველი ენის შესახებ გამოთქმული თვალსაზრისების მიმოხილვა იხ. Hille-Coates 2000a: 129-147.

14 „Hac forma locutionis locutus est Adam; hac forma locutionis locuti sunt omnes posterius usque ad aedificationem turris Babel, quae turris confusionis interpretatur; hanc formam locutionis hereditati sunt filii Heber, qui ab eo dicti sunt Hebraei. Hiis solis post confusionem remansit, ut Redemptor noster, qui ex illis oriturus erat secundum humanitatem, non lingua confusionis, sed gratie frueretur“ (Mengaldo 1979: 2, I, VI).

15 ლათინურ პატრისტიკაში შემუშავებული სამი წმინდა ენის, ანუ ტრილინგვიტას თეორია ებრაულს, ბერძნულსა და ლათინურს გამორჩეულ სტატუსს ანიჭებდა ე. წ. „წმინდა არგუმენტების“ მოშველიებით. პირველი არგუმენტი თანაბრად ეხებოდა სამივე ენას: ქრისტეს ჯვრის ცნობილი წარწერა ებრაულად, ბერძნულად და ლათინურად იყო შესრულებული. მეორე არგუმენტი განსხვავებული იყო თითოეული ენის შემთხვევაში: ასაკი, რჯული (Leges, aetas) – კაცობრიობის თავდაპირველი ენის, ებრაულის „სიწმინდის“ არგუმენტად გვევლინება, სიბრძნე და მეცნიერება (Sapiens) – ბერძნულის, ხოლო რომაელთა საყოველთაო ძალაუფლება (Imperium Romanum) – ლათინურის.

გზით გადალახულ წარსულს განასახიერებდა და, ამდენად, მას წმინდა ენის არა რეალური, არამედ „საპატიო ტიტული“ ერგებოდა.¹⁶

ტრილინგვიტას კონტექსტში ლათინურის სიღარიბის არგუმენტი ახალ დატვირთვას იძენს. ერთი შეხედვით, სიტუაცია არ შეცვლილა: ახალგაზრდა ლათინურ ენას ისევ ბერძნულთან შედარებით სიღარიბეს „საყვედურობენ.“ ერთ-ერთ წერილში ჰიერონიმე შენიშნავს: „შენთვის დავშვებ და მსურდა, რომ ბერძნული ენის სიმდიდრე ლარიბ ლათინურ ენაში მომეთავსებინა.“¹⁷

ტრილინგვიტას კონტექსტში არაერთი ავტორი ახსენებს ბერძნულთან და ებრაულთან შედარებით ლათინურის სიღარიბეს და გამოუცდებლობას; შდრ. იოვანე ბელეტი (1182 წ.): „ეს სიტყვა [იგულისხმება ებრაული წარმომავლობის სიტყვა *ალელუია*] მეტი ღირსების მქონეა ებრაული ენის უფრო ღირსეულობის გამო, მაგრამ ეს კი [იგულისხმება *ალელუიას* ლათინური შესატყვისი] ნაკლებად ღირსეულია, ვინაიდან ის ლათინურია და [შესაბამისად] ღარიბი ენით არის [გადმოცემული].“¹⁸

იმის მიუხედავად, რომ ლათინური ენის სიღარიბის ტოპოსი საკმაოდ აქტიუალურია და სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვით მოქმედებს, მერვე საუკუნიდან მოყოლებული, ტრილინგვიტას შიგნით ჩნდება ახალი იერარქიული რიგი: ლათინური, ბერძნული, ებრაული. იგი თავიდან კლასიკური იერარქიის (ებრაული, ბერძნული, ლათინური) პარალელურად მოქმედებს, შემდეგ კი სრულ აღიარებას მოიპოვებს.

ტრილინგვიტას კლასიკური იერარქია განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა ლათინური კოინესთვის, რომლის ადგილი ამ თანამიმდევრობაში ადეკვატურად ვერ ასახავდა რეალურ სიტუაციას. ლათინური კოინეს ინტეგრაციულმა ფუნქციამ, უფრო მეტად კი ამ ენის „სიწმინდის“ არგუმენტმა – რომაელთა ძალაუფლებამ (*Imperium Romanum*) – თანდათანობით შეცვალა ტრილინგვიტას იერარქიული რიგი ყველაზე ახალგაზრდა და ერთ დროს სიღარიბის „იარლიყით“ გამორჩეული ლათინურის სასარგებლოდ.

ამგვარი მარკირებული გაცვლა გარდაუვალი ჩანდა იმ პირობებში, როცა საკმაოდ შეზღუდული იყო ებრაულის შესაძლებლობები, ყოფილიყო ქრისტიანული რელიგიის უნივერსალურობის სიმბოლო, ხოლო ლათინურის, როგორც კულტურის, რელიგიისა და საურთიერთო ზენა-

16 ბერძნულ-ლათინური წყაროების ანალიზი იხ. Hille-Coates 2000a: 129-147.

17 „Tibi enim meum sudavit ingenium et facundiam Graecam Latinae linguae uolui paupertate pensare. (Hieronymus, Epistulae LXXI-CXX, in: Hilberg 1910: 395).

18 „Illa est auctorizabilior propter auctoritatem Hebraici sermonis, ista vero indignior, quia Latina et in paupere (Douteil 1976: 146).

ციონალური ენის ინტეგრაციულ ფუნქციას ვერაფერი ზღუდავდა, მათ შორის, ვერც ბერძნულის თვისობრივი უპირატესობა.¹⁹

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ *Egestas linguae, egestas patrii sermonis* არის ადაპტაციის, ტრანსფორმაციისა და ფუნქციონალიზაციის განსაკუთრებული უნარით გამორჩეული ტოპოსი, რომელიც იოლად ერგება შეცვლილ გარემოებებს, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე იმკვიდრებს ადგილს და ახალ-ახალ კონტექსტებს განსაზღვრავს.

ანტიკურობისა და ადრექრისტიანული პერიოდის ზემოთ განხილულ ორივე ოპოზიციაში (ყოველ შემთხვევაში ეს ენება ოპოზიციური წყვილის ფორმირების პერიოდს) სიღარიბე ლათინურის არასასურველი იარლიყი იყო. შდრ.:

ორიგინალის მდიდარი ენა (ბერძნული) – თარგმანის ღარიბი ენა (ლათინური)

სამ წმინდა ენათაგან სიმდიდრით გამორჩეული ენა (ბერძნული) – სიღარიბით გამორჩეული ენა (ლათინური).

მდგომარეობა რადიკალურად იცვლება სხვა სიბრტყეზე, კერძოდ ოპოზიციაში: შუა საუკუნეების ლათინური – ადგილობრივი ხალხური ენები. სიღარიბის იარლიყი ლათინურიდან ხალხურ ენებზე გადადის და ენათა ფუნქციური დიფერენცირების არგუმენტად გარდაიქმნება:

ლათინური, როგორც ლიტურგიის და ბიბლიის²⁰ სანქციონირებული ენა და, ამდენად, ფუნქციური თვალსაზრისით მაღალ საფეხურზე მდგომი;

ფუნქციურად შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი ადგილობრივი ხალხური ენები.²¹

19 წმინდა ენებზე ბერძნულის თვისობრივი უპირატესობა საყოველთაოდ გაზიარებული ჩანს ბერძნულენოვან პატრისტიკაში. „ერთადერთი ენა, რომელსაც ძალუძს სრულყოფილად გამოთქვას ამ რელიგიის საიდუმლო, არის ბერძნული,“ – წერდა ბასილი დიდი თავის 214-ე ეპისტოლეში ტერენციუსის მიმართ: *Περὶ δὲ τοῦ, ὅτι ὑπόστασις καὶ οὐσία οὗ ταυτὸν ἐστὶ, καὶ αὐτοί, ὡς νομίζω, ὑπεσημῆσαντο οἱ ἀπὸ τῆς Δύσεως ἀδελφοί, ἐν οἷς τὸ στενὸν τῆς ἑαυτῶν γλώττης ὑφορώσμενοι, τὸ τῆς οὐσίας ὄνομα τῆ Ἑλλάδι φασὶ παραδεδῆκασιν* (PG t. 32: 789).

20 ის ფაქტი, რომ ვულგატამ ეკლესიის კანონიკური ტექსტის ფუნქცია შეიძინა, ცხადია, არ გამორიცხავდა რომის საეკლესიო სივრცეში ხალხურენოვანი თარგმანების არსებობას. მარტო გერმანულენოვან სამყაროში რეფორმაციამდე 18 ხალხურენოვანი ბეჭდური თარგმანი და ბევრად მეტი ხელნაწერი თარგმანი არსებობდა, ოღონდ არცერთი მათგანი არ იყო აღიარებული, როგორც ეკლესიის კანონიკური ტექსტი, როგორც ლიტურგიაში გამოსაყენებელი ბიბლია; ამგვარ თარგმანს უფრო სასწავლო, ეგზეგეტიკური ფუნქცია ჰქონდა.

21 მართალია, საკმაოდ ადრე, VIII საუკუნიდან დადასტურებულია წერილობით ფიქსირებული ტექსტები ადგილობრივი ენაზე (იხ. Feldbusch 1985), ბიბლიის გლოსარები

ხალხური ენის სიღარიბის ტოპოსმა, ანუ ლინგვისტურმა არგუმენტმა, წმინდა წერილის თარგმნასთან დაკავშირებულ მეორე, თეოლოგიურ არგუმენტთან ერთად, შუა საუკუნეებში მნიშვნელოვნად განსაზღვრა „ლათინური ენის სპირიტუალური იმპერიალიზმი და საკრამენტული კულტი.“²²

მართალია, რომის ეკლესიას ხალხურენოვანი თარგმანის საწინააღმდეგო საყოველთაო ედიქტი არ გამოუცია და აკრძალვებს მხოლოდ ლოკალური ხასიათი ჰქონდა,²³ მაგრამ ფაქტია, რომ ბიბლიის თარგმნასთან დაკავშირებულ დისკუსიაში ეს ტოპოსი კიდევ ერთი ახალი ფუნქციით გამოვლინდა, როგორც საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტი. რომის ერთიანი ეკლესია მიიჩნევდა, რომ ხალხური ენა უძლურია, გადმოსცეს ის ურთულესი შინაარსი, რასაც ფილოსოფიასა და რიტორიკაში გაწაფული, მდიდარი გამომხატველობითი საშუალებების მქონე წმინდა ენები გადმოსცემს,²⁴ ამიტომ ხალხურენოვანი თარგმანი სხვა ფუნქციით უნდა არსებობდეს: ასეთი თარგმანი ეკლესიის კანონიკური ტექსტი, ლიტურგიაში გამოსაყენებელი ბიბლია კი არაა, არამედ ეგზეგეტიკურ, სასწავლო, დამხმარე ფუნქციას ასრულებს, რათა გაუნათლებელ მრევლს მარტივად აუხსნას ბიბლიის შინაარსი.

მაინცის მთავარეპისკოპოსი ბერთოლდ ჰენებერგი 1484 წლის 22 მარტის საცენზურო ედიქტში მკაცრად აკრიტიკებდა ბიბლიის ხალხურენოვან თარგმანებს, როგორც ღარიბ ენაზე არასრულფასოვნად გადმოცემულ ღვთის სიტყვას:

„და ბოლოს, რა უნდა ვთქვათ წმინდა წიგნებისა და საეკლესიო კანონების შესახებ? [...] რა უნდა ვთქვათ დანარჩენი მეცნიერებების შესახებ? [...] ამგვარმა მთარგმნელებმა, თუკი ისინი ჭეშმარიტებისთვის ზრუნავენ, [...] უნდა აღიარონ, შეუძლია თუ არა გერმანულ ენას გამოსატოს იგივე შინაარსი, იგივე რამ, რასაც საუკეთესო ბერძენი და რომაელი ავტორები უდიდესი სიზუსტითა და სიღრმით გადმოსცემენ როგორც ქრისტიანული რელიგიის, ასევე სხვა მეცნიერებების შესა-

და სხვა სახის ლიტერატურა, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, ეს ტექსტები მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობისა იყო და კონკურენციას ვერ უწევდა რელიგიის, ლიტერატურის, მეცნიერებისა და საურთიერთო უნივერსალურ ლათინურს.

22 Gerl 1985: 327-336.

23 ამგვარი აკრძალვები მიიღეს ტულუზის 1229 წლის სინოდზე, ტარაგონაში 1234 წლის კონსილიუმზე, ასევე, 1246 წლის კონსილიუმზე; ამავე მიზანს ისახავდა 1369 წლის კარლოს IV-ის ედიქტი, მაინცის მთავარეპისკოპოსის, ბერთოლდ ჰენებერგის 1484 წლის 22 მარტის ედიქტი და სხვა.

24 ხალხურენოვანი თარგმანის ფუნქციისა და მათი საწინააღმდეგო არგუმენტების დაწვრილებითი ანალიზი იხ. Hille-Coates: 2000b; Stackmann 1988: 273-288; Wulf 1991.

ხებ. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ენის სიღარიბე ამის საშუალებას არ იძლევა; ამიტომ გარდაუვალია, რომ ისინი ან ახალ, უცნობ სიტყვებს გამოიგონებენ (ეს კი ნიშნავს, რომ მკითხველისთვის გაუგებარი დარჩება თარგმანი), ან, თუ ძველ, ტრადიციულ გამოთქმებს გამოიყენებენ, ჭეშმარიტ მნიშვნელობას შერყვნიან. წმინდა წერილის შემთხვევაში კი, ჩვენ განსაკუთრებით გვეშინია ამგვარი რამის. ვინ დაეხმარება მრევლს, გაუნათლებელ ადამიანებს და ქალებს, რომელთა ხელში ეს თარგმანები მოხვდება, რომ მასში ჭეშმარიტი ცოდნა (შემეცნება) დაინახონ“?²⁵

როგორც ვხედავთ, ენის სიღარიბის ტოპოსი ოპოზიციაში: **დასავლეთის ეკლესიის საყოველთაო ენა ლათინური – ადგილობრივი ხალხური ენები** არამარტო ფუნქციას, ადრესატსაც იცვლის და ტოპოსის მთავარი ატრიბუტი, სიღარიბე, როგორც თარგმანის დამაბრკოლებელი პირობა, ლათინურიდან მექანიკურად გადადის ამ ახალ ადრესატზე – ადგილობრივ ხალხურ ენებზე.

სხვა წინაპირობებთან ერთად, სწორედ ამ ტოპოსის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულმა პროცესებმა დააკანონა ლათინურის უპირატესობა, კერძოდ, ის, რომ „შუა საუკუნეების მთელი სამეცნიერო ლიტერატურა, თეოლოგიური და დიდაქტიკური ლიტერატურის უდიდესი ნაწილი, სპეციალური დარგობრივი ლიტერატურა, სამართლისმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის ძეგლები და პოეზიის დიდი ნაწილი ლათინურენოვანი იყო.“²⁶

ბ. ენის სიღარიბის ტოპოსი ქრისტიანულ აღმოსავლეთში

ადგილობრივ ხალხურ ენათა განვითარებისა და რელიგიის დომინანტ ენასთან მათი მიმართების თვალსაზრისით შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთი მკვეთრად უპირისპირდება დასავლეთს. ეკლესიათა ერთობა, რელიგიური ზენაციონალიზმი, ქრისტიანულ აღმოსავლეთშიც ენის გზით გამოიხატებოდა, მაგრამ ზენაციონალურობის აღმოსავლური სიმბოლო რადიკალურად განსხვავდებოდა რომის ეკლესიის კოინესგან.

ქრისტიანული აღმოსავლეთი აღიარებდა უნივერსალური ენის არსებობას, ენისა, რომელიც ყველა ქრისტიანისთვის საერთო და გასაგები იყო. მაგრამ, დასავლეთისგან განსხვავებით, ეს „პრივილეგია“ სხვადასხვა არგუმენტების მოშველიებით წმინდად შერაცხილი რომელიმე ადამი-

25 ნაწყვეტი საცენზურო ედიქტის ტექსტიდან მოტანილია შემდეგი გამოცემის მიხედვით: Pallmann 1884: 238-241.

26 შდრ. Kartschoke 1990: 6.

ანური ენისა კი არ იყო, არამედ ზეადამიანური „სულის ენისა“; რომელიც თანაბრად გასაგები იყო ყველა ქრისტიანისთვის მათი ენობრივი და ეთნიკური სხვადასხვაობის მიუხედავად.

ძველ ქართულ ლიტერატურაში, ისევე როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ტრადიციებში, აღწერილია არაერთი სასწაულებრივი ეპიზოდი,²⁷ თუ როგორ აგებინებენ ერთმანეთს ადამიანები, რომელთაც ერთმანეთის ენა არ იციან. „ასურელ მამათა ცხოვრებაში“ ქართველი ავტორი დაწვრილებით გვიამბობს იმის შესახებ, როგორ ალაპარაკდა ქართლში ჩამოსული იოვანე ქართულად, იმ ენაზე, რომელიც არათუ იცოდა, არც კი სმენია, როგორ „მოეცა მას ენა ქართულად მეტყველი“ და როგორ დაელაპარაკა უცნობ ქართველ მამებს:

„აქა დამაყენა მე სიტყუამან მოთხრობად თქუენდა საკვრველებისა დიდისა, თუ ვითარ ღირსმან კათალიკოსმან და ნეტარმან იოვანე ისწავნეს ერთმანერთისათვის და სახელი თითოეულისა და კუალად ვითარ მოეცა იოანეს ენა ქართულად მეტყველი ყოვლად დაუბრკოლებელი. ეჰა, საკვრველებსა შენსა, ქრისტე ღმერთო, ვითარ ადიდებ მადიდებელთა შენთა. ესე სასწაული, ძმანო, მიმსგავსებულ არს სიონს გარდამოსლვასა სულისა წმიდისასა და წმიდათა ზედა მოციქულთა და განყოფასა მას ენათასა ცეცხლისათა. ჭეშმარიტად საკვრველ არს ღმერთი შორის წმიდათა მისთა, რომელმან სულითა წმიდითა წამსა შინა აღატყუა სიტყუთა ზრახვად იოვანე, რომელი არცა ოდეს ასმიოდა, ართუ ესწავა. ესე ვისმცა არა დაუკვირდა, ვისიმცა ცნობა არა განცუბრდა, რომელნი მაშინ მუნ იყვნეს და რომელთა ესმა უცხო ესე სასწაული, ყოველნი განკვრევებულნი და ზარ-განკვილნი ადიდებდეს ღმერთსა, მოქმედსა საკვრველებათასა.“²⁸

27 ამ გარემოებას პირველად ვ. ბოედერმა (ბოედერი 1998: 60-81) მიაქცია ყურადღება. იგი განიხილავს ერთ ეპიზოდს „იოვანესა და ეფთემეს ცხოვრებიდან“, რომელშიც მოთხრობილია ორი სასულიერო პირის, ქართველი ბერის, გაბრიელისა და იტალიიდან ათონზე ჩამოსული ლეონ ჰრომის, ურთიერთობის ეპიზოდი. ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცის მშობლიურის გარდა სხვა ენა. ამის მიუხედავად, ისინი საათობით ელაპარაკებიან ერთმანეთს იმ ენაზე, რომელიც ყველა ქრისტიანისთვის გასაგებია. შდრ.: „ღირსსა მღდელსა გაბრიელს ქართველსა და ამას წმიდასა ბერსა დიდსა ლეონს ჰრომსა ფრიალი სიყუარული აქუნდა სულიერი და, ოდესცა მოვიდის ხილვად მამათა, მახლობელად სენაკსა გაბრიელისასა აქუნდა სენაკი და მუნ დაყვნის ღლენი იგი. და თვისსა ენისაგან კიდე არცა მან იცოდა, არცა მან. და ვითარცა შებნელების, გამოვიდინ თუსთა სენაკათაგან და ლოცვა-ყვიან და დასხდიან და ვიდრე ცისკრისა რეკამდე უზნობდიან სიტყუათა საღმრთოთა და ვიდრე წარსლვადმდე ამას ესრეთ ჰყოფდიან ყოველსა მწუხრსა. (ჯავახიშვილი 1946: 31)

28 აბულაძე 1955: 82.

მართალია, ქრისტიანულ აღმოსავლეთშიც აღიარებდნენ წმინდა ენების, განსაკუთრებით ბერძნულის, თვისობრივ უპირატესობას, მაგრამ ფუნქციური თვალსაზრისით ამ რელიგიური სივრცის ყველა ენა თანასწორუფლებიანად ითვლებოდა: გამომხატველობითი საშუალებებით, კრეატიულობით, ქართული ბევრად ჩამოუვარდებოდა ფილოსოფიაში, რიტორიკასა და თეოლოგიაში გაწაფულ ბერძნულს, მაგრამ ფუნქციური თვალსაზრისით მისი თანასწორი იყო, როგორც ეკლესიის, ბიბლიის თარგმანის, ლიტერატურის, მეცნიერების, საურთიერთო და სახელმწიფო მმართველობის ენა.²⁹

სწორედ ქრისტიანული აღმოსავლეთის ადგილობრივ ენებთან შედარებით ბერძნულის თვისობრივი აღმატებულობის კონტექსტში ჩნდება ენის სიღარიბის ტოპოსი. ერთი შეხედვით, იდენტურია ამ ტოპოსის დამკვიდრების წინაპირობები დასავლეთსა და აღმოსავლეთში: ბერთოლდ ჰენებერგის ზემოთ ნახსენები არგუმენტები ძალიან ჰგავს იმას, რასაც ბერძნები აყვედრიდნენ აღმოსავლეთის შედარებით ღარიბი სამწერლო ტრადიციების მქონე ენებს. მათი ბრალდებები სულაც არ იყო უფრო მსუბუქი, ვიდრე რომის ეკლესიის საცენზურო ედიქტები.³⁰

ქართველები, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ხალხები, არ უარყოფდნენ, რომ მათი ენა და მათი „ნათესავი“ ბერძნულთან და ბერძნებთან შედარებით ღარიბია, და რომ მათი თარგმანები ბევრ უზუსტობას, გაუგებრობას შეიცავს.³¹ განსაკუთრებით რთული იყო ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტერმინთა ზუსტი ქართული შესატყვისის პოვნა, ვინაიდან „ბერძენთა ენა უფსკრულ ღრმა არს“,³² ქართულის სემანტიკური და სტილური პოტენციალი კი ბერძნულისას ბევრად ჩამოუვარდება.³³ იოვანე

29 ამის შესახებ იხ. Boeder 1983: 85-95; Doborjginidze 2003a: 149-170; Doborjginidze 2003b: 119-140; დობორჯინიძე 2007ბ: 217-228. .

30 შდრ., ძველი ქართველი მთარგმნელ-რედაქტორები წუხდნენ, რომ შეუძლებელიც კი იყო „თვთოეულად ყოვლისავე წარმოთქუმაჲ, რავდენნი გინებანი, რავდენნი შეურაცხებანი და ყუედრებანი მოიწეოდეს მათ მიერ ჩუენ ზედა [...] და მწვალებელად ხადითა შეიწრებულნი დიდსა ურვასა შინა ვიყვენით“ იხ. იოვანეს და ექვთიმეს ცხოვრება (ჯავახიშვილი 1946: 52).

31 შდრ., გიორგი მცირე: „ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე ბარბაროს-წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათჳს და უმეცრებისა ჩუენისა“ (ლოლაშვილი 1994: 190).

32 ეფრემ მცირის კომენტარი, რომელიც ერთვის „საქმე მოციქულთას“ განმარტების თარგმანს (აბულაძე 1950: 029).

33 შდრ. ერთ-ერთ მეტატექსტებში ქართველი მთარგმნელი წუხს, რომ „უღონოების“ გამო ქართული თარგმანი ვერ განარჩევს ერთმანეთისგან ისეთ მნიშვნელოვან ბერძნულ სიტყვებს, როგორცაა ფსიქე და პნევმა: „შეისწავე, რამეთუ ორსახე არს ბერძულად სახელი სულისაჲ: ფსიქი, რომელი უმეტესსა ადგილსა სამშვნევისა წილ დადებულ არს პავლესა შინა, და კულად – პნევმა, რომელი-ესე თვთ თავადის სუ-

პეტრიწი არაერთგზის მიუთითებს, რომ ბერძნულ ტერმინთა ქართული შესატყვისები ზუსტი და მყარი არ არის, ამის გამო ქართველები „ერთად და სწორად“ გადმოსცემენ სხვადასხვა ტერმინს, მაშინ როცა „ელლინთა ენამზეობათა ზედა“ ტერმინები და, საერთოდ, სამეცნიერო ენა განსაკუთრებული სიზუსტით გამოირჩევა: „ყოველსავე თვისი სახელი ჰქვიან, შესაბამი თვისისა არსებისა“³⁴

შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთშიც საკმაოდ აქტუალური იყო ბიბლიის ტექსტის დამახინჯების, ანუ ერესის საფრთხე, რომლის გამო რომის ეკლესიის ლოკალური ედიქტები მკაცრ შეზღუდვებს აწესებდა დასავლეთის ადგილობრივ ენებზე ბიბლიის თარგმნისას.

ქართულ ენაზე ბიბლიის არაზუსტი თარგმანის მაგალითები, რომელთაც იოვანე პეტრიწი განიხილავს, თეოლოგიური თვალსაზრისით ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე დასავლური ედიქტების მიერ უარყოფილ ხალხურენოვან თარგმანებში მოსალოდნელი ერესის საფრთხე; შდრ. პეტრიწის კრიტიკა იოვანეს სახარების პირველი მუხლის ძველ ქართულ თარგმანთან დაკავშირებით:

„პირველითგან იყო სიტყუად. [...] არა უწყიან, რამეთუ პირველი შემდგომთა არს პირველი და მათი არაღს თუ უცხო ბუნებათა, არამედ ერთ და იგივე ბუნებითა, ვითარ ითქუმის კაცი კაცისა პირველად და ცხენი ცხენისა და არაღს თუ წინაუკომ, თუმცა კაცი ცხენსა და ცხენი კაცსა. ვინაჲ თუ სიტყუად მამისა ღმრთისა პირველად დაბადებულთა და წარმოჩენილთა ძალად პირველ მებრ აწ მათი, მაგრა თანმებუნებე მათდა და ერთი ნაბადთა და წარმოჩენილთაგანი. და არა პირველ საუკუნეთა ყოველთა მამის-შორისი, რომელ არს დასაბამი თვსშორისისა სიტყვისაჲ ვითარ დისკოდა თუალი მზისაჲ შარვანდედთად. და კუალად ვითარ იტყუს დამდები ჩუენსა შორის ენითსა ღმრთის მხილველისა მოსეს მიერ ესთა გამოცისკროვნებულისა მოსეს მიერ სიტყუასა, ვითარმედ: „მოვედით და ვქმნათ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდაო.“ არ ესთა, არამედ ესთა, თუ დამხედმან იჭურიტნე, იტყუს: მოვედით და ვქმნათ კაცი ხატისაებრ და მსგავსისა ჩუენისა.“³⁵

ლისა არსებასა უწოდინ და წმიდისათვს იგივე ითქუმის. ხოლო ქართველთა უღონობისაგან ერთი სახელი აქუს სულისაჲ“ (ხელნ. A. 217, 322r).

34 შდრ. იოვანე პეტრიწის კომენტარი: „კუალად უფრო სათანადო არს და საჭირო ცნობად, ვითარმედ სხუად არს ძალი და მოქმედებაჲ სულისაჲ და სხუად – გონებისაჲ. და ყოველთავე ელლინთა ენამზეობათა ზედა თვისი სახელი ჰქვიან, შესაბამი თვისისა არსებისაჲ. ხოლო ჩუენთამან არცა თარგმანთა, არცა სხუამან ვინ დასჭურიტნა, და აწ მე უზომოდ მიშლის თარგმანსა შინა, რამეთუ ყოველსავე ერთად და სწორად იტყვიან და დასდებენ ჩუენნი. ხოლო აწ ისმინე, რამეთუ სულისასა ეწოდების დიანვად, ხოლო გონებისასა ნოიმაჲ, ხოლო გასაგონსა და ზესთამდებარესა – ნოიტონი (ყაუხჩიშვილი 1940: 6).

35 ყაუხჩიშვილი 1940: 219-220.

მსგავსი მაგალითებიდან აშკარაა, რომ ქართული ენის სიღარიბისა და ბერძნულთან მისი თვისობრივი (და არა ფუნქციური) უთანასწორობის ტოპოსი, რომელიც გარკვეულ კონტექსტში მკვიდრდება, ყველა იმ ატრიბუტს აერთიანებს, რომლებიც, ციკერონიდან მოყოლებული დანტეს ჩათვლით, ჯერ ლათინურის, შემდეგ კი დასავლეთის ადგილობრივი ენების სიღარიბის არასასურველ იარაღად ქმნიდა.

რაც შეეხება ამ ტოპოსის ფუნქციონალიზაციას, ქრისტიანულ აღმოსავლეთში იგი რადიკალურად განსხვავდებოდა დასავლური მოდელისგან: ოპოზიციის: ლათინური – ადგილობრივი ენები, ამ ტოპოსმა მნიშვნელოვანი არგუმენტის როლი შეასრულა და, სხვა ფაქტორებთან ერთად, საგრძნობლად შეაფერხა ხალხური ენების ემანსიპაციის პროცესი, მათი ფუნქციური სფეროების გაფართოება, მათი ქცევა სამწერლობო ენებად, და, ამგვარად, მტკიცე საფუძველი შეუქმნა ლათინური ენის პრიმატს.

სულ სხვა დატვირთვა შეიძინა მან აღმოსავლეთის ადგილობრივი ენათა ემანსიპაციის პროცესში: არათუ შეაფერხა, პირიქით, ყველაზე მეტად შეუწყო ხელი ადგილობრივი ენის ფუნქციური სფეროების გაფართოებას, განაპირობა ენის გამომხატველობითი საშუალებების გამდიდრება და თარგმანთა დახვეწა სიზუსტის თვალსაზრისით.³⁶

დასავლური ოპოზიციისგან განსხვავებით (ლათინური – ხალხური ენები), აღმოსავლური ოპოზიცია, მაგალითად, ბერძნული – ქართული, ფუნქციურად დიფერენცირებულ ენებს კი არ გულისხმობდა, არამედ ორ, ფუნქციური თვალსაზრისით თანასწორ, ენას.³⁷ ბერძენთა გამუდმებული საყვედური ქართული ენის გამომხატველობითი საშუალებების სიღარიბესთან დაკავშირებით, რასაც არც ქართველები უარყოფდნენ,

36 იხ. ბეზარაშვილი 2004; ბეზარაშვილი 2011 (1, 2); დანელია 1983; თვალთვაძე 1997; კეჭალაძე, რაფავა: 1983: 243-256; მელიქიშვილი 1984:106-120; მელიქიშვილი 1988; მელიქიშვილი 1999; ნ. მელიქიშვილი 1987:: 119-129; ოთხმეზური 2005; ოთხმეზური 2011; სარჯველაძე 1983; ჭელიძე 1996.

37 ამ უმნიშვნელოვანეს სხვაობას, ისევე როგორც აღმოსავლეთ ქრისტიანობის სამწერლობო ენათა განვითარების კანონზომიერებებს, პირველად ვ. ბოდერმა მიაქცია ყურადღება. შდრ. „Wie so viele Gebildete vor und nach ihnen waren sie zweisprachig, sie sprachen und schrieben Griechisch und Georgisch, und diese Zweisprachigkeit, dieser ‚georgischer Weg‘, wie Šalva Nucubiže die zwischen Ost und West vermittelnde Übersetzungstätigkeit georgischer Philosophen genannt hat, ist für Georgien und die griechischsprachige Welt sehr bedeutsam gewesen. Aber warum bedeutete Zweisprachigkeit für sie nicht ‚Diglossie‘? So hat der Soziolinguist Charles Ferguson (1959) das Nebeneinander von zwei funktional differenzierten Sprachvarianten genannt, wie z.B. Klassisches Arabisch und arabische Volkssprache oder Latein und Volkssprache im europäischen Mittelalter. Aber für diese Georgier waren Griechisch und Georgisch, soweit ich sehe, gleichberechtigt, funktional nicht verschieden; religiöse und philosophische Literatur wurde in beiden Sprache geschrieben.“ (Boeder 1983: 86).

არათუ აბრკოლებდა, პირიქით, სხვა მიზეზებთან ერთად, განსაკუთრებით უწყობდა ხელს თარგმანთა მრავალგზის გადამუშავებას, რედაქტირებას, ტექსტების ხელახლა თარგმნას, შესაბამისად, სამეცნიერო ენის, ტერმინოლოგიის დაზუსტებას დახვეწას.

ეს იყო ქართული ენის ახლა უკვე თვისობრივი ლეგიტიმაციის, ბერძნულთან რეალურად გატოლების პროცესი, რომელსაც, პირველ რიგში, ანტიოქიის მთარგმნელ-განმანათლებლებს უნდა ვუმაღლოდეთ. მათი საქმიანობით ახლებურად განისაზღვრა შუა საუკუნეებში ქართული ენის პოზიციები: ქართულმა დაძლია სილარიბე და „ულონობა“, შექმნა „მდაბიორთაგან მესხუე“³⁸ ცნებითი ენა და გაუტოლდა „გონიერთა ხედვათა მომმარჯვე“³⁹ ბერძნულს.

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ფუნქციური და თვისობრივი ლეგიტიმაციის, თარგმანთა და, განსაკუთრებით, სამეცნიერო ენის დაზუსტების, ბერძნულთან მაქსიმალური დაახლოების მსგავსი გზა გაიარეს ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ენებმაც.⁴⁰

ეს პროცესი, ისევე როგორც ადგილობრივი ენის იდეა,⁴¹ სათავეს იღებს სირიულ ტრადიციაში. იქ საგანგებოდ გადაამუშავეს ალექსანდრიის სკოლის ტექსტოლოგიური აპარატი ბერძნულიდან ნათარგმნი ტექსტების რედაქტირებისათვის. ამ აპარატით არის გამართული ბერძნულენოვან თხზულებათა სირიული რედაქციები, ბიბლიის ფილოქსენე მახუგელისა და თომა ჰარკელისეული სირიული ვერსიები. სწორედ ამ თარგმანებზე დართულ მეტატექსტებში აისახა თარგმანის ორიგინალთან მაქსიმალური დაახლოების, ბერძნულ ტერმინთა ადეკვატური შესატყვისების ძიების, სამეცნიერო ტერმინოლოგიისა⁴² და, საერთოდ, თარგმანის ტექსტოლოგიური აპარატის შექმნის ურთულესი გზა.

38 შდრ. იოვანე პეტრიწი: „და აღვიშურვე ტომისათჳს გუარათა ჩემთასა მე მიდმოზაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეჲ მდაბიორთაგან“ (ყაუხჩიშვილი 1940: 220).

39 იოვანე პეტრიწი: „მოვედ და ელლენთავე ენადლეობასა უვაზადოთ, მომმარჯუჲსა გონიერთა ხედვათასა“ (იხ. ყაუხჩიშვილი 1940: 107).

40 XIV საუკუნეში ბულგარელი პატრიარქის, ექვთიმეს მეთაურობით მთელ სლავურ სამყაროში დაიწყო ბიბლიისა და თეოლოგიური ლიტერატურის თარგმანთა საყოველთაო რევიზია (ე.წ. исправление книг). 1355 წელს მოსკოვის მიტროპოლიტის, ალექსის ხელმძღვანელობით საგანგებო რევიზია განიცადა აღმოსავლეთ-სლავური ეკლესიის საყოველთაო ბიბლიამ. იგი მაქსიმალურად დაუახლოვდა ბერძნულს და დაიხვეწა ტერმინოლოგიის თვალსაზრისით (ამ პროცესისა და სლავური რედაქციების შესახებ იხ. Bryner 1974; 1980; Рижский 1978; ბიბლიის რედაქტირების სომხური ტრადიციის, შესაბამისად, ტექსტოლოგიური აპარატისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის შესახებ იხ. Sanjian 1969: 7-41).

41 შდრ. ბოედერი 1998.

42 სირიულ თარგმანთა ტექსტოლოგიური აპარატის, შესავლების, ბოლოსიტყვაობები-

ნაშრომის მომდევნო ნაწილში განვიხილავ ამ საერთო ფილოლოგიური დისციპლინის, გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების პრაქტიკული გრამატიკის, რეცეფციას ქართულ ტრადიციაში და ამ უკანასკნელის მიმართებას შუა საუკუნეების აღმოსავლურ (ძირითადად, სირიულ-ბიზანტიურ) და დასავლურ (ლათინურ) სისტემებთან. ძველი ქართული ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული და მთარგმნელობითი მეტატექსტები გაანალიზებული იქნება შუა საუკუნეების ფილოლოგიაში რელიგიური ტექსტების ინტერპრეტაციისათვის შემუშავებული პრინციპებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით.

სა და სქოლიო-კომენტარების შესახებ იხ. Brock 1979a: 69-87; Brock 1979b: 120-130; Brock 1982: 17-34; Brock 1983: 1-14; Halleux 1963; Hunger 1966; Riad 1988; Zuntz 1945; მისივე. 1951: 174-176.

მეორე ნაწილი

Τέχνη γραμματική-ს რეცეფცია შუა საუკუნეებში

ფილოლოგიის განვითარებას შუა საუკუნეებში აღწერენ, როგორც ანტიკური მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის „ქრისტიანიზაციის“ პროცესს. ამ პროცესთან დაკავშირებული საკითხები საგანგებოდ დაამუშავა ბასილი კესარიელმა თავის თხზულებაში: *Πρὸς τοὺς νέους ἔπος ἃς ἔξ Ἑλληνικῶν ἀφελοῦντο λόγους*.¹ ესაა სახელმძღვანელო პრინციპები საიმისოდ, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული კლასიკური პერიოდის გრამატიკის, რიტორიკისა და ფილოსოფიის მდიდარი ტრადიცია ამჟერად ბიბლიის და, საერთოდ, რელიგიური ტექსტების კვლევისა და ახსნა-განმარტებისთვის.

ანტიკურობისა და შუა საუკუნეების ფილოლოგიურ პრინციპებს შორის უწყვეტი მემკვიდრეობითი კავშირი მყარდება, რაც მათ მეთოდოლოგიურ ერთიანობაშიც გამოიხატა. ალექსანდრიული სკოლის გამოცდილება, არისტარქესა და, განსაკუთრებით, დიონისე თრაკიელის **Τέχνη γραμματική** **ლიტერატურულ** და **თეოლოგიურ** ეგზეგეტიკას შორის გადებული ხიდი აღმოჩნდა. სწორედ ინტერპრეტაციის ანტიკურმა წესებმა (*leges commentariorum*) ჩაუყარა მყარი საფუძველი ბიბლიის ფილოლოგიას. ჰიერონიმე დარწმუნებული იყო, რომ ბიბლიის განსამარტავად, პირველ რიგში, ძველი ავტორების სამწერლობო ხელოვნება (*scripturarum ars*) უნდა გამოეყენებინა.² ტექსტის ანტიკური თეორიის ცნობილი თეზა *Ὀμηρικὰ προβλήματα* ქრისტიანულ ეგზეგეტიკაში რამდენადმე დაკონკრეტდა და ჩამოყალიბდა, როგორც *προβλήματα καὶ λύσεις*. ამით გადალახა შუა საუკუნეების ჰერმენევტიკულმა დისციპლინამ ის დაბრკოლებები, ფორმალური თუ შინაარსობრივი შეუსაბამობები, რაც ანტიკური ფილოლოგიის ტრანსფორმაციას ახლდა თან.

რელიგიური ტექსტის კვლევისა და ინტერპრეტაციის ეს სისტემა გავრცელდა შუა საუკუნეების სალიტერატურო-მწიგნობრულ და მთარგმნელობით ტრადიციებში, განსაკუთრებით – ქრისტიანულ აღმოსავლეთში; მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი ყურადღებით ეკიდებოდა იმგვარი სირთულეების დაძლევას, რაც რელიგიური ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე გადატანას ახლავს თან.

1 Naldini 1984.

2 Hieronymus, *Epistulae*, ob. Hilberg 1996: 53, 7.1.

მომდევნო თავებში, X-XIII საუკუნეების ძველ ქართულ მთარგმნელობით მეტატექსტებზე დაყრდნობით, შევეცდები ვაჩვენო, როგორ აისახა ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში ტექსტის კვლევისა და ინტერპრეტაციის ანტიკური და შუასაუკუნეობრივი გამოცდილება, რა ფუნქციები დაეკისრა პრაქტიკულ გრამატიკას ქართულად ნათარგმნი რელიგიური კორპუსის კომენტირებისას.

ანტიკური *Tέχνη γραμματική* და ტექსტის კვლევის ტრადიციის შუა საუკუნეებში

შუა საუკუნეების ფილოლოგია მიზნად ისახავდა ბიბლიის ანალიზსა და ინტერპრეტაციას ლიტერატურულ სიბრტყეზე. ეს სიბრტყე თეოლოგიურისგან მკვეთრად უნდა გამიჯნულიყო, რადგან ემპირიულად ბიბლია ლიტერატურული სახით არსებობს და, შესაბამისად, თავისი ლიტერატურული ისტორია აქვს. მართლაც, ბიბლიაში *ღვთის სიტყვა* გადმოცემულია ენის სიტყვის მეშვეობით, ანუ ჩვეულებრივი ტექსტუალურ-ლიტერატურული გზით.¹

ბიბლიის, როგორც წინასწარმეტყველური და ძნელად გასაგები ტექსტის, განმარტებათა მეთოდები და სისტემა შუა საუკუნეების ფილოლოგიამ ანტიკურობიდან გადაიღო და თავის მიზნებს პერგამონისა და ალექსანდრიის სკოლების ტექსტოლოგიური გამოცდილება მოხერხებულად მიუსადაგა. ეს განსაკუთრებით დიონისე ტრაკიელის *Tέχνη γραμματική-ზე ითქმის*. ამ გრამატიკამ თავის დროზე ალექსანდრიული, შემდეგ კი გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ფილოლოგიური დისციპლინის ხასიათიც განსაზღვრა. სხვაობა, რაც ინტერპრეტაციის ანტიკურ და ქრისტიანულ სისტემას შორის შეინიშნება, ტრაკიელის გრამატიკის გვიანდელ სქოლიოებში აისახა. ისინი ბიბლიის ჰერმენევტიკურ-ფილოლოგიურ განმარტებათა სპეციალურ სისტემას ქმნიან.²

მხატვრულ-ლიტერატურული და ენობრივი ხასიათის კომენტარები ბიბლიის განმარტების, ანუ ქრისტიანული ეგზეგეტიკის მხოლოდ ერთი ნაწილია. ამ ეგზეგეტიკის მიზანია, ჩაწვდეს სიტყვაში სახეობრივად, იგავურად ან წინასწარმეტყველურად გადმოცემულ ავტორისეულ შინაარსს (*διάνοια, sententia*), ანუ ავტორისეულ სენტენციას.³

ტრაკიელის გრამატიკა სწორედ ამგვარი სამედიატორო განმარტებათა სისტემაა; მასში საგანგებოდ ნაზგასმულია, რომ იგი არის *philologia*

1 იხ. Gögler 1963: 27.

2 გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების გრამატიკების, განსაკუთრებით, დიონისე ტრაკიელის გრამატიკის გვიანდელი სქოლიოების, გრამატიკის, რიტორიკისა და ჰერმენევტიკის მიმართების შესახებ შუა საუკუნეებში იხ. Copeland 1995; Copeland-Sluis 2009; ქართული გრამატიკული ლიტერატურის პრაქტიკულ-ჰერმენევტიკული საკითხები იხ. დობოჯგინიძე 1998: 52-80. ქაროსანიძე 2000: 121-149; მ. შანიძე 1990.

3 შდრ. *διάνοια, sententia* /შინა-არსი. ომონიმის თავიდან ასაცილებლად შუა საუკუნეების ბიბლიის ფილოლოგიის ამ ტერმინის ქართულ ეკვივალენტად შემდეგში გამოვიყენებ ავტორისეულ სენტენციას.

sacra, grammatika sacra; და რომ მისი საკვლევი ობიექტი ერთმნიშვნელოვანი, ტრივიალური და თანადროული კი არაა, არამედ ძველი, ძნელად გასაგები, ზეადამიანური ძალის მიერ ინსპირირებული ტექსტებია.⁴

ქრისტიანულ ჰერმენევტიკას ანტიკური ფილოლოგია აინტერესებდა, როგორც ძველ ტექსტებში დაფარული საიდუმლოს განმარტების ხელოვნება, ვინაიდან თვითონაც მსგავსი მიზანი ჰქონდა: ბიბლიაში ეპოვა ჩვეულებრივი მკითხველისთვის დაფარული ჭეშმარიტება, ის, რაც ზეადამიანურია და ზეგონითი (*ὑπερσθητός, ὑπερασθραπικός*).⁵ მაგრამ რაკი რელიგიურ ტექსტში საძიებელი ჭეშმარიტება არაა ადამიანური სიბრძნის ნაწილი, ამიტომ იგი – საძიებელი – არც გრამატიკის, ბერძენთა დიალექტიკის ან რიტორიკის ხელოვნებას შეიძლება ეკუთვნოდეს, და, შესაბამისად, მისი გაგება შეუძლებელია მხოლოდ გრამატიკის ხელოვნების საშუალებით, შდრ. „Ὅτι ἀσθραπῶν εἶναι συγγραμματα [...] μὴ ἔν σοφίᾳ ἀσθραπῶν εἶναι, μὴ ἔν γράμμασι [...] οὐ γὰρ εἰς τὸ λέγειν δῆσασμι καὶ τάξιδ ἀπαγγελίᾳ κατὰ τὰς Ἑλλησικῶν διαλέκτικὰς ἢ ῥητορικὰς τέχνας ἔν αὐτοῖς ὑπαγομένη τοὺς ἀκοῦσοντας“.⁶

ის ფაქტი, რომ ბიბლიას და ჩვეულებრივ ლიტერატურულ ნაწარმოებს ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ავტორისეული სენტენცია აქვს, შუა საუკუნეების ტექსტუალურ დისციპლინას ერთგვარ წინააღმდეგობაში აგდებდა:

- ა) ბიბლია, როგორც ღმერთისაგან ინსპირირებული ტექსტი, უნიკალურია; ამდენად, შეუძლებელია იგი რომელიმე სხვა ტექსტს შევუდაროთ;
- ბ) ტექსტუალურმა დისციპლინამ მის განსამარტავად უნდა გამოიყენოს იგივე მეთოდები, რაც ჩვეულებრივი ლიტერატურული თხზულების ინტერპრეტაციისათვის არის საჭირო.

ეგზეგეტიკა ამ წინააღმდეგობას მოჩვენებითს უწოდებს, ვინაიდან ღმერთის ჭეშმარიტება ბიბლიის ცალკეულ წიგნთა ავტორების საშუალებით, ანუ ლიტერატურული გზით გადმოიცემა; ამდენად, იგი ლიტე-

4 როგორც აპოლონისგან შთაგონებული პითია ამოუცნობს, გონებით მიუწვდომელს უხსნის ადამიანებს იგავებისა და გამოცანების მეშვეობით, ასევე ჰომეროსი და სხვა მწერლები, აპოლონისგანვე ინსპირირებულიები (εἰσένπνευσε), იგავურად გადმოგვცემენ იმას, რისი წაკითხვა უშუალოდ ტექსტის მიხედვით შეუძლებელია, იგი უნდა ამოიცნო.

5 ანტიკური და ქრისტიანული ტრადიციის მიმართებათა შესახებ იხ. Andresen 2009; Copeland 1995; Dörrie 1974: 121-138; Neuschäfer 1987 (1, 2):122-138; Schlieben 1974; Schäublin 1992: 132-173; Schäublin 2005.

6 Origenes, PA, იხ. *Die griechischen christlichen Schriftsteller der ersten drei Jahrhunderte*, 2 (1899): 4, 1, 6.

რატურული ტექსტის ინტერპრეტაციისა და ანალიზის სისტემის, *Τέχνη γραμματικῆ*-ს მიხედვით უნდა განიმარტოს. ბიბლიურ წიგნთა ავტორები, წინასწარმეტყველები ხომ, პირველ რიგში, მწერლები არიან. ჰიერონიმე დავითს ნამდვილ ლირიკოსს უწოდებს და სიმონიდეს, პინდარესა და კატულუსს ადარებს. შდრ. „David, Simonides noster, Pindarus et Alcaeus, Flaccus quoque, Catulus et Serenus, Christum lyra personat et in decacordo Psalterio ab inferis excitat resurgentem“.⁷ სწორედ მათი, ანუ ავტორების, ენობრივ-სტილური და მხატვრულ-ლიტერატურული საკითხების განმარტების სისტემაა *τέχνη γραμματικῆ*.

ამრიგად, ბიბლიის ტექსტის ერთი საფეხურის, ერთი შრის ლიტერატურულ ტექსტთან გათანაბრებით, შესაბამისად, ბიბლიის ლიტერატურული სიბრტყის აღიარებით, ბიბლიის ფილოლოგია და ზოგადად ფილოლოგია ერთ, სალიტერატურო-მწიგნობრულ საფუძველს, დაეყრდნო და ეს იყო გრამატიკის ახლებური, რელიგიური ლევიტიმაცია შუა საუკუნეებში.⁸

ტექსტის სიბრტყეთა ამგვარი დიფერენცირებით შუა საუკუნეების გრამატიკის ხელოვნებამ იოლადა ახსნა ბიბლიის ენობრივ-გამომსახველობით და შინაარსობრივ საკითხთა განმარტებების სიჭრელე: განსხვავებული ინტერპრეტაციები არათუ ეწინააღმდეგება, პირიქით, თურმე, ხელს უწყობს ამ ურთულესი ტექსტის გაგებას, ვინაიდან მასაც, როგორც ყველა ლიტერატურულ ტექსტს, რამდენიმე სიბრტყე აქვს; *Τέχνη γραμματικῆ* ბიბლიის ლიტერატურულ-ისტორიულ მხარეს განმარტავს; ამ სიბრტყეზე კი ბიბლიის სიტყვას სრულიად გამოკვეთილი ამქვეყნიური ისტორია აქვს. ძველი აღთქმის სიუჟეტები რეალური ფაქტებია და მათ ისტორიულ-ლიტერატურული, ძველი ქართული ტერმინოლოგიით – „თხრობისაებრი“ ახსნა სჭირდება, რათა მრავალპლანიანი ტექსტის მომდევნო სიბრტყეების აღქმა შევძლოთ. ბიბლიის თითოეული მუხლი სამგვარად შეიძლება აიხსნას:

1. ისტორიულ-გრამატიკული, ანუ *თხრობისაებრი* განმარტებით (*εις ἱστορίαν*);
2. ალევორიული, ანუ *სახისმეტყუელებითი, სახე-მოლებითი, კუმევიითი, ხედვისაებრი* განმარტებით (*σκόπῳ τροπολογίας, εις ἀλληγορίαν, μετὰ ἀλληγορίαν λέγει, μετὰ τροπολογίαν, μετὰφορεῖ*);
3. *ალყვანებითი* განმარტებით (*εις ἀναγαγῆς*).⁹

7 Hieronymus, Epistula 53, ob.. Hieronymus / Hilberg 1996: 53, 8, 17.

8 შდრ. Curtius 1967: 444.

9 ბიბლიის ისტორიული, ალევორიული და ტიპოლოგიური განმარტების აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინების შესახებ იხ. დობორჯგინიძე 1998: 96-110.

ბიბლიის ჰერმენევტიკამ განმარტების პირველ საფეხურზე ლოგიკურ-გრამატიკული აზრი უნდა ნათელყოს, უნდა ახსნას ბიბლია, როგორც ღმერთის მიერ შთაგონებული ავტორების ლიტერატურული თხზულება; ამისათვის კი ბიბლიის ჰერმენევტიკამ ყველა დისციპლინა,¹⁰ მათ შორის გრამატიკა, თეოლოგიის სამსახურში უნდა ჩააყენოს, რადგან „რწმენა ეძიებს ცოდნას“ (შდრ. *Fides querens intellectum*).¹¹

განმარტების მეორე – ალეგორიულ, სახისმეტყველებით – საფეხურზე ქრისტიანულმა ეგზეგეტიკამ უცვლელად გადმოიღო ანტიკური ალეგორისტიკის მთავარი მეთოდოლოგიური თეზა (შდრ., *მითოლოგიური მეტყველების გაგების გასაღები სახეობრიობაში დევს*) და იგი მარჯვედ დაუკავშირა ბიბლიის ენას: მართალია, წინასწარმეტყველები და ჰავიოგრაფები აღწერენ თავიანთ შეხედულებებს, მაგრამ გადმოგვცემენ არა იმას, რაც სინამდვილეში ნახეს, არამედ *სახემოლებით, სახისმეტყველებით* გვიამბობენ იმის შესახებ, რაც „გულისკმა-ყვეს“ მათი ნაწერები ისტორიული განმარტებით, ანუ *თხრობისაებრ*, აზრს მოკლებული შეიძლება გვეჩვენოს, ვინაიდან მათი გაგება მხოლოდ *გონიერთა ხედვათა მომმარჯვე*¹² თვალით (*θεωρία νοητή*)¹³ არის შესაძლებელი.

ეგზეგეტიკოსების აზრით, ის, რომ ბიბლიის სიტყვის განმარტების

10 ეგზეგეტიკა ცდილობს, განსამარტავი ტექსტი ყველა შესაძლო იმპლიკაციით წარმოადგინოს. ამ მიზნით შუა საუკუნეებში საგანგებოდ დამუშავდა არა მხოლოდ ენობრივ-გამომსახველობითი ფიგურების და ზოგადად, პოეტიკის, არამედ მუსიკალურ-რიტმული ფიგურების ფუნქცია. ამან ხელი შეუწყო ბიბლიური წიგნების “გულისკმისსაყოფელი”, “კუმევიითი” შინაარსის, ეფრემ მცირის თქმით, ტექსტის “საკმარების” (ὀφελεία, χρήσιμος) გაგებას. თეოდორიტი კვირელი თავის ფსალმუნთა კომენტარებში პირდაპირ ამბობს, რომ ღმერთმა სწორედ მუსიკალური ხელოვნების სასიამოვნო რიტმულობითა და მელოდიურობით განაზავა ღვთაებრივი მადლი და ისე მიაწოდა იგი ადამიანებს. შდრ. *Τῆ γὰρ ἰδουῆ τῆς μελοδίας τῆς ὠφελείας ἡ θεῖα χάρις κεράσασα τριπλόητον τε καὶ ἀξίεραστον τοῖς ἀθιρᾶποις δνδασκαλίαν προτέθεικε* (PG 80, 857A, 860A).

11 ანსელმ კენტერბერიელის ამ თეზამ მთლიანად განსაზღვრა შუა საუკუნეების ჰუმანიტარული დისციპლინების, როგორც თეოლოგიის მომსახურე დარგების, ფუნქცია, რწმენისა და ცოდნის მიმართების შესახებ იხ. Schäublin 1974:156-170; Neuschäfer 1987 (1): 247-286.

12 ყაუხჩიშვილი 1940: 107.

13 შდრ. *Πολλοὶ γὰρ τῶν πρῶφητῶν καὶ ἀπαξιαπλῶς τῶν ἀγίων ἀνδρῶν ὀπτασίας καὶ ὀράσεις ἔωρακότεν, ἀναγράφουσαν τεθεωρηκέσται. Ἐπειδὴ γὰρ καὶ ἐν ἄλλοις τὸ ἰδεῖν καὶ ὀρᾶν, διχῶς ἐτμήθη, εἰς τὴν αἰσθησιον καὶ τῆν νοήσιον, τὸ μὲν αἰσθητῶς ἔωρακέσται θέδον τοὺς ἀγίους ἀνδρας ἀδυσσάτων ἐστι καὶ συσόλας τῆς τριάδα ἢ τὰ ὑπὸ ταύτην νοητῆς ὑπαρξίς ἔχουσα. λείπεται δεκάτῃ τῆς νοήσιον τεθεωρηκέσται αὐτοὺς τὰς ὀπτασίας οὐχ ἄς ἔχουσι υποστάσεως, ἀλλ’ ἄς ὀρᾶν δύνανται δι’ ἀναλόγου τινὸς [...] οὐ μὲν καὶ δι’ ὄψεως, ἀλλὰ καὶ διὰ νοήσεως ὀράται τὸ κατέληλυθός μὲν ἐφ’ ὃν κατέλελυθεν, [...] οὐχ ἱστορικῆς διήγεσιον ἔχουσα, ἀλλὰ θεωρία νοητῆς (Origenes, JoCo ფრაგ. XX, გვ. 500, ფრაგ. XXIII, გვ. 501).*

ერთ-ერთი საფეხური გარკვეულწილად ანტიკური მითის ჰერმენევტიკას ემთხვევა, სრულიად ბუნებრივია და არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს. მართალია, მითისა და ბიბლიის ავტორისეული სენტენცია მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათ შორის მსგავსებაც დიდია: დაფარული აზრის გასაგებად ორივე შემთხვევაში სახეობრიობაა ამოსავალი.¹⁴

ბიბლიის ტექსტის ეს მრავალპლანიანობა (რეალ-ისტორიული, თხრობისაებრი ალევორიული-სახისმეტყუელებითი და ალყვანებითი დონეები) განაპირობებს მთავარ განსხვავებას კონკრეტულად ჰომეროსის, ზოგადად კი ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაციასა და ქრისტიანულ ეგზეგეტიკას შორის: ლიტერატურული ტექსტის განმარტებელი ტექსტში ეძიებს ავტორისეულ სენტენციას, ხოლო ბიბლიის შემთხვევაში ეგზეგეტიკოსი ცდილობს იპოვოს არა ავტორისეული (დავითი, სოლომონი, მახარებლები) სენტენცია, არამედ – ინსპირატორი ღმერთის ჭეშმარიტება. მაგრამ ამ უკანასკნელის შუამავლები ბიბლიური წიგნების ავტორები არიან, რაც დიდ სირთულეს წარმოშობს ტექსტთან მკითხველის დამოკიდებულების კუთხით. ამ თვალსაზრისით რამდენიმე საფეხური გამოიყოფა:

ობიექტური (ინსპირატორისეული) ჭეშმარიტება;

ბიბლიის კონკრეტული წიგნის ავტორის სენტენცია;

ბიბლიის კონკრეტული წიგნის ავტორის დამოკიდებულება ობიექტურ ჭეშმარიტებასთან;

ეგზეგეტიკოსის მიერ ობიექტური ჭეშმარიტებისა და ბიბლიური წიგნის ავტორისეული სენტენციის წვდომა.¹⁵

განსაკუთრებით რთული ტექსტი ამ მხრივ იყო ფსალმუნი, უფრო სწორად, თითოეული ფსალმუნის ავტორობის საკითხი. ბიბლიური წიგნების ისედაც მრავალპლანიან ინტერპრეტაციას ფსალმუნის შემთხვევაში ემატებოდა ფსალმუნის წარმომთქმელი პირების, ასაფის, იდითუმისა და სხვათა სენტენციები.

14 შდრ., ადამისა და ევას შესახებ ბიბლიურ მოთხრობას ორიგენე უკავშირებს პანდორას მითს (Origenes, Contra Celsum IV, 38, 310) და თვლის, რომ ორივე იგავის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ალევორიული მეთოდის გამოყენებით; მისი აზრით, თუკი დასაშვებია ალევორიული განმარტებით საეჭვო და ალოგიკური შინაარსის ბერძნული „მითების განკურნება“ (θεραπεία μύθων), რატომ არ შეიძლება ამ მეთოდის გამოყენება ბიბლიის, განსაკუთრებით, ძველი აღთქმის, ანთროპომორფიზმებისა და ზოგ შემთხვევაში საკმაოდ მიუღებელი შინაარსის ასახსნელად ამრიგად, ბერძენი გრამატიკოსების მიერ დამუშავებული ეს ხერხი მისაღები უნდა იყოს ყველასთვის, მათ შორის, იუდეველებისთვისაც.

15 ბიბლიური ტექსტის სიბრტყეთა კლასიფიკაციისათვის იხ. Daniélou 1948: 139-144; Gögler 1963: 381-389.

მრავალპლანიანობის ტექსტუალურ სირთულეს ქრისტიანულმა ეგზეგეტიკამ კარგად მიუსადაგა ანტიკური ფილოლოგიის ცნობილი ტექნიკა: „მოლაპარაკე პირის“ პერსპექტივა (πρὸς ἄλλον);¹⁶ ამან შესაძლებელი გახადა ქრისტოლოგიური ეგზეგეტიკის, სახელდობრ, პროსოპოლოგიური ეგზეგეტიკის განვითარება: ვისი პირით, ან ვისი სახელითაც არ უნდა ლაპარაკობდეს ბიბლია, იქნება ეს რომელიმე პერსონაჟი თუ წინასწარმეტყველი, ის მხოლოდ ქრისტეს მიხედვით გაიგება, მისი რეალური მოლაპარაკე პირი არის ქრისტე.

პროსოპოლოგიურ ეგზეგეტიკასთან ერთად ბიბლიის ფილოლოგიისთვის საფუძველი მოამზადა სიტყვის შესახებ ანტიკურობის მოძღვრებამ, რომელიც არისტარქესთან იღებს სათავეს. სწორედ არისტარქემ განავითარა ყველა დროის ეგზეგეტიკის აქსიომა, რომლის თანახმად ამა თუ იმ თხზულების ინტერპრეტაცია მისი ავტორის შემოქმედებას, სხვა თხზულებებს უნდა დაეფუძნოს. ეს აქსიომა პორფირიუსის ფორმულით არის ცნობილი: „ჰომეროსი ჰომეროსისგანვე განიმარტება“ (Ὁμηρον ἔξ Ὁμήρου σαρκεύσει); ამ თეზამ გვიანანტიკურობასა და შუა საუკუნეებში¹⁷ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ლექსიკოლოგიური ძიებების ხასიათი – სიტყვის კვლევა კონკრეტულ მწერალთან მისი გამოყენების კვლევას დაემყარა.¹⁸

ორიგენემ უცვლელად მიუსადაგა ბიბლიას პორფირიოსის ეს აქსიომა (შდრ., *ბიბლია ბიბლიითვე უნდა განიმარტოს*), და მას მეთოდოლო-

16 ფსალმუნის პროსოპოლოგიური ეგზეგეტიკა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით იმეორებს ფსევდოპლუტარქეს პროსოპოგრაფიული კომენტარების ტრადიციას (იხ. Hillgruber 1994). იგი განსაკუთრებით მოსახერხებელი იყო ბიბლიის იმ ადგილების ასახსნელად, რომლებშიც ტექსტი აუცილებლად ითხოვდა მოლაპარაკე პირების ერთში შერწყმას, მრავლობითი რიცხვის ახსნას. პირველ რიგში ეს ეხებოდა შესაქმეს: „და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ“ (შესაქმე 1, 26). შესაქმის ამ მოულოდნელ მრავლობით რიცხვს სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. ირინეოსის მიხედვით (Adv. haer. 5, 15, 4, იხ. Brox 2001), აქ მამა ღმერთი ელაპარაკება ძეს; ტერტულიანე მიიჩნევს, რომ ამ ადგილის გასაგებად ყურადღება უნდა მიექცეს დიალოგის ფორმას; მრავლობით რიცხვში ტრინიტარული ერთიანობა იგულისხმება: (Adv. Prax. 12, 3, ასევე 11, 7).

17 ბიბლიის ფილოლოგიას, კერძოდ კი, ორიგენეს ეგზეგეტიკას პირველად რ. გოგლერმა (Göglér 1963) და ანდრეზენმა (Andresen 1955) დაუკავშირეს ანტიკური ფილოლოგიის ეს მნიშვნელოვანი თეზა; რ. გოგლერსვე ეკუთვნის ორიგენეს ეგზეგეტიკის განხილვა არისტოტელესეული *მოლაპარაკე პირის პერსპექტივის* (πρὸς ἄλλον τὸ ἄλλο) კონტექსტში.

18 პორფირიოსის ამ თეზისა და ზოგადად, ანტიკური ჰერმენევტიკის რეცეფციის შესახებ შუა საუკუნეების ბიბლიის ფილოლოგიაში, ანტიკური ალეგორისტიკისა და ქრისტიანული ეგზეგეტიკის მიმართებისათვის იხ. Barr 1966; Bienert 1972; Bultmann 1950: 99-102; Neuschäfer 1987: 122-138; Schäublin 2005: 213-236; Schlieben 1974:156-170.

გიურად დაუკავშირა ქრისტეს შეგონება: „*გამოიძიენ წერილი*“. ორიგენემ ამგვარად სათავე დაუდო ბიბლიის სიტყვის კვლევას კონკრეტული კონტექსტის სხვა კონტექსტებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

ამ აქსიომას ორიგენე მოხერხებულად იყენებს თეოლოგიური მიზნებითაც: ბიბლია ბიბლიითვე უნდა განიმარტოს მისთვის, პირველ ყოვლისა, ნიშნავს ძველი აღთქმის განმარტებას ახალი აღთქმით. მთავარია შინაარსობრივი და გამომხატველობითი პლანის ერთიანობა (*λόγος, λένξις*). ამ უკანასკნელს ორიგენე სტოელთა ეტიმოლოგიური ძიებებით ამყარებდა: სიტყვის თავდაპირველი უცვლელი *ἔτυμον*-ის მეშვეობით შესაძლებელია მასში დაფარული ჭეშმარიტების ახსნა. ეს კი ნიშნავს, რომ ეტიმოლოგიური განმარტების გზით გამოვლინდება ბიბლიის სიტყვის ღრმა ეთიკურ-რელიგიური თუ ფილოსოფიური არსი.

ანტიკური ბერძნული და იუდაისტური ალევორისტიკა უშუალოდ დაუკავშირდა ეტიმოლოგიურ მეთოდს. ამ დაკავშირების მოთავეც ორიგენეა; მან კარგად აითვისა სტოელი ხაირემონისა და კორნუტოსის ჰერმენევტიკა – წარმართული მისტერიების ალევორიული განმარტების პრინციპები.¹⁹ ორიგენეს მკვლევრებმა დამაჯერებლად აჩვენეს, რომ მან უბრალოდ კი არ გადმოიღო ბერძნული და იუდაისტური ალევორია, ან პალესტინური იუდაიზმის ტრადიციები, არამედ გადაამუშავა ისინი და შექმნა სრულიად ახალი, ბიბლიის ტიპოლოგიური განმარტების სისტემა.²⁰

ალევორიული, ასევე, ტიპოლოგიური განმარტების საფუძველი სიტყვის სახეობრიობაშია.²¹ ბიბლიური ტიპოლოგიის ამოსავალი თეზა

19 შდრ. Eusebius 1932: VII, 19.

20 Daniélou 1948:139-144; Daniélou 1955; Lubac 1999: 265-318.

21 სიტყვაში დაფარული სახეობრივი მეტყველების აღმნიშვნელი უძველესი ტერმინია *ὑπόσιον*, რომლის ეკვივალენტად ძვ. წ. ა. პირველ საუკუნეში ჩნდება ალევორია (*ἀλληγορία*), თუმცა ამ უკანასკნელმა მთლიანად არ შეცვალა ძველი ტერმინი; ფილონ ალექსანდრიელი სინონიმებად ხმარობს *ὑπόσιον*-ს, *ἀλληγορία*-ს და *σύμβολον*-ს. ამგვარ მეტყველებას იგი ზოგადად სახეობრივს ეძახის (*τροπικῶς*). ფილონ ალექსანდრიელი, პლუტარქე, გრამატიკოსი ტიმაიოსი, სტოელი ჰერაკლიტე, კოკონდრიოსი, ავგუსტინე და სხვები საგანგებოდ განმარტავენ ალევორიის ამა თუ გამომხატველობით თუ შინაარსობრივ პლანს. კვინტილიანეს ცნობილი განმარტების მიხედვით, ალევორია არის მეტაფორის განვრძობა, გავრცობა (*Institutiones Or. IX, 246*), მეტაფორათა რიგი (იხ. ციცერონი, *Or. 27, 94*) და იგი რიტორიკის ფიგურაა. ჰერაკლიტე და ავგუსტინე დაახლოებით ერთნაირად განმარტავენ ალევორიას და პარაბოლას, როგორც ტროპს, რომლის მთავარი ფუნქციაა გადატანითობა: შდრ. „*Parabola ac figurae significantiarum quarumque rerum, quae non ad proprietatem accipiendae sunt, sed in eis aliud ex alio est intelligendum quae appellatur metaphora, hoc est de re propria ad rem non propriam verbi alicuius usurpata translation*“ (*Contra Mendac. X, 24, in: CSEL 41, 499*).

უკავშირდება და გულისხმობს სიტყვის თავდაპირველი ფორმის, ანუ გამომსახველობითი არქეტიპის სახეობრიობას (და არა აბსტრაქტულობას): სახეობრივი იყო პირველი ფილოსოფია (მითები, იგავები), დამწერლობა. ორიგენეს მტკიცებით, სიმბოლოთა ამგვარ ენას აუცილებლად სჭირდება განმარტება, და რადგან მითის სახეობრიობაში არაისტორიული იდეები გადმოიცემა შესაბამისად, არაისტორიული იდეები ისტორიის ფორმაში ექცევა.²²

მითისა და ბიბლიის ალევორიულობას შორის ორიგენე სამ საერთო ფორმალურ ნიშანს პოულობს:

- ა) ორივე სახეობრივად მეტყველებს;
- ბ) სიტყვის ნამდვილი არსი ორივე შემთხვევაში დაფარულია;
- გ) ორივე მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით, ალევორიულად აიხსნება.²³

ალევორიისა და მისი ეკვივალენტი ტერმინების, ცნებების განმარტებებიდან ჩანს, რომ ძველი ავტორებისთვის ალევორია გარკვეულწილად პარაბოლის სინონიმია, ეს უკანასკნელი კი არის ბიბლიური ოშა – ის (Mashel, parabola) თარგმანი და შეიძლება გულისხმობდეს არა მარტო სიტყვას ან ფრაზას, არამედ მთელ მოთხრობას.²⁴ ძველი აღთქმის წიგნებში იგი განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება: სახეობრივი მეტყველება, ალევორია, შედარება. ოშა არის სახეობრივი აზრი, აზრი-სურათი, რომელიც სამ სფეროს აერთიანებს:

ა) სახეობრივად ასახულ ისტორიულ, რეალურ ამბავს (ძველი აღთქმა) აკავშირებს ბ) მის ნამდვილ არსთან, რომელიც ქრისტიეში განკაცდა (ახალი აღთქმა) და გ) ესქატოლოგიურ მომავალთან.

ეს გაერთიანება იქცა ბიბლიური ტიპოლოგიის ამოსავალ დებულებად. ორიგენეს მეთოდში გაერთიანდა ალევორიული განმარტების ანტიკური, იუდაისტური და ქრისტიანული ტრადიციები. ანტიკური ტრადიცია თეორიულად ყველაზე მკაფიოდ პლუტარქესთან და მაქსიმე ტვირელთანაა შეფასებული. ღრმა აზრის მითოლოგიზებას, სახეობრივად გამოხატვას, დიდაქტიკური ფუნქცია აქვს, ისაა აუცილებელი პირობა, რომ სათქმელი გასაგები გახადო. ადამიანური გონება ჩვილ ბავშვს ჰგავს, რომელსაც არ შეუძლია ღრმა აზრის გაგება. ტროპული მეტყველების არსი სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ღრმა აზრს მისცე ადამიანის შესაძლებლობებისთვის შესაფერისი ფორმა, ძნელად ასათ-

22 “Mythos ist kein eindeutiger Begriff, ... aber darin stimmen alle Auffassungen ueberein, dass er ungeschichtliche Ideen in der Form der Geschichte bietet“ (Geiselman 1951: 10).

23 იხ. Gögler 1963: 98-119.

24 Bienert 1972: 108.

ვისებელი მაგარი საკვები აქციო ბავშვისთვის იოლად ასათვისებელ რბილ საკვებად.²⁵

ასეთი მიდგომით მაქსიმე ტვირელი თითქმის აიგივებს ფილოსოფიას და სახეობრივ შემოქმედებას. ისინი მხოლოდ ფორმითა და დროით განსხვავდება ერთმანეთისგან, არსით კი ერთი გამოდის. მითოლოგია უფრო ძველია, ფილოსოფია – უფრო ახალი; მითოლოგია სახეობრივია, ფილოსოფია – თეორიული.²⁶

ფილოსოფიისა და მითოლოგიის მიმართ ასეთმა დამოკიდებულებამ, ანტიკური ბერძნული ალეგორიის ენამ და ფორმამ, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად განსაზღვრა დოგმატური თეოლოგიის ენის ჩამოყალიბება და განვითარება; პავლე მოციქულისა და იოვანე მახარებლის შემდეგ დიდი გავლენა მასზე ორიგენეს ტიპოლოგიურმა მეთოდმა მოახდინა. ამის შედეგად ბიბლიის (განსაკუთრებით, ძველი აღთქმის) სახეობრივი სიტყვა აღქმულ იქნა, როგორც შუალედური რგოლი, სიტყვაში დაფარული უმაღლესი არსის ერთგვარი მიმანიშნებელი.

ორიგენეს სახელს უკავშირდება ბიბლიის ტექსტოლოგიური კვლევის სისტემატიზაცია; თუმცა, მისი მონუმენტური ტექსტოლოგიური ნაშრომების, ჰეგზაპლებისა და ტეტრაპლების, მიზანი უფრო აპოლოგეტური იყო, ვიდრე ფილოლოგიური. ეს ნათლად გამოჩნდა აფრიკანუსისადმი მიმართულ წერილში. მასში ორიგენე განმარტავს ბიბლიის ფილოლოგიური კვლევის მთავარ მიზანს – იუდაისტური წერილი გაუერთიანოს ქრისტიანულს. ძველი აღთქმის ტექსტის კვლევა და ანალიზი ორიგენესთვის როდი ნიშნავდა ებრაულ ორიგინალსა და ბერძნულ თარგმანში დადასტურებული სხვაობების შესახებ ებრაელებთან კამათს; მისი მიზანი იყო, საფუძველი შეექმნა ქრისტეს ეკლესიისთვის. ბიბლიის ტექსტოლოგიაც სწორედ ამ მიზნებს ემსახურებოდა:

25 Maximos von Tyrros, Philosophumena, IV, 1, ob. Hobein 1910: 41.

26 მაქსიმე ტვირელის ეს თეზა უდევს საფუძვლად ძველ ქართველ მთარგმნელთა, განსაკუთრებით, ეფრემ მცირის ტექსტის თეორიას. ტექსტი, როგორც საკვები ა) „ჩრვლი“ შესაბამისად, რბილი საკვების „მოქენე“ მკითხველისთვის, ბ) „გულსკემისმყოფელი და გამომეძიებელი“ მკითხველისთვის. შდრ., „ვინაცა ნუმცა უკვრს, უკუეთუ წმიდად მამად ჩუენი ეფთვმე ამათგანსა რასმე თანა-წარკდა და სიჩრვებასა ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა და მხლითა; და აწ მის მიერ აღზრდილი ერი მისითავე მადლითა მტკიცისა საზრდელისა მოქენე იქმნა და რამეთუ თუ მას პავლესაგან ესწავა ესე და ურწყულობასა ძლიერსა ამის ღმრთისმეტყუელისა წიგნისა ღვნისასა განჰზავებდა წყალთაგან სულიერთა; დაღათუ სიტყუამოკლე მოძღურისა განავრცის ლიტონისა ერისათუს, რამეთუ მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩრვლ მისდადმდე. ამისთუს რამსმე თარგმანთაგანიცა წმიდისა სიტყუათა შინა განეზავა“ (გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა თავისა ანდერძი, იხ. ხელნ. A. 110, 1-8).

1. სეპტუაგინტას კანონიზაციას: თარგმანში დადასტურებული სხვაობების თეოლოგიურად გამართლებას.²⁷

2. ძველი რედაქციების, როგორც ეკლესიისთვის კანონიზებული მემკვიდრეობის, შენარჩუნებას: სეპტუაგინტას ტექსტის რეკონსტრუქციას ებრაული ორიგინალის, აკვილას, სვიმანოსისა და თეოდოტიონის შუალედური თარგმანების მონაცემთა გათვალისწინებით.

მართალია, ორიგენეს მიზანი ძირითადად აპოლოგეტური იყო, მაგრამ სწორედ ამ აპოლოგეტურმა, ზოგადად, თეოლოგიურმა ინტენციამ გაუწია ყველაზე დიდი სამსახური ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ კვლევას, ბიბლიის თავდაპირველი ტექსტის, კანონიზებული თარგმანისა და რედაქციული სახესხვაობების კრიტერიუმთა შემუშავებას. საბოლოოდ კი ამ ინტენციამ განაპირობა ანტიკური ფილოლოგიის, უფრო ზუსტად, პრაქტიკული, **ჰერმენევტიკული** გრამატიკის რელიგიური ლეგიტიმაცია შუა საუკუნეებში.

27 ძველი აღთქმის წიგნების კანონიზაციის პროცესი ორიგენემდე ბევრად ადრე უნდა დაწყებულიყო. სეპტუაგინტას ცნობილი მკვლევარი და გამომცემელი, რ. ჰანჰარტი თვლის, რომ ცნებები: ბიბლიური კანონიკური წიგნები, წინასწარმეტყველთა წიგნები, აპოკრიფები, კომენტარები და თარგმანები ჯერ კიდევ ადრეულ, ქრისტიანულ საუკუნეებშიც არსებობდა. ამის მაგალითად ის ასახელებს ისუ ზირაქის წიგნის ბერძნული თარგმანის შესავალს, რომელშიც ძველი აღთქმის ბერძნულად თარგმანისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ არის საუბარი. მთარგმნელი ბოდიშს იხდის მისი თარგმანის ხარისხის გამო (შდრ. ἦταυ μεταχθῆν εἰς ἐτέρην γλῶσσαν) და სხვაობებს თარგმანსა და ორიგინალს შორის ბუნებრივად, ნორმად მიიჩნევს, ვინაიდან ამგვარი სხვაობები თვით სჯულის, წინასწარმეტყველებათა და სხვა ბიბლიურ წიგნებსაც ახასიათებს, თუკი მათ ორიგინალსა და თარგმანებზე მიდგება საქმე (შდრ., ὅς μὴ κῆρυξ ἔχει τῆς διαφθοράς). ის, რომ სეპტუაგინტა უკვე ადრექრისტიანობაშიც კანონი იყო, რ. ჰანჰარტს აფიქრებინებს, რომ საკითხი სხვაგვარად იდგა: კანონიზაცია და ტექსტის ისტორია კი არ იყო სადავო და საძიებელი, არამედ, თარგმანების მრავალსახეობრიობა უკვე ლეგიტიმირებული ადრექრისტიანული კანონიზაციის ფონზე. კანონიზაციისა და ტექსტის მრავალფეროვნების ეს საზღვარი პირველმა ორიგენემ გადალახა თავისი მონუმენტური ჰეგზაპლებით და ტეტრაპლებით. იხ. Hahnhart 1994: 4-5.

ძველი ქართული „თხრობისაბრი“ მეტაბიქსტები
გრამატიკის პირველი ნაწილის შესახებ

ჰომეროსის პოემების ინტერპრეტაციისთვის შექმნილი ალექსანდრიული გრამატიკების ტექსტოლოგიურ-ჰერმენევტიკული ხასიათი კარგად ჩანს დიონისე თრაკიელის *Τέχνη γραμματική*-ს დეფინიციიდან:

„გრამატიკა¹ არის გამოცდილებითი ცოდნა (ἐμπειρία) პოეტებისა და პროზაიკოსების ჩვეულებრივ გამონათქვამთა შესახებ. იგი შედგება ექვსი ნაწილისაგან: პირველი, კითხვა პროსოდის წესების მიხედვით, მეორე, მასში [ანუ პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებებში] დადასტურებული პოეტური სახეების (ტროპების) განმარტება, მესამე, გლოსებისა² და ისტორიების გასაგები გადმოცემა, მეოთხე, ეტიმოლოგიის ძიება, მეხუთე, ანალოგიის (შესატყვისობათა) შერჩევა, მეექვსე, მხატვრული ნაწარმოებების განხილვა, რაც ყველაზე მშვენიერია ამ ხელოვნებაში“³.

ენობრივ სფეროს ამ გრამატიკის მხოლოდ პირველი და მეოთხე ნაწილი ეკუთვნის, თუმცა საკუთრივ ლინგვისტურ ინტერესს ესენიც მოკ-

1 ციტირებისას, ძირითადად, ვყრდნობი თრაკიელის გრამატიკისა და მისი კომენტატორების (განსაკუთრებით შუა საუკუნეების სქოლიოების) ლ. ქაროსანიძისეულ თარგმანს (ქაროსანიძე 2000, აქ გვ. 91, 121). ბერძნული ტექსტი მომყავს შემდეგი გამოცემის მიხედვით: Uhlig 1979. შდრ. „Γραμματική ἐστὶν ἐμπειρία τῶν παρὰ ποιηταῖς τε καὶ συγγραφεύσιν ἄς ἐπὶ τὸ πολὺν λέγομεναι. Μέρη δὲ αὐτῆς ἐστὶν ἕξ· πρῶτον ἀνάγνωσις ἐντριβῆς κατὰ προσωνίαν, δῆντῆρον ἐξήγησις κατὰ τὸν ἐσπαράχοντα ποιητικὸν τρόπου, τρίτον γλωσσῶν τε καὶ ἱστορίων πρόχειρος ἀπόδοσις, τέταρτον ἐτυμολογία ἐρῆσις, πέμπτον ἀναλογία ἐκλογισμός, ἕκτον κρίσις ποιημάτων, ὃ δὲ κάλλιστόν ἐστι πάντων τῶν ἐν τῇ τέχνῃ“.

2 ამ გრამატიკის კომენტატორთა მიხედვით, გლოსების გასაგებ გადმოცემაში (γλωσσῶν τε καὶ ἱστορίων πρόχειρος ἀπόδοσις) ძირითადად დიალექტური ლექსიკური ერთეულებისა და სიტყვა-ფორმების განმარტება იგულისხმება; შდრ., ჰელიოდორეს კომენტარი თრაკიელის გრამატიკის მესამე ნაწილთან დაკავშირებით (Uhlig 1979: 462).

3 ამავე ჰერმენევტიკულ-ტექსტოლოგიურ ფუნქციებს გამოყოფენ სხვა ცნობილი გრამატიკოსებიც; შდრ., ხარეტის, დემეტრიოსის, ვარონის, კოკონდრიოსისა და სხვათა განმარტებები (Grammatici Graeci (Uhlig) 1965: 2, 1): „უმაღლესი გრამატიკა ემყარება აზრის გაგების ხელოვნებას, იმას, რომ ზუსტად გავარკვიოთ, თუ რა არის ნათქვამი ელინთა ნაწარმოებებში“; „გრამატიკა არის ხელოვნება, რომელსაც ორი ნაწილი აქვს: ერთი – ეგზეგეტიკა და მეორე – ჰორისტიკა“; „გრამატიკა ოთხი ნაწილისაგან შედგება: კითხვა, ახსნა, გასწორება, შემოწმება.“

ლებულია. პირველი ნაწილი – პროსოდის წესებთან შეხამებული კითხვა – ენაში მომხდარ ცვლილებათა კანონზომიერებებს კი არ იკვლევს, არამედ ფონეტიკური პროცესები პრაქტიკული მიზნით აინტერესებს: როგორ უნდა წავიკითხოთ ძველი დაწერილობა თანამედროვე ტრანსკრიფციით. რაც შეეხება IV ნაწილს, ეტიმოლოგიას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი მიზანი სიტყვის ცვლილებათა ლინგვისტური კანონზომიერებების კვლევა-ძიება კი არაა ჰერმენევტიკულ-ფილოსოფიურია. მას აინტერესებს, რამდენად შეიძლება თავდაპირველი სიტყვა იყოს ჭეშმარიტების დადგენის საშუალება. თრაკიელის გრამატიკის დანარჩენი ნაწილები, თანამედროვე გაგებით, მეცნიერების სხვადასხვა სფეროს განეკუთვნება, ლიტერატურათმცოდნეობას, ტექსტოლოგიას, ფილოსოფიას, თეოლოგიას და ა.შ.

ნიშანდობლივია, რომ ამ გრამატიკის თეორიული საფუძვლები შეიქმნა არა როგორც დამოუკიდებელი საენათმეცნიერო თეორიები, არამედ როგორც თვალსაზრისი ანტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ პრობლემასთან დაკავშირებით: შეიძლება თუ არა ენა იყოს შემეცნების იარაღი (ἄρραον), აქვს თუ არა მას შემეცნებითი ღირებულება.

ამავე დროს, ამგვარი ფილოსოფიური ინტენციისა და პრაქტიკული მიზნის (ძველი ტექსტების განმარტება-კომენტირება) მქონე გრამატიკების გვერდით ვითარდებოდა საკუთრივ ენობრივი, უფრო ზუსტად, საენათმეცნიერო საკითხებით დაინტერესებული მიმართულებაც, ე.წ. ასოთა ხელოვნება (τὰ γράμματα). ეს უკანასკნელი პოპულარობით ბევრად ჩამოუვარდებოდა პირველს – მას არცთუ საპატიო ადგილი ეკავა სხვა დისციპლინებს შორის. ანტიკურობისა და შუა საუკუნეების გრამატიკის კანონიკურ სახელმძღვანელოდ სწორედ *Τέχνη γραμματική* ითვლებოდა და არა τὰ γράμματα. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ენის ანტიკური თეორიების ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი როლი სწორედ ამ გრამატიკებში (τὰ γράμματα) შემუშავებულმა კანონზომიერებებმა (ბევრათა ზუსტი დაყოფა, მოსაზღვრე ბგერების შეთავსება-შეუთავსებლობის პრინციპები და ა.შ.) შეასრულა.

როგორც ჩანს, ძველ ქართულ ტრადიციაში სწორედ პირველი, ჰერმენევტიკული გრამატიკა იყო გავრცელებული. დღეისათვის ცნობილი ერთადერთი ქართული გრამატიკული თხზულება, უცნობი ავტორის მიერ შედგენილი „სიტყუად ართრონთათუს“⁴ და, მასთან ერთად, მთარგმნელ-განმმარტებელთა მეტატექსტები, ეხება სათარგმნი ან განსამარ-

4 გრამატიკული ტრატატი სიტყუად ართრონთათუს ერთვის იოვანე ოქროპირის სახელით ცნობილ ერთ-ერთ ჰომილიას. ტექსტის კრიტიკული გამოცემა და გამოკვლევა იხ. მზ. შანიძე 1990.

ტავი ტექსტის კონკრეტულ ენობრივ საკითხს. ისინი პრაქტიკულ-ჰერმენევტიკული მიზნითაა დაწერილი.

როგორც სიმონ ყაუხჩიშვილისა და სხვა მეცნიერთა კვლევამ აჩვენა, ალექსანდრიული Τέχνη γραμματική და მისი მრავალრიცხოვანი სქოლიოები კარგად იყო ცნობილი ძველ ქართულ სამყაროში. გრამატიკის იოანე პეტრიწისეული დეფინიცია სწორედ დიონისე თრაკიელის გრამატიკის შესაბამის ადგილს და მის კომენტატორებს ეყრდნობა:

„ანუ თუ ვინ იყო ეგეოდენ ღრამმატიკოსობასა შინა, რომელი-ესე მომხუეწელ არს ენისგან ყოველსავე ბარბაროზებრობასა და თანამბრძოლ და შემწე და გუარიან მყოფელ ექმნების ელადელთა კმასა.1 და მოთხრობათა შეჰკრებს, ხოლო მოთხრობანი შემოკრებულნი სიბრძნე იქმნებიან. და თითოსახეთა საზომთა იამბიკოთა მუკლთასა ასწავებს. და ნაქმართა სიტყუერთასა განარჩევს, რომელნიცა საკუთარნი იყვნენ ანუ შერყუნილნი, და რომელნიცა კეთილად ანუ სხუებრ თანადასხმულ იყვნენ. „ღრამმატიკოსობაჲ არს გამომცდელი მოქმედთაჲ, ანუ აღმწერელთაჲ, ვითარცა მრავალთა რათმე ზედა გამომთქუმელობისა, და გამოაჩინებს მოქმედებითა სახეთა, თუ ვითარ ჯერ-არს გამოთქუმა, და ენათმეცყუელებათა და მათიანეთა მთქუმელობათა გარდასცემს და მზამეცყუელებათა, ესე იგი არს, სახელისაგან თარგმანებათა მოიპოებს და შესატყვისობათა გარდამოსცემს და უმჯობეს არს ნაქმართა განმრჩეველობაჲ“⁵.

ამავე გრამატიკას და მისი კომენტატორის, დიომედეს სქოლიოებს უკავშირდება ნაწყვეტი შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნიდან, რომელშიც ბერძნული ანბანის შესახებაა მსჯელობა⁶. ალექსანდრიულ გრამატიკებში შემუშავებულ პრინციპებს ეყრდნობა ფსალმუნთა ბერძ-

5 იხ. ყაუხჩიშვილი 1937 (ტ. II): 323. როგორც ვხედავთ, პეტრიწის ამ განმარტებას აკლია გრამატიკის პირველი ნაწილი (Ανάγνωσις ἐπιτηδίων κατὰ προσημῶνα). ს. ყაუხჩიშვილი თვლიდა, რომ პროსოდის წესების მიხედვით კითხვა, რომლის შესახებ პეტრიწი არაერთგზის მსჯელობს, გადამწერს უნდა გამორჩენოდა (ყაუხჩიშვილი 1941: 756; ქაროსანიძე 2000: 450. ქ. ბეზარაშვილმა და თ. ოთხმეზურმა საგანგებოდ შეისწავლეს ამ ტექსტის ავთენტურობის საკითხი და მისი პირდაპირი წყარო. ირკვევა, რომ პეტრიწის „ბოლოსიტყვაობის“ ეს ფრაგმენტი ეყრდნობა არა უშუალოდ თრაკიელის გრამატიკას, არამედ გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა კომენტარების კრებულს, რომელშიც თრაკიელის გრამატიკის დეფინიცია სწორედ ამ სახით იყო წარმოდგენილი (იხ. ბეზარაშვილი, ოთხმეზური 2000. დიონისე თრაკიელის გრამატიკის გავლენის შესახებ ძველ ქართულ ფილოლოგიურ აზროვნებაზე იხ. აგრეთვე დობორჯგინიძე 1998: 52-85; დობორჯგინიძე 2000: 20-27; კეჭალმაძე 1953: 243-256; კეჭალმაძე 1970; მახარაძე 1965; მახარაძე 2003; Пичхадзе 1980: 251-263; ქაროსანიძე 2000).

6 ყაუხჩიშვილი 1923: 178-184.

წულ და ქართულ კატენურ კრებულებში ეგზეგეტიკური მიზნით გამოყენებული ებრაული და ბერძნული ანბანის განმარტებები.⁷

ძველი ქართული მთარგმნელობითი, ზოგადად, ფილოლოგიური მეტატექსტების შესწავლა ცხადყოფს, რომ ისინი შედგენილია ანტიკურობისა და შუა საუკუნეების ტექსტის თეორიის, მისი ცალკეული კონცეფციის, პირველ რიგში, დიონისე თრაკიელის გრამატიკის პრინციპების მიხედვით. ქვემოთ ისინი სწორედ ამ სისტემატიკის შესაბამისად იქნება განხილული.

კითხვა⁸ პროსოდიის წესების მიხედვით (Ανάγυασις ἐντριῆς κατὰ πρῶτον) ალექსანდრიული გრამატიკის პირველი ნაწილია და, ბერძნული ენის ბუნებიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანი; განსაკუთრებით ისეთი გრამატიკებისათვის, რომლებიც ძველი ტექსტების მართებულად წაკითხვის, გაგების, განმარტებისა და გამოსაცემად მომზადების მიზნით იქმნება.⁹

ქართული ენის ბუნებას თუ გავითვალისწინებთ, ამ ტიპის კომენტარები მეორენარისხოვანი უნდა ყოფილიყო. ქართულს კითხვის რაიმე განსაკუთრებული წესები არ გააჩნდა; ამის მიუხედავად, ქართველ მთარგმნელთა მეტატექსტების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ფონეტიკურ, ინტონაციურ და განსაკუთრებით ხმამაღლა კითხვისას გასათვალისწინებელ საკითხებს ეხება.

ეფრემ მცირე დაწვრილებით განმარტავს სათარგმნი დედნების (ბიზანტიური ბერძნულის) ფონეტიკურ, ორთოგრაფიულ, ინტონაციურ, მისივე თქმით, „კმის საქცეველ“ნიშანთა ხმარების თავისებურებებს და ცდილობს, ქართულშიც დაამკვიდროს მსგავსი წესები¹⁰. ამ ტიპის სქოლიო-შეისწავეები ქართულისათვის ზედმეტად გადატვირთული და არაბუნებრივიც კია. თუმცა ეფრემს სხვა მიზანი აქვს, სურს აჩვენოს ბერძ-

7 ბერძნული და ებრაული ანბანის ეტიმოლოგიურ-ჰერმენევტიკული განმარტებები, რომლებიც *მატბერდის კრებულსა* და *ფსალმუნთა გამოკრებულ თარგმანებაში* (XII-XIII სს.) შემონახული, ქვემოთ იქნება განხილული.

8 თრაკიელის გრამატიკის 'Ανάγυασις-ს პეტრიწი თარგმნის მეტად მოხერხებული ტერმინით – „ალუწყება“; რომელშიც კონცეპტუალიზებულია კითხვის ორივე მხარე: ამოკითხვა და გაგება. იხ. იოვანე პეტრიწი, *შრომები*, ტ. I. *პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფიისა კავშირნი*, შესავალი (ყაუზჩიშვილი 1940: 6).

9 შდრ., თრაკიელის გრამატიკის მეორე თავში *კითხვის შესახებ* (Περὶ ἀναγυασιῶν) საგანგებოდ განმარტებულია გრამატიკის ამ ნაწილის ფუნქციები: *კითხვა არის პოეტური ან პროზაული ქმნილებების უშეცდომოდ წარმოთქმა* ('Ανάγυασις ἐστὶ ποιημάτων ἢ συγγραμμάτων ἀνἀπτως προφορὰ). Uhlig 1979: 11, 172.

10 ამის შესახებ იხ. ბეზარაშვილი 2004: 133, თვალთვაძე 2009:133-138; ოთხმეზური 2011: 122-138.

ნულისა და ქართულის რაბამობა, ანალოგიები, მიმართებები როგორც ტექსტის ენობრივ-გამომსახველობით (მათ შორის ფონეტიკურ, ინტონაციურ), ასევე შინაარსობრივ სიბრტყეზე. ამით იგი იცავს მაქსიმალურ სიზუსტეს: მის მიერ ქართულად ნათარგმნს აქვს „ოდენ მოსწავება პირსა თითოეულისა სიტყვასა“ და „მასვე და ერთსა ჰმეტყველებს“; რასაც ორიგინალი;¹¹ ნათარგმნ სიტყვას „ხატი და მოქცევი იგივე აქუნდეს ბერძულისაჲ.¹² ამიტომ არის მნიშვნელოვანი ბერძნული ფონეტიკის, ორთოგრაფიისა და ორთოეპიის, ზოგადად, კითხვის წესების ზედმიწევნით ცოდნა და ქართულ თარგმანში შეძლებისდაგვარად გადმოტანა. მართალია, ამგვარი ფონეტიკურ-ინტონაციური წესები ქართულს საერთოდ არ ესადაგება და არ სჭირდება, მაგრამ მათი ცოდნა აუცილებელია, ვინაიდან ბერძნულში ისინი ხშირად *საქცეველია*, სიტყვის მნიშვნელობას ცვლის.

ამ თვალსაზრისით მთარგმნელებს განსაკუთრებით აინტერესებდათ არა ქართულისთვის დამახასიათებელი ენობრივი საკითხების, არამედ სწორედ იმ გრამატიკული კატეგორიების ახსნა, რომლებიც ქართულს, ბერძნულისგან განსხვავებით, არ ახასიათებს, – მაგალითად, გრამატიკული მახვილი, არტიკლი, სახელის სქესი, ფონეტიკური წესები და ა.შ. – მაგრამ, რომლებიც ანტიკური და ბიზანტიური ბერძნულის წასაკითხად აუცილებელია. ამ პრაქტიკული მოსაზრებითაა გაერთიანებული თრაკიელის გრამატიკის გვიანდელ კომენტარებში,¹³ შესაბამისად, შუა საუკუნეების ქართულ ფილოლოგიურ მეტატექსტებშიც, ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული ლინგვისტური საკითხები. ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწისა და სხვათა მთარგმნელობით კომენტარებში განმარტებულია ბერძნულში საკუთარ სახელთა ფლექსიის თავისებურებანი (*Singularia tantum, Pluralia tantum*), გრამატიკული სქესი ბერძნულ ენაში, არტიკლი, კეთილხმოვანების ნარი (*ν ἔμφακουστικόν*), გრამატიკული რიცხვის წარმოების თავისებურებანი, დუალისი, მახვილის საკითხი და მახვილის ნიშნები (*τῶναι*), ზოგადად, პროსოდის ნიშნები, ანუ „მძღუარნი ენისანი“ (იოვანე პეტრიწი) და ა.შ.

როგორც ზემოთ ვახსენე, ძველი ქართველი მთარგმნელ-რედაქტორები საგანგებოდ მსჯელობენ იმ წესების შესახებ, რომელთა დაც-

11 ციტატები მოტანილია ეგზეგეტიკური (კატენური) კრებულიდან *ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება* (XII-XIII სს.) დართული მეტატექსტი. ამ თხზულების მხოლოდ ნაწილია გამოცემული (დობორჯგინიძე 1996, 1, 2). მეტატექსტები თხზულების გამოუცემელი ნაწილებიდან დამოწმებულია ხელნ. S 1472-ის მიხედვით. აქ ფს. 72, 16.

12 ეფრემ მცირე, თეოდორიტი კურელის *ფილოთონ ისტორიის* ქართულ თარგმანზე დართული შესავალი, ხელნ. A 689, 187v, იხ. თვალთვაძე 2009: 214.

13 იგულისხმება ამ გრამატიკის პირველ ნაწილთან დაკავშირებული კომენტარები.

ვა განსაკუთრებით აუცილებელია ბერძნულად კითხვისას. შდრ. „გარნა დავსძინოთ მცირედ და კითხვისათვისცა, თუ ვითარ ჯერ-არს ამათ სასწავლოდსა წიგნთა“¹⁴ კითხვა, ვითარცა თვთ სოკრატისთვის იტყვან, ვითარმედ, იკითხვიდისო სოკრატ, ვითარ იკითხვიდიან ყრმანი მცირენი, და კუალად შეექცის მასვე წარკითხულსა, რამეთუ არათუ გუარსა ჯერ-არს საკითხავისასა მიცემაჲ, არამედ ცნობისა და აღუწყებისათვის არს სათანადოდ. და განკუეთისა და შედგმისა და უკუნქცევისა და უკუანდთ პირთა აღებისა და წერტილთა და სხუათ ყოველთა მძღუართა, ვითარ მახვლსა ოქსიასა, და ვარიასა, რომელ არს მძიმე, და პერისპომენონსა, რომელ არს გარემორთხმული, და სხუასა ყოველსავე სათანადო არს, რადთა ვიკმარებდეთ კმასავე თანა და პირსა სიტყვსასა, რადთა გონებაჲ უცთომელი აღვიუწყოთ.“¹⁵

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, იოვანე პეტრიწი ალექსანდრიელი გრამატიკოსების მეთოდოლოგიის კვალობაზე გამოყოფს „აღუწყებისათვის“, ანუ წაკითხულის აღსაქმელად აუცილებელ „ტექნიკებს“: პროსოდიას, განყოფის ნიშნებსა და გამომთქუმელობითობას (παράκλιση). გრამატიკის ამ ნაწილის კომპლექსური მიზანი – კითხვასთან დაკავშირებული ფონეტიკურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური და სემანტიკური საკითხების გადაწყვეტა – განაპირობებს მისი მიღწევის საშუალებათა სიჭრელეს, კითხვასთან დაკავშირებული სხვადასხვა დონის გრამატიკულ საკითხთა მრავალფეროვნებას. თვალსაჩინოებისთვის მომაქვს ზოგიერთი მაგალითი მთარგმნელობითი მეტატექსტებიდან.

არტიკლი (ართრონი). არტიკლის, ქართულისთვის სრულიად უცხო ენობრივი საკითხის, განხილვას ეძღვნება დღეისათვის ცნობილი ერთადერთი ლინგვისტური ხასიათის თხზულება *სიტყუაჲ ართრონთათვის*. როგორც მთარგმნელობითი ან, ზოგადად, ფილოლოგიური ხასიათის მეტატექსტები, ესეც არა იმდენად ლინგვისტური, არამედ პრაქტიკული მიზნით იქმნება, კერძოდ, ერთ-ერთი თხზულების თარგმანისას წამოჭრილი საკითხის განსამარტავად.

ეგზეგეტიკოსებისთვის საინტერესო გრამატიკულ საკითხთაგან არტიკლი გამორჩეული პოპულარობით სარგებლობდა. განმმარტებლები გრამატიკის მეშვეობით თავიანთ თეოლოგიურ მოსაზრებებს ასაბუთებენ. ორიგენეს აინტერესებს არტიკლიანი სიტყვა, როგორც დეტერმინებული და უარტიკლო – როგორც განუსაზღვრელი; შდრ., იოვანეს სახა-

14 სასწავლო წიგნების ფუნქციის, შედგენის პრინციპებისა და სტრუქტურის შესახებ შუა საუკუნეების ბერძნულ-ბიზანტიურ და ქართულ ტრადიციაში იხ. ოთხმეზური, ბეზარაშვილი 2000: 207-239.

15 იოვანე პეტრიწი, პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფიისა კავშირნი, შესავალი (ყაუხჩიშვილი 1940: 6, 7, 20). იხ. დობორჯინიძე 1988:221-225.

რების ცნობილ ფრაზაში: Ἐν ἀρχῇ ἦν ὁ λόγος – იგი ორ განსხვავებულ სიბრტყეს გამოჰყოფს: ა. ἀρχῇ-ს სიბრტყე, როგორც განუსაზღვრელი და ბ. ὁ λόγος-ისა, როგორც დეტერმინებული. ერთი და იგივე ავტორი რამდენჯერმე იმოწმებს არტიკლის სრულიად განსხვავებულ განსაზღვრებებს სტოელთა, ანომალისტებისა და ანალოგისტების გრამატიკიდან იმისდა მიხედვით, კონკრეტულ შემთხვევაში რომელი უფრო აწყობს და ესადაგება მის თეოლოგიურ მოსაზრებას.¹⁶

ქართული გრამატიკული ტრაქტატის ავტორის მიზანიც ეს ყოფილა, ქართველ მკითხველს აუხსნას, როგორ „არ ეგების და არ ჰშენის“ ქართულს არტიკლის ხმარება, რაც, თურმე, აბნელებს ბერძნულში არტიკლით დეტერმინებული, მარკირებული შინაარსის გადმოცემას და ათანაბრებს მას გარკვეული თეოლოგიური მოსაზრებით არადეტერმინებულ არამარკირებულ უართრონო ფორმებთან:

„შეისწავე,¹⁷ რამეთუ ვინაფთაჲ ართრონთა ძლით უმეცრად და ბნელად საგონებელ არს ენასა ზედა ჩუენსა ლექსი თარგმანებული, რომელსა წმიდათა შორის იოვანე ოქროპირი მწვალებელთაგან მოღებულად წინა-აღსაღომელად ჩუენ მართლმადიდებელთა მომართად იტყვს ლექსსა მას იოვანე მახარებლისა მიერ თქუმულსა ძისათვის; და ბერძულსა შინა ვიდრემე ნათლად ძეს ლექსი იგი; ხოლო გარდამოითარგმნოს რად, დაბნელდების უართრონობისათვის ენისა ჩუენისა. და ცხადსა და ნათელსა სიტყუასა უცნაურ ვინამდე ჰყოფს, რამეთუ შეუძლებელ არს თარგმანებაჲ მისი ენასა ზედა ქართულსა. ხოლო რადთა გამოვაჩინოთ, თუ რად არს ართრონი და ვითარ ვერ ეგების ენასა ზედა ქართულსა თარგმნად მისი და ვითარ იკუმევენ ამას ართრონსა ბერძენნი, არა დაფაროთ ძალისაებრ და გულისკმის-ყოფისა ჩუენისა.“¹⁸

მაქსიმალური სიზუსტის მისაღწევად შეიძლებოდა ართრონის გადმოტანა, მაგრამ ქართულში მას შესატყვისი არ აქვს, ბერძნული ართრონი კი ქართულს არ უხდება; შდრ., „ბერძულთავე ართრონთა ქართულსა დაუსხმიდე [...] გარნა არცა ეგების ესრეთ თქუმაჲ ქართულად და არცა

16 იხ. Schäublin 2005: 213-236.

17 შეისწავე ანტიოქიის ქართული მთარგმნელობითი სკოლის მიერ დამკვიდრებული ტერმინია, რომელიც საყოველთაოდ გავრცელებული ჩანს გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ფილოლოგიაში; იგი ბერძნული ἵσθι-სა და ლათინური *nota bene*-ს ქართული ეკვივალენტია. ამავე სტრუქტურისა და სემანტიკისაა მისი ფარდი სირიული და არაბული ტერმინები. იხ. Riad 1988: 87. შეისწავეს, შეენიერისა და სხვა მარგინალური ნიშნების შესახებ გრიგოლ ნაზიანზელის ეფრემ მცირისეულ ქართულ თარგმანებში იხ. ოთხმეზური 2011: 122-135.

18 მ. შანიძე 1990: 132.

ჰშუენის ენასა ჩუენსა ართრონი ბერძული და ქართული ართრონი არა არიან.¹⁹

განსაკუთრებული ყურადღებით მთარგმნელი სწორედ თავისი მშობლიური ენისთვის უცხო ელემენტებს უნდა მოეკიდოს. გარდა ამისა, ართრონის შემთხვევაში გასათვალისწინებელია მეორე მნიშვნელოვანი გარემოებაც: ზოგიერთი სიტყვა ბერძულში მხოლოდ ართრონისა და შესაბამისი ფლექსიის (πῑνσι) მიხედვით გაირჩევა; შდრ.: „ვიტყვთ უკუე: ო ელატის და ი ელატი [ὀ ἐλάτις / ἡ ἐλάτι]; და ო-ნისა მიერ ვიდრემე ართრონისა დაენიშნეთ მარბეველი და ი-ნისა მიერ დაენიშნეთ ხე ელატი.“²⁰

გრამატიკული მახვილი. სწორი კითხვის, შესაბამისად, ტექსტის ადეკვატურად გაგების პრობლემატიკას უკავშირებენ მთარგმნელები ბერძული მახვილის ქართულად თარგმნასთან დაკავშირებულ ფონეტიკურ თუ ლექსიკურ საკითხებს. ისევე, როგორც ართრონის შემთხვევაში, აქაც მნიშვნელოვანია ქართულისთვის უცხო გრამატიკული კატეგორიის ცოდნა, ვინაიდან მახვილი არა მარტო ინტონაციას, სიტყვის მნიშვნელობასაც ცვლის. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

ἀργός / ἄργος

„თანმოსახელეთა უკმან სამნი ესე: ტონოდ (τόνος), პტოსი (πῑნσι), პნევმატოსი (πνεύματος). რამეთუ უკუეთუ ვპოვნეთ სადმე სახელნი ერთითა რომლითამე ამათგანითა განყოფილად, არა არიან თანმოსახელებ, ვითარ-იგი ამას ზედა, ვითარმედ: არლრს (ἀργός) და არლოს (ἄργος); აჰა აქა ტონოსმან განყვნა, რამეთუ პაროქსუნომენი (παροξύμενος) დაჰნიშნავს პელოპონნიონს შინასა ქალაქსა, ხოლო ოქსუნომენი (ὀξύμενος) დაჰნიშნავს უგვანესსა კაცსა, რამეთუ ვიტყვთ მრავალგზის ვისთვისმე, არლოსი არსო.“²¹

ἀσφინδλιც / ἄσφინδλιც / ἄσφინდლიც

„შეისწავე, რამეთუ თითო სახედ ითქუმის სახელი ასფოდელოდაი, რაჟამს ესრეთ გაჰკრა: ასფოდელოს (ἀσφίνδλιც), ნერგსა იტყვ, ხოლო რაჟამს თქუა თუ: ასფოდელოს (ἄσφინდლიც), – სამოთხესა, ხოლო რაჟამს ასფოდელრნ (ἄσφინდლიც), სავსესა იტყვ.“²²

19 იხ. მზ. შანიძე 1990, იქვე.

20 ამონიოსის ძველ ქართულ თარგმანზე დართული კომენტარი. იხ. კეჭაყმაძე, რაფავა 1983: 0107.

21 კომენტარში საუბარია ომონიმიის შესახებ, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სრული, თუ სამივე კომპონენტი, მახვილი (τόνος), ფლექსია (πῑნσι) და ფშვინვა (πνεύμα) ზუსტად დაემთხვევა ერთმანეთს. იხ. კეჭაყმაძე, რაფავა 1983: 0107.

22 გრიგოლ ნაზიანზელის ეფრემ მცირისეული თარგმანის კომენტარი, იხ. ხელნ. Jer. 15, 15v.

ფშვინვის ნიშნები. მთარგმნელობით მეტატექსტებში განმარტებულია დიონისე თრაკიელის გრამატიკის კომენტატორის მიერ სისტემატიზებული პროსოდის ნიშნები (Περὶ προσηδνῶν),²³ მათ შორის, ფშვინვის ნიშნებიც (Πνεῦματα). ფშვინვის ნიშანთა ნიუანსობრივი სხვაობებიც კი მთლიანად ცვლის სიტყვის მნიშვნელობას (შდრ., οἶος, οἷος).

„ამათვე ვიტყვთ პნევმატოსისაცა ზედა, რამეთუ ვიტყვთ ვითარმედ ო ჯონ. დასვნომენი (διασπῆμειον – οἷος) სადმე დაჰნიშნავს ეგევითარსა, ხოლო ფსილომენი (ψιλῆμειον – οἶος) მარტოსა, რომლისათუს არცა ესე არს თანმოსახელე. ხოლო ამას კმასა ზედა, ვითარმედ ეას (Αἶα), ტონოსიცა იგივე არს და პტოსი ეგეთივე, არამედ პნევმაძცა ზიარი ორთავე ზედა, და შეემთხუევის მათვე თანმოსახელე-ყოფად.“²⁴

გრამატიკული სქესი. ცნობილია, რომ სქესის, ქართულისათვის ამ უცხო გრამატიკული კატეგორიის, შემოტანა თარგმანებში ეფრემ მცირის სახელს უკავშირდება. ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ეფრემისეულ ქართულ თარგმანში დადასტურებული „მდიდარი/მდიდარადს“ ანალოგიით ქართულში არაერთი წყვილი შეიქმნა.²⁵ ირკვევა, რომ გარდა ლექსიკური საშუალებებისა (ვინ და რა ჯგუფის სახელების შემთხვევაში), სქესის გარჩევა XI-XIII საუკუნეების ელინოფილურ თარგმანებში²⁶ გრამატიკუ-

23 იხ. ოთხმეზური 2011: 153.

24 კეჭაყმაძე-რაფავა 1983: 110.

25 სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითი; შდრ., მდიდარი-მდიდარად: „მდიდარად მოიღებნ ჭიჭნაურსა. შეისწავე მდიდარად ახალმოპოვნებულად დედალად სიტყუად, რამეთუ დედაკაცი არს მომღებელი ჭიჭნაურისაჲ, ხოლო ჭიჭნაური მამასა ეფთვემს აბრეშუმისა სახელად მოუპოვებია“ (დანელია 1998: 98). მას-მასა: „ხოლო სხუანი [სწირავდეს] რაიცა რაიმე მას ანუ მასასა აქუნდა დამთხუევით. შეისწავე, მასი – მამაკაცისათუს და მასა – დედაკაცისათუს“. ღმერთი-ღმერთად, ქალწული-ქალწულად: „რომელთაგან პატივიცემების ღმერთად და ესეცა ქალწულად. შეისწავე, რამეთუ ღმერთად და ქალწულად დედლობისათუს უთქუამს არტემისსა“ (ოთხმეზური 2011: 139-143). მან-მანა: ფინეზის თანა დავიწესნეთ, ანნაჲს თანა ვიდიდნეთ. გარნა რაბამ? რომელ მან – ერთი, ხოლო თქუენ – ესოდენ მოშურნე სიძეს მკლველებ [...] და მანამან – შუდ მამაკაც და ესეცა ნეფსით ღმერთსა ვამსხუერპლენ. შეისწავე აქა, რამეთუ მან ფინეზისთუს ითქუმის მამლად, ხოლო მანამან ანნასთუს – დედლად, რამეთუ ბერძულად ფრიად განყოფილებაჲ აქუს მამალ-დედლობისა სიტყუათა“ (ცერაძე 2001: 41).

26 ელინოფილური თარგმანებიდან მოხვდა ისინი საბას ლექსიკონში უკიდურესად ფორმალისტური [ელინოფილური] განმარტებით. საბას აზრით, სახელის გარდა სქესის გამოხატვა ზმნის პირიან ფორმებსაც შეუძლია: „ფილასოფოსთა ენითა მან მამლად ითქმის, ხოლო მანა დედლად; მასი მამაკაცისათვის ითქმის, ხოლო მასაჲ დედაკაცისათვის, ამისთვის, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს თქუმად, რათა ერთისა სიტყვისა თქმითა განვყოფდეთ კსენებასა მამაკაცისასა და დედაკაცისასა. ოდეს ვაქსენოთ მამაკაცი, ვიტყოდით წინასწარმეტყუელი მოსე, დავით და გინა სხვა რომელიმე. ხოლო

ლი ბერძნიზმების საშუალებითაც ხდებოდა: მეფემ-მეფად, ყრმად-ყრმაად, ებრაელი-ებრაელად, უფალი-უფალა, მოხუცებული-მოხუცებულა, წინა-წარმეტყუელი-წინაწარმეტყუელა, იგი-იგა/იგია, ჩჩვლი-ჩჩვლა და ა.შ.²⁷ მთარგმნელობით მეტატექსტებში ხშირად გვხვდება გრამატიკული სქესის გამოსატყვისა და გარჩევასთან დაკავშირებული თეორიული ხასიათის განსაზღვრებებიც:

„შეისწავე, ყოველი სახელი სიტყუად ელლინთად სამფერ, ესე იგი არს, სამსახე: **დედალ, მამალ და არარომელ.** და სახელი მამათა საწოდებელად ესრეთ იქმნების: *ო ანთროპოს* (ὁ ἄνθρωπος), ეგულებოდის რად წოდებად მამაკაცისად, და *ი ანთროპოს* (ἡ ἄνθρωπος), ესე იგი არს კაცად, ეგულებოდის რად წოდებად დედაკაცისად. ეგრეთვე მამათა რად მრავალთა უწოდენ, *ტონ პანტონ* (τὸν πάντων), ესე იგი არს, ყოველნივე, *კე პასონ* (καὶ πάντων), ესე იგი არს, ყოელანი. [...] შეისწავე, ვითარმედ ბერძულნი სიტყუანი ყოველნი ანუ დედალნი არიან, ანუ მამალნი ანუ არარომელნი სახელთა მწოდებელნი. და აქაცა დედათა ენკრატისთა დედლითა სიტყვთა დედლად სახელსდებს *მონაზონათაო*, ხოლო მამათა – *მონაზონთა*“.²⁸

ფონეტიკური დამსგავსება. ამ ტიპის მთარგმნელობით კომენტარებში განმარტებულია სრულიად განსხვავებული ფონეტიკური, ლექსიკურ-სემანტიკური თუ მორფოლოგიური საკითხები; მათი გაერთიანება გრამატიკის პირველ ნაწილში გამოწვეულია ალექსანდრიული სკოლის არაერთგვაროვანი საკლასიფიკაციო პრინციპებით, პრაქტიკულ-ჰერმენევტიკული, მთარგმნელობითი მიზნით. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი.

[ἰσὶν ἄνδρα / ἴσπεδαν]

„თითო-სახედ იპოების ნაწერი სიტყვსა ამის წიგნთა შინა ბერძენთასა, რომელი აქა ველად ითქუმის. რამეთუ სხუათა შინა ესრეთ

ოდეს ვაკსენოთ დედაკაცი, ვიტყვით *წინასწარმეტყველა*: მარიამ, ანნა, ებორა და ერთი დედათავანი. უკუეთუ ვთქვათ *მოვიდა*, ვიტყვით მამაკაცისათვის, ხოლო უკუეთუ ვთქვათ *მოვიდაი* – დედაკაცისათვის. ეგრეთვე *წავიდა* – მამაკაცისათვის, *წავიდაი* – დედაკაცისათვის. ეგრეთვე ყოველნი საზოგადო სათქმელნი მამაკაცისა და დედაკაცისად განიყოფებიან სიტყვის ბოლოსა ნამეტნავისა მარცვალთათა – ინი შეჰგუანდეს, ანუ ანი“ [...]. სქესის გამოსატყვის ფორმალურ-შინაარსობრივ თავისებურებათა შესახებ ელინოფილურ თარგმანებში, სულხან-საბას ლექსიკონსა და XVIII-XIX საუკუნეების რუსოფილურ თარგმანებში იხ. დანელია 1998: 94-108. ასევე დანელია 1964: 164-165; ვიგინიევილი, კიკვიძე 1966: 154-155; Дондуа 1967: 167-182.

27 ეს ფორმები საგანგებოდ განხილულია კ. დანელიას ნაშრომში (დანელია 1998: 94-108).

28 მთარგმნელობითი მეტატექსტი ერთვის იოვანე ქსიფილინოსის მეტაფრასული „წმინდათა ცხოვრების“ ქართულ თარგმანს (იხ. დანელია 1998: 100) და გელათის კატენებიან ბიბლიას (იხ. სარჯველაძე 1984: 245).

წერილ არს, ვითარმედ: ისპედან (εἰς παιδ[ε]ῖαν), რომელი სწავლასა გულისკმა-ჰყოფს, ოდეს ნარი მიჰხუდეს ბოლოსა და ითარგმანების ვითარმედ, სიტყუა ღმრთისა სწავლად და მოძღურებად კაცთა გამოვიდეს. ხოლო სხუათა შინა თვნიერ ნარისა ესრეთ, ვითარმედ: ისპედა (ἰσπίδεια), რომლითა ველი წარმოიჩინების.²⁹

ἐράα, ἐράω და ἐράα, ἐράω:

„თვთ იგი ვიდრემე უკუე რიმანი თავით თვისით სახელებ არიან და დაჰნიშვნენ რასმე, ვინაეცა, ვითარმედ: *ვჰლექსავ და ტრფიალობით მდებარე ვარ თანამოსახელენი არიან, რამეთუ ზიარი აქუს სახელი, ვითარმედ: ერო (ἐράω)*³⁰. შეისწავე, ვითარმედ კმითა ელლადელთადათა ჰგვანან სიტყუანი ესე: *ვიტყვი და ვტრფიალებ*. რამეთუ ორისათვისე ითქუმის ესე, ვითარმედ *ერო (ἐράω)*. ხოლო ქართულებრ ყოვლად უმსგავსო არიან“³¹

γένετος, ἀγένητος და γενητός, ἀγένητος.

„ბუნებისა უკუე არს თვს და საკუთარ, რაჟამს სთქუა: აგენიტონ და გენიტონ, ერთითა ნარითა დაწერილი, რომელი-ესე საცნაურ-ჰყოფს აგებულსა და აუგებელსა, ხოლო აგენიტონ და გენიტონ არა ბუნებისა, არამედ გუამისა სახელი არს, რომელი-ესე ცხად-ჰყოფს შობილსა და უშობელსა. [...] ამათ სიტყუათა ბერძულად დაწერისა მიზეზი ესე არს, რამეთუ ბერძენთა ოდენ ენითა მსგავს არიან სიტყუანი ესე: აგებული და შობილი. და აგებულსა გენიტონ ჰქვან, რაჟამს ერთითა ნარითა დაიწეროს. ხოლო რაჟამს ორითა ნარითა დაიწეროს, ვითარმედ: გენიტონ, მაშინ შობილად გამოითარგმანების“³²

ნასესხები სიტყვების თავისებურებები. მთარგმნელთა მეტატექსტებში საგანგებოდაა განხილული უცხო ენიდან სიტყვების სესხებისას მოსალოდნელი ფონეტიკური და ლექსიკური სახესხვაობები, ნასესხები სიტყვის ფორმალური და შინაარსობრივი ცვლილებები არა მარტო ქართულში, არამედ, ზოგადად, თარგმანში, განსაკუთრებით – ებრაულიდან ბერძნულად სხვადასხვა დროს თარგმნილ ტექსტებში. ამ ტიპის კომენტარები ხშირად უფრო ეგზეგეტიკურია, ვიდრე ლინგვისტური, თუმცა განმარტებისას მთარგმნელები აშკარად ფონეტიკურ და ლექსიკურ კანონზომიერებებს ეყრდნობიან.

29 იხ. ხელნ. S 1472: მოსეს გალობა, 2.

30 შდრ. არისტოტელე, კატეგორიები, 1a: Ὁμᾶσυμα λέγεταιῶν ὄνομα μόνου κοινόν, ὃ δὲ κατὰ τοῦσῶμα λόγος τῆς οὐσίας ἕτερος.

31 ხელნ. S. 2562, 257r-v, იხ. კეჭაყმაძე-რაფავა 1983: 110.

32 ხელნ. A. 24, 110v, იხ. სარჯველაძე 1984: 241.

შდრ. „პასექსა მას დიდსა და პატიოსანსა ფასეკი ეწოდების ებრაელთა ენითა, ხოლო გამოითარგმანების გამოსლვად და მოასწავებს ცხადად ეგვიპტით გამოსლვასა და ქუეყანად ქანაანად მისლვასა. [...] ხოლო ვითარცა მრავალი სიტყუად წერილისად შეიცვალა დაფარულისაგან უცხადესისა მიმართ, ეგრეთვე ესე იქმნა; რამეთუ ვიეთმე სახელად ცხოველსმყოფელისა ვნებისა ჰგონეს ესე და ამისთვის გამოსთარგმანებდეს რაჲ ბერძულისა ენისა მომართ, შეცვალეს ფარი იგი პარად და კანი ქანად და პასექი უწოდეს, რომელ გამოითარგმანების ვნებად.“³³

ავტორის ენა. მთარგმნელობით მეტატექსტებში, ამა თუ იმ ავტორის ენის, სტილისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ფიგურების კომენტართა გვერდით, საგანგებოდაა განმარტებული ფონეტიკურ-ორთოგრაფიული თავისებურებები. ისინი უმეტესად ავტორს სტილის, ზეპირი ან წერილობითი ენის რიტორიკული ფიგურების, ლაკონიზმის (βραχυλογία), „სიტყუათა მიფარულების“ (ἀπὸρρητοζ) ან სხვა „კელოვნებათა“³⁴ მისაღწევად სჭირდება და სწორედ ფონეტიკურ-ორთოგრაფიული თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. თარგმნისას ზუსტად უნდა დავიცვათ ავტორისეული ფიგურების ენობრივ-სტილური თუ ორთოგრაფიული მექანიზმები, რადგან მათი ადეკვატურად გადმოღების გარეშე შეუძლებელია ორიგინალის ფარდი რიტორიკული, ზოგადად, გამომსახველობითი ინტენციის მიღწევა თარგმანში, ამ ფიგურების „გადმოტვფრვად“, „დატევენად ჩუენსა ენასა ზედა.“³⁵

სწორედ ამის საილუსტრაციოდ განიხილავს ერთ-ერთ მთარგმნელობით კომენტარში ეფრემ მცირე გრიგოლ ნაზიანზელის ლაკონური სტილის მაკონსტრუირებელ ელემენტს, კომპოზიტების შექმნას („სიტყუათა შედგმას“) და საჭიროდ მიიჩნევს, განუმარტოს ქართველ მკითხველს, თუ რატომაა აუცილებელი თარგმანში ამ ერთი შეხედვით უცნაური ორთოგრაფიული ელემენტის შესაბამისად, ორიგინალის, „ხატისა“

33 ექვთიმე ათონელი, იხ. სარჯველაძე 1984: 240-241.

34 შდრ., გრიგოლ ნაზიანზელის თარგმანზე დართულ ერთ-ერთ კომენტარში ეფრემ მცირე განიხილავს გრიგოლის სტილისთვის დამახასიათებელ ორ მნიშვნელოვან ფიგურას, ლაკონიზმს, ანუ *სიტყუასიმოკლეობას* (βραχυλογία) და აზრის მიფარულებას (ἀπὸρρητοζ). იგი აფრთხილებს მკითხველს, რომ „ესევითარნი ნაკლულნი ფილოსოფოსთა კელოვნებისანი არიან და არა ვითარ ვინ ჰგონოს – უსრულებისანი“ (ავტორისეული სტილისა და ენის კონკრეტულ საკითხთა შესახებ მთარგმნელობითი მეტატექსტები დაწვრილებითაა განხილული ქ. ბეზარაშვილის მონოგრაფიაში (იხ. ბეზარაშვილი 2004: 260-318).

35 თარგმანში მაქსიმალური სიზუსტის ეს მეტაფორული კონცეპტუალიზაცია ეფრემ მცირეს ეკუთვნის. იხ. ხელნ. A 24,1r; რაფავა 1976:66.

და „მოქცევის“³⁶ ზუსტად გადმოტანა.³⁷ ეფრემის თქმით, ეს გრიგოლ ღვთისმეტყველის ენისთვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშანია, რომლის გათვალისწინება კითხვისას აუცილებელია. განსამარტავად აღებულ კომპოზიტთან დაკავშირებით ეფრემი წერს:

[ჟამის' -მეორე' დად] „ესე კელოვნებად სხუათაცა აღწერილთა შინა, ხოლო უფროდსლა დიდისა ამის მოძღურისა და უმეტესად თვთ ამას საკითხავსა შინა უფრო იხილვების, რადთა სიმოკლისათუს სიტყუსა ორთა სიტყუათა ერთად შეადგმიდეს. და ესე აწინდელისა ამის თარგმანისაგან სხუათაცა ადგილთა შეისწავე ნიშნებითა ამით. რამეთუ აჰა, რაჟამს უკმდა თქუმად, ვითარმედ მეორედად ჟამისა, [...] სიმოკლისათუს ორთა სიტყუათა ერთად შეადგამს.“³⁸

თრაკიელის გრამატიკის ეს ყველაზე პრაქტიკული ნაწილი, რომელიც ძველი ტექსტების მართებულად კითხვასა და გაგებასთან დაკავშირებულ სხვადასხვაგვარ საკითხებს აერთიანებდა – ფონეტიკა, ლექსიკა-სემანტიკა, ორთოგრაფია-ორთოეპია, ფლექსია და სხვა – არანაკლებ მნიშვნელოვანი ჩანს ქართველი მთარგმნელებისთვისაც. მართალია, მათ იციან, რომ ქართულს ამგვარი წესები საერთოდ არ ახასიათებს, მაგრამ პრაქტიკული დანიშნულების ძველ ქართულ *Τέχνη*-ს ენის მეცნიერული აღწერა (გრამატიკის მიზანი თანამედროვე გაგებით) კი არ აინტერესებს, არამედ სათარგმნი ან განსამარტავი ტექსტის გაგება, მისი სავარაუდო ქართული შესატყვისების გამონახვა და ორიგინალის მაქსიმალური სიზუსტით გადმოტანა.

ეფრემ მცირე პირდაპირ არსად ამბობს, როგორ ესმოდა მას თრაკიელის გრამატიკის პირველი ნაწილი (ἀνάγνωσις ἐντριβῆς κατὰ Πρωτοδῆν(α)); მაგრამ, როგორც ვნახეთ, მისი მეტატექსტებიდან იმპლიციტურ (მეტაფორების) თუ ტექნიკურ (ტერმინების) დონეზე შესაძლებელია ძველი ქართული „ტენენს“ ამ ნაწილის რეკონსტრუქცია: **ბერძნული ტექსტების კითხვის, შესაბამისად, ბერძნული ენის (მათ შორის, კონკრეტული მწერლის ენის) ფონეტიკურ-ორთოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინება და ქართულად მათი გადმოტანის ტექნიკა.**

36 შდრ., ეფრემ მცირე, თეოდორიტი კვრელის *ფილოთეონ ისტორია*, შესავალი ხელნ. A. 689, 187v, იხ. თვალთვაძე 2009: 214.

37 სიტყვათა შედგმისა და, ზოგადად, ავტორის ენისა და სტილისთვის დამახასიათებელი მაგალითები. ისინი საგანგებოდაა განხილული თ. ოთხმეზურისა (ოთხმეზური 2011: 150-164) და ქ. ბეზარაშვილის (ბეზარაშვილი 2004: 275-292) მონოგრაფიებში.

38 გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიის ქართულ თარგმანზე დართული კომენტარი; იხ. ხელნ. Jer. 15, 22v). ამ ტიპის ლინგვისტური კომენტარების შესახებ იხ. ოთხმეზური 2005, აქ გვ. 147.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ეფრემის კომენტარი, რომელშიც იგი თავისი წინამორბედი მთარგმნელის და მასწავლებლის, ეფრემ ოშკელის შესახებ საუბრობს: [ეფრემ ოშკელი], „რომელი-იგი მეცნიერ იყო კითხვასა და გაგონებასა ბერძულისასა და კეთილად სწავლულ და ქართულთა სიტყუათა შეწყობილებასა, და ამით ორთავე ორკერძოვე ჰმსახურებდა და განაგებდა ნაკლულევანებასა ჩემსა.“³⁹

საკითხები, რომელთაც ეფრემი ამ კომენტარში საგანგებოდ უსვამს ხაზს (მეცნიერ კითხვასა და გაგონებასა ბერძულისასა, [მეცნიერ] ქართულთა სიტყუათა შეწყობილებასა), პირველ რიგში, გულისხმობს, ტექსტის სწორად გაგების მიზნით, ბერძნული ენის ორთოეპიისა და ორთოგრაფიის, პუნქტუაცია-ინტერპუნქციის, პროსოდის წესების ცოდნას და ადეკვატურად გამოყენებას; თარგმანის შემთხვევაში ამას ემატება, ერთი მხრივ, ქართული ენისთვის დამახასიათებელი გრამატიკული წესებისა და კანონზომიერებების (თვსებად, მეყვსობად) ცოდნა-გამოყენება, შესაბამის ბერძნულ კანონზომიერებებთან და წესებთან მათი „შეწყობილება“ და ქართულად „გადმოტყფრვა“; ქართულ ენაში „დატევნა“⁴⁰

ამ კომპლექსურ მთარგმნელობით კომპეტენციას ეფრემ მცირე ქართული და ბერძნული ენების შედარებით ანალიზს, ქართულისა და ბერძნულის ანალოგიების, ანუ „რაბამობის“ ცოდნას, ფლობას უწოდებს; შდრ., „შენ, რომელმან უწყი რაბამობად ბერძენთა და ქართველთა ენებისა“⁴¹

„რაბამობა“, როგორც ტერმინი, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად, გაგებულთა როგორც „რაობა“, „როგორობა“ (შდრ. რაბამი – როგორი, რანაირი, რა თვისებების მატარებელი). როგორც ეფრემ მცირისა და განსაკუთრებით იოვანე პეტრიწის მიერ ამ ტერმინის გამოყენების კონტექსტუალური ანალიზი აჩვენებს,⁴² ის უნდა ნიშნავდეს არა როგორობას, რაობას, არამედ ანალოგიას, შესატყვისობას (იგულისხმე-

39 ეფრემ მცირის მთარგმნელობითი კომენტარი, იხ. კეკელიძე 1980: 226).

40 შდრ., *გადმოტყფრვაჲ ჩუენსა ენასა ზედა, დატევნაჲ ჩუენსა ენასა ზედა* – მთარგმნელობითი საქმიანობის აღსაწერად გამოყენებული ეს და სხვა მეტაფორები ნაშრომის მესამე ნაწილში ცალკე იქნება განხილული.

41 ეფრემ მცირე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართულ თარგმანზე დართული კომენტარი, იხ. ხელნ. Jer. 43, 1r (თვალთვაძე 2009: 228).

42 *რაბამობის* ამ მნიშვნელობის შესახებ ვინფრიდ ბოედერმა მიმითითა. ბერძნული ტერმინის – ἀναλογία ქართულ ეკვივალენტად სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად განიხილავენ მათემატიკური წარმომავლობის ტერმინს *შესატყვისობა* (იხ. კეჭაყმაძე 1967: 197-205; Пичхадзе 1980: 251-263). შდრ., სიმონ ყაუხჩიშვილი (ყაუხჩიშვილი 1940: 289; დ. მელიქიშვილი 2009: 275) იოვანე პეტრიწის რაბამობას ანალოგიის შესატყვისად მიიჩნევს.

ბა ბერძნული და ქართული ენების სიტყვა-ფორმათა ანალოგია, შესატყვისობა), რაც სრულად თავსდება გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების პრაქტიკული გრამატიკის კონცეფციაში და, ამასთანავე, ზუსტად ხსნის ეფრემ მცირის დამოკიდებულებას ამ გრამატიკის მიმართ.

ეფრემის ამ კონცეპტუალიზაციის მიხედვით აშკარაა, რამდენად რთული და მრავალმხრივია პრობლემატიკა, რომელიც, ძველი ქართული მწიგნობრული ტრადიციის თანახმად გრამატიკის პირველ ნაწილში (სათარგმნი დედნების „აღუწყება“ და ქართულად „გადმოტფვრვა“) იყრის თავს.

ჰერმენევტიკული გრამატიკის საკითხები თანამედროვე გაგებით ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა სფეროში ექცევა. ჯერ ანტიკური ფილოლოგიის ფუძემდებლების, შემდეგ კი, შუა საუკუნეებში, ბიბლიისა და სხვა რელიგიური თხზულებების ინტერპრეტაციებისა თუ მთარგმნელ-რედაქტორების პრაქტიკულ-ჰერმენევტიკულმა განზრახვამ მოაქცია გრამატიკის სახელმძღვანელოში, უფრო ზუსტად, გრამატიკის დეფინიციაში ამდენი დარგი.

გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ბერძნულ-ლათინური, ქრისტიანული აღმოსავლეთის, მათ შორის, ქართული ფილოლოგიური დისციპლინის ისტორიის თვალსაზრისით, სწორედ ეს მრავალპლანიანობაა საინტერესო: რა კუთხით არის (ან არ არის) ჰომოგენური მათი საკლასიფიკაციო პრინციპები, როგორ ესმით გრამატიკის, ანუ ტექსტის (განსაკუთრებით, თარგმანის) შესახებ სახელმძღვანელოს ფუნქცია, რა მიაჩნიათ მთარგმნელ-რედაქტორებს გრამატიკოსის, როგორც ტექსტის განმმარტებლის, მოვალეობად, ანდა რა მიზნით იქმნება მთარგმნელობითი მეტატექსტები, რა პრინციპით ირჩევენ საკომენტაროდ თარგმნისას წამოჭრილ კონკრეტულ საკითხებს და, რაც ყველაზე საინტერესოა, პრაქტიკულად როგორ ართმევენ თავს დასახული ამოცანების გადაწყვეტას.⁴³

43 აღექსანდრიულ გრამატიკაზე დამყარებული ზოგადთეორიული პრინციპების განხილვის შემდეგ ამ საკითხებს საგანგებოდ მივუბრუნდები ნაშრომის მესამე ნაწილში.

**გრამატიკის თეორიული საკითხები
„თხრობისაბრ“ მეტაბაქსტაბში**

მეტატექსტები, რომელთაც ქართველი მთარგმნელები *თხრობისაბრს* (εἰς ἱστορίαν) უწოდებენ, საკუთრივ ძირითადი ტექსტის ყველაზე ზედაპირული სიბრტყის, ანუ კონკრეტული კონტექსტის უკეთ გაგებას ემსახურება; თანაც მათში საინტერესო მასალაა წარმოდგენილი მთარგმნელ-რედაქტორთა მწიგნობრული გამოცდილებიდან. მეტატექსტები სხვადასხვა დარგს მოიცავს: ფილოლოგია, ისტორია-გეოგრაფია, ასტროლოგია, მედიცინა და ა.შ. მათი უმეტესობა ქართველი მთარგმნელების მიერაა შედგენილი. ესაა ტექსტის ერთი კულტურული გარემოდან მეორეში გადატანისას წამოჭრილი მხატვრულ-ესთეტიკური, ენობრივ-გამომსახველობითი, კულტურულ-ისტორიული, ყოფითი თუ სხვადასხვა დარგობრივი საკითხების განმარტებები. მეტატექსტების ნაწილი ორიგინალიდან უნდა იყოს ნათარგმნი, რაც ასევე მეტყველებს მთარგმნელის კონკრეტულ ინტენციაზე.

ქვემოთ ცალ-ცალკე იქნება გაანალიზებული სხვადასხვა ტიპის ფილოლოგიური მეტატექსტები. მხოლოდ თითო-ოროლა მაგალითით წარმოვადგენ ლიტერატურათმცოდნეობით, საისტორიო, ასტროლოგიურ, თუ სამედიცინო ხასიათის მეტატექსტებს. შევნიშნავ, რომ ისინი არანაკლებ საინტერესოა მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ისტორიისთვის.

სამეცნიერო დარგების კლასიფიკაცია: „ვიტარ-იგი ათორმეტ არიან კელოვნებანი ბერძენთა სწავლულებისანი და თითოეული აღმწერელი მით სახითა აღმწერელობს, რადცა კელოვნებად ესწავოს ათორმეტთა მათგან: ღრამატიკოსობა, გინა ფილოსოფოსობა, რიტორობა ანუ მკურნალობა, მუსიკელობა, ანუ ქუეყნის-მზომელობა, ვარსკულავთ-მრიცხველობა, ანუ ნივთთ-მეტყუელება, კელოვნებათა საქმე ანუ წესი ბრძოლისა.“¹

ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინები. ოქტაპლები: „შეისწავე, რამეთუ რვაშთასავალ უწოდიან წიგნსა მას ორიგენესგან რვა კაპატონად დაწერილსა, რომელსა მოიკსენებს წმიდად ეპიფანე კვპრელი მთავარეპისკოპოსი, რამეთუ იგივე და ერთი სიტყუად ძუელთა წიგნთა რვაჯერ წერილ არს, რადთა შეატყუნეს ურთიერთას პირველად ებრაული – ებრაულითა ასოდათ, მეორედ – ებრაული სიტყუად ბერძულითა

1 ეფრემ მცირე, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიის (Or. 5) თარგმანზე დართული ანდერძი, იხ. ხელნ. A 292, 215v (თვალთვაძე 2009: 230).

ასოდთა, მესამედ – სამმეოცდაათთა, მეოთხედ – აკვლადსი, მეხუთედ – სვმანოდსი, მეექუსედ – თეოდოტიონისი, მეშვდედ და მერვედ – ჭურსა შინა პოვნილნი იგი იერიქოს, რომელთა სახელები უცნაურ იყო, თუ ვიეთ თარგმნეს:²

ჰეგზაპლები: „ექუსკეცთა მათ წიგნთა იტყვს ორიგენისთა, რომელსა ქართულად ექუსშთასავლედად იტყვან. ხოლო ექუსშთასავლედსა ექუსკეცი უმართლედ არს, ვინაითგან ექუსგზის დაწერა ყოველი სიტყუად მასვე და ერთსა წიგნსა შინა. და თვთ ბერძულად ცხადად ექუსკეცნი ჰქვან მათ წიგნთა, ხოლო ექუსშთასავალი თუ სადაით არს, არა ვიცი, ნუუკუედ და სხვსა რომელისამე გარემოდსა ენისაგან.“³

წინაგანკაზმვა: „წინაგანკაზმვისა (προκατάστασις) წესი აქუს სიტყუათა ამათ. ხოლო წინაგანკაზმვა არს განმზადებად გზათა სიტყუსათად რადთა ადგილ-სცენ თხრობასა მისსა. გინათუ წინა-თხრობად (προνόησις) ვერაგობა არს კელოვან-ყოფად ლუაწლთა მიმართ, ვითარცა მოიკსენებს აფსინი, რაჟამს მიმოგანჰყოფდეს წესსა თხრობათასა და ყოველსავე წინააღმდგომსა განარჩევდეს და აღილებდეს, რომელი აწ მოძღურისაგანცა იხილვების, რამეთუ პირველ მოიქმს ქუეყანასა და ეგრეთ სთესავს თესლსა.“⁴

ეპიტაფია: „შეისწავე, რამეთუ ეპიტაფია ბერძულისაგან ქართულად საფლავისზედად გამოითარგმანების. ხოლო მე, ვინაითგან სხუად თვსაგან განკუთნვილი ძალი აქუნდა, ამისთვისცა ბერძულიცა სიტყუად დავწერე და ძალიცა მისი. რამეთუ სამნი არიან საკითხავთა აღწერისა წესნი, ცხორებისა აღწერანი და შესხმისა და ეპიტაფიადსნი. ხოლო ეპიტაფია არს, რაჟამს საფლავსა ზედა წარსრულისასა წარმოიტყოდეს ვინმე სიტყუათა გლოვისა და შესხმისა და ნუგეშინისცემათა ერთად შეზავებულთა.“⁵

საინფორმაციო ხასიათის მეტატექსტები. ბიოგრაფიული: „თეოდორიტი არს ნათესავით ანტიოქელი, სადა-იგი იშვა და აღიზარდა და განისწავლა, რომლისა საზომსა გონიერებისა და სწავლულეებისასა ცხადჰყოფენ აღწერილნი მისნი, რომელთა მიერ თავთა გამომეტყუელთა და აღმწერელთა შინა შერაცხილ არს ბერძენთა შორის. [...] ამას თანა

2 ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეტატექსტი, იხ. ხელნ. Ath. 18 (თვალთვაძე 1997: 104).

3 არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი მეტატექსტი, რომელიც ერთვის გიორგი მონაზონის „ქრონოგრაფის“ ქართულ თარგმანს, იხ. ყაუხჩიშვილი 1920: 237.

4 ეფრემ მცირე, ბასილი მინიმუსის კომენტართა ქართული თარგმანის ჩანართი, იხ. ოთხმეზური 2011: 44-45.

5 ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეტატექსტი, ეპიტაფია მამისა თვსისა გრიგორი ანძიანძორველ ეპისკოპოსისა, რომელი აღმოსთქუა საფლავსა ზედა მისსა მუნ ყოფასა დიდისა ვასილისსა, ხელნ. A. 292, 367v.

ყოველთა ძუელთა და ახალთა წიგნთა თარგმანებანი აღუწერიან და-
ბადებთიგან ვიდრე სამოციქულომდე და სხუანი პირად-პირადნი საეკ-
ლესიონი ჟამთა მოთხრობანი. [...] არამედ შურითა ეშმაკისადათა დაკნინ-
და წარმატებულებად მისი, რაჟამს წინააღმდეგომნი თავნი დაწერნა [...] კვრილეს მიმართ ალექსანდრიელისა. [...] ვინაითგან წინააღმდეგობა
კვრილესი შემწეობად ნისტორისსა შეერაცხა, [...] ვიდრემდის ბრძანები-
თა ლეონ ჰრომთა პაპისადათა შეიწყნარა იგი კრებამან ხალკიდონისამან“⁶

საისტორიო-გეოგრაფიული: „მოაქცია უფალმან ტყუედ ჩუენი, ვი-
თარცა ლუარნი ბლუარითა. ხოლო ლუარისა მისთვის, რომელ იტყვს წი-
ნასწარმეტყუიელი, ბლუარით კერძო არს იგი რინოკორორასა, რომე-
ლი-იგი არს დასაბამი ეგვპტისაჲ; და ესე გვსწავიეს მრავალთაგან, ვი-
თარმედ სარკინოსნი იგი უდაბნოხსანი შთამოვლენ რინოკორორად და
წარტყუენენ, რადცა ჰპოონ და კუალად იქცევიან ადგილთავე თვსთა..
ხოლო ლუარი ესე, რომელსა წინასწარმეტყუიელი იტყვს, მიერ სარკინო-
ზეთით მომავალ არს, ვინაჲცა ბრძანებითა ღმრთისადათა რაჟამს იქმნას
წვამად მძაფრი ადგილთა მათ უდაბნოსათა, განძლიერდების ლუარი იგი
და მძაფრიად შთამოქანეების და წარმორღუნის კარგებსა სარკინოს-
თასა და სარკინოსთა მოსრავს; ხოლო რჩეულსა ნატყუენავისასა, რადცა
წარელოს მათ, წარმორღუნის და კუალად მოიღებს რინოკორორად.
ვინაჲცა ჩვენ ვიყვებით ქალაქსა მას რინოკორორასა, გვხილავს ლუარი
იგი თვთ თუალითა ჩუენითა“⁷ შუამდინარისა ასურეთისა და კევისათვს
მარილთასა. ხოლო არცა ერთსა წიგნსა შინა იპოების განცხადებულად
შუამდინარისა ასურეთისა და ასურეთს სობაკასთვს და კევისათვს მა-
რილთასა, თვნიერ მეორესა მეფეთა წიგნსა რაოდენიმე ამათგანი და
იგიცა მრუმედ და მიფარულად. გარნა შეჰგავს, რადთა ქმნილ იყოს ესე
და დატევებულ იყოს, ვითარცა სხუად მრავალი. ხოლო კევად მარილთა
ადგილსა იტყვს და ადგილისა მოკსენებითა მუნ დაშენებულთა კაცთა
ცხად-ჰყოფს ზედა-წერილი“ (ფსალმ. 59, ზედაწარწერილი). „მთავარნი
იუდაისნი, წინამძღუარნი მისნი, მთავარნი ზაბულონისნი, მთავარნი ნეფ-
თალემისნი. იაკობ და სხუათა მათ ძმათა უფლისათა იუდა აქუნდა მამამ-
თავრად, ხოლო პეტრე და ანდრია და იოანე და ფილიპე ბეთსაიდადთ იყ-
ვნეს დაბით და მატეთოს და იაკობ ალფესი კაპერნაუმით წერილ არიან,
და სვმონ მოშურნე კანანელი იყო. ხოლო ესე ყოველნი დაბანი იყვნეს
გალილეადსნი და გალილეა ზაბულონს და ნეფთალემს ნაწილად ედგა“⁸

6 ფილოთეონ ისტორიად, რომელ არს ღმრთისმოყუარებითი თხრობად, ხელნ. A 689, 187r-187v; იხ. თვალთვაძე 2009: 214.

7 ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება, ხელნ. S 1472: 125, 4.

8 ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება, დობორჯგინიძე 1996 (2): 59 ზედაწარწე-

სამედიცინო ხასიათის მეტატექსტები: განმამრუდებელი არს მკურნალთა მიერ ოპისტონად სახელდებული სენი, რომლისა მიერ ყოვლითურთ უკულმართ უკუდრკების გუამი და ზურგსა ზედა, ვითარცა მშვლდი გარდაცუმული, მოდრკების. სამკურნალო სახლი ესე არს, რომელსა შინა პირად-პირადობისაებრ სენტასა ვპოებთ წამალთა, საკურნებელთა მათთა.⁹

მეტატექსტები გრამატიკის თეორიული საკითხების შესახებ

ძველ საქართველოში გრამატიკული ლიტერატურის არსებობის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში დასტურდება. ანტონ პირველი არაერთხელ ახსენებს ქართულ ტერმინოლოგიურ ტრადიციას,¹⁰ პირველთა ღრამმატიკოსთა, როგორც ზოგიერთი გრამატიკული ტერმინის შემქმნელებს; შდრ., „ამისთვის შეუღლებილებად უწოდებიესთ პირველთა ჩუჭნთა ღრამმატიკოსთა; ამისთვის ზედ-წოდებულ არს პირველთაგან ღრამმატიკოსთა ნაცუალ-სახელი; რამეთუ ესე იოანე ფილოსოფოსისაგან ქმნული კანონი არს.“¹¹

XIX საუკუნიდან მოყოლებული ეს ცნობები უშუალო პირველწყაროებს დაეყრდნო და არგუმენტირებული მსჯელობის საგანი გახდა. ალექსანდრე ცაგარელი დარწმუნებული იყო, რომ „ძველ ქართულ სამყაროში ნამდვილად უნდა არსებულიყო გრამატიკული ლიტერატურა, რალაც გრამატიკული სახელმძღვანელო; ყოველ შემთხვევაში, გრამატიკული კატეგორიების ზოგადი განსაზღვრებები, მეტყველების ნაწილთა სისტემა, გრამატიკული ტერმინოლოგია, მოძღვრება უღლებისა და ბრუნების შესახებ, ერთი სიტყვით, არსებობდა გრამატიკის ჩონჩხი“¹²

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის არის აღნიშნული, რომ საქართველოში გრამატიკული აზროვნების აღმოცენება მთარგმნელობით და რედაქტორულ საქმიანობას უკავშირდება¹³. ტექსტის

რილი; 67, 26; 91, 2.

9 ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება, ხელნ. S 1472: 83, 4; მოსეს გალობა, 2.
 10 ძველი ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის საკითხები დამუშავებულია ცალკეული ავტორების, განსაკუთრებით, ეფრემ მცირის, არსენ ივალთოელისა და იოვანე პეტრიწის ენისა და სტილის კვლევისას. იხ. ბეზარაშვილი 2004: 260-318; გეწაძე 1978: 38-58; დობორჯგინიძე 1998: 81-126; თვალთვაძე 2009: 31-53; დ. მელიქიშვილი 1984: 106-120; ნ. მელიქიშვილი 1987: 119-129; ოთხმეზური 2011; ფოცხიშვილი 1979; ცერაძე 2001; ხოფერია 2001: 418-431.
 11 ანტონ კათალიკოსი 1885: 258.
 12 Цагарели 1873: 15.
 13 მ. შანიძე 1990: 7.

(განსაკუთრებით, თარგმანის) გაგების გასაიოლებლად მთარგმნელები მკითხველს უხსნიან როგორც უცხო ენათა (განსაკუთრებით, ებრაული-სა და ბერძნული), ასევე საკუთრივ ქართულისთვის დამახასიათებელ (*ἰδὲναμα, οἰκείον* – თვისი, მეყვსი, წესისაებრი)¹⁴ მოვლენებს. სწორედ ამიტომ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა მთარგმნელობითი მეტატექსტების შესწავლას ძველი ქართული პრაქტიკულ-ჰერმენევტიკული გრამატიკის რეკონსტრუქციისათვის; შდრ.: „ის ცალკეული გრამატიკული დაკვირვებანი, რომლებიც ეფთვემ და გიორგი მთაწმინდელებს, არსენ იყალთოელს, ეფრემ მცირეს თუ სხვებს სქოლიოებისა და კიდურწერილობების სახით მოეპოვებათ, საგანგებოდ ჯერ არავის მოუკრებია და გამოუქვეყნებია. ამიტომ იმ საგულისხმო საკითხის გასათვალისწინებლად, თუ რა თვისებისა და ღირებულებისა იყო ძველ ქართველ მეცნიერთა ქართული და ბერძნული ენების რაბამობის ცოდნა, ჯერ თითქმის არავითარი მასალები არ მოგვეპოვება“¹⁵.

ამ თვალსაზრისით ბევრი რამ უკვე გაკეთდა. საგანგებოდ დამუშავდა ცალკეული ავტორის თუ სამწერლობო-მთარგმნელობითი სკოლის ლინგვისტური და ტექსტოლოგიური კონცეფციები, სხვადასხვა უანრის თხზულების თარგმნასა და კომენტირებასთან დაკავშირებული ფილოლოგიური საკითხები;¹⁶ თუმცა, ძველი ქართული პრაქტიკული გრამატიკის მონოგრაფიულ შესწავლამდე ივანე ჯავახიშვილის ეს შეფასება რამდენადმე მაინც სამართლიანია.

ქვემოთ განვიხილავ მთარგმნელობით მეტატექსტებს,¹⁷ რომლებშიც ბერძნული და ქართული ენებისთვის დამახასიათებელი საკითხები განხილულია პრაქტიკული გრამატიკის თვალსაზრისით.¹⁸

14 ქართული და უცხოური ენებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, წესებისა და კანონზომიერებების აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინების შესახებ იხ. დობორჯინიძე 1998: 111-125.

15 ჯავახიშვილი 1992 (ტ. X): 4.

16 ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქეთევან ბეზარაშვილის, დარეჯან თვალთვაძის, ნათელა კეჭალმაძის, მანანა მაჩხანლის, დამანა მელიქიშვილის, ნინო მელიქიშვილის, ელენე მეტრეველის, თამარ ოთხმეზურის, მაია რაფავას, მზექალა შანიძის, ნანა ჩიკვატიას, თინა ცერაძის, თინათინ ცუტიციშვილის, სოფიო სარჯველაძის, ზურამ სარჯველაძის, ანა ხარანაულის, ლელა ხოფერიას ნაშრომები; ისინი კონკრეტულ საკითხებზე საუბრისას ცალ-ცალკე იქნება მითითებული.

17 ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელისა და სხვა მთარგმნელთა მეტატექსტები სხვადასხვა დროს განხილული იყო ენობრივი, სალიტერატურო თუ მთარგმნელობითი პერსპექტივიდან. ამჯერად მათ აღარ მივუბრუნდები. ქვემოთ წარმოდგენილი ლინგვისტური მეტატექსტები, ძირითადად, ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანებიდან არის დამოწმებული. იხ. დობორჯინიძე 1995: 105-109.

18 ბიბლიის ენისთვის დამახასიათებელი მოვლენების შესახებ თეორიული განმარტე-

მრავალკეცობა. ეს ტერმინი ხოლმეობითის ფუნქციით იხმარება. მეტატექსტის ავტორის აზრით, იგი აღნიშნავს „თვსობას“, „საკუთრებას, არა ერთ, არამედ მრავალკეც განმეორებად, საგნისთვის დამახასიათებელ მოვლენას. მრავალკეცობა სიტყვის მრავალჯერ განმეორებით, ან გარკვეული გრამატიკული ფორმით შეიძლება გამოიხატოს: ერთ-ერთი ფსალმუნის განმარტებაში ლაპარაკია უფლის შიშზე, როგორც მორწმუნე ადამიანის დამახასიათებელ თვისებაზე და ეს შინაარსი მრავალკეცობის, ანუ ხოლმეობითის ფორმითაა გადმოცემული: „და მრავალკეცობითა საკუთრებად წარმოაჩინა [...] არა თქუა, თუ: ეშინოდა, არამედ ეშინოდის ამის ახლად გამოჩინებულისა ნაყოფისაგან კაცთა შორის.“¹⁹

ბრძანებითი კილო. სხვა გრამატიკული საკითხების მსგავსად, ბრძანებითი კილოს „სახს და ძალიც“ კონკრეტული პრაქტიკული თვალსაზრისით აინტერესებს ავტორს თუ მთარგმნელს: მას ეხამუშება, რომ ადამიანის თხოვნა, ვედრება ღმერთისადმი ბრძანებითის ფორმითაა გამოხატული და შეგვახსენებს ამ კატეგორიის დამატებით მნიშვნელობას: „ძალი ვედრებითი აქუს.“ ვედრებითობის, ანუ ნატვრითი კილოს გამოსახტავად ქართულს სპეციალური ფორმა არ გააჩნია და საამისოდ ბრძანებითს იყენებს. ეს შინაარსი ბერძნულშიც ბრძანებითის ფორმითაა გადმოცემული (შდრ., მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი), თუმცა ბერძნულში ნატვრით კილოს სპეციალური ფორმები აქვს და განმარტებისას ეგზეგეტიკოსები ნატვრითობის (ოპტატივის) ფორმას იყენებენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის განმარტებები სამართლიანადაა დაკავშირებული ანტიკურ ფილოლოგიასთან, კერძოდ, ჰომეროსის „ილიადას“ პირველივე ტაეპის ბრძანებითი კილოს (Μῆτις ἄνεῖνθ ἕει) ალექსანდრიულ კომენტარებთან. როგორც მკვლევრები მიუთითებენ, ამგვარი განმარტებები ბიბლიის ენისთვის ჰომეროსის ფილოლოგიის მისადაგებას უფრო ჰგავს, ვიდრე ბიბლიის ენისთვის დამახასიათებელი გრამატიკული საკითხების კვლევას.²⁰

შდრ.: „აღდეგინ ღმერთი და განიზნინედ ყოველნი მტერნი მისნი“ [...] ხოლო აღდგომაღ ღვთივშუენიერად გულისკმა-ყო აღძრვად მისი შურისსაგებელად. დაღათუ ბრძანების სახედ გამოსახულ არს სიტყუად, თუ: აღდეგინ და განიზნინედ, არამედ ვედრებითი ძალი აქუს. [...] ვითარმედ სხუ-

ბების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით, ბერძნულ-ებრაული დედნების თავისებურებათა ახსნა-განმარტებანი, ორიგინალიდან მომდინარეობს, ქართული თარგმანისა და, ზოგადად, ქართული ენისთვის დამახასიათებელი მოვლენების ლინგვისტური კვალიფიკაცია ქართველ მთარგმნელებს ეკუთვნით.

19 დობორჯგინიძე 1996 (2): 66,7.

20 შდრ. Dörrie 1974: 131.

აგანცა გვთქუამს ამათ პირთათჳს, თუ: აღდეგინ და განიზნინედ და მოაკლდენ და ივლტოდედ. [...] „მართლუკუნ-იქცნედ, სირცხვლელ-იქმნედ, რომელნი განიზრახვიდეს ჩემთჳს ძჳრსა“ რომელთა ბოროტთა ჩუენთა ზედა უხაროდისო, უკუნ-იქცნედ მეოტნი სირცხვლითა და მხედვიდედ კეთილთა შინა. არა სწყევს საკმართათჳს, არცა საზღუართათჳს ქუეყანისათა, არამედ სულისა ვნებათათჳს და განმაშორებელთა ღმრთისაგან. უკუნ-იქცნედ და სირცხვლელ-იქმნედ, დაღათუ ბრძანებითი სახე აქუს, გარნა ძალსა ვედრებით განითჳსებს. [...] „კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღემენენ ძღუდენი იერუსალიმისანი“ თუ: აღემენენ, სავედრებელი არს, დაღათუ ბრძანებითა ჰგავს.²¹

ბრძანებითის ფორმებს, განმმარტებლის დაკვირვებით, სხვა „ძალის განთჳსებაც“ შეუძლია. მას მომავალი დროის გაგება აქვს და ზოგჯერ სწორედ ამ ფუნქციით იხმარება;²² შდრ.: „ხოლო თუ იყავნ და დაუბნელდენ, ბრძანებითი არს მომასწავებელი მომავალთა და წინასწარ მოასწავებს მათ ზედა მომავალსა საძნაურსა, ხოლო შეჰგავს ესეცა, რადთა ვითარცა ღმერთი ბრძანებდეს ყოფადთათჳს და მომავალთა. [...] დასასრულსა დავითის ფსალმუნი. წინამდებარე ესე ფსალმუნი ვნებათა ქრისტესთა მოასწავებს, და რად-იგი იქმნებოდა იუდას მიერ და ჰურიათა მიერ, და რაოდენნი-რად ითქუმოდა ლოცვითა უფლისა მიერ [...] ხოლო თუ დადეგინ მარჯუენით მისა, ესე იგი არს, ვითარმედ დადგების, რამეთუ არა ყოფილსა ყოფად ილოცვიდა (ე.ი. ვედრებითი ძალი კი არ აქვს, როგორც სხვა შემთხვევებში), არამედ ყოფადსა წინასწარმეტყუელებდა.²³

ზოგადი და განთჳსებული სახელი. ეს ტერმინები საზოგადო და საკუთარი სახელის მნიშვნელობით იხმარება. მთარგმნელი საგანგებოდ გამოყოფს შემთხვევებს, რომლებშიც საკუთარი სახელი საზოგადოს ფუნქციით იხმარება; შდრ.: „ფსალმუნი დავითისი, ოდეს შეცვალა პირი თჳსი წინაშე აბიმელექისსა და განუტევა იგი და წარვიდა.“ ორთა მიზეზთა მიმართ მიმიზიდავს ჩუენ ძალი ფსალმუნისაჲ. ერთად, რად-იგი იქმნა ნომეანს, ქალაქსა მლუდელთასა, და მეორედ – გეთს, ანუხს მეფისა მის წინაშე უცხოთესლთასა. რამეთუ ქალაქსა მას შინა მლუდელთასა პურნი იგი შესაწირავთან ი შეჭამნა აბიათარ მლუდელთმოდურისა ზე და წინაშე აბიმელექისსა შეიცვალა პირი თჳსი, რამეთუ იჩემა სისულელჳ და მტერიანობაჲ და ესრეთ განევლტოდა კელთაგან მისთა. ხოლო აბიმელექ სახელი არს ზოგადი, ვითარცა ჰრომაელთა კეისრობა და მეგჳტელთა

21 დობორჯინიძე 1996 (1): 50, 18; დობორჯინიძე 1996 (2): 67,1; 69, 2.

22 აწმყოს ზმნისწინიანი ფორმების მყოფადის მნიშვნელობით გამოყენება პირველად სწორედ ბრძანებითი კილოს ფორმებში უნდა დაწყებულიყო. იხ. ჭუმბურიძე 1986.

23 დობორჯინიძე 1996 (2): 68, 21; ხელნ. S 1472: 108 (ზედაწერილის განმარტება),

ფარაობა და ანუ თვთ სახელი არს მისი განთვსებული“. [...] „ფსალმუნი დავითისი, ზაქარიადსგან“. ესე იგი არს, ვითარმედ წინასწარმეტყულება ესე დავითისი ითქუა ქრისტესთვის, რამეთუ ზაქარ კსენებად გამოითარგმანების, ხოლო იაო განთვსებული სახელი არს ღმრთისაჲ ენასა შინა ებრაელთასა, ვინადცა ფსალმუნი ესე დავითისი და ზაქარიადსი ფსალმუნ არს დავითისა, ხოლო მოსაკსენებელ ღმრთისა.²⁴

კუმევიითი და დამართებითი სიტყუაჲ. ეს ტერმინები პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობის მქონე გამოთქმას აღნიშნავს. მათ ხშირად ხმარობს გამოკრებული თარგმანების ავტორი. ეს გასაგებიცაა. ფსალმუნთა წიგნი წინასწარმეტყველებაა, ამიტომაც მასში ბევრი რამ სახე-მოღებით ან ქცევა-უწყებით არის ნათქვამი და ისინი უნდა გავიგოთ არა დამართებით (ე.ი. პირდაპირი მნიშვნელობით), არამედ კუმევიით (გადატანითი მნიშვნელობით); შდრ.: „ხოლო ღმერთმან მეუფემან ჩუენმან წინა საუკუნეთამან. წინა საუკუნეთამან არა არს დამართებით სიტყუა, არამედ კუმევიით, ნაცვალად ამისა თუ: პირველითგან [...] ამასცა სიტყუასა მოიღებს და იტყვს კუმევიით; [...] ჩვეულება არს ძუელთა, ფრიადსა მწუხარებასა ზედა თქუმად, ვითარმედ: მოვკუედ; ცხად არს, ვითარმედ კუმევიით იტყვს მოკლებისათვს კორციელთა ძალთასა. [...] „რამეთუ დღე და ღამე დამიძიმდა ჩემ ზედა კელი შენი“ დღე და ღამეობა აქა ნაცვალად სამარადისობისა ითქუმის.²⁵

კითხვსა და დაკვრვების სახე – ეს ტერმინები კითხვისა და ძახილის ინტონაციებს აღნიშნავს. მეტატექსტების ავტორი ამჩნევს, რომ ფსალმუნთა ტექსტში ეს ინტონაციები ზოგჯერ ძნელი გასარჩევია. ამას ემატება ისიც, რომ ბიბლიის ენას გრამატიკული შინაარსის „ქცევით“ უწყება ახასიათებს, ანუ სახე სხუად აქუს სიტყუასა წერილისასა და სხუასა გულისკმა-გვყოფს.

შდრ.: „ვითარ საყუარელ არიან საყოფელნი შენნი, უფალო ძალთაო! ვითარი ესე არა კითხვის სახე არს, არამედ დაკვრვებისა. [...] „ვითარ განდიდნეს საქმენი შენნი, უფალო! ამას ვიტყვთ არა კითხვით, არამედ განკვრვებით, ეჰა, ვითარ განდიდნეს საქმენი შენნი, უფალო! [...] „არათუ შენ, ღმერთმან, რომელმანცა განმთხიენ ჩუენ?“ ამას კითხვის სახედ უნდა აღმოკითხვა, ესრეთვე და შემდგომსაცა სიტყუასა, ვინადცა ჰკითხვენ, ვითარმედ არასადადთ სხუაგნით ესვენ და მოელიან მიმთხუევად ესევითარსა მაცხოვარებასა? [...] „ანუ არა ღმერთსავე დაემორჩილოსა სული ჩემი? რამეთუ მის მიერ არს ცხოვრებაჲ ჩემი: პირსა ზედა ღმრთისმსახურთა მაკაბელთა მწყობრისასა თქუმულ არს ესე მძლავრ-

24 ხელნ. S 1472: 137 (ზედაწერილის განმარტება).

25 ხელნ. S 1472: 73, 12; 102, 7; დობორჯგინიძე 1996 (1): 30, 10; 31, 5.

თა მათ მიმართ მტერთა, რომელთა კელ-ყვეს განყენებად მისი სჯულ-თაგან საღრმითოთა და წესთაგან მამულთა. ხოლო შეკავას ყოველთავე მსგავსთა მათთა სათნოებათა მტკიცედ დგომისათჳს, და კითხვის სახედ ძეს სიტყუად, ვითარმედ, არა ღმერთსა ვერჩდვა? უფროდსა რომელი ბრძანებს, არა განყენებად სჯულთაგან მისთა“?²⁶

მეტატექსტებიდან აშკარაა, რამდენად პროფესიონალურია მთარგმნელთა სალიტერატურო-მწიგნობრული პრაქტიკა. ისინი ფართო კონტექსტების გათვალისწინებით სწავლობენ სათარგმნი ტექსტის ისტორიას, კონკრეტულ სიტყვას, მხატვრულ სახეს, ეპიზოდს.

ვნახოთ კონკრეტული მაგალითები: შდრ., ფსალმ. 54, 1: „*ყურად-იღე, ღმერთო, ლოცვისა ჩემისა და ნუ უფულებელს-ჰყოფ ვედრებასა ჩემსა. მომხედენ და შეგესემინ ჩემი. პირველ თქუმულ არს ამისთჳს მეორესა მუკლსა ორმეოცდამეათსამმეტისა ფსალმუნისასა. ხოლო დახედვა უნდა ამას, რომელ მეთექუსმეტესა ფსალმუნსა შინა წინაუკმო არიან სიტყუანი ესე. რამეთუ მუნ პირველად იტყჳს: შეისმინენ, და მერმე – მოხედენ და უკუანადასკნელლა – ყურად-იღე. ვიდრელა ცხად არს, რომელ არცა ერთი რაა განყოფილება აქუს სიტყუასა ამას: [...] დასასრულსა, ქებათათჳს. ხოლო უნდა დახედვა ამას, რამეთუ სადა ქებად ოდენ იტყჳს წერილი, პირითა ოდენ იქებოდა, ხოლო სადა წერილ არს ქება გალობისა, ორღანოთა მიერ და სხუათა რათმე კმა-ჰამოვნებათა იქებოდა საგალობელი იგი. [...] რად გარე-მიიქცევ კელსა შენსა და მარჯუენესა შენსა სრულიად? დახედვა ჯერ-არს სრულიადსა, თუ ვითარ მრავალგან ძეს ფსალმუნსა ამას შინა, რომელი გამოაჩენს სამარადისოდ განყრასა ჰურიათასა“ . [...] „და მცეს საჭმლად ჩემდა ნავლელი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი.“ იტყჳს მახარებელი იოვანე, ვითარმედ: შემდგომად ამისა იხილა იესუ, რამეთუ ყოველივე აღესრულა, რადთა აღესრულოს წერილი. თქუა: მწყურის. დგა მუნ ჭურჭელი ძმრითა სავსე. ხოლო მათ აღავსეს ჭურჭელი ძმრითა და უსუჰსა დაადგეს დ მიუჰყრეს პირსა მისსა. ამას სიტყუასა უწოდა წერილად მოციქულმან. და მათე იტყჳს, ვითარმედ: მისცეს მას სასმელად ძმარი ნავლელითა განზავებული. და კუალად მარკოზ: მირბიოდა ერთი და აღავსო ღრუბელი ძმრითა, დადგა ლელწამსა და ასუმიდაო. ხოლო შეკავას, რომელ სხუამან ნავლელი მოართუა ბასრობით და სხუამან – ძმარი, და სხუამან – აღრეული“²⁷.*

ეფრემ მცირის ერთ-ერთ მთარგმნელობით მეტატექსტში ვკითხულობთ: „შეისწავე, რამეთუ ესე შუდმოქცევაჲ ელიადისი არცა საწინას-

26 ხელნ. S 1472: 83, 1; 101, 24; 59, 10; 61, 1.

27 ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება (დობორჯგინიძე 1996 (2): 54, 1; 60, ზედაწარწერილი; 68, 20. ხელნ. S 1472: 73, 11.

წარმეტყუელთა შინა იპოების და არცა ზოგთა ღმრთისმეტყუელთა. ვინაჲცა საძიებელ არს, თუ სადაჲთ მოღებულ არს ამისდა შუადმოქცევაჲ ელიაჲსი. რომელი მე მას დედასა, რომლისაგან ვთარგმნენ ესე ღმრთისმეტყუელისა საკითხავნი, ესრეთ ვპოე, ვითარმედ: ვითარ-იგი საიდუმლოდ სამ შთაბერვასაცა ელია წინაჲსწარმეტყუელისასა. და ეგრეთვე მითარგმნია სიტყუად ესე, ვითა მუნ ვპოენ. რამეთუ ელისესთვს ოდენ წერილ არს საწინასწარმეტყუელთა შინა შუადგზის მოქცევაჲ, რომლისა თანა შუადგზის შეიკუნძა, ხოლო აქა კულა ესრეთ ვთარგმნე, ვითა ვპოე და ესრეთვე სხუათაცა ზოგთა ღმრთისმეტყუელთა იპოების ბერძულად და მამასა ეფთუმესცა ეგრეთვე უთარგმნია, შემინდევით. თუ ესრეთ იყოს, აჰა, წინაშე არს და თუ ეგრე იყოს, ვითა ჩუენსა დედასა შინა ეწერა, მაშინ ესე თარგმანი სამშთაბერვისთვისცა ვითარგმნის, თუ ვითარ სწორრიცხუედ არს სამი შუადისაჲ.²⁸

მთარგმნელთა ტექსტოლოგიური, უფრო ზუსტად, კონტექსტუალური კვლევა-ძიება სისტემატიზებული ჩანს მეტაფორული წარმომავლობის ტერმინებში; შდრ., „დახედვა ჯერ-არს ამას;²⁹ მიზეზი ამისა რეცა საძიებელ არს; დახედვა უნდა ამას სიტყუასა და ა.შ.³⁰

28 გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიების ქართულ თარგმანზე დართული მეტატექსტი, იხ. ხელნ. Jerus. 43, 231r.

29 შდრ., ანტიოქიური ეგზეგეტიკის ბერძნული ტერმინი ὀρθὸς ἔπος [τ].

30 მეტაფორული წარმომავლობის ეს და სხვა მთარგმნელობითი ტერმინები ნაშრომის მესამე ნაწილში იქნება განხილული.

მებატაქსტები ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანთა ენობრივი და სტილური თავისებურებების შესახებ

ბიბლიის ძველი ქართული თარგმანების ენა, ენობრივი ქსოვილი, როგორც გენეზისის, ასევე სტრუქტურული თვალსაზრისით, სინკრეტულია: იგი აერთიანებს სხვადასხვა ეპოქისა და ტრადიციის მორალურ-ეთიკურ, ესთეტიკურ და ენობრივ-გამომსახველობით კონცეპტებს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანს გამოსატყვის პლანის სემიტურ-ალმოსავლური და ელინისტური ტრადიციები; პირველს ქართული თარგმანის სახეობრივ, მხატვრულ-ესთეტიკურ შრეზე უნდა დაეტოვებინა თავისი კვალი, მეორეს კი – სისტემატიკისა და ცნებითი ლიფერენცირების სიბრტყეზე.¹

ამიტომ ბიბლიის ქართული თარგმანის ენის შესწავლა, თარგმანის პრინციპების, აღქმისა თუ გამოსატყვლების პლანის ამა თუ იმ საკითხის შეფასება, პირველ რიგში, ამ სახელმძღვანელო კონცეპტების, ისტორიულად განპირობებული თეორიული საფუძვლების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ეს კი ნიშნავს, რომ უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ კონკრეტულ მთარგმნელთა მეთოდის გენეალოგია, არამედ ისიც, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მეთოდს კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში.

ამას გარდა, ბიბლიის ქართული თარგმანის შესწავლისას ურთულესი ტექსტოლოგიური ამოცანები იკვეთება. ესაა ბიბლიის ცალკეულ წიგნთა წარმომავლობისა და თარგმანის რედაქციების ურთიერთმიმართების პრობლემა. როგორც ანა ხარანაული აღნიშნავს, კვლევის თანამედროვე ეტაპზე ბიბლიის ქართული თარგმანის სავარაუდო დედანთან მიმართების გარკვევისას ხელმძღვანელობენ თარგმანთა შედარებით გვიანდელი ხელნაწერებით. მართალია, ისინი შემონახულთაგან ყველაზე ძველია, მაგრამ სულ მცირე ხუთი საუკუნით გვიანდელია, ვიდრე

1 სემიტურ-ალმოსავლური კონცეფცია სახეობრივია, კონკრეტული სურათებითა და სახეებით მეტყველებს; იგი ისტორიულია, მიმართულია დროსა და მოძრაობაზე, ორიენტირებულია მთლიანზე და არა ცნებით ლიფერენცირებაზე. ფილოსოფიასა და რიტორიკაში გაწაფული ბერძნული კი სიტყვაში (და არა სურათში) გადმოსცემს ლოგოსს, აბსტრაქტულია, სტატიკური და არაპერსონიფიცირებული, შესაბამისად, ზედროითია და არაისტორიული, ლოგიკასა და სისტემატიკაზე დაფუძნებული. იგი ცნებათა წყვილებით ოპერირებს: ერთგვაროვნება და მრავალფეროვნება, ინდივიდი და კოლექტივი, დრო და უდროობა, სინამდვილე და ილუზია, მატერია და ფორმა. გამოსატყვლების ებრაული და ბერძნული მოდელის, მათი გავლენის შესახებ ბიბლიის, მათ შორის ბიბლიის თარგმანის ენაზე იხ. Barr 1967, აქ გვ. 30.

არქეტიპული, ავთენტური თარგმანი.² ამას ისიც ემატება, რომ თარგმანებს დროდადრო გადაამუშავებდნენ სხვადასხვა ენისა და კულტურული გარემოს (ბერძნული, ებრაული, სომხური) ბიბლიური ტექსტების მიხედვით.

ამგვარი სირთულეების ფონზე განსაკუთრებით საყურადღებოა ძველ ქართველ მთარგმნელთა მეტატექსტები, რომლებშიც ისინი თარგმანთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე საუბრობენ, ქართული თუ უცხოენოვანი ბიბლიის ტექსტის ენობრივ და სტილურ თავისებურებებზე მსჯელობენ.

ბიბლიის მთარგმნელობითი მეტატექსტების უმეტესობა ორიგინალისა და თარგმანის ტექსტობრივი მიმართების საკითხებს ეხება. მათგან განცალკევებით განიხილება ენობრივი მოვლენები, რომლებიც სათარგმნი დედნების გავლენით დამკვიდრდა ბიბლიის ძველი ქართული თარგმანისა და ქართული ორიგინალური ძეგლების ენაში.³

ამ საკითხთა კვლევას ჩვენში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს; ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ძველი ქართული სამწერლო ენის არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა აღწერილი თუ შეფასებული.⁴ ამჯერად

2 თანამედროვე ეტაპზე ბიბლიის, განსაკუთრებით ძველი აღთქმის, კვლევის პრობლემების შესახებ იხ. ხარანაული 2001: 296-330. ქართული ბიბლიის კვლევის ისტორიაში, სავარაუდოდ, დასრულდა ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი: ხელნაწერების მოპოვება, და საფუძვლიანად შესწავლა, მეტ-ნაკლებად სრული კრიტიკული გამოცემების მომზადება, ბიბლიის ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის შესწავლა (განსაკუთრებით, ორიგინალური ძეგლების ენაზე ბიბლიის თარგმანის ენის გავლენის თვალსაზრისით) და ა.შ. ახალი, ტექსტუალური კრიტიციზმის მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებული კვლევის ეტაპი ყველაზე შესამჩნევად უჩა ცინდელიანის ნაშრომებით დაიწყო. იხ. ცინდელიანი 1975: 62-78; ცინდელიანი 1999: 180-195; ცინდელიანი 2001: 176-185.

3 ბიბლიის ძველი ქართული თარგმანების კვლევის სხვადასხვა ეტაპზე „გამოირკვა რამდენიმე საყურადღებო საკითხი ქართული სამწერლო ენის ისტორიიდან, როგორცაა, სინტაქსური კონტამინაცია, მორფოლოგიური პლეონაზმი, ადგილობითი ზმნისწინების მოხშირება, ტმესი ზმნის უარყოფით ფორმებთან და სხვა. რადგან დასახელებული მოვლენები (ბიბლიური თარგმანების გავლენით) ორიგინალური ძეგლების ენაშიც იყო გავრცელებული, ამიტომ მათი უცხოურობა ნაკლებად შესამჩნევი იყო; ამ ფაქტიდან საცნაური გახდა შემდეგიც: ორიგინალური თხზულებების ენა ყოველთვის შეიძლება არ იყოს დედაენის ბუნების გამომხატველი, ამიტომ აუცილებელია უცხოენოვანი ელემენტების გამოწველივით შესწავლა ბიბლიურ თარგმანებში, რათა სწორი წარმოდგენა გვექონდეს ქართული სამწერლო ენის ადრეულ ვითარებასა და განვითარების ისტორიაზე“ (დანელია 1983: 6).

4 აქ დავასახელებ მხოლოდ იმ ლიტერატურას, რომელიც ამ სპეციფიკურ საკითხს, ბიბლიურ კალკებსა და სალიტერატურო ენაზე მათს გავლენას ეხება. იხ. დანელია 1975: 79-90; დანელია 1978: 91-104; დანელია 1973; დანელია 1981; დანელია 1998ა: 94-108; დანელია 1998ბ: 443-471; დანელია 1998გ: 58-75; დანელია 1998დ: 76-83; მ. შანიძე 1979.

შევჩერდები მხოლოდ იმ თავისებურებებზე, რომელთაც „ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანების“ შემდგენელი⁵ შენიშნავს და ხსნის მთარგმნელობით მეტატექსტებში.

მეტატექსტების მიხედვით, ტერმინოლოგიზებული ჩანს *წერილის ენა*, *წერილისაებრი განმარტება*. ეს ტერმინები სხვა ქართულ თარგმანებშიც დასტურდება.⁶ კორნელი კეკელიძე მათ ისტორიულ, ანუ *თხრობისაებრ განმარტებებს* აკუთვნებს და ასე ხსნის: „წერილისაებრი თარგმანება ისეთი განმარტებაა, რომელიც, გარდა იმისა, რაც დაწერილია, სხვა აზრს არ ეძებს“⁷.

ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანების მეტატექსტების მიხედვით „წერილისაებრი, წერილისმიერი თარგმანება“ უნდა ნიშნავდეს კონკრეტული სიტყვის ან ფრაზის იმ მნიშვნელობას, რაც მას ახასიათებს ბიბლიის ქართულ თარგმანში, ანუ წერილისაებრ; შდრ., „რომელ აღმოუცენებს თივასა პირუტყუთა და მწუანესა – სამსახურებელად კაცთა“ ჩუეულება არს წერილთა, გულისკმისმყოფელთა და მეცნიერთა წოდებად კაცთა და უგუნურთა – პირუტყუად; ვითარ-იგი პირუტყუნი თვნიერ თივისა სხუასა არარას მიიღებენ ეგრეთვე მათნი მსგავსნი კაცნი სხუასა არას ეძიებენ, თვნიერ ჭამისა და ნაყროვანებისა. ხოლო თივა წერილისაებრ სიმაძღრედ გამოითარგმანების, და მისცემს მეძიებელთა ამისთა ღმერთი, ხოლო კაცთა, მეძიებელთა სათნოებისათა, მიანიჭებს სასუფეველსა მწუანვილოვანად სახელდებულსა საშუებელსა“⁸.

წერილის ენას „სამღდელო ენის“ სინონიმად ხმარობს სულხან-საბა ორბელიანი. დავით გეწაძის განმარტებით,⁹ სულხან-საბას ტერმინები: *წერილის ენა*, *სამღდელო ენა*, უნდა ნიშნავდეს ზოგადად სალიტერატურო ენას (საეკლესიოს თუ საეროს), ხოლო მსოფლიო ენა, ან სოფლური – ცოცხალ, ზეპირსამეტყველო ხალხურ ენას.¹⁰

5 სხვადასხვა ბერნული და ქართული წყაროს საფუძველზე შედგენილი ეს თხზულება ანონიმურია. ყველაზე ძველი, ნაკლული დედნიდან გადაწერილი ხელნაწერი XIII საუკუნეებით თარიღდება (მზ. შანიძე 1971: 70-97). ამ თხზულების დიდი ნაწილი, მათ შორის, მთარგმნელობითი მეტატექსტებიც, ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანებას“ ემთხვევა (დობორჯინიძე 1998: 5-40). ამ თხზულების მთარგმნელობითი მეტატექსტების შესახებ იხ. დობორჯინიძე 1999: 41-48.

6 მიტროფანე ზმურნელის *ეკლესიასტეს თარგმანება*, თეოფილაქტე ბულღარელის *მათეს სახარების თარგმანება* და ა.შ. იხ. დობორჯინიძე 1998: 66.

7 კეკელიძე 1973: 226.

8 ხელნ. S 1472: 103, 14;

9 გეწაძე 1978: 39.

10 წიგნურისა და სოფლურის კონცეფციები სხვადასხვა ეპოქის ქართული წყაროების მიხედვით და მათ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრი-

უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველ ქართულ ეგზეგეტიკურ კრებულებში წერილის ენა განზოგადდა და საერთოდ სალიტერატურო, წერილობითი ძეგლის ენას აღნიშნავდა.

მთარგმნელობით მეტატექსტებში გაზიარებული ჩანს თვალსაზრისი, რომ ბიბლიის ორიგინალის ენამ გავლენა იქონია ქართული თარგმანის ენასა და სტილზე. ირკვევა, რომ ზოგიერთი სიტყვა ქართულად ითარგმნა არა ისე, „ვითარ-იგი ჩუენსა ენასა შეეცყუებოდა, არამედ „მეყსობისაებრ, ჩუეულებსაებრ ებრაულისა, ან ბერძულისა.“ გამოდის, რომ ქართულმა თარგმანმა შინაარსის გადმოსატანად მისთვის ბუნებრივ გამომხატველობით საშუალებებს კი არ მიმართა, არამედ დედნის ენასთან ზედმიწევნითი სიახლოვით, „მეყსობით“ გადმოიღო „ოდენ მოსწავება პირსა თითოეულისა სიტყუსასა.“¹¹ უცხო ენათა „მეყსობისაებრ“ ფორმებში მეტატექსტების ავტორი ორ ჯგუფს გამოყოფს:

ა. *სინაკლჳ აქუს სახესა*. ეს ისეთი ფრაზებია, რომელთაც რაღაც სიტყვა, ან სიტყვათა გარკვეული ჯგუფი აკლია; ამიტომაც არაბუნებრივია ქართულისათვის. ამას ბიბლიის განსაკუთრებული შინაარსი განაპირობებს. იგი ზუსტად, სიტყვა-სიტყვით, უმცირესი სხვაობის გარეშე უნდა ითარგმნოს. ეს ბიბლიური წიგნების თარგმნის ზოგადი პრინციპია და თანაბრად ახასიათებს როგორც ბერძნულ, ისე ქართულ თარგმანებს.

ვნახოთ რამდენიმე მაგალითი: „რად ძეს ჩემი ცათა შინა, და შენგან რად ვინებე ქუეყანასა ზედა.“ ესე ვიეთმე ღმრთისაგან თქუმულად გაიგონეს, ვითარმედ, ღმერთმან ჰრქუა კაცსა, თუ: რად მაქუს სხუა ცათა შინა ანგელოსთაგან, თვნიერ ოდენ მსახურებად და მორჩილებად, და შენგან რად ვინებე ქუეყანასა ზედა, არამედ ესე ოდენ. სხუებრ: რად არს სასწრაფო ჩემდა ცათა შინა, თვნიერ შენ ოდენ და შენგან რად ვინებე სხუა ქუეყანასა ზედა, არამედ შენადვე და შენ მიერ შეწევნად. ესე ძალი აკვლა გარდასცა, ხოლო სათქუმელ არს ესე ყოველთა მიმართ, რომელ მრავალგზის არს ნაკლულ სიტყუად ებრაელთა ენისა, სადაათ-ესე ბერძულად გარდაღებულ იქმნა ოდენ მოსწავება პირსა თითოეულისა სიტყუსასა და განვრცომად ყოვლად არა თავს-იდვა“ [...] „უფალი მათ შორის სინასა, მთასა წმიდასა მისსა;“ ხოლო აქუს სინაკლჳ სახესა, აკლს თუ: რომელი: „უფალი მათ შორის, რომელი იყო ოდესმე სინას წმიდასა:“ და რომელი ერთ-არს, რომელი აქაცა და მუნცა სჯულისმდებლობს, ხოლო წმიდა არს სინა, ვითარცა წმიდა-ქმნილი მოსლვითა ღმრთისაათა და ღმრთისა განსაკუთრებული. [...] „ნუ აღიღებთ მალლად რქასა თქუენსა, ნუ იტყვთ სიცრუესა ღმრთისათუს, რამეთუ არცა აღმოსავალით, არცა

სები იხ. Boeder 2003: 199-223.

11 ხელნ. S. 1472: 72, 24.

დასავალით, არცა უდაბნოთაგან მათათმსა. რომელნი-იგი არიან უდაბნო კაცთაგან, რომელნიმე კერპნი გარდამატებულისათუს სიცივისა და რომელნიმე – უზომომსა სიციხისა. ხოლო აქუს სინაკლჴ სახესა. აკლს თუ: შესცოდეს.¹²

ბ. სიტყუამეტნობა (განვრცობით თქუმა). ესაა თარგმანში ორიგინალის ენიდან გადმოყოლილი „ზედმეტი სიტყვები“. ისინი არა „უამს განმაცხადებელობასა ძალისასა“. მეტატექსტის ავტორის აზრით, ზოგიერთი სიტყვა, ან სიტყვათა ჯგუფი „მეტად ძეს“ ბიბლიის ქართულ ტექსტში, კონკრეტულად, ფსალმუნში, მაგრამ ეს მეტი სიტყვები გარკვეული თეოლოგიური მოსაზრებით გამართლებულია, რადგან „არა უკმს ცვალებად სიტყუასა წერილისასა“.

„სიტყუამეტნობაში“ ქართველი განმმარტებელი ისეთ მოვლენებსაც გულისხმობს, რაც არა მარტო ნათარგმნი ფსალმუნის, არამედ ორიგინალური ძეგლების ენაშიც დამკვიდრდა და რაც „გრამატიკული შინაარსის ქარბად გამოხატვის ტენდენციით იყო განპირობებული“¹³. კონკრეტული ფრაზა ამ „მეტი სიტყვების“ გარეშეც გადმოსცემდა დედნისეულ აზრს (და სწორედ ეს იქნებოდა ბუნებრივი ქართული), მაგრამ მთარგმნელი იძულებულია, ანგარიში გაუწიოს ბიბლიური წიგნების თარგმნის ზოგად პრინციპს. შდრ. „კმითა ჩემითა უფლისა მიმართ ღალად-გყავ, ბაბილონს რად ვმონებდ, კმა-გყავ; ჯერ არს ამისგან ცნობად, ვითარმედ თუ: ღმერთო ჩემო, კმობა არს, ხოლო ჴგავს, თუ მეტად ძეს კმითა ჩემითა. გარნა თუსი არს ესე სიტყუსა, ვითარცა-იგი და ორკეცადცა კუმევაად, ამასვე ძალსა გამოაჩენს კმობაძცა. [...] „მთაჲ სიონი, რომელსა დაემკვდრე მას შინა“: თუ: მას შინა, ჴგავს, თუ მეტად ძეს აქა ჩუეულები-საებრ ებრაულისა.“¹⁴

მართლაც, ქართულისათვის ამ არაბუნებრივ, კონკრეტულ შემთხვევაში „ზედმეტ“ სიტყვებს ებრაული დედანი განაპირობებს ისევე, როგორც ბევრი სხვა არაბუნებრიობის საბაზი ბერძნულსა თუ ქართულში ებრაულის მეყსობა, ჩუეულება თუ თუსება გამხდარა; შდრ., „ჭეშმარიტებითა მაცხოვარებისა შენისაძთა მიკსენ მე თიკისაგან, რაძთა არა დავინთქა. ჭეშმარიტებითა მაცხოვარებისა შენისაძთა ამის წილ ითქუმის, თუ: ჭეშმარიტებითა შენითა, და რამეთუ თუსება არს ესე ებრაული-სა. [...] „შენ გამოადინენ წყარონი და მდინარენი“ გამოადინენ, გამოეც. ხოლო იტყუს კლდისაგან უდაბნოს გამოცენებულსა მას წყალსა; და წყარობად თქუა მცენარებისათუს, ხოლო მდინარედ და ღუარად – ფიც-

12 ხელნ. S. 1472: 72, 24; 74,6; დობორჯგინიძე 1996 (2): 67, 17.

13 იხ. დანელია, 1981; 1978: 98-104.

14 ხელნ. S. 1472: 76,1; 73, 2.

ხლად დენისა. განვრცომით არს უკუე ორივე წესისაებრ ებრაულისა, თუ არა სვმმახოს და აკულა ერთად გარდასცეს. [...] „თვნიერ ზაკუვისა მათისათუს დასდევ მათთვის ბოროტი“ აქა განცხადებულად წინაწარმეტყუელებს ბაბილონელთა წარწყმედასა. ხოლო ჰგავს, თუ „თვნიერი“ აქა მეტად ძეს წესისაებრ ებრაულისა, ხოლო სვმმახოს ნამდვლ თქუა თვნიერსა წილ. და თუ: დასდევ, ნაცვალად ამისა, თუ: განმზადე.¹⁵

ებრაულის გავლენად მიაჩნია კრებულის ავტორს ისიც, რომ ფსალმუნის ქართულ ტექსტში სიტყუამეტნობით დადებულ არს ფრაზა აჰა, ესერა, ან ესერა; შდრ., „აჰა, ესერა ივინი იტყოდიან პირითა მათითა. განჩინებად გამოსცენ ქრისტესთვის, თუ: ჯუარს აცუ. საცნაურ იყავნ, ვითარმედ ესერა მრავლად ძეს ენასა ებრაელთასა. და ამისთვის აქაცა მრავალგან დადებულ არს. [...] „ნუ ესავთ სიცრუესა და ტატებად ნუ გსურის. ყოველთა მიმართ კაცთა ჰყოფს მოძღურებასა და სიცრუევით იტყვს უსამართლოებით და მოხუეჭით და ანგაჰრებით განმდიდრებასა. და თუ: ტაცებად, მეტი არს კილო, რაითა ეგოს, და ტაცებად ნუ გსურის.“¹⁶

ზოგჯერ სიტყუამეტნობა მოჩვენებითია. სინამდვილეში მას გარკვეული დატვირთვა აქვს მხატვრული თვალსაზრისით: ერთი, რომ „სიკჳომო აქუს და განვრცომად“, რათა ხაზი გაუსვას, კიდევ ერთხელ მიგვაბრუნოს ნათქვამთან, და მეორე – რაიმე ნიუანსი გამოკვეთოს; შდრ., „ღმერთო, ისმინე ლოცვისა ჩემისა, ყურად-იხუენ სიტყუანი პირისა ჩემისანი“ ისმინე და ყურად-ილე და ესევითარი, ერთი არს, ხოლო ჰგავს, თუ განიყოფვის. გარნა სიკჳომო ოდენ აქუს და განვრცომად ვედრებისად. [...] „და მომაქციე და ნუგემინის-მეც მე და უფსკრულთაგან ქუეყანისათა კუალად აღმომიყვანე მე. ესე ცხად-ყო კუალადითა, რომელი არა მეტად ძეს ამას ადგილსა, არამედ რაითა დაამტკიცოს. ხოლო არს კუალადი კილოდ სიტყუსად დამცვალელებელი და განმყოფელი პირსა და ძალსა საქმისასა.“¹⁷

ებრაულის „მეყუსობით“ ხსნის მეტატექსტების ავტორი ქართული-სათვის არაბუნებრივ სხვა ფრაზებსაც; შდრ.: „მითხრობად ჩემდა ყოველი ქებულებად შენი ბჭეთა ასულისა სიონისათა. რაითა დაცულ ვიქმნე მე მითხრობად ქებულებათა შენთა, რომელ არს საკვრველებათა შენთა ღირსთა ქებისათა. მითხრობად ამას ბჭეთა თანა სიონისათა, გინა იერუსალემისათა. და რამეთუ ორსახელ არს ქალაქი იგი, და არა იერუ-

15 დობორჯვინიძე 1996 (2): 68, 14; ხელნ. S. 1472: 73, 15; 72, 16; ეს მეტატექსტი სეპტუაგინტას ბერძნული თარგმანის ტექსტს ეხება. მეტატექსტის ავტორის აზრით, თარგმანის მაქსიმალურ სიზუსტეზე ორიენტირებული ბერძენი მთარგმნელი ანგარიშს ვერ უწევს ამ სიტყვის სემანტიკური ველის ნაირგვარობას, ვერ ირჩევს სწორ შესატყვისს და თარგმანიც გაუგებარი ხდება.

16 დობორჯვინიძე 1996 (2): 58, 7; 61,10;

17 დობორჯვინიძე 1996 (2): 53, 2; ხელნ. S. 1472: 71, 21.

საღმრთო ოდენ, არამედ სიონცა ეწოდების მახლობლობისაგან მათისა სახელ-დებითა. ხოლო ასულად სიონისა თვთ სიონივე ითქუმის, ვითარცა ძედა კაცისადა – კაც მეყვსობისაებრ ებრაულისა: [...] „რამეთუ იქსენ სული ჩემი სიკუდილისაგან“ „სული ჩემი“ ნაცვლად ამისა თუ: მე: [...] „მოვედით და ისმინეთ ჩემი და გითხრა თქუენ ყოველთა მოშიშთა ღმრთისათა, რაოდენი უყო სულსა ჩემსა. სულსა ჩემსა, ესე იგი არს, მე. ანუ თვსაგან აღმოსაკითხავ არს, თუ რაოდენი უყო სულსა ჩემსა:“ [...] „პირისაგან ღმრთისა სინაჲსა, პირისაგან ღმრთისა ისრაელისა: გამოთარგმანების-გუარად არს ესეცა, თუ: პირისაგან ღმრთისა, ესე იგი არს ღმრთისაგან:“¹⁸

ბიბლიის ენისთვის დამახასიათებელ თავისებურებად მიაჩნია მეტატექსტების ავტორს „ჟამ-ქცევით, ანუ ჟამისცვალებით თქუმა“ (*ἐναλλαγή χρόνου*). იგი უფრო წინასწარმეტყველურ წიგნებს ახასიათებს. წარსული დროის ფორმით ნათქვამი მომავალს აღნიშნავს, ან პირიქით, ის, რაც მომავალი დროის ფორმითაა გადმოცემული... – უკვე მომხდარს, წარსულს.

შდრ.: „გულისკმა-ყავ ესეცა, რამეთუ არა დაიცავს ჟამთა წერილი, არამედ ვითარცა ენების, იკმარებს მათ. რამეთუ ოდესმე, ვითარცა ქმნილთა, მოგვთხრობს ქმნადთა, ხოლო ოდესმე ქმნადთა – ვითარცა ქმნილთა: [...] „რამეთუ გარდააქცევ ზღუასა კმელად: ესე იქმნა ზღუასა მას ზედა მეწამულსა, ვითარცა წიგნი იგი გამოსლვათადა გუასწავებს; ხოლო ჟამისცვალებით თქუა ესე, თუ: გარდააქცევს, ნაცვლად ამისა, თუ: გარდააქცია. [...] „ხოლო მდინარესა წიაღ-კდენ ფრკივ:“ და ესეცა იქმნა იორდანს ზედა, წიაღვიდოდა რაჲ კიდობანი, ხოლო ჟამ-ქცევით ესეცა ამის წილ, თუ განვიდოდეს მამანი ჩუენნი:“ [...] „რაჟამს განაჩინებდა ცათა მყოფი იგი მეუფებასა მას ზედა. განთოვლდენ იგინი სელმონს. მეფედ აწ მოციქულთა სახელ-სდებს, ვითარცა მკვდრთა ზეცისა სასუფეველისათა, რომელთაცა ორმეოცდამეოთხესა ფსალმუნსა შინა მთავრად სახელ-სდვა. და წინასწარ იტყვს აწ მათ ზედა ქმნილსა ჟამსა მეერგასესა მოფენასა სულისა წმიდისასა, ვითარმედ: ღმერთი ცათა რაჲ წარავლენდა, გინა განუყოფდა, ანუ განუწილებდა მეფობასა მათ ზედა. ხოლო ვიტყვ მე პირველ თქუმულსა მას სამკვდრებელსა, რომელ არიან წარმართნი, ვითარცა იტყვს: წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი, რომელნიცა-იგი განთოვლდენ, რომელ არს, განსაგეტაკნენ, განათლდენ ბრწყინვალეებითა სულისა წმიდისაჲთა. ხოლო შესძინა ადგილიცა; და სელმონად იერუსალემს ეწოდებოდა, სადა-იგი სხდენ, ვიდრემდე შეიმოსონ ძალი მალლით. ხოლო საჭირო არს ერთსა ამას პირსა განცდად, რამეთუ მრავალგზის წალმართ ყოფასა, ვითარცა გარდას-

18 ხელნ. S. 1472: 72, 27; დობორჯინიძე 1996 (2): 55, 12; 65, 15; 66, 8.

რულსა მოასწავებს, ვითარცა ესერა აქაცა; რაჟამს განაჩინებდაო ამის წილ, თუ: *შემდგომად განჩინებისა*. ესევე პირი განცდისაჲ მივეციოთ ზედა-წერილსა ორმოცდამეთისა ფსალმუნისასა: [...] დაბადებულნი მისნი გულისკმა-ყვნეს“ და ცნეს, რაბამთა იქმს და შეეწევის მონათა თვსთა. ვითარცა გარდასრული, თქუა ყოფადი სჯულითა საწინასწარმეტყუელითა: [...] „ღმერთმან შემუსრნეს კბილნი მათნი პირსა შინა მათსა, შუანი ლომთაი შეფქუნა უფალმან. ხოლო ესეცა განიცადე, თუ ვითარ ოდესმე წალმართ ყოფადსა იტყვს, ვითარმედ: შემუსრნეს და ოდესმე – ვითარცა გარდასრულსა, ვითარმედ: *შეფქუნა*; და რამეთუ ესევეითარი არს წესი წინასწარმეტყუელთა.“¹⁹

„ჟამისცვალების თქუმა“ ეგზეგეტიკოსებისათვის იყო მოსახერხებელი საშუალება, განემარტათ ძველი აღთქმა, როგორც ახალი აღთქმის წინასწარმეტყველება. რახან ზოგადი კონტექსტი ამის საშუალებას იძლეოდა, ისინიც შეუზღუდავად, უმეტეს შემთხვევაში, ფორმალურად მიმართავდნენ ამ ხერხს. ქართველი განმმარტებელი ცდილობს ლინგვისტური კრიტერიუმებით იხელმძღვანელოს, ამოსავალ დებულებად აიღოს არა ზოგადი კონტექსტი (ძველი აღთქმა ახლის წინასწარმეტყველება), არამედ კონკრეტული, ლინგვისტური კრიტერიუმებით გამყარებული არგუმენტი; შდრ., „დავშუერ სულთქმითა ჩემითა, დავბანო მარადლამე ცხედარი ჩემი“ დავშუერი ნაცვლად ამისა დადებულ არს, თუ: დავშურე, რომელი-ესე არს სიტყუა წინამდებარეთა ჟამთათვს აღმთქუმული მოლუაწებისაჲ; და შემდგომნი სიტყუანი უცხადესადრე წარმოაჩინებენ დაფარულებასა, რამეთუ არა იტყვს, თუ დავბანე, არცა ვითარმედ: დავალტვე, არამედ აღთქუმასა ჰყოფს, რადთა დაბანოს ცხედარი მარადის და ცრემლითა დაალტოს სარეცელი თვისი, ესე იგი არს, რადთა იყოს მარადის მჭმუნვარე.“²⁰

როგორც ვნახეთ, ფსალმუნთა წიგნის ბერძნული თუ ქართული თარგმანის ბევრ თავისებურებას მეტატექსტების ავტორი ებრაული დედნის ჩუეულებით, მეყსობით ხსნის და ბიბლიის ტექსტის თარგმნასთან დაკავშირებული მკაცრი შეზღუდვებით ამართლებს: „არა უქმს ცვალებად სიტყუასა წერილისასა“ გამოდის, რომ ენამ ანგარიში უნდა გაუწიოს არა საკუთარ გამომხატველობით საშუალებებს, არამედ სათარგმნი დედნების ენის მეყსობას, ჩუეულებას.

ადრეულ მთარგმნელობით თეორიებში, განსაკუთრებით, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის ნაშრომებში, თარგმანის ეს ასპექტი სხვადასხვა მოდიფიკაციითაა წარმოდგენილი. „ტექსტის თარგმნისას დედნის ექსპლიცი-

19 ხელნ. S. 1472: მოსეს გალ. (1, 3); დობორჯგინიძე 1996 (2): 65, 5; 67, 14; 63, 9; 57, 6;

20 დობორჯგინიძე 1996 (1): 6, 6.

რებული შინაარსის ზუსტ რეპროდუქციას რომ არ მოჰყვეს ტექსტის უაზროდ ქცევა, აუცილებელია იმ სიტყვების არსებობა მთარგმნელ ენაში, რომელთა ობიექტივაციასაც ასტიმულირებს სათარგმნი ტექსტი. მაგრამ ასეთი დამთხვევა თვით ახლო მონათესავე ენებს შორისაც არ არსებობს. ამიტომ თარგმანი ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთს ირჩევს:

1. მთარგმნელი ცვლის ტექსტის ექსპლიციურებულ შინაარსს, სამაგიეროდ, ბაძავს ავტორის მიერ გამოყენებულ „მხატვრულ ილეთს“, თხზვის ტექნიკას. ამ გზას მეთოდის (თხზვის) ანალოგიით თარგმნას უწოდებენ.

2. მთარგმნელი არ ცვლის ტექსტის ექსპლიციურებულ შინაარსს, სამაგიეროდ, თარგმანზე დართულ კომენტარში განმარტავს, სათარგმნი ენის რომელი სექტორის ობიექტივაციას ასტიმულირებს ორიგინალი. ამ გზას საკომენტარო თარგმანს უწოდებენ²¹.

ანტიოქიის მთარგმნელობითი სკოლა, პირველ რიგში, ეფრემ მცირე, მეორე გზას, საკომენტარო თარგმანს ირჩევს: თარგმანი „მასვე და ერთ-სა უნდა ჰმეტყუელებდეს“; რასაც ორიგინალი, მიუღებელია მცირეოდენი ცვლილებაც კი. ქართულისთვის არაბუნებრივ ფორმებს, *სიტყუამეტნობით*, *სინაკლით* ან სხვა დედნისეული *მეყვსობით* ნათარგმნ ფრაზებს კი, „რეცა განმაცხადებელად ძალისა“, სჭირდება განმარტება.

სწორედ ესაა მთარგმნელობითი მეტატექსტების მთავარი ფუნქცია. სხვა საკითხებთან ერთად, მან უნდა განმარტოს, ახსნას, რატომ არიდებს მთარგმნელი თავს ქართულისთვის ბუნებრივ, „შუენიერ“ ფორმებს. სწორედ ასეთი – ბუნებრივი და შუენიერი – იყო ექვთიმე ათონელის თარგმანები. მაგრამ ცნებითი დიფერენცირების (სალვთისმეტყველო, ფილოსოფიური და ა.შ.) თვალსაზრისით იგი მიუღებელი ხდება, ვინაიდან არ ითვალისწინებს ცნებითი ენის სპეციფიკურობას – მაქსიმალურ სიზუსტეს.

ერთ-ერთ მთარგმნელობით მეტატექსტში ეფრემი მკაფიოდ ხსნის, რატომ „იკადრა“ ექვთიმეს შუენიერი თარგმანის ხელახლა თარგმნა²² და

21 ზუსტი და თავისუფალი თარგმანის პრინციპები სხვადასხვა სამეცნიერო დისკუსიის საგანი იყო. ქართულ თუ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. ბეზარაშვილი 2004; ბეზარაშვილი 2011 (1); Brock 1969: 96-102, Brock 1979a: 69-87, ოთხმეზური 2011: 19-58) საფუძვლიანადაა დამუშავებული ამ პრობლემატიკის ცალკეული საკითხები (განსაკუთრებით, ბიბლიის თარგმანებთან დაკავშირებით). ვვარაუდობ, რომ ძველი ქართულ მეტატექსტებში ასახული მთარგმნელთა გამოცდილება უფრო ახლოსაა ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის მიერ კონცეპტუალიზებულ თეორიასთან. ეფრემ მცირის საკომენტარო თარგმანის პრაქტიკა ქვემოთ სწორედ ამ უკანასკნელი თეორიის ფარგლებში იქნება განხილული. ვსარგებლობ ჰუმბოლდტის ცალკეული გამონათქვამების ალექსანდრე კარტოზიასეული თარგმანითა და ინტერპრეტაციით. აქ კარტოზია 1995: 32.

22 შდრ., ეფრემ მცირის მთარგმნელობითი კომენტარი: „რომელნიმე ჩემისა სილალით

შესწორება: „რომელნი-ესე არა ქართულისა შუენებითა, არამედ ბერძულისა შედარებითა გუაქმნევიეს, რამეთუ ქართულად შუენიერი თვთ არს.“²³

მთარგმნელები აშკარად ამჩნევენ, რომ სპეციალური, განსაკუთრებით, რელიგიური ტექსტების, გადმოღების ეს თეოლოგიური შეზღუდვა ქართულ თარგმანს ზოგჯერ აბნელებს, *სიდუხჭირეს შესდგამს*, მაგრამ სამეცნიერო ტექსტების (ფილოსოფიური, საღვთისმეტყველო და ა.შ.) თარგმანი, პირველ რიგში, ზუსტი და *შეურევნელი* უნდა იყოს. სწორედ ამას ეწირება თარგმანის სისადავე, ბუნებრიობა; შდრ., „ვითარ-იგი თავადი მოწამე არს ჭემშარიტებად, მრავლითა ჭირითა და შრომითა დამიწერია და უნაკლულოდ ძალისაებრ ჩემისა შემიწამებია და არცა რად ზეპირით დამირთავს; და თუ სიბნელე რადმე ანუ სიდუხჭირე შესდგამს, იგი ბერძულისა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სიტყუათა დაშუენებასა ვერმეცნიერობისგან.“²⁴

მეტატექსტების ავტორის აზრით, ამგვარი ხელოვნურობა, მშობლიურ ენაში სხვა ენათა *მეყვსობის, ჩუეულების* შემოტანა, გარკვეულ შემთხვევებში მისაღებია და არც ენის სიწმინდეს უქმნის საფრთხეს.²⁵ დროთა განმავლობაში ენაში მომხდარ ცვლილებებს, მის ისტორიულ განვითარებას წარმართავს ამავე ენის „ბუნებითი ნება“ ზოგჯერ მას – ბუნებით ნებას – სხვებისგან გადმოღებული ჩუეულება ენაცვლება; შდრ., „ხოლო ჩუეულება ნამეტნავი ნებად ბუნებითად შეიქმნების, ანუ თუ წესად“²⁶

მართლაც, უცხო ენათა „ჩუეულებისაებრ“ თარგმნამ, წყაროთა უზუსტესად გადმოცემის ცდამ, „აშკარა არაბუნებრიობა დაატყო ქართულ თარგმანებს, მაგრამ ამავე ტენდენციამ ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი აიძულა, ქართული ენის გამომხატველობით რესურსებში გამოენახათ ყველა მოქმედი თუ პოტენციური საშუალებანი და მაქსიმალურად გამოეყენებინათ ისინი“²⁷. ეს იყო სამეცნიერო ენის, ქართული საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური თუ ლინგვისტური ტერმინოლოგიის შექმნის აუცილებელი პირობა.²⁸ „სხუათა ენათა ჩუეულების“ მი-

²³ ჰკონებენ მეორედ თარგმნისა კადრებასა (ხელნ. A 110, 1r).

²³ ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეტატექსტი, იხ. ხელნ. A. 292, 279v.

²⁴ არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი კომენტარი, იხ. ხელნ. . S. 1463, 39v.

²⁵ პურიზმის პრინციპების შესახებ ძველ ქართველ მთარგმნელთა თეორიაში იხ. Boeder 2003: 199-223.

²⁶ ხელნ. S. 1472: 73, 12.

²⁷ დანელია 1983: 357.

²⁸ შდრ., “Ему (იგულისხმება იოანე პეტრიწი) мы обязаны готовую Философскую

ხედვით, ქართულმა მაქსიმალურად გაამდიდრა „ქართული ენის ფორმალური შესაძლებლობები,²⁹ დერივაციისა და კომპოზიციის უნარი.³⁰

ეფრემ მცირისა და მისი მთარგმნელობითი სკოლის წადილი – ქართული არა მარტო შინაარსობრივად, არამედ ფორმალურადაც³¹ (შდრ., ხატი და მოქცევი სიტყვსაჲ) გატოლებოდა სათარგმნი დედნების ენას, – ერთგვარი დამატებითი ტექნიკური საშუალებით – მთარგმნელობითი მეტატექსტებით მოხერხდა. რაც შეეხება იოანე პეტრიწის თარგანებს, ეს იყო ცდა „დედნისეული შინაარსის ზუსტი რეპროდუქციისა“ ამ დამატებითი საშუალების, მეტატექსტების გარეშე. მეტატექსტების ფუნქცია იოვანე პეტრიწმა ძირითად ტექსტში, უშუალოდ თარგმანში გადაიტანა ენის საშუალებათა ფორმალური საზღვრების მოშლით.³²

ეს იყო ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის აუცილებელი პირობა. ეს პროცესი ვერაფრით ასცდებოდა ხელოვნურობას, ვინაიდან „მეცნიერების აგებისას ხდება ენის გონების ძალადობით გამოყენება, ბუნებრივი ენიდან გასვლა სხვა ბუნებრივ ენაში შეუსვლელად, და, ამდენად, სპეციალური მეტა-ენის შექმნა; სამეცნიერო ტექსტში ენა მაქსიმალურად ინსტრუმენტალიზებულია, სუბიექტი კი არ უწევს ანგარიშს ენის ძალებს, არამედ ენა ემორჩილება სუბიექტს.“³³

და მაინც, ენას არ დაურღვევია ბალანსი საკუთარ ბუნებით ნებასა და უცხოთა ნამეტნავ ჩუეულებას შორის. მთარგმნელებმა სწორად შეაფასეს თარგმანის ორი განსხვავებული ტიპი – სიტყვა-სიტყვითი და თავისუფალი – და ადეკვატურად დაუკავშირეს იგი სხვადასხვა ფუნქციურ სტილს. „მდაბიორთავან მესხუე“ ცნებითი ენა ქართულისთვის არაბუნებრივი, სათარგმნი დედნების სემანტიკური და ფორმალური წესების მიხედვით შეიქმნა. ამიტომაც თვალშისაცემია უცხოობა, *სიბნელე*

терминологией на грузинском языке, замечательно точно и кратко передающею все те термины, которые в европейских языках существуют в форме греческих или латинских заимствований” (Марр 1909: 35)

29 დ. მელიქიშვილი 1975: 73.

30 დანელია 1983: 358.

31 შდრ., ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეტატექსტი: „ხატი და მოქცევი სიტყვსაჲ იგივე აქუნდეს ბერძულისაჲ“ (იხ. ხელნ. A. 689, 187V).

32 შდრ.: „პეტრიწი ახალ დერივაციულ საშუალებებს კი არ იგონებს, არამედ ენაში არსებულ საშუალებებს აზოგადებს, ფართო გასაქანს აძლევს მას, ყოველგვარი ძირი ყოველგვარი გაფორმების ღირსად მიაჩნია“ (კეჭაყმაძე 1948: 82); „პეტრიწი თავისუფლად და ძალდაუტანებლად, ქართული ენის ბუნების, მისი ყალიბების მიხედვით ქმნის ახალ ტერმინებს“ (დ. მელიქიშვილი 1975: 73).

33 ჰუმბოლდტისეული განსაზღვრება დამოწმებულია ალექსანდრე კარტოზიას თარგმანის მიხედვით, იხ. კარტოზია 1995: 28.

და სიდუხჭირე, ან ქართულთა სიტყუათა დაშუენებასა ვერმეცნიერობა. დროთა განმავლობაში ამ ტერმინთა ცნებითი შინაარსის ათვისებამ, ტერმინების ფორმალური უცხოობა თანდათან შეასუსტა და ბუნებით ნებად აქცია.

რაც შეეხება ბიბლიის თარგმანს, აქ სწორედ ბუნებრივი, თეოლოგიური და ლინგვისტური წინაპირობების მიხედვით გაწონასწორებული თარგმანი დამკვიდრდა: კანონიკური ბიბლიის სტატუსი ბოლომდე შეინარჩუნა გიორგი ათონელის თარგმანმა. ერთ-ერთ თავის მთარგმნელობით მეტატექსტში გიორგი ათონელმა ასე შეაჯამა საკუთარი ტექსტოლოგიური საქმიანობა: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ფრიადითა იძულებითა წმიდათა და სულიერთა მამათა ჩუენთათა ვთარგმნენ ესე დავითნი ახლად ბერძულისაგან ქართულად მე, გლახაკმან გიორგი, ფრიადითა ჭირითა და რუდუნებითა, თვთ იცის ღმერთმან, მრავალთა ბერძულთა დედათა და დავითის თარგმანთაგან ფრიადითა გამოწულილვითა და გამოძიებითა. აწ გევედრები ყოველთა, რომელნიცა მიემთხვნეთ წმიდათა ამათ დავითთა, რათა ჩუენთვს ლოცვაჲ-ჰყოთ. და ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრეთვე შეუცვლელად დასწერდით, ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ: ჩუენ რომელი ჯერ-იყო, ჩაგვრთავს, და რომელი ჯერ-იყო დაგვკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოჰვიდოდა და წესი საქმისაჲ ეძიებდა.“³⁴

34 გიორგი მთაწმინდელი, იხ. პეტერბურგის სააზიო მუზეუმის (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი) ხელნ. Georg. 116, იხ. მ. შანიძე 1960: 027.

სახელისაბან თარგმანებათა მოკოვნება

(ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური მეტატექსტები)

სიტყვის ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური კვლევა ბიბლიის ფილოლოგიას ჰერმენევტიკული თვალსაზრისით აინტერესებს. მისი საშუალებით იგი ბიბლიის მრავალპლანიანი შინაარსის ახსნას ცდილობს. ეს შინაარსი კი ტექსტის, სიტყვის სხვადასხვა შრეში, სხვადასხვა სიბრტყეზე დევს. ამიტომ მათ სხვადასხვაგვარი ახსნა სჭირდება.

ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური განმარტებით სიტყვის ყველაზე ზედაპირული, *თხრობისაებრი* შრე აიხსნება; მომდევნო საფეხურზე *თხრობისაებრ* განმარტებული ტექსტი, კონკრეტული ისტორია, ალეგორიულ შინაარსს იძენს. ეს კი ნიშნავს, რომ ოდესღაც იუდეაში მომხდარი ამბავი (ძველი აღთქმის თხრობისაებრი შრე) მარადიული ამბის მინიშნებად, სიმბოლოდ გვევლინება.

ამგვარად, თხრობისაებრი, ანუ კონკრეტული ისტორიის ალეგორიზებით იწყება ბიბლიის სიტყვის *ახალი მნიშვნელობის*, *ახალი შრის* კონსტრუირება, რაც ისტორიის ალეგორიად გარდაქმნას გულისხმობს.¹

თხრობისაებრი სიტყვის პირველი შრე, ანუ ἔτυμον-ი, სწორედ ამგვარი ტრანსფორმაციისკენ უბიძგებს მნიშვნელობას. იგი ყველაზე სანდო შრეა; მასში უცვლელად, დაუშლელადაა შენახული სახელმძღვანის ინტენცია – ალეგორიზების რეალური საფუძველი. სიტყვის ეტიმოლოგიის ამოცნობა სახელმძღვანის ინტენციის „დაკსნა“²; ამავდროულად, ესაა მომდევნო საფეხურზე, მომდევნო სიბრტყეზე გადასვლის აუცილებელი პირობა. ტექსტის, სიტყვის თხრობისაებრმა სიბრტყემ, საკუთრივ ისტორიამ მკითხველისთვის უნდა გამოკვეთოს ახალი მნიშვნელობა, არაისტორიული სიბრტყე. ეტიმოლოგია კი ამ ახალი მნიშვნელობის ასაგები ინსტრუმენტია.³

1 Daniélou 1955: 153-170; Lubac 1968; Lubac 1999.

2 შდრ. ეფრემ მცირის მთარგმნელობითი კომენტარი: „რაჟამს თქუა თუ ღრამმატიკოსი, დამადნობელსა იტყუ სიტყუსასა, რომელი დაჰსნის სიმყვრტელესა სიტყუათასა, სიღრმით შეყინებულსა“ ეტიმოლოგიის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინების (მზამეტყუელება, მზაპასუხოზა, მზასიტყუაოზა), სხვადასხვა ავტორთან მათი ხმარების კანონზომიერებებისა და ამ ტერმინთა ირგვლივ დისკუსიის შესახებ იხ. ოთხმეზური 2011: 179-182.

3 შდრ.: „Quid opus est, in his allegoriam quaerere, cum aedificet etiam littera? In his tam integer et perfectus est historiae sensus, ut nihil requaerere videatur extrinsecus“ (Origenes, Num. Hom. 11, 1, 77: 22, 2, 206).

ამგვარი ჰერმენევტიკული ეტიმოლოგიები ლინგვისტური თვალსაზრისით ზოგჯერ არა მარტო მცდარი, პრინციპულად გაუმართლებელიცაა; ვგულისხმობ არცთუ იშვიათ შემთხვევებს, როცა ჰერმენევტიკულ განმარტებაში ეტიმოლოგიასა და ალევორიას შორის თანმიმდევრობა ირღვევა: ეტიმოლოგიით კი არ აიხსნება ალევორია, პირიქით, სიტყვის ალევორიულ მნიშვნელობაზე დაყრდნობით ცდილობენ მისი ეტიმოლოგიის დადგენას; შდრ. ბიბლიური ევას ეტიმოლოგია: გველისგან მოჯადოებული ბაკები მისტერიის დროს ყვირიან: ევა, ევა; აქ იგულისხმება გველი, რომლის მეშვეობითაც ცოდვა შემოვიდა ადამიანის ცხოვრებაში. და ევა ებრაულში მდებდრობითი სქესის გველს აღნიშნავს.⁴

ქართველ მთარგმნელთა ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური მეტატექსტები, პირველ ყოვლისა, ჰერმენევტიკის პირველწყაროებია. ეს განსაკუთრებით ენება უცხო (ებრაული, ბერძნული, ლათინური, სირიული) სიტყვების განმარტებებს. მათში აშკარად ჭარბობს სათარგმნი დედნებიდან გადმოყოლილი ეგზეგეტიკურ-ჰერმენევტიკული ინტერესი.

რაც შეეხება ქართული სიტყვების განმარტებებს, მათი უმეტესობა ზუსტია და დღემდე ინარჩუნებს სამეცნიერო ღირებულებას. ამის საუკეთესო მაგალითია სიტყვა *ყველის* ეტიმოლოგია, რომელიც, სავარაუდოდ, ეფრემ მცირეს ეკუთვნის. როგორც ეფრემის სხვა განმარტებები, ესეც უნაკლოა მეთოდოლოგიური გამართულობისა თუ ენობრივი ალლოს თვალსაზრისით; შდრ., „ყველი [მთად შეყოფილი]: მთად ღმრთისად, მთად პოხილი, მთად შეყოფილი. მთა ღმრთისა ეწოდების მორწმუნეთა ეკლესიასა. მთად, რამეთუ მალლად მდგომარე არს ქუეყანიერთა და აღპყრობილ არს იგი ზეცად მიმართ. ხოლო მთა ღმრთისა, ვითარცა განკუთხვილი და განთესებული ღმრთისა; და პოხილ უხუებისათუს და ჰაეროვნებისა მას შინა მყოფთა სჯულიერთა საძოვართა და შეყოფილ და

4 ეს ეტიმოლოგია, რომელიც პირველად ორიგენესთან დასტურდება, საყოველთაოდ გავრცელებული ჩანს როგორც აღმოსავლურ (თეოდორიტე კვირინელი, თეოდორე მოფსუესტი, დიდიმუსი) ისე დასავლურ (ჰიერონიმე, კასიოდორე) ეგზეგეტიკურ ტრადიციაში. ნიშანდობლივია, რომ სხვადასხვა ეგზეგეტიკური სკოლა ამა თუ იმ სიტყვისთვის სრულიად განსხვავებულ ეტიმოლოგიას ამკვიდრებდა. მაგალითად, ეგვიპტის ეტიმოლოგია ერთი ტრადიციით უკავშირდება კოსმოსს, წესრიგს (ὁ κόσμος), მეორე ტრადიციით – სიბნელეს (σκοτός); მესამე ტრადიცია ცდილობს, ერთმანეთს დაუკავშიროს პირველი ორი მოსაზრება და ეტიმოლოგიის ახალ, უფრო სრულ ვარიანტს გთავაზობს: ეგვიპტე არის სამყარო, რომელშიც ცოდვა ბინადრობს, ე.ი. არის სიბნელე, რომელსაც მოველინება „ნათელი სოფლისად (τὸ φῶς τῶν κρῆμων)“; მანამდე კი იგი არის ბოროტების, ცუდის ადგილსამყოფელი (ἐν τῷ κρείμῳ κατὰστασις τῆς κακίας). ალევორიისა და ეტიმოლოგიის მეთოდოლოგიური „კავშირებისა“ და კონკრეტულ ავტორებთან მათი გამოყენების თავისებურებათა შესახებ იხ. Bienert 1972: 70-86, აქ გვ. 72; Willer 2003:28-40.

განყველებულ გონიერებისათვის და სიმტკიცისა მას შინა მყოფთა სჯულთა სარწმუნოებისათა; რამეთუ ყუელი შეყოფილი არს, შედგენილი და განმაგრებული.⁵

ქვემოთ მოვიტან ძველი ქართული ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური მეტატექსტების ერთ ნაწილს; მათ აშკარად გამოკვეთილი ჰერმენევტიკული ინტენცია აქვთ; ამის მიუხედავად, ისინი მნიშვნელოვანი წყაროა ფილოლოგიური დისციპლინის სხვადასხვა დარგისთვისაც. მეტატექსტები გაყოფილია სამ ჯგუფად: 1. ებრაული და ბერძნული ანბანის ეტიმოლოგიურ-ალეგორიული განმარტება, 2. უცხო სიტყვათა (ძირითადად, საკუთარ სახელთა) განმარტება, 3. ქართული სიტყვების განმარტება.

1. ებრაული და ბერძნული ანბანის ეტიმოლოგიური და ალეგორიული განმარტებები

ა. ებრაული ანბანის განმარტება⁶

ათანასი: პირსა ზედა მოციქულთასა აღიწერების წინა-მდებარე ესე ფსალმუნი, რომელნი-იგი მოგვთხრობენ საქმეთა და განგებულებასა მცხოვრისასა, და ასწავებენ ამას ერსა, რადთა ჰმადლობდენ ღმერთსა ქველის-მოქმედებათათვის, რომელნი იქმნეს მათ ზედა. ამისთვისცა ალილუიადთა ზედა-წარიწერა ფსალმუნი ესე, და გვბრძანებს, რადთა ვაქებდეთ უფალსა.

„აღვიარო შენ, უფალო, ყოვლითა გულითა ჩემითა.“ ათანასი: ვითარ იგი ბრწყინვალე იყო დასაბამი და ზედა-წერილი ფსალმუნისა ამის, რამეთუ ოცდაორ მუკლ არს, მსგავსად ასოთა ებრაელთა ანბანისათა. რამეთუ ანბანი ებრაელთა ოცდაორ ასო არს. ხოლო თარგმანება ასოთა მათ ესე არს: **ალეფ** გამოითარგმნების დასაბამად პირისა, გინა ალებად პირისა, და მუკლი იგი მის მიერ დანიშნული, ამას იტყვს, ვითარმედ, დაწყებასა სიტყვსა ჩემისასა არარაჲ დაუფარო ღმერთსა დაფარული გულისა ჩემისაჲ. **ვესუქი**: აღსარებად გუაწვევს ყოვლითა გულითა, რადთა არა კერძოთა გუამისათა აღუარებდეთ, და კერძოთა გუამისათა ცოდვასა მივედევნებოდეთ, და მასვე ვცოდვიდეთ, რომლისათვის-იგი აღუარებდით. და კუალად, რადთა არა ერთსა ოდენ ფერკსა სიმართლით

5 ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება, ფსალმ. 67, 15, იხ. დობორჯინიძე 1998: 93.

6 ებრაული და ბერძნული ანბანის განმარტებები ნათარგმნი უნდა იყოს. აქ სრულად არის წარმოდგენილი 110-ე ფსალმუნის ტექსტი და სხვადასხვა განმარტებელთა (ათანასი, კირილე, ვესუქი) კომენტარები „ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანებიდან“. ებრაული ანბანის განმარტება სრული არაა.

კერძო წარვდგმიდეთ და მეორესა მწვრესა შინა ცოდვისასა შთავდგმი-
დეთ. ამისთვისცა ყოვლთა გულითა აღუარებდით ღმერთსა.

„განზრახვისა შინა წრფელთასა და შემკრებელსა“ კირილე: ხოლო **ბეთ** საწნეხელად გამოითარგმანების, რომელ არს სიხარული, და მის მიერ აღნიშნული იგი ამას იტყვს, ვითარმედ შეკრებასა მას წმიდათასა დიდ იყო სიხარული მათი უფლისა მიერ. ათანასი: ზრახვად წრფელთა ეწოდების წესთა ამათ ახლისა სჯულისა შემკრებელისათა.

„დიდ არიან საქმენი ღმრთისანი“ *ეგსუქი*: გინათუ საქმენი თქუნე და მზადებელისანი, გინათუ სასწაული განგებულებისა და განკაცებისა-
ნი, ყოველივე დიდ არს.

„გამოსაძიებელ არიან ყოველსა შინა ნებანი მისნი“ კირილე: ხოლო **გამელ** მოსაგებელად გამოითარგმანების და მის მიერ აღნიშნული იგი ამას იტყვს ვითარმედ, გამოცდილ იყვნენ საქმენი წმიდათანი, ყოველსა-
ვე შინა ნებასა უფლისასა. *ეგსუქი*: ესე საქმე მრჩობლ იშენების და ორთა პირთაგან შეიმზადების, რამეთუ რომელიმე კერძო ჩუენისა გულს-მოდ-
გინებისა არს, ხოლო რომელიმე ღმრთისა კაცთმოყუარებისა; ჩუენი არს თხოვად და ამისი არს მიცემად, ჩუენი არს რეკად და მისი არს განღებად.

„აღსარებულ და დიდად შუენიერ არიან საქმენი მისნი“ კირილე: ხოლო **დაღეთ** – განსჯად. ესე იგი არს, ვითარმედ განსჯიდეს რად ღმერ-
თი, წყალობა და სარწმუნოება შეწყნარებულ იპოვნენ წინაშე მისა. *ეგ-
სუქი*: დიდად შუენერებით აღსარებულად საქმედ ცხოვრებასა ჩუენსა უწოდს, რომლისათვის ქრისტე ეტყოდა მამასა: მე გადიდე შენ, ქუეყანასა ზედა საქმე აღვასრულე, რომელი მომეც, რადთა ვყო. და სიმაღლჴ მისი ჰგეის უკუნითი უკუნისამდე. კირილე: ხოლო **ჴ**, რომელ არს **ჴჴ**, ესრეთ გა-
მოითარგმანების, ვითარმედ: არს, გინათუ იყოს, და მის მიერ აღნიშნულ იგი იტყვს, ვითარმედ სიმართლე წმიდათა ეგოს უკუნისამდე. ათანასი: სიმართლედ საუკუნოდ სახარებასა იტყვს, ხოლო საკსენებელ-ყოფა ესე იყო, რამეთუ წინაწარ აღეთქუა პირითა წინაწარმეტყუელთადთა, რომელნი აღასრულნა მოსლვასა მისსა სასწაულნი და კურნებანი.

„საკსენებელ-ყო საკრველებათა მისთა“ კირილე: ხოლო **ვავ** ამას იტყვს, ვითარმედ მოიკსენა, რაოდენნი რად აღეთქუა წმიდათა მისთა მიერ, და მოვიდა რად, მაცხოვნეს ჩუენ.

„მოწყალე და შემწყნარებელ უფალი“ კირილე: ხოლო **ზჴ** ამას იტყვს ვითარმედ: მოწყალე, და მწყალობელ არს უფალი.

„საზრდელი მოსცა მოშიშთა მისთა“ კირილე: ხოლო **დეტ** ამას იტყვს, ვითარმედ, თავი თვისი და სიტყუანი თვისნი საზრდელად მოსცნა მორ-
წმუნეთა თვისთა. *ეგსუქი*: საზრდელად ჩუენდა მის მიერ მონიჭებულად საიდუმლოდ იგი ზეცით მონიჭებული პური ცხოვრებისად სახელ-იდების.

„მოიკნენის უკუნისამდე აღთქუმისა თვისისა“ ხოლო **ტეთ** ამასვე იტყვს, ვითარმედ მოიკნენებს უფალი წმიდათა მისთა.

„და ძალი საქმეთა თვსთაჲ უთხრა ერსა თვისსა“ **კირილე**: ხოლო **დოთ** – ამას, ვითარმედ წერილითა თვისითა განუცხადა მოციქულთა თვისთა. კუალად **კირილე**: ამათ უკუე ესევეითართა საკურველებათა მინდობითა განვიდეს მოციქულნი ქადაგებად, რადთა ძალსა საქმეთა მისთასა მიუთხრობდენ ერსა თვისსა.

„მიცემედ მათდა სამკვდრებელი წარმართთაჲ“ **ევსუქი**: მიმღებელ სამკვდრებელისა წარმართთასა არიან წმიდანი მოციქულნი, რომელნი იგი მიუთხრობდენ მათ ყოველსავე დიდებულებასა საღმრთოჲსა საქმეთასა. **კირილე**: **ქაჲ** ამას იტყვს, ვითარმედ მიეცეს კელმწიფებაჲ მოციქულთა, რადთა მოიმოწაფნენ წარმართნი.

„საქმენი კელთა მისთანი, ჭეშმარიტებაჲ და განხკითხვაჲ“ **კირილე**: ხოლო **ლაშედ** ესრეთ, ვითარმედ საქმენი მოციქულთა სამართლით იყვნენ. და ჰრწმენა უტყუელობაჲ მცნებითა მისთა.

„სარწმუნო არიან ყოველნივე მცნებანი მისნი“ **კირილე**: ხოლო **მემ** – ესრეთ, ვითარმედ ჭეშმარიტ არიან თხრობანი მათნი. რამეთუ თვნიერ სარწმუნოებისა შეუძლებელ არს სათნო-ყოფაჲ ღმრთისაჲ.

„განმტკიცებულ არიან უკუნითი უკუნისამდე.“ **ევსუქი**: ხოლო **ნენ**, ვითარმედ შეუნანებელ იყვნენ მადლნი მათნი. **კირილე**: შექმნილ არიან ჭეშმარიტებით და სიწრფოებით. ხოლო საქმითა ვითარმედ განმტკიცებულ სიმართლით და სარწმუნოებით.

„კსნა მოუვლინა ერსა თვისსა.“ **კირილე**: ხოლო **ვი**, ვითარმედ მამამან ძეჲ თვისი მხოლოდშობილი მისცა მცხოვრად სოფლისა.

„ამცნო უკუნისამდე აღთქუმაჲ თვისი“ **ევსუქი**: ხოლო **ფავ**, ვითარმედ ამცნო მორწმუნეთა, რადთა დაიცვნენ ბრძანებანი მისნი.

„წმიდა არს და საშინელ სახელი მისი.“ ვითარმედ ღმრთისმსახურებით ცხოვრებულთათვის წმიდა არს, ხოლო ცოდვასა შინა განფრდილთათვის – საშინელ სახელი უფლისაჲ. **კირილე**: ხოლო **წადე**, ვითარმედ, დიდ არს წმიდათათვის და საშინელ – ეშმაკთათვის.

„დასაბამი სიბრძნისაჲ შიში უფლისაჲ“ **ათანასი**: ხოლო **კოფ**, ვითარმედ დასაბამი სარწმუნოებისა არს შიში უფლისაჲ.

„ხოლო გულისკმის-ყოფაჲ კეთილი“ **კირილე**: გულისკმის-ყოფისა კეთილისა საზღაური არს, რადთა რაოდენსა გულისკმა-ჰყოფდეს, ყოველსავე ჰყოფდეს; რამეთუ უქმი გულისკმის-ყოფაჲ ურგებ არს.

„ყოველთა, რომელთა ყონ იგი.“ **ევსუქი**: ხოლო **შინ**, ვითარმედ რადთა დაიცვნე მცნებანი მისნი.

„და ქებაჲ მისი ეგოს უკუნითი უკუნისამდე“ **კირილე**: ხოლო **თავ**, ვითარმედ მოსაგებელი მართლათაჲ ეგოს საუკუნოდ.

ბ. ეპიფანე კვპრელი, საზომთათვის და საწყაულთა ⁷

კ^ბ ანბანნი ებრაელთანი(ი), რომელ არიან ესენი:

ანბანი ებრაელებრი

א - ალფ, ב - ბჰთ, ג - გიმელ, ד - დალჰ, ה - ჰჰ, ו - ვავ, ז - ზანა(ვ),
 ח - ჰთ, ט - ტჰთ, י - იოთ, יא - ქაფ, יב - ლამედ, יג - მემ, יד - ნონ, טו - სამექ,
 ו - აინ, ז - ფჰ. ז - წადჰ, ח - კოფ, ט - რჰ, י - შინ, יא - თავ.

ამისთვის კ^ბ წიგნ არიან ძუელისაგან შჯულისა.

ესე მუკლნი ებრაელთა შორის კ^ბ რადმე არიან, ხოლო კ^ბ აღირაც-
 ხებიან, რამეთუ ხუთნი იგი ასონი მათ შორის ორკეც არიან: ქაფ მრჩობლ
 არს, მემ და ნონ და ფჰ და წადჰ. ესრეთცა წიგნნი აღირაცხებიან:

א - აბესით, რომელ არს შობად სოფლისა; ბ - ელისმოთ, რომელსა
 ჰრქვან გამოსლვათად; გ - ოდოისკრა, რომელ არს ლევიტელთად; დ -
 ოდოდაბირ, რომელ არს რიცხუთად; ე - ევედეზარიმ, რომელ არს მეორჰ
 შჯული; ვ - დიი^ჰ, რომელ არს ისუ ნავესი წიგნი; ზ - დიიობ, რომელ
 არს იობი; ჰ - დასოპტიმ, რომელ არს მსაჯულთად; თ - დირუთ, რომელ
 არს რუთისი, ი - სფერთელიმ, რომელ არს დავითი; ი^ა - დებდრიამია,
 რომელ არს ნეშტთად ა^ჰ; ი^ბ - დებდმიამინ, რომელ არს ნეშტთად ბ^ჰ; ი^გ
 - დისმოელ, რომელ არს მეფეთად ა^ჰ; ი^დ - დი დ^თ უდისმოელ, რომელ
 არს მეფეთად ბ^ჰ; ი^ე - დმალაქიმ, რომელ არს იგავთად; ი^ჰ - ტკუელჰთ,
 რომელ არს ეკლესიასტჰ; ი^თ - სირამ, რომელ არს ქებად ქებათად; კ -
 დათარიასარა, რომელ არს ი^ბ წინაღსწარმეტყუელთად; კ^ა - დიესაია,
 რომელ არს ესაია წინაღსწარმეტყუელისა; კ^ბ - დიირემია, რომელ არს
 იერემიასი; კ^გ - დიეზეკიელ, რომელ არს ეზეკიელისი; კ^დ - დიდა-
 ნიელ, რომელ არს დანიელისი; კ^ე - დიეზდრა, რომელ არს ეზრად; კ^ვ -
 დიაზდრა, რომელ არს ეზრად ბ^ჰ; კ^ზ - დიესთერ, რომელ არს ესთერისი.

არიან სხუანიცა მცირენი წიგნნი, რომელსა ჰრქვან კინოთ, რომელ
 არს გოდებად. ესე იერემისასა შეერთვის, რომელ არს რიცხვისა მაგის
 მეტი და იერემიასავე შეერთვის, რადთა უკუე რიცხვცა ესე წიგნთად
 გაუწყო ჭემმარიტითა სიტყვთა.

ხოლო სიტყვსა შემოღებისად ამის არს სახჰ ესე: ოთხად და ხუთად
 განჰყოფენ ებრაელთა ყრმანი ძუელისა შჯულისაგანთა. ხუთეულად
 დააწესებენ მოსეს წიგნთა, რამეთუ შემდგომთაცა მათ ესრჰთვე დააწე-
 სეს, რომელ არიან წიგნნი ესე: შობათად, გამოსლვათად, ლევიტელთად,
 რიცხუთად, მეორისა შჯულისად.

მეორედ ხუთეულად - სტიქერონნი, რომელ არიან წიგნნი ესე:
 იობი, დავითი, იგავთად, ეკლესიასტჰ, ქებად ქებათად. ხოლო სიბრძნჰ

7 იხ. გიგინეიშვილი, გიუნაშვილი 1979: 192-195.

სოლომონისი და ზირაქი იგიცა სტიქერონვე არიან და სარგებელნი; არონადსანი, რომელ არს კიდობნისანი, ხოლო ებრაელთა არა დადვეს ძუელისა შჯულისა [თანა].

მესამედ ხუთეულად – წინადაწარმეტყუელთად, რომელ არიან წიგნი ესე ი^ბ-თა წინადაწარმეტყუელთა: ესაია, იერემია, ეზეკიელი, დანიელი, რომელმან იწყო წინადაწარმეტყუელებად უწინარჳს ეზეკიელისა, ხოლო ცხოვნდა ცხოვრებასა მისსა მრავალ ჟამ და მიიწია ვიდრე მეორედ წლადმდე დარიოს მეფისა, რომელი იყო უწინარჳს პირველსა წელსა კვროს მეფისასა.

ხოლო შემდგომად ჟამთა წინადაწარმეტყუელთა ამათ წინადაწარმეტყუელებდა ანგეოზ დასაბამსა მეორედ შჳნებასა მის ტაძრისასა იერუსალჳშს. წინადაწარმეტყუელებდა ზაქარიაცა შემდგომად მ^ვ დლისა ანგეადსა დასასრულსა შჳნებისათჳს მის ტაძრისა. ხოლო ჟამთა მათ წინადაწარმეტყუელებდა მალაქიაცა. ხოლო ზოგად აღიწერნეს ესე ი^ბ-ნი წინადაწარმეტყუელნი.

მეოთხედ ხუთეულად დააწესეს წიგნსა რომელსა ჰრქჳან დექთობინ, რომელ გამოითარგმანების "დაწერილად". ესე წიგნი არიან: ისუ ნავესი – პირველი წიგნი, მსაჯულთაჲცა მასვე შეერთვის და რუთისი, ამისთჳს [რ^ჴ] ერთი იგი ასოდ ორკეც არს, რომელ არს ქაფ; ნეშტთად ა^ჴ და მე^ბ-ამისთჳს, რამეთუ ორკეც არს მემ.

და მეფეთად წიგნი [პირველი და მეორე იერ – 44], რამეთუ ორკეც არს **ნონ**; მე-გ^ჴ და მე-დ^ჴ მეფეთად, რამეთუ ორკეც არს **ფჳ**.

ესე არიან ოთხნი იგი ხუთეულნი, რომელნი-იგი აღირაცხებიან კ^ჴ წიგნად, არიან კ^ჴ და თავ რიცხვთ, ამისთჳს რამეთუ ორკეც არიან დ^ჴ-ნი იგი ასონი.

ხოლო შემდგომად დ^ჴ-თა ამათ ხუთეულთა კ^ა – პირველი და მე^ბ-წიგნი ეზრადსი ერთ წიგნად შეირაცხების ებრაელთა შორის**) – მისთჳს, რამეთუ **წადეცა** ორკეცადვე შეირაცხების, რომელ არს კ^ჴ თავი წულილ-წულილად თქუმელი. ხოლო ესთერისი წიგნი კ^ბ შეირაცხების, კ^ბ თავად იპოვების, ესე კ^ბ-ნი სადავე იპოვებიან და მრავალფერთა სახითა აღრაცხ[ილ]ნი კ^ბ-თა მათ საქმეთათჳს, რომელ ქმნნა ღმერთმან ვ^ჴ-თა მათ დღეთა სოფლის შესაქმისათა: კ^ბ-თა მათთჳს ნათესავთა ადამითგან ისრაჳლისამდე, კ^ბ-თა მათთჳს ასოთა **აღფითგან** ვიდრე **თავ-ადმდე**. და კ^ბ-თა მათთჳს წიგნთა შობათადგან ვიდრე ესთერისა.

და საწყაულ იქმნა; კ^ბ-სა ქსესტსა ჰრქჳან ებრაელთა მოდ, ხოლო მოდი ბერძენთა გამოთარგმანეს და მოდადვე სახელ-სდებენ.

ეგრევე-სახედ მეგჳპტელნი სახელ-სდებენ მეტ; ეგრევე-სახედ ასურნი და არაბიელნი მოდ-ადვე სახელ-სდებენ, რომელი გამოითარგმანების „აღსარება“, რომელ არს მოდიმ.

უკუეთუ არა აღივსის მოდი იგი, არა აღიარის, ვითარმედ სავსე არს. და სხუასაცა ადგილსა გამოთარგმანებად ორკეცად ჰპოვო. რამეთუ ჰრქვანცა გნომონ, რომელ არს საწყაული; სახელ-ედების აღსარებაცა და აღსარებული და აღმ[ს]არებული. რიცხვ იგი საქმეთა მათ ღმრთისათა დასაბამითგან კ^ბ-თა მათ ასოთა სიტყვს შემოღებად, რომლისათვს შჯული ჩუენდა მოიწია და ღმრთისა მოძღურებითა ყოველივე ჩუენ სახელ გუექნა, რომლისაგან შჯული და საიდუმლონი მას შინა ქრისტე იესუ მოსლვასა მას მისსა გვწამა და გამოგვცხადნა.

რომელი მოვიდა და სახარებითა მით აღგვესო ჩუენ საზომი იგი ცხორებისა მოდისა მისგან, ესე იგი არს აღსარებისა. ყოველმან, რომელმან აღიაროს მისა მიმართ, ცხორებად მისგან შეიმოსოს საწყაულითა მით სიწმიდისადათა, რამეთუ ებრაელთა თქვან, რომელ არს კ^ბ ქსესტი პირველმოქსენებისა მისებრვე აღრაცხილისა, რომელნი მრავალსახედ თქუმულ არიან, რამეთუ მრავალთა სხუათა ნათესავთა გინათუ შეჰმატეს, გინათუ გამოაკუეს საწყაულისა მისგან, რომელი ჭეშმარიტად ებრაელთაგან აღირაცხა, არამედ ჰრომთაცა შორის იპოვა ენისაებრ მათისა.

მოდსა საწყაულ ჰრქვან, ვითარცა ებრაელთა შორის **ალეფ** ყრმასა სწავლასა შინა ჰმოძღურინ, და ბერძენთა შორის **ალფინ** ძიებად იპოვა და სახელ-ედების. ხოლო მე ვისწავე ებრაელთაგან, ცხადად იპოვნეს სხუასაცა ენასა შორის.

გ. დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის სქოლიო⁸

ხოლო მიკვრს თითოვეულად აღმომკითხველთა^{**} ესოდენისა ამის სულისა წმიდისა შემზადებად და გულისხმის-ყოფად, რომელნი სარგებელსა ამას და ღმრთისა ნიჭსა მიიღებენ, რადთა არცალა ამას ზედა იქადოდნიან შორის წარმართთა ყრმათა, არამედ რადთა უწყოდნიან რადცა იპოვოს მათ შორის შემზადებული, გინათუ შჯულისაგან ჭეშმარიტად, წმიდათაგან წიგნთა ძუელისაგან შჯულისა და ახლისაგან. რომელი-იგი მათ შორის იპოვოს, მიზეზი აქუნდეს პირველად წარმართთა შორის ასოდსა შემოღებად **ალეფისაგან**, რომელი ითარგმანების სწავლისა მცნებად მოყვანებულსა მას ყრმასა. და იტყვს: „**ისწავე ალეფისაგან**“.

და მათა მიმსგავსებულად ალფა სახელი დასდევს და შეეცყუა გამოთქუმად იგი გამოთარგმანებულისა ბერძენთა ენასა, რადთა ჰრქუას ყრმასა: „**ისწავე ძიებად ალფინ**“, რამეთუ **ალფინსა** ძიება ჰრქვან ბერძენთა ენასა, არამედ რამეთუ თავცა არს ასოდ იგი **ალფად** და ღმრთისა მიერ მოცემულ არს ნათესავსა კაცთასა აღებად პირისა და გულისხმის-ყოფად, რომელ-იგი წიგნსა ისწავებდედ, დიდითა აღებითა პირისადათა

8 გიგინეიშვილი, გიუნაშვილი 1979: 195-196.

ითქუმის. ხოლო სხუად იგი ასომ მცირედითა აღებითა პირისადათა მიეთ-
ხრობვის და ითქუმის. არამედ არცაღა ასომ აქუნდა ბერძენთა, არამედ
ფუნისაგან ასოდთა წერდეს მათსა მას ბერძულსა ასოსა, რამეთუ ეგ-
რეთვე კმითა და სახელის-დებითა, ვითარცა ებრაელთად, მიმსგავსებუ-
ლად ჰებრაელთაებრვე პინიკთა მათგანვე იპოვა.

პალამიდის ვინმე უკუანადკენელ მოვიდა და იწყო **ალფა – A, ბეტა – B, გამა – Γ, დეტა – Δ, იოტა – [I, ეტა], კაპა – [K], ლამდა – Λ, მუ – M, ნუ – N, ოგ – O, პი – Π, რო – P, სიმა – [Σ]**, ტა – [T], ვ – Υ***.

შესძინა კადმოს მილისელმან ასომ სამი: **თეტა – Θ, ფუ – Φ, ქი – [X]***, ამისთვისცა მრავალჟამ ით ხოლო იკმევდეს. ამისთვისცა, რამეთუ პირ-
ველთა მათ არა აქუნდა ლიტონი პალიდა, სახელ-სდევს სიმიადაგან და პისა და ალფასა წერდეს და სხუასა მრავალსა სიტყუასა სხუად-სახედ სახელ-სდებდეს და წერდეს.

ამონიდოს ჯონელმან შესძინა ორი ასომ; **ჰეტა – H, ჰ – Ω;**

ეპიქარმოს სირაკელმან – სამი სხუად: **ზეტა – Z, ქსი – Ξ, ფსი – Ψ**, და ესრჳთ აღესრულა კ იგი ასომ. ამისთვისცა მიამსგავსა ომეროს რიცხვ იგი კ-ბ-თა მათ წიგნთა ებრაელთად კ-დ-სა მას ასოსა გამოსახულსა და აღრაცხილსა. და მანცა თვისი იგი კელოვნებად "ზლიადოდისი" კ-დ-ნი დაჩ-
ხიბულნი კ-დ-ითა მით ასოდთა მიამსგავსა, ეგრეთვე კუალად "დვსევს", ესევე სიტყვს-შემოღებად ჩუენისა მას აღთქუმისადა, რომლისათვის-იგი აღვთქუთ ჩუენებად რიცხვ იგი კ-ბ-ითა მათ საქმეთად ღმრთისა მიერ, რომელი ვ-თა მათ დღეთა სოფლის შესაქმისათა იქმნა.

2. უცხო სიტყვათა განმარტებანი⁹

აბესალომ ითარგმანების მშუდობა მამისა (3, ზ.წ); **აბიმელექ** სახელი არს ზოგადი ვითარცა ჰრომელთა კეისრობა და მეგვპტელთა ფარაობა, და ანუ თვთ სახელი არს მისი განთესებული (7, 12); **აბრაჰამ** გამოითარ-
გმანების თითოსახედ, ესე იგი არიან: მამად მალლისა, მამად ძისა წინა-
მოსულისად და მამად წარმართთა (103,5); **ალილუია** გამოითარგმანების

9 სხვადასხვა თხზულებაში შემონახული ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური მეტატექ-
სტების დიდი ნაწილი, ძირითადად, გამოქვეყნებულია ამავე თხზულებებზე დარ-
თულ ლექსიკონებში, ასევე, ცალკეულ სტატიებში (მაგ., იხ. თვალთვაძე 1989 (3):
68-77). აქ წარმოდგენილი მეტატექსტების დიდი ნაწილი ამოკრეფილია „ფსალმუნთა
გამოკრებული თარგმანებიდან“ მეტატექსტების ციტირებისას მითითებულია შესა-
ბამისი ფსალმუნისა და მუხლის ნომერი; ფსალმუნთა სათაურის განმარტების აღმ-
ნიშვნელი ტერმინი ზედაწერილი / ზედაწარწერილი, მოსეს გალობა შემოკლებულია
და მითითებულია ფსალმუნის (ან გალობის) ნომერთან ერთად. ერთი მაგალითი და-
მოწმებულია ეფრემ მცირის თეოლოგიური ლექსიკონიდან, რომელიც ამ თხზულებას
წინ უძღვის. ამ მეტატექსტების მოკლე მიმოხილვა იხ. დობორჯინიძე 2001: 188-194).

აქებდით და უგალობდით ღმერთსა, ... რამეთუ ალ აქებდითად გამოითარგმანების, ხოლო ილუ, ვითარმედ: ნამდვლვე, ხოლო იაო უფალსა, გინა ღმერთსა ევსუქი: ვაქებდეთ ღმერთსა ცხოველსა, რომელი არს მითხრობა ქველისმოქმედებათა მისთა(145, ზ.წ.); **ამორვეელი** გამოითარგმანების დამაწყნარებელად წყალთა (134,10); **ანგელოს** ეწოდების ქადაგსა და მიმთხრობელსა მსახურებისასა (103,5); **ანგია** მედღესასწაულედ გამოითარგმანების (104, ზ.წ.); **ასაფ**: ორსახედ გამოითარგმანების სახელი ასაფისი: შემკრებელად და შესაკრებელად (81, ზ.წ.); **აპრონ** მთად ძლიერად გამოითარგმანების (134,19).

ბასანი მწარედ გამოითარგმანების [...] ბასანი ადგილი არს მეფეთა საჯდომისა... კუალად ბასანი სირცხვლად ითარგმანების (67,21); **ბაბილონი** შერევნად გამოითარგმანების, გინა შფოთად (86,4); **ბელფეგორ**: ბალ კერპი იყო ამანელთა, ფეგორს აღმართებული, და ეწოდების ბელ ებრაულად, ხოლო ბაალ ბერძნულად, რომელი-ესე კრონოსსაცა ეწოდების ბერძნულად (105, 27); **ბენიამენ** გამოითარგმანების მგელ მტაცებელ (79,2); კუალად **ბენიამენ** ძედ მარჯუენისა გამოითარგმანების (67,26); **ბობლანი** ორლანო ადგილი არს გალობისა (80,1); **გალაადი** გამოითარგმანების ადგილსა დაშენებულად (107,8).

დავით სასურველად გამოითარგმანების (77,2) **დავით** გამოითარგმანების, ესე შევიყუარე (3,2), **დავით** მხოლოდ ითარგმანების (27, ზ.წ.).

ევკატე გამოითარგმანების სიბნელედ (113,12), **ევკატე** მოსაჭირვებელად გამოითარგმანების (135, 10); **ედომ** ქვეყანიერად გამოითარგმანების (135, 8); **ეფრათა** ნაყოფის მომღებელად გამოითარგმანების (131,5); **ეთამ** მაღლად ითარგმანების [...] **ეთამ** არა ხოლო მაღლად, არამედ სისხლად ვიეთად გამოითარგმანების (88, ზ.წ.); **ერმონი** წმიდად გამოითარგმანების (132,3) [...] **ერმონი**, რომელ არს სახილველი ნათლისა (88,11), **ერმონი**, რომელ ითარგმანების გზად ნათლისა (41,6); **ეფრემ** ნუგეშინის-ცემად გამოითარგმანების (107,8), **ეფრემ** ნაყოფის შემწირველად გამოითარგმანების (72,3); **ეშმაკ** შემასმენელად გამოითარგმანების (71,4).

ზაქარია გამოითარგმანების მძლეობად ლომისა (145, ზ.წ.) **ზაქარიასტვს**, ესე იგი არს, ფსალმუნი საკსენებელად უფლისა (137, ზ.წ.)

თაბორი, რომელ არს რჩეულ (88,11); **თარსის**, რომელ არს ქალაქი კარქიდონი, სამთავრო ქუეყანისა აფრიკელთადასა (მოს. გალ, 6) **თარშად** კარქიდონს ყოველნი სახელ-სდებენ (71,10).

იაკობ მსმენელად გამოითარგმანების (151,1), **იაკობ** მპყრობელად უკუანადაცნელისა გამოითარგმანების (147,8); **იდიოუმ** მაცდურად გამოითარგმანების (38, ზ.წ.); **იდუშია** გამოითარგმანების მოკლებულად (107,9); **იემენი** ითარგმანების მარჯუენე ჩემი (147,1); **იერუსალემი** სახილ-

ველად მშვდობისა ითქუმის (145,2); **ითამ** არეულად სთარგმნა სვმმახოს [...] ვიეთნიმე ითამს ადგილისა სახელად თარგმნიან (73,15); **იოპე**, რომელ არს სამსტრო სიხარულისა (მოს. გალ. 6); **იოსებ** ნაყოფის გამომღებელად გამოითარგმანების (77,67) იოსებ შეძინებულად გამოითარგმანების (104,16); **ისრაელი** გამოითარგმანების ერად ძლიერად (113,1), **ისრაელად** იტყვს მხედველობასა გონებისასა (24,24) **ისრაელი** ითქუმის გონება მხედველი ღმრთისა (21,23) [...] მასვე და ერთსა სახელ-ედების **იაკობ** და ოდესმე – **ისრაელ**. რაჟამს საქმითითა მოლუაწებითა ჰბრძოდეს კაცი პირუტყუელთა ვნებათა და არაწმიდათა ძალთა, მაშინ **იაკობ** ეწოდების, ვითარცა მწიხნელსა ბოროტთა მათ ბანაკთასა, ხოლო რაჟამს წმიდა იქმნეს გონებითა და ესრეთ უშფოთველად ხედვიდეს ღმერთსა, მაშინ **ისრაელ** ეწოდების, რომელ არს გონება, მხედველი ღმრთისა (97,3); **ისრაიტელი** დათესულად ღმრთისა გამოითარგმანების (88, ზ.წ.).

კედარი ბნელად გამოითარგმანების [...] ხოლო კედარი ამისთვის მოიკსენა, რამეთუ არს ესე უდაბნოსა აღმოსავალისა ადგილი, რომელი მიიწევს ვიდრე სპარსეთადმდე, რომელთა შინა მკვდრ არს ნათესავი სარკინოსთა და მას ეწოდების **კედარ**, თანამოსახელედ კედარისა, რომელი იყო მეორე ძე ისმაელისი (119,5); **კორე** ითარგმანების მტიერად (83, ზ.წ.) ხოლო ძენი კორესნი გამოითარგმანების ძედ შეცოდებისა, რამეთუ კორე წინააღმდეგომ იქმნა ღმრთისა (84, ზ.წ.); **კადი**: შესძრავს უდაბნოსა კადისასა, ესე იგი არს, წმიდასა, რამეთუ კადი წმიდად გამოითარგმანების (28,6).

ლევი, ლევეტი, სამსხმური ჭურჭელი არს ლევი, გინა ლევეტი (59,8); **ლიბანი** გამოითარგმანების განმასპეტაკებლად (103,6).

მალეთ ხოროდ გამოითარგმანების, ხოლო ხორო მწყობრსა სახელედების, მრგულიად მოწყობილსა, გინა მგალობელთა, ანუ მომღერალთასა (52,1) [...] კუალად **მალეთ** დასაბამად გამოითარგმანების (87, ზ.წ.); **მანასე** დავიწყებულად გამოითარგმანების (107,8); **მოაბ** იყო ძე ლოთისი, რომლისაგან იყვნეს მოაბელნი (მოს. გალ. 1); **მოსე**: ორსახედ ითქუმის სახელი მოსე და ორსახედვე გამოითარგმანების, რაჟამს თქუა, ვითარმედ: **მოსე**, ამაღლებულად წყლით გამოითარგმანების; ხოლო რაჟამს თქუა **მოისი**, გამოძიებად უფლისა, გინა ცხოვრებისაგანად გამოითარგმანების (98,6).

ოგ კრწნილებად გამოითარგმანების (135,19) კუალად **ოგ** შემომკრებელად გამოითარგმანების (135,9).

რააბი გავრცელებულად გამოითარგმანების (86,4).

საბაოთ მკედრობითად გამოითარგმანების ენისაგან ებრაელთაჲსა (ლექს.) უფალი ძალთა, ებრაულად უფალი **საბაოთ** (45,7); **სამოელ**, ვითარმედ სახელი მისი ღმერთ არს (98,6); **საულ** გამომთხოველად გა-

მოითარგმანების (17, ზ.წ.); **სეონ** გამოითარგმანების მკურვალედ განსაცდელად (134,10) **სეონ** ამაღლებულად გამოითარგმანების (135,19); **სერაფიმი**: სახელი სერაფიმისად ესრეთ გამოითარგმანების: შემწუელად, გინა მგზებარედ (103,5); **სიკიმა** აღმავალად გამოითარგმანების (107,7); **სიონი** კარვად გამოითარგმანების (145,10), **სიონი** ეწოდების მალალსა, რომელ არს ეკლესია (21,24), **სიონი**, რომელი შორით ხედვიდეს მოსლვასა უკეთურთასა, **სიონი**, [...] რომელი ხედავს, ვითარცა სამსტროდთ (9,10), **სიონად** ზეცისა იერუსალემს უწოდს (9,4), ხოლო **სიონი** გამოითარგმანების სამასლო, რომელ არს გუშავი, გინა დეტი, რომელი შორით ხედვიდეს მოსლვასა უკეთურთასა (75,2), კუალად [**სიონი**] არს საებგურო სათნობათა (125,1), **სიონი** მცნებად გამოითარგმანების (136,1), ზოგად გამოითარგმანების სახელი **სიონისი**, უვალადცა და წყურიელად, [...] **სიონ** ეწოდების გულსა საებგუროსა, რომელსა ჰქვან მომსტურე საღმრთოთა ხედვათასა (131,12), **სიონი** გამოითარგმანების ადვილად საყოფელად კარვისა, რომელ არიან ცანი (135,3), კარავი, ესრეთ გამოითარგმანების სახელი **სიონისი** (145,10); **სოლომონ**, რომელი მშუდობად გამოითარგმანების (71,ზ.წ.).

ტანვოსი ითარგმანების მდაბლად და უნდოდ მეტყუელად (77,12); **ტიროს** შერევენად ითარგმანების (86,5).

უსუპი: ხოლო უსუპი არს სახე მდელიოსა ფრიად მრცხელისა და ამას იტყვს სახედ განწმედისა მის (50,7).

ქამ, რომელი-იგი კადნიერად გამოითარგმანების (71,51); **ქანაან** გამოითარგმანების თაყუანისმცემელად უსჯულოებისა (104,10); **ქერუბიმი** გამოითარგმანების მეცნიერებად და გულისკმის-ყოფად (71,11); **ქორები** სიბრძნედ გამოითარგმანების (105,19); **ქრისტე** ცნებულად გამოითარგმანების, ვითარ-იგი მრავალგზის გუასმიეს წმიდათა წერილთა შინა. ხოლო მიზეზი ამის პირისად რეცა საძიებელ არს, თუ ვითარ ბერძულთა საფსალმუნეთა შინა მრავალგზის მოიკსენების სახელი ქრისტესი, ხოლო ქართულთა შინა არცა ერთგზის სადა. გარნა ესე ამიერ ისწავე, რამეთუ ვითარ-იგი ბერძენნი პატივისათვს ებრაელთადა მრავალთა სიტყუათა იკუმევენ ებრაულთა, ეგრეთვე ქართველთა მრავალი სიტყუად აქუს საკმარად ებრაულისაგანცა და ბერძულისაგანცა, ვინათგან უმეცართა მიერ არა ადვილად განირჩევიან უცხონი იგი სიტყუანი ბერძულნი ებრაულისაგან. ხოლო ჩუენ ებრაულისაგანცა მათვე სიტყუათა შემოვიხუამთ, რომელნი ბერძენთა შემოუხუამან, და კუალად ბერძულისაგანცა სხუათა უმეტესთა სიტყუათა, რომელთაგანი ერთი არს სახელი ქრისტესი. რამეთუ ებრაელთა თვსსა ენასა ზედა სხუად სახელი აქუს ცნებულისად, ესე იგი არს მესია. ხოლო ბერძულად ქრისტე არს ნაცვალად ცნებულისა. ვინაძცა ცხად არს, ვითარმედ პატივისათვს ბერძენთადა ვიტყვთ ქრის-

ტესა, ხოლო დავითთა შინა ცხებულსა ვიტყვთ ნაცვალად ქრისტესსა. [...] გარნა ესე საცნაურ არს, ვითარმედ ორითავე ამით უფალი ჩუენი იესუ ქრისტე იქადაგების ცხებულად უფლისა (ლექს.).

ჰეროდონ მთავრად, გინა მფლობელად გამოითარგმანების (103,17) კუალად **ჰეროდონ** მსგავსად ქრისტესა შემოიღების, რამეთუ მფრინველი ესე არს თავით სპეტაკ, ბოლონი და ფრთენი მეწამულ და შუენიერ ხილვითა და თუალითა მაკუდინებელ, რომლისა გარემოჲსა ვერარაჲ გესლოანი იკადრებს მიახლებად (101,17); **ჰურიასტანი** გამოითარგმანების აღმსარებელად ღმრთისა (113,12).

3. ქართული სიტყვების განმარტებები¹⁰

ალაგ ეწოდების გზასა ვრცელსა (138,3); **ამაო** ურგები არს და უნაყოფო (61,9); **ამაოდ მტერობა** ესე არს, რაჟამს აღუდგეს კაცსა მტერი, რომელსა მისგან არაჲ ევნებოდის (3,7); ამბოხი არს ერისკრება, სიშფოთედ შეკრებული (63,2); **ალთქუმა** არს ქადება და აღმოქუმელ-ქადებელი (მოს. გალ.2); **აღსარება** არს გალობაჲ მადლობითი, სადიდებელად ღმრთისა აღმოთქუმული, სამადლობელად ყოვლისავე, რაოდენი კეთილი მიყო ჩუენ (91,1); **აღშენებული**: „უკუნისამდე წყალობაჲ აღეშენოს“, ესე იგი არს, განემტკიცოს, რამეთუ აღშენებული აღდგომილი რაჲმე არს და განმტკიცებული (88,2); ახალ ეწოდების ყოველსავე შეუმწიკულებელსა და დაუძუელებელსა (97,1).

განახლება: „სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა“ განმიახლე, ესე იგი არს, შთამიდეჲ ახლად (50,10); **განკფობა** არს დაქსნა ძალისა (74,3); **გალობა** არს თუსისაებრ უკუე სიტყვსა კმაჲ რაჲმე ყოვლისავე კმისა მიერ კმა ტკბილობით თქუმული და ყოვლითავე ორღანოჲთა მუსიკებრითა. და იხილვების დამწყებელად ამისა საღმრთოდ ოდენ მოსე... გალობა არს ხედვაჲ გონებისაჲ წულილადი და ღმრთისმეტყუელებჲა უცთომელი და მართალი, რომელნი-ესე იყვნენ სულთა შინა მართალსათა და იწურთებოდინ მათ მიერ და აღიწევინან სასმენელად უფლისა (მოს. გალ. 1); **განმამრუდებელი** არს მკურნალთა მიერ ოპისტონად სახელდებული სენი, რომლისა მიერ ყოვლითურთ უკულმართ უკუდრკების გუამი და ზურგსა ზედა, ვითარცა მშვლდი გარდაცუმული მოდრკების (მოს. გალ. 2).

დამორჩილება არს ნეფსით და წადიერად ნებება კეთილისა, ხოლო აკვლა დამორჩილებისა წილ დასდვა დუმილი; ესე იგი არს, რაჲთა დუ-

¹⁰ ქართულ სიტყვებში, ცხადია, მხოლოდ ავთენტური ქართული ძირები არ იგულისხმება; ესაა სიტყვები, რომელთაც მეტატექსტების ავტორი ქართულ სიტყვებად თვლის.

მილით და სასოებით მოველოდეთ აღთქუმათა მათ კეთილთა მოქმედებითა სათნოებათადათა და მარადის ვედრებითა (36,7) **დღესასწაულობა:** დღესასწაულობდეს, ესე იგი არს, გამოაჩინოს თავი თვისი, რამეთუ დღესასწაული გამოაჩინებელი არს საქმისა მის, რომელსაცა დღესასწაულობს, ვინადაცა დღესასწაულობს ამისთვის, რამეთუ სახილველ-ჰყოფს (75,11).

ებან-დაფი ებანი შეიმზადების მკუდრისაგან ცხოვარისა, რომლისა მსგავსად გვკმს მკუდარ-ყოფად თავთა ჩუენთა ცოდვათაგან და წარდგინება მსხუერპლად ცხოველად ღმრთისა (80,1)... დაფი კორცთაგან არს და ებანი და მეებნე მოკუდინებისათს ღმრთისა მიერ, რამეთუ მკუდართა კორცთა არს ებან-დაფი (67,24); **ელვა** ...არს რომელსა ორი საქმედ აქუს, განანათლებსცა და შეაძრწუნებსცა (17,4).

თესლ ეწოდების ყოველსა საქმესა სოფლიოსა წარმავალსა (11,6).

იგავი: იგავსა აქუს ორი საქმედ: ერთი, მიფარულად მეტყუელება და მეორე – სახისმეტყუელება (48, 4).

კლერტი და **თივა** მწუანვილნი არიან უნაყოფონი და თორნესა მთასაგზებელნი (მოს. გალ. 2).

ლოცვა არს ვედრება და მვედრებელ არიან მლოცველნი (მოს. გალ. 3) ხოლო **დიდროანი ლოცვანი** სამნი არიან, რომელთა ჩუენ სახელ-ვსდებთ მწუხარისად, ცისკრად და ჟამის წირვად (54,17).

მარადლე, ესე იგი არს, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა (43,8); **მამა:** მამად უწოდენ შვილნი მათ, რომელთაცა კუალსა მიდევნებულ იყვნეს და რომელთა გზასა მავალ-ყოფილ იყვნეს (105,10); **მალნარი** არს მათათა შინა ტევნარი შანბი (79,6); **მზაკუარი** არს პირითა სიყუარულისა მჩემებელი და გულითა მმარხველი სიბოროტისა (5,7).

ნაპრალი, ესე არს დანახეთქი მათათა (მოს. გალ. 6); **ნათესავ** ეწოდების საქმეთა კეთილთა, რომელნი, ვითარცა თესლნი დარჩებიან სოფელსა შინა (24,14); **ნეტარება** არს წუევა სასოებისა (33,8); **ნეშტი:** ნეშტად ითქუმის ყოველივე ნაშთომი (75,11); **ნიავექარი** მძაფრსა კუეთებასა ქართასა ეწოდების (49,3).

სამკურნალო სახლი ესე არს, რომელსა შინა პირად-პირადობისაებრ სენტასა ვპოებთ წამალთა, საკურნებელთა მათთა (83,4); **სანოავე:** ყოველივე ჭამადი, შემზადებული, უამოვნეს იქმნების და სანოავე ეწოდების (54,14); **სარეცელი** განსუენებისა გამომხატველ არს (149,5); **სასმენელ-ყოფა:** „ვინ-მე იტყოდეს ძლიერებათა უფლისათა? სასმენელ-ყვნეს ყოველნი ქებულეზანი მისნი.“ **სასმენელ-ყოფა** ესე არს, რადთა ლოცვათა ჩუენთა, რომლითა ვაქებთ ღმერთსა, შეწყნარებულ იყვენ (105,2); **სასოება** არს წარმართება მცნებათა (70,14); **საკუმილავი** არს მეოთხედი ნაწილი ღამისა (89,4); **სიბრძნე, წურთა:** არს განყოფილება სიბრძნისა

და წურთისა შორის. რამეთუ სიბრძნე არს სხუათა სარგებელი, ხოლო წურთა არს თავისა თვისისა სარგებელი (48,4); **სიმართლე** არს მოქმედება სათანადოდსა, გინა თანამედებისა (მოს. გალ. 1); **სჯული, სიმართლე, სამართალი**: პირველად ყოვლისა გიკმს, რადთა მეცნიერ იყო, თუ ვითარ განიყოფებიან ურთიერთას სჯული და სიმართლენი და სამართალნი უფლისანი. და ყოველივე ესე უპირატეს ყოველთასა მოსეს მოეცნეს, ვითარ-იგი თქმულ არს, ვითარმედ, სიმართლენი და სამართალნი ესე იგი არიან მსჯავრნი, რომელნი მოსცნა ღმერთმან მოსეს. **სჯულ** ეწოდების ყოველსავე განმაწესებელსა და მბრძანებელსა სათნოდსა მოქალაქობისასა, ხოლო **სიმართლე** – აღსრულებასა მისსა და მცნებათა თანაწარუვალად ბრძანებულთა და თავად-თავად აღრაცხულთა, რომელთა თანა-წარსლვად შეუძლებელ იყოს. რამეთუ მეუფებრი ბრძანება არს არა მონებრი განზრახვა. ხოლო **სამართალ** ეწოდების საღმრთოდსა მის გამოცხადებასა და მსჯავრთა მისთა უქცევლობასა (118, ზ.წ.).

უგუნური: უგუნურად ვიტყვოტ ბრძენსა, რომელსა ძალ-ედვას გავონებად უმჯობესისადა და არა ინებოს (48,12); **უდაბნო** ეწოდების, ვინადთგან არა არს მას შინა შენებულებად რადსამე (105,10); **უპეე** საძირკველი არს ჩჩვლისადა და მით იზრდების (70,6); **უსასყიდლო** – უსასყიდლოებად უღირსებისა გამომაჩინებელი არს, რამეთუ ყოველივე შეურაცხი და უქმარი უსასყიდლო არს (43,12); **ფოთე**: ხოლო თუ დაიღვარა და დაითხია, ამის წილ, თუ: მომედგრდა და ფოლხვიდა, რამეთუ ფოთე დაღვრად ითქუმის, ანუ დაქსნილად (72,2).

ყოვნა: „შემწე და მკსნელი ჩემი შენ ხარ, ღმერთო ჩემო, ნუ ჰყოვნი“ ნუ გარე-მიაქცევო ვედრებასა ჩემსა, რამეთუ **ყოვნა** არასმენასასა ეწოდების (69,5); **ყველი**: ყუელი შეყოფილი არს, შედგენილი და განმაგრებული (67,15,).

შედგომა, ესე არს უკუანა შენსა მიყოლა (მოს. გალ. 7); **შერისხვა**: რომელსა-ესე ჩუენსა ენასა შერისხვად ვიტყვოტ, ბერძენნი განკანონებად იტყვან (9,5); **შექმნა, დაბადება**: შექმნა ითქუმის კორცთათვს, ხოლო დაბადება-სულისათვს... შექმნა ითქუმის პირველისა მისთვს, რაჟამს მიწისაგან შევიქმნენით, ხოლო დაბადებად მეორედ განახლებასა ქრისტესმიერსა უწოდოტ (118,73) შექმნა არს განმრავლება სათნობათა (70,14).

ცეცხლი და **სიცხე**, ერთბაშად ბუნება და საქმე, რამეთუ **ცეცხლი** ვიდრემე ბუნებისა სახელი არს, ხოლო **სიცხე** არა არსებასა ცეცხლისასა, არამედ საქმესა მისსა წარმოაჩენს (მოს. გალ. 7); **ცოდვა** არს შეურაცხყოფა შჯულისა (31,1); **ცოდვილ** ეწოდების ცოდვასა შინა შთავრდომილსა (118,148); **ცუარი** არს პირველ მძაფრისა წვმისა წურილად და განზნევიო გარდამომავალი და არა კშირად (71,6); **ცხედარი**: ცხედრად ითქუმის შიშუელი საგებელთაგან (6,6).

ძეძვ არს, ანუთუ *გურწამლი*, სახე ეკლისა დიდროანისა და არს მაგარი და ფიცხელი (57, 9).

წამება ეწოდების, რაჟამს უწამებდეს კაცთა ამის რადსამე ქმნასა და მის რადსამე არაქმნასა და წინაიდთვე უბრალო ჰყოფდეს თავსა თუსსა გამოცხადებითა სასჯელსა მას, რომელ შეემთხუევს ურჩთა საღმრთოდსა ბრძანებისათა (118, ზ.წ.) *წამება* ეწოდების, რომელ უწამებდეს ცოდვითა და უჩუენებდეს პატიჟსა, მათთვის დაუნჯებულსა (18,7) ხოლო *წამებანი უფლისანი* არიან თვთ მისნივე თქუმულნი სიტყუანი, ვითარმედ: „მე ნათელი სოფლად მოვივლინე და ძე მამისაგან გამოვედ. და „მე ვარ გზად და ჭეშმარიტებად.“ და კუალად *წამება* არს, რაჟამს თქუას მამამან: „ესე არს ძეე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“ (16,7); *წარმართ* ეწოდების ყოველსავე უსჯულოებით მავალსა (105,46); *წერაქვ* ორღანოდ არს ქვით ხუროთად განპებისათვს ქვისა (73,6) წმიდა არს ყოველი მოყუარე ჭეშმარიტებისა და მოძულე სიცრუისა (11,1); *წრფელ* ეწოდების ანგელოსთა და წრფელნიცა კაცთა საქმენი წინაშე ღმრთისა შემავალ არიან და ხედვად საწადელ... რომელი მცნებათა ღმრთისათა უზაკველ იქმოდის, მას ეწოდების წრფელ (10,7).

ამ განმარტებათა ნაწილი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის პირდაპირი წყარო ჩანს. ესენია: გალობა, მალნარი, მზაკუარი, ნაპრალი, სანოაგე, ფოთე (ქართული სიტყვები), ალილუია, მალეთ, სიონი, ანგია, ზაქარია (უცხო სიტყვები). ქვემოთ მომაქვს ამ სიტყვათა განმარტებები საბას ლექსიკონიდან.¹¹

(ქართული სიტყვების განმარტებები): (1) გალობა არს თვისისაებრ უკუე სიტყვსა კმა რამე ყოვლისავე კმისა მიერ კმატკბილობით თქმული და ყოველივე ორღანოთა მუსიკებრითა მადლობა. (2) გალობა არს რაოდენი რა ხედვისა მალლისა ღმრთის(ა) მეტყუელები(თი)სა მქონებელი იყოს. (3) გალობა არს კმაე ავაჯიანი შეწყობით აღტევებული თვნიერ კმაცემისა რომლისავე ორღანოსა. (4) გალობა არს მართლმადიდებლობითა მიერ ღმრთისმეტყუელება, რომლისა თვით თავით თვისით იწვრთიდეს შეწირვასა ღმრთისასა სულისა სრულისა ვისიმე C. გალობა არს თვისისაებრ უკუე სიტყვისა კმა რამე კმატკბილობით თქმული და ყოველივე ორღანოთა მუსიკებრითა მადლობა (E).

საბას განმარტება ოთხი სხვადასხვა წყაროდან ჩანს გამოკრებილი. აქედან პირველი სიტყვა-სიტყვით (ფონეტიკური ხასიათის სხვაობებით) ემთხვევა, ხოლო მეორე და მეოთხე ახლოსაა „*ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანების*“ განმარტებასთან. მესამეს წყაროა გრიგოლ ნოსელის

11 ქვემოთ დამოწმებული მაგალითები იხ. ორბელიანი 1991 (1); 1993 (2).

„მოსეს ცხოვრების“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანი. ჩანს, რომ საბას შეუფჯერებია სხვადასხვა განმარტება.

სხვა მაგალითები: **ნაპრაღი** – მთა დანახეთქი (16,26 ლუკა) – ნაპრაღი გაუსვლეღი, ZA, ესე არს ნაპრაღი, გასვლაშეუძღლებელი B, ნაპრაღი – (2,19 ესაია) განახეთქი ZA. კლდე დანახეთქი E. **ფოთე**: ფოთე დაღვრა, გინა დაქსნა ZAB. ფოთე დაღვრად ითქმის, ანუ დაქსნად (დაქსნიღად D) ფოთე დაღვრად გამოითარგმანება, ანუ დაქსნიღად E. **მალნარი**: მალნარი არს მთათა შინა ტევრნარი შანბიანი. **შაკუარი** (ზაკვა): ზაკვა არს, პირით სიყუარულსა იჩემებდეს და გულით ბოროტი დაიმარხოს. **სანოაგე**: სანოვაგე საღხინო საჭმეღები (CAB) ყოვეღი ჭამადი შემზადებულღი უამოვნეს იქმნების და სანოაგე ეწოდების (CDE).

(უცხო სიტყვათა განმარტებები).¹² **ალიღუია**: აქებღით უფალსა ZAB. თარგმანი ათანასესი: აქებღით უფალსა. თარგმანი კვრიღესი: რამეთუ აღ აქებღითად გამოითარგმანების, ხოლო იღუ ნანდვიღვედ, ხოლო ია უფღად, გინა ღთად. იაო ებრაეღთა შინა, ვითარმედ გაკუთნვიღად სღთოდ, ვითარმედ აქებღით მას, რომეღ არს უფალი ყოვეღთა. თარგმანი ევსუქისი, ვითარმედ ვაქებღეთ ღმერთსა ცხოვეღსა, რომეღ არს მითხრობა ქვეღის-მოქმედებისა მისისა. თარგმანი სხვა: აქებღით ყოვეღნი არსნი უფალსა C.

მალეთ: მალეთ ხოროდ (ხოროთ Z) გამოითარგმანების (გამოითარგმანება B) მალეთ დასაბამადაც ითქმის (ZAB) რამეთუ მალეთ ხოროდ გამოითარგმანების, ხოლო ხორო მწყობრსა სახელ-ეღების, მრგვღად მოწყობიღსა, გინა მგაღობეღთა, ანუ მომღერაღთა, მაეღეთ (მაეღედ D) დასაბამადაც გამოითარგმანების CbqD.

სიონი: სიონი – სამასღო, გინა დეტი, სიონი სადგური ღმრთისა, ტაღარი, გინა უფალი, გინა მცნება, სიონი ეწოდების მაღალსა, რომეღ არს ეკღესია ZAB. სიონი, სამასღო, რომეღ არს გუშავი, გინა დეტი, რომეღი შორით ხედვიღდეს, სიონი სადგური ღმრთისა, სიონი ეწოდების მაღალსა, რომეღ არს ეკღესია. კვღად ტაღარი და უფალი და მცნება და სხვაცა მრავალი C. სიონი გამოითარგმანების სამასღოდ, რომეღ არს გუშავი, გინა დეტი, რომეღი შორით ხედვიღდეს. სიონი (გამოითარგმანება E) სადგური ღმრთისა და სიონი ეწოდების მაღალსა, რომეღ არს ეკღესია და (კვღად D) ტაღარი და უფალი და მცნება (და სხვაც მარავალი D) DE.

მსგავსია სხვა განმარტებებიც: აბრაჰამ, ანგია, ასაფ, ბენიამენ, ევფრათა, ზაქარია, თაბორი, იემენი, ითამ, ისრაელი, კეღარი, კორე, კადი

12 უნდა აღინიშნოს, რომ ამ უცხო სიტყვათა განმარტებები სხვა ქართულ თარგმანებშიც გვხვდება და ისინი მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია. ამიტომ ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რომელი მათგანი იყო საბას უშუალო წყარო.

(კადეს), მანასე, მოსე, საბათო, სოლომონ. საბას ლექსიკონში ამ სიტყვების განმარტებათა ერთ-ერთი სავარაუდო წყარო *ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება* უნდა იყოს.

ლიტერატურული წყაროების გარდა, საბას ლექსიკონებითაც უსარგებლია. ამას ლექსიკონზე დართული *ანდერძ-ნამავიდან* ვიგებთ: „და ერთი სომხური მომცრო ლექსიკონი ვნახე. რომელსა მათისავე ენითა ბარგირქი ეწოდების, და მეც მათის ბაძით კელი მივყავ და, რაოდენი ძალ-მედვა, აღვწერე. [...] სხვისა ენათა ვნახე და მეც მათის ბაძით აღვსწერე.“¹³

ამ ცნობის კვალობაზე ილია აბულაძემ საგანგებოდ შეისწავლა სომხური ბექდური და მათი წინამორბედი ხელნაწერი ლექსიკონები და დაასკვნა:

1. სულხან-საბა ორბელიანის მიერ ბაძად აღებული სომხური ლექსიკონი არის „სომეხთა ბარგირქი“, ან როგორც მისი ხელნაწერების სათაურშია ზოგჯერ აღნიშნული, „საქერდოლო სიტყვები“, სახელდობრ, მისი ვრცელი ვარიანტი.

2. ამ ვარიანტის მიბაძვით, მისი წესის ჩვენებით, საბა ადგილს უთმობს თავის ლექსიკონში საკუთარ სახელთა (ადამიანთა და ადგილთა) განმარტებებს.

3. ქართულ ლექსიკონში შეტანილ საკუთარ სახელთა მარაგი და მათი განმარტებანი მხარს უჭერენ რამდენადმე ნიშუშად გამოყენებულ ბარგირქს, ხოლო თითქმის სრულიად ემთხვევიან „საკუთარ სახელთა თარგმანებას“, რომელიც დართული აქვს პირველ ბექდურ სომხურ ბიბლიას, ანუ, როგორც ზოგჯერ მას ეძახიან, ვოსკანის, ან ამსტერდამის დაბადებას, ასე რომ, სულხანს ლექსიკონის საკუთარ სახელთა წყაროდ ძირითადად ვოსკანის ბიბლიის საძიებელი გამოუყენებია.¹⁴

საბა ნამდვილად იყენებდა სომხურ წყაროებს (შდრ., ტეგანი, ტარხუნა. ბერძულში სხვა მხალი სწერია და ლათინურში სხვა და სომხურში სხვა; ტარხუნა სხვათა ენაა, ქართულად ტეგანი ჰქვიან).¹⁵ მაგრამ ნიშნავს თუ არა „მათის ბაძით კელი მივყავ“ უცხოენოვანი ლექსიკონებიდან განმარტებების გადმოწერას? სავარაუდოდ, არა.

ილია აბულაძე მთავარ არგუმენტად ასახელებს უცხო სიტყვების (პირთა და გეოგრაფიული სახელების) განმარტებათა მსგავსებას. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მსგავსება ვერ გამოდგება საკმარის საბუთად. საქმე იმაშია, რომ ებრაულ საკუთარ სახელთა განმარტებები, ძირითადად,

13 ორბელიანი 1991: 27.

14 აბულაძე 1976: 201.

15 ორბელიანი 1993 (1): 135, 134.

ბერძნულიდანაა ნათარგმნი სხვადასხვა რელიგიურ ლიტერატურაში; ამიტომ თავისთავად ერთმანეთის მსგავსია. როგორც არ უნდა შეიცვალოს სიტყვის ეტიმოლოგიის თარგმანი, ის მაინც ინარჩუნებს შინაარსობრივ ღერძს. მაგალითად, მოსეს განმარტება (შდრ., მოსე წყლისგან ამალღებულად გამოითარგმანების) მსგავსია ქართულ, სომხურ, სირიულ, კოპტურ, ლათინურ, სლავურ ეგზეგეტიკაში. მაგრამ ეს მსგავსება უფრო მათ საერთო დედანზე მიუთითებს და არა ერთმანეთისგან სესხებაზე, რომელიმე ერთის მეორედან მომდინარეობაზე.

ებრაულ საკუთარ სახელთა განმარტებების შემთხვევაში, ვფიქრობ, უფრო მნიშვნელოვანია არა მსგავსება, არამედ ქართულ და სომხურ ლექსიკონებს შორის სხვაობა. ამის შესახებ ილია აბულაძეც მიუთითებს: „ისიც უნდა ითქვას, რომ საბას ლექსიკონს ამ ნაწილში მოეპოვება ზოგჯერ „თითო-ოროლა სიტყვის რამდენადმე გავრცობილი განმარტება, ზოგჯერაც კიდევ ზედმეტი სიტყვა აქვს განმარტებული, ან განუმარტებელი სახით [...] ისინი შეიძლება ავტორის საკუთრება იყოს, ან ჯერხანობით უცნობი რომელიმე წყაროდან მოხვედრილი ქართულ ლექსიკონში“¹⁶

საბას ლექსიკონსა და სომხურ წყაროში განსხვავებულადაა განმარტებული სიტყვები *ალილუია*, *ანგია*, *ზაქარია*. საბა *ალილუიას* ერთ-ერთ განმარტებლად კირილე ალექსანდრიელს ასახელებს. ამ ცნობის კარნახით, ილია აბულაძეს სავარაუდო წყარო კირილე ალექსანდრიელის ქართულენოვან ლექსიკონებში¹⁷ უძებნია: „ქართველი ლექსიკოლოგის მიერ დასახელებული კირილე შეიძლება კირილე ალექსანდრიელი იყოს, მაგრამ მისი აქ მოტანილი განმარტება კირილეს ზემოთ დასახელებულ ლექსიკონებში არ მოიპოვება. ალბათ, იგი რომელიმე სხვა წყაროდან უნდა იყოს ამოღებული“¹⁸

როგორც ზემოთ ვნახეთ, *ალილუიას*, *ანგიასა* და *ზაქარიას* განმარტებათა სავარაუდო წყარო *ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანებაა*. ქართულ წყაროებს ეყრდნობა საკუთრივ ქართული სიტყვების ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური განმარტებებიც.¹⁹

16 აბულაძე 1976: 201-202.

17 ეს ლექსიკონებია: 1. კირილე ალექსანდრიელის „ლექსი მათეს თავისა სახარებისა ძნელოანთა სიტყუათა განმარტებაჲ ლექსიკონი (ხელნ. A 65, 340-343), 2. ამავე ხელნაწერში მოთავსებული თარგმანება-ლექსიკონი: „წმიდათა და ღვთივ სულიერთა წიგნთაგან ღმერთშემოსილთა მამათა მიერ გამოკრებული ებრაელთა ენისა სახელები რაოდენიმე თარგმანებაჲ ლექსიკონისაჲ (ხელნ. A 343-349).

18 აბულაძე 1976: 267.

19 საბას რომ ქართული წყაროებით უსარგებლია, ამას ანდერძ-ნამავშიც საგანგებოდ აღნიშნავს: „რომელიცა წერილთა შინა ვნახე, გამოვიღე, საღმრთო წერილთა და

ძველ ქართულ წყაროებში დაცული ფილოლოგიური მეტატექსტების შესწავლა ცხადყოფს,²⁰ რომ მათი უმეტესობა ან სიტყვა-სიტყვით მეორდება საბას ლექსიკონში, ან ლექსიკონის ერთ-ერთი წყაროა. ეს მეტატექსტები და საბას ლექსიკონის განმარტებები თანხვედბა ერთმანეთს მაშინაც, როცა ქართული ლექსიკონი და ზემოდასახელებული ვოსკანის ბიბლიის საკუთარ სახელთა საძიებელი სხვაობას გვაჩვენებს.

რაზე მიანიშნებს ეს თანხვედრა? ვფიქრობ, ძველ ქართველ მთარგმნელთა მწიგნობრულ ტრადიციასა და ვახტანგ მეექვსის საგანმანათლებლო ინიციატივას შორის მემკვიდრეობითი კავშირის აღდგენაზე. შესაძლოა, ამას გულისხმობდა საბა თავის ანდერ-ნამავში: ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, უჩინო ქმნილ იყო; ამიტომ დავიწყებულ ლექსიკონის შედგენა გიორგი მეფის ბრძანებით.²¹

კონცეპტუალური თვალსაზრისით, ამ ორი ეპოქის კულტურული ტრადიცია მართლაც ერთიანია, ერთ ხაზს მიჰყვება. შუა საუკუნეების მწიგნობრები თარგმანით, ბერძენთა და ჰრომთა წიგნების გადმოღებით, ამ წიგნების შედგენის პრინციპების ათვისებით ცდილობდნენ ქართველთა „განბრძნობას, გონიერ-ყოფას, და განათლებას.“²²

როცა ეფრემ მცირემ პირველი ლექსიკონი შეადგინა, ნიმუშად მანაც სხვების გამოცდილება აიღო; შდრ.: „ესრეთ აქუს ჩუეულებად წიგნებსა ბერძენთასა, რაათა ანბანსა ზედა განაწყობდნენ ყოველთავე სიტყუათა გამოსაძიებელთა და ღრმათა, რაათა ადვლ იყვნენ საპოვნელად. და მას წიგნსა ლექსიკონ უწოდენ, რომელ არს ლექსთად, ესე-იგი არს, ღრმათა სიტყუათად. და თითოეულსა წიგნსა – გარეშესა გინა საეკლესიოთაგანსა – ყოველივე ღრმად და გამოსაძიებელი სიტყუად ანბანსა ზედა განწყობილი და შეკრებული, თავად და შესავალად წიგნისა უწერია, [...] ამითვე სახითა აღუწერიან თვსნი ლექსიკონნი ღრმათა სიტყუათათვს

ღმრთისმეტყველებათა შინა, რომელნიმე ღრმათა ფილოსოფოსთა წიგნებთაგან და ღმრთისმეტყველებათა, კავშირთა, პროკლეს პლატონურთა დიოდოხოსთა, არისტოტელისთა და ფორფირის კატილორიათაგან გამოვიღე, ნემსიოს და იოვანე დამასკელის პლატონური სიტყვის საქცევები აღვწერე [...] რომელნიცა ვიცოდი, დავწერე, და რომელნიცა ძნელი სიტყუანი არა ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვპოე და რომელიმე სხვათა ენა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელნიცა ვპოე, ადვილად თან მოვაწერე“ (ორბელიანი 1991 (1): 28).

20 ეფრემ მცირის ფილოლოგიური მეტატექსტებიდან საბას ლექსიკონში დასტურდება სამოცდაათზე მეტი სიტყვის განმარტება. იხ. თვალთვადე 1989 (3): 68-77. საბას ლექსიკონის ძველი ქართული წყაროების შესახებ იხ. მ. შანიძე 1987: 166-174.

21 შდრ. საბას ლექსიკონზე დართული ანდერძ-ნამავი, იხ. ორბელიანი 1991: 27.

22 შდრ.: „მათ განანათლეს ენად ჩუენი და ქუეყანად ჩუენი [...] შეამკო და ალაყუავა ენად ჩუენი და ქუეყანად ჩუენი თარგმანებითა წმიდათა წერილთათა (ჯავახიშვილი 1946: 14).

ბერძულთა კონსტანტინე პორფიროგენეტსა და დიდსა კვრილეს ალექსანდრიელსა. [...]რომელსა კუალთა შედგომითა კნინი ესე სახე ჩუენცა გიჩუენეთ თქუენ.²³

„ყოველთა უბრძნესთაგან“ აითვისა ეფრემმა ლექსიკოლოგიის წესები, სიტყვის მნიშვნელობათა დადგენისა და დეფინიციის პრინციპებიც; შდრ.: „არამედ უმრავლესი მათ სიტყუათაჲ წერით ანტიოქს შევიცანი და დიდისა საპატრიარქოსა ფილოსოფოსთა და მიტროპოლიტთა და თვთ მიერ ყოველთა უბრძნესისა წმიდისა მეუფისა მიერ გამოვიძიე საექვ ყოველივე; [...] ოდეს სამნი, გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგეოდენნივე ლექსიკონნი, რომელ არიან ღრმათა წიგნურთა სიტყუათა ანბანსა ზედა განწყობილნი სიტყუანი, ერთად შემოვკრიბნი, მაშინლა ძლით მოუპოჲ ქართული შემსგავსებული სიტყუაჲ.²⁴

ზუსტად ასევე, სულხან-საბაც თავად გვიყვება, როგორ გააგრძელა მან ეს ტრადიცია: „რომელნიცა ვიცოდი, დავწერე, და რომელნიცა ძნელი სიტყუანი არა ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვპოე და რომელიმე სხვათა ენა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელნიცა ვპოე, ადვილად თან მოვაწერე. [...] გარნა რაოდენ ძალ-მედვა, ვეცადე ელენთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბთა წიგნებისაგან და მით გამოვიღე.“²⁵

ქვემოთ კიდევ რამდენიმე მაგალითს დავასახელებ შუა საუკუნეების ქართველ მთარგმნელთა ლექსიკოლოგიური მეტატექსტებიდან. ვფიქრობ, ისინი საკმაოდ მკაფიოდ, დამაჯერებლად მიუთითებს საბას მეთოდის ნადვილ გენეალოგიაზეც და ამ ორ ტრადიციას შორის უწყვეტი მემკვიდრეობითი კავშირის აღდგენაზეც.

კოლვეისტენი: ხოლო კოლვეისტენი არიან მწულილთა მსყიდველნი დინართა, ესე იგი არს, ფოლთანი, რამეთუ კოლვეოსი მწულილი ფოლი არს ელლინთაებრ, რომელსა ჰრომნი ნუმმოდ უწოდენ.²⁶

ხვთქი/კროკოდილო: „და კუალად წყალთა შინა იყვნეს მკეცნი იგი, რომელთა მეგვპტურად მეფუთ ეწოდების, ხოლო ბერძულად კროკოდილო და ქართულად ხვთქი.“²⁷

23 ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეტატექსტი, იხ. მზ. შანიძე 1968: 82.

24 ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეტატექსტები იხ. ხელნ. Jer. 43, 2v; ხელნ. Jer. 16, 1r.

25 ანდერ-ნამავი, იხ. ორბელიანი 1991: 27.

26 XI საიკუნის მთარგმნელობითი მეტატექსტი (ხელნ. A. 52, 17r, იხ. სარჯველაძე 1984: 220-221). საბას ლექსიკონში ეს განმარტებაც სიტყვა-სიტყვით მეორდება. შდრ., კოლვეისტენი არიან მწვლილთა მსყიდველნი დინართა, ესე იგი არს, ფოლთანი, რამეთუ კოლვეოსი წვლილი ფოლი არს ელინთაებრ, რომელსა რომნი ნუმმოდ უწოდენ.

27 გიორგი მთაწმინდელი, მთარგმნელობითი მეტატექსტი, ხელნ. A. 24, 195v, იხ. სარჯველაძე 1984: 213); შდრ., საბას ლექსიკონი: ხვთქი – კროკოდილო; კროკოდილო ბერძულია, ქართულად ხვთქი ჰქვიან.

გვრგვნი/ქელელიელ: ქელელიელ ასურთა ენისაგან ბერძენთა ენასა სტეფანოს და ბერძენთა ენისაგან ქართველთა ენად გვრგვნი.²⁸

საუკუნო: „შეისწავე, რამეთუ ბერძენთა ენითა მრავალგუარად იკმარებენ სახელსა საუკუნოდასა წმიდათა წერილთა შინა. ამისთვისა მე, ვითა თვთ მათითა ენითა არიან, ეგრეთ დამიწერიან სიტყუანი ესე აწ წერილთაგან შემოღებულნი, რათა სცნა, ვითარმედ ამათ სიტყუათა შინა ყოველგან საუკუნოდსა სახელი არს ბერძულად, რომელი წმიდათა მამათა და მოძღუართა ქართულისა თარგმანებისათა ოდესმე საწუთროდ უთქუამთ და ოდესმე სოფლად და ოდესმე ჟამად ფრიად ჯერონითა განგებითა. ხოლო აქა საჭირო იყო, თვთ ვითა მათსა ენასა არს, ეგრეთ დაწერა, რათა არა მოუზავებელ იყოს მათდა თარგმანი მათი.“²⁹

ჰესამენ: „მოციქულისაჲ ჰე, ამენ. თარგმანი ერთისა სიტყვისა ორითა ენითა თქუა, რამეთუ ებრაელებრ ამენი გამოითარგმანების იყავნ.“³⁰

მწუანისფერ: მწუანისფერ, რომელსა-იგი ბერძენთა ჰრქვან პრასინოს, რომელსა ერქუმის ქართველთა ენითა მწუანისფერ.“³¹

ფორო/ფორი: მოეგებვოდეს მას შორს გარეგან ქალაქისა ადგილთა, რომელთაგანსა პირველსა აპპიოდს ფორი ეწოდებოდა, რამეთუ აპპიოდს ვისმე აქუნდა და თვსად ფორად სახელ-ედვა; ესე იგი არს, ხატად თვსა, რამეთუ ჰრომთა ენითა სამეფოთა ადგილთა ფორო ეწოდების.“³²

გუჯარი/კოდიო: კოდიო არს სახელი ჰრომაული და ეწოდების გუჯარსა, განვრცვლებით მქონებელსა სამეფოთა რათამე პირთა და სჯულისდებათასა. [...]

მიგესტნი კულა ეწოდების ჰრომაულად წიგნსა ყოველთა უპირატესთა ბრძენთასა, ვითარ სოკრატისა, სოლომონისა, პლატონისა, არისტოტელისა.“³³

ლექი: ლექი ღრმასა სიტყუასა ჰქვან წიგნურსა, რომელსა სოფლურად ნაცვალნი სხუად აქუნდეს და ესევეთარსა მას სიტყუასა სომხურად ქერაკანი ჰქვან, ქართულად არა ვიცი, შემინდევით.“³⁴

28 IX საუკუნის მთარგმნელობითი მეტატექსტი *სინური მრავალთავიდან* (იხ. ა. შანიძე 1959: 69).

29 ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეტატექსტი (იხ. ენუქაშვილი 1961: 262).

30 X საუკუნის მთარგმნელობითი მეტატექსტი (იხ. სარჯველაძე 1984: 206).

31 მთარგმნელობითი მეტატექსტი შატბერდის კრებულიდან (იხ. გიგინეიშვილი, გიუნაშვილი 1979: 131).

32 ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეტატექსტი, ხელნ. Jer. 16, 203v (იხ. სარჯველაძე 1984: 212).

33 ექვთიმე მთაწმიდლის მთარგმნელობითი მეტატექსტი (იხ. ბრეგაძე 1973: 40-41).

34 ეფრემ მცირის მთარგმნელობითი კომენტარი იხ. ხელნ. A. 24, 13r.

ამიტომ, შუა საუკუნეების ქართველ მთარგმნელთა მწიგნობრული გამოცდილების, განსაკუთრებით მათი ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური მეტატექსტების გათვალისწინებით, გაუმართლებელი ჩანს სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმული აზრი, თითქოს XVII საუკუნეში ფილოლოგიური დისციპლინის აღორძინება სომხურ კულტურულ-საგანმანათლებლო კონტექსტს უკავშირდებოდეს. ეს განახლება, პირველ ყოვლისა, ქართულ მწიგნობრულ ტრადიციასთან კავშირის აღდგენაა და დასავლური საგანმანათლებლო ტრადიციის კვალი ატყვია.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს უკანასკნელ ხანს რომის წიგნთსაცავებში მიკვლეული აქამდე უცნობი ქართული ლექსიკონები, XVII-XVIII საუკუნეებში იტალიასა და საფრანგეთში გამოცემული არაერთი ქართული წიგნი, საქართველოს შესახებ უცხო ენაზე (ლათინურად, იტალიურად ფრანგულად) დაბეჭდილი ლიტერატურა. ირკვევა, რომ ამ პერიოდში ევროპაში გამოცემული ქართულენოვანი წიგნები რაოდენობის თვალსაზრისით არ ჩამოუვარდება საქართველოში, ან რუსეთში იმ დროს დასტამბულ ქართულ წიგნებს.³⁵

³⁵ ვსარგებლობ 2011 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული კვლევითი ექსპედიციის მასალებით.

Τέχνη γραμματική და შუა საუკუნეების ტროპული ჰერმენევტიკა

ერთ-ერთი ფუნქცია, რომელსაც Τέχνη γραμματική ასრულებს, სახემოლებით, სახისმეტყუელებით გადმოცემული შინაარსის ამოცნობა და გაგებაა. ვგულისხმობ ამ გრამატიკის მეორე და მესამე ნაწილებს: ა) პოეტური სახეების, ტროპების განმარტება; ბ) გლოსებისა და ისტორიების გასაგებად ახსნა-გადმოცემა. ისინი სიტყვის ენობრივ და მხატვრულ-ესთეტიკურ მხარეს შეისწავლის და იმ ხერხს იკვლევს, რომელიც სიტყვაში დაფარულ აზრს ნათელს მოჰფენს, გასაგებს გახდის.

ალექსანდრიული გრამატიკის ეს ორი ნაწილი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული; პირველი უფრო სიტყვის ტროპოლოგიურ სიბრტყეს განმარტავს, მეორე – ფაბულის, მითის, კონკრეტული ისტორიის სიბრტყეს.¹ რადგან შუა საუკუნეების ბიბლიის ჰერმენევტიკაში მათ შორის საზღვარი საკმაოდ პირობითია, ამიტომ მათ ერთად განვიხილავ, როგორც ტროპულ ჰერმენევტიკას. იგი ძირითადად მოიცავს ბიბლიის, ზოგადად, რელიგიური ტექსტის, ალევორისტიკას, მეტაფორას, სიმბოლიკას.

შუა საუკუნეების ტროპული ჰერმენევტიკის მეთოდოლოგიური საყრდენი ანტიკური ალევორისტიკაა. ეს უკანასკნელი, გარკვეული თვალსაზრისით, ისტორიული აზროვნების საპირისპირო ჰერმენევტიკაა; ხშირ შემთხვევაში იგი ემსახურება ძველი მსოფლმხედველობის ახალთან შეხამებას, ახალ პირობებში, შეცვლილ გარემოებაში ძველის ლეგიტიმაციას, განახლებას.² არაისტორიულ პრინციპს ეყრდნობა ანტიკური მეტაფორა და სიმბოლიკაც; ნიშანდობლივია, რომ ძველ ეგზეგეტიკაში მათ შორის საზღვრები ნაკლებადაა დაცული; თუმცა, ალევორისგან განსხვავებით, მეტაფორულ და სიმბოლურ მეტყველებაში ტექსტისეული აზრი, ინტენცია შენარჩუნებულია და იგი დამატებით იძენს ახალ, განსხვავებულ ასპექტს, სხვა აზრს. ალევორისა და სიმბოლური მეტყ-

1 თრაკიელის გრამატიკის კომენტატორების მიხედვით, მესამე ნაწილში (გლოსების ახსნა), ალევორისტიკისა და ტროპული მეტყველების გარდა, იგულისხმებოდა დიალექტური ფორმების განმარტება; ისტორიების გასაგებად გადმოცემა უფრო ვრცელი ფაბულების, მითების, მოგვიანებით კი, ძველი აღთქმის ისტორიების განმარტებას ნიშნავდა.

2 ისტორიულ აზროვნებასთან დაპირისპირებაში იგულისხმება ანტიკური ალევორისტიკის მთავარი ტენდენცია, ახალი ჩანერგოს, გადაიტანოს ძველში. ამ სპეციფიკური არაისტორიული ტენდენციის შესახებ ალევორისტიკაში იხ. Stein 1929: 24-26.

ველებისგან განსხვავებით, მეტაფორა რადიკალურად არ ცვლის სიტყვის უზუალურ, თხრობისაებრ აზრს. მეტაფორა მხოლოდ გაააქტიურებს და წინ წამოსწევს ერთ-ერთ მნიშვნელობას, სხვებს კი უკანა პლანზე გადაიტანს, დაფარავს. მეტაფორის ჰევრისტიული პოტენციალიც სწორედ ამაშია.³

ანტიკურობისა და შუა საუკუნეების მხატვრულ აზროვნებაში მეტაფორა და ალეგორისტიკა, გარკვეული აზრით, ერთმანეთის განმაპირობებელი მეთოდებია. ალეგორისტიკა მხოლოდ მაშინ გადაიქცევა განმარტების სისტემად, როცა მეტაფორულობა და სიმბოლო დაუკავშირდება ერთმანეთს. ტრანსფორმაციის ამ პროცესს შეიძლება დავაკვირდეთ კონკრეტული მაგალითების მიხედვით: ბიბლიაში გველს, რომელიც მიწაზე დახობავს და მიწა აქვს საჭმლად (დაბ. 3, 14), მეტაფორული მნიშვნელობა აქვს და გაიგება, როგორც წარმართული, ბოროტი წადილის, ინსტინქტის მეტაფორა. ხოლო გველი, რომელიც უფლის განგებით მოსემ დასახსნელად მოუვლინა ცოდვილებს,⁴ უკვე ვნების ხლართებისგან გათავისუფლების, ხსნის სიმბოლოდ გაიგება (στυχιου σατηριά). როგორც ვხედავთ, ინტერპრეტაცია სიმბოლურია და შესაბამისად განმატრავს მოსეს მიერ „საზღუარსა ზედა აღმართული“ გველის, როგორც სინამდვილედ მიჩნეული მეტაფორული სურათის, სიმბოლურ და ალეგორიულ საფუძველს.⁵

ანტიკური ალეგორისტიკის ფუნქციონირებისათვის სამ აუცილებელ პირობას ასახელებენ: ა) პატივისცემა და მოკრძალება განსამარტავი ძველი ტექსტის მიმართ, ბ) ძველი ტექსტის დროიდან წინ გადადგმული სულიერ-ინტელექტუალური ნაბიჯი, გ) ეს წინსვლა ჯერ კიდევ არ მომწიფებულა ისტორიულ-კრიტიკულ აზრად.⁶

3 შდრ. Hermans 2004: 118.

4 შდრ.: „და მოუვლინა უფალმა ერსა მას გუელი მომსრველი და უკბენდა ერსა მას და მოისრა ერი მრავალი ძეთა ისრაელისა[თაჲ]. და მოვიდა ერი იგი მოსესა და ეტყოდეს: ვსცოდეთ, რამეთუ ძვრსა ვიტყოდეთ უფლისათჳს და შენთჳს. ილოცე აწ ღმრთისა მიმართ და განგუეყენენ ჩუენგან გუელი ესე. და ილოცა მოსე უფლისა მიმართ ერისა მისთჳს. და ჰრქუა უფალმან მოსეს: ჰქმენ შენ გუელი და დადეგ იგი საზღუართა ზედა, და იყოს, უკბინოს თუ გუელმან კაცსა, ყოველმან კბენილმან, რომელმან იხილოს, ცხოვნდეს. და ქმნა მოსე გუელი რვალისაჲ და აღმართა იგი საზღუართა ზედა. და იყო, რაჟამს უკბინის გუელმან მან კაცსა, და მიხედის გუელსა მას რვალისასა და ცხოვნდის“ (რიცხუთაჲ XXI, 8-9).

5 ტრანსფორმაციის ანტიკური, გვიანანტიკური და, განსაკუთრებით, შუა საუკუნეების ფორმებისა და კონკრეტული მაგალითების შესახებ იხ. Gögler 1963: 128-136.

6 შდრ. Bienert 1972: 38.

ანტიკურ (ბერნულ-რომაულ) და იუდაისტურ ალევორისტიკას სა-
მივე ნიშანი ახასიათებდა და ისინი შუა საუკუნეების ბიბლიის ფილო-
ლოგიაშიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით აისახა. ქვემოთ მოკლედ განვი-
ხილავ ანტიკური და იუდაისტური ალევორისტიკის მხოლოდ ძირითად
მანასიათებლებს.

ანტიკური (ბერძნულ-რომაული) ტრადიცია

როგორც ცნობილია, პლატონისა და ქსენოფანეს მძაფრი კრიტი-
კით საბოლოოდ შეერყა მორალური საფუძველი მითებს წარმართული
ღმერთების შესახებ. პირველად სტოელებმა სცადეს, ეხსნათ ხალხური
რელიგია დაცემისაგან და ეჩვენებინათ, რომ მითებსა და თქმულებებში
სიბრძნე არა პირდაპირ, არამედ ალევორიულადაა მინიშნებული.⁷

მითების განკურნება ბერძნებმა პედაგოგიურ-მორალისტურ ას-
პექტს დაუკავშირეს: მითი და რელიგია საყოველთაო მორალის ფუნდა-
მენტია; მორალური დაკნინება კი პირველსაწყისთან და სიბრძნესთან
დაშორების შედეგია. თავდაპირველი ყოფა, ანუ ის, რაც მითებშია აღწე-
რილი, მორალური აწმყოს საფუძველია. ამიტომ ბერძნებმა ორიენტაცია
უნდა აიღონ წინაპართა ჰეროიკულ დროზე, იმაზე, რაც ჰომეროსისა და
ჰესიოდეს თხზულებებშია აღწერილი. მაგრამ ამ მიზრუნებას ართულებს
ძველ თხზულებებში ღმერთებისა და გმირების არამორალური საქცი-
ელი. იგი ვერ შეუქმნის მკითხველს სამაგალითო შთაბეჭდილებას.

გამოდის, რომ ამ ტექსტების ავტორიტეტის გადარჩენა, მათთვის
მორალური ინტენციის დაბრუნება მხოლოდ ალევორისტიკას შეეძლო.
მითების განკურნება (θεραπεία μύθων) არ მოითხოვდა ტექსტში „ჩარე-
ვას“; ტექსტის დარღვევას, იგი მხოლოდ გარეგან ქსოვილს, ტყუილს ჩა-
მოაშორებდა მას და დაუბრუნებდა თავდაპირველ სიმდიდრეს; ამიტომ
გახდა ალევორისტიკა მორალური დაცემისა და უღმერთობის თავიდან
აცილების საუკეთესო საშუალება (ἀντιδράμακον τῆς ἀσθεσίας).⁸

7 ანტიკური ალევორისტიკა, რომელიც ძვ.წ.ა. VI საუკუნეში იწყება ჰომეროსის პო-
ემების თეაგენესეული (Θεαγένεσης ὁ Πηλυσιος) ინტერპრეტაციებით, განვითარე-
ბის მწვერვალს აღწევს ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე (ფილოდემოსი,
ფსევდოჰერაკლიტე, კორნეტოსი, პლუტარქე). ქრისტიანული (თეოლოგიური) ალე-
ვორისტიკის ჩამოყალიბების შემდეგ ანტიკური (ლიტერატურული) ალევორისტიკა
ქრისტიანულის პარალელურად ვითარდებოდა. ნეოპლატონიზმმა ალევორიული
განმარტებები ფილოსოფიის ნაწილად აქცია; ანტიკური ალევორისტიკის მიმართ
სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, იამბლიქოსი, კელსოსი და პორფირი-
უსი იმდენად აქტიურად იყენებენ განმარტების ამ მეთოდს, რომ მათ ალევორისტი-
კას „გამოყენებით პლატონურ ფილოსოფიას“ უწოდებდნენ. შდრ. Andresen 1955: 144.

8 ჰომეროსის პოემების ალევორიული ინტერპრეტაციები მოცემულია ფსევდოჰერაკ-

ბერძენთა მისაბაძი ღმერთებისა და გმირების მათთვის შეუფერე-ბელი თვისებებისგან განკურნება ბერძნულმა ალეგორისტიკამ ფიზიკურ-რი და ეთიკური ალეგორიების მოშველიებით სცადა. ფიზიკური, უფრო ზუსტად, კოსმოლოგიური ალეგორიები, ძირითადად, ბუნების ძალების პერსონიფიცირების იდეას ემყარება: ღმერთების თავგადასავალი, მათი საქციელი, კოსმოსში მათ წინამორბედებზე მიანიშნებს: ზევსი – ეთერი; ათენა – დედამიწა; პოსეიდონი – წყალი და ა.შ.; ხოლო ალეგორიზების მომდევნო ეტაპზე შემოდის ეთიკური ელემენტები: ათენა – გონიერება, აფროდიტე – უგუნურება; ჰერმესი – ლოგოსი.

ამით ბერძნებმა ალეგორიულ ინტერპრეტაციაში სისტემატიკის ელემენტებისა და განმარტებისთვის ამოსავალი „ინსტრუმენტის“ – ეტიმოლოგიის შემოტანა და ზოგადი წესების დამკვიდრება სცადეს. ეტიმოლოგიამ შესაძლებელი გახადა ღმერთების სახელების ინტერპრეტაცია, როგორც სიმბოლოებისა ბუნების ელემენტებისათვის: ცეცხლი – აპოლონი; წყალი – პოსეიდონი და სკამანდრა; ჰაერი – ჰერა. მითი კრონოსისა და რეას, უფრო ზუსტად, ზევსის დაბადების, შესახებ ასეა ახსნილი: კრონოსი დროისა და მარადიულობის სიმბოლოა (χρόνος), რეა – მიწისა, რომელზეც მიედინება (ρῆις) ყველაფერი მატერიალური; ამით მითი გვასწავლის, რომ მარადიულისა და მატერიალურის კავშირით წარმოიშვა ზევსი, იგივე სიცოცხლე (Ζεὺς).

იუდაისტური ტრადიცია და ძველი აღთქმის ელინისტური ინტერპრეტაცია

იუდაისტური ტრადიცია მკაცრად აკრიტიკებდა მითების განმარტების ანტიკურ (ალეგორიულ) მეთოდს; მაგრამ ძველი აღთქმის ანთროპომორფიზმებისა და წინააღმდეგობრივი ეპიზოდების განკურნება სხვაგვარად შეუძლებელი იყო.⁹ ბიბლია, როგორც განსაკუთრებული, საკრალური ტექსტი, მით უმეტეს არ იძლეოდა ტექსტში ჩარევის შესაძლებლობას; რჩებოდა მხოლოდ განმარტება, ინტერპრეტაცია ტექსტში ჩაურევლად. ამისთვის კი ალეგორიული განმარტება იყო ძალზე მოსახერხებელი.

ლიტეს სახელით ცნობილ თხზულებაში 'Ὁμηρικὰ προβλήματα εἰς ἄν περὶ θεῶν Ὁμηρος ἠλκῆγορησευ. ინტერპრეტაციისთვის იხ. Bienert 1972: 54.

9 ძველი აღთქმის ანთროპომორფიზმებისა და წინააღმდეგობრივი პასაჟების (*შესაქმე*, 2, 8; 2, 19; 3, 8), წარღვნის ისტორიის დეტალების (*შესაქმე*, 7, 2; 6, 19), ან კიდევ რიტუალური ტაბუების, წესების, გაგება, ინტერპრეტაციის გარეშე შეუძლებელი იყო.

ებრაული ფილოსოფია¹⁰ შეეცადა, ჯერ დაეკავშირებინა ძველი ალ-თქმა ბერძნულ ფილოსოფიასთან, შემდეგ კი ეჩვენებინა, რომ ებრაელთა საკრალური წიგნი აღემატება კიდევ ანტიკურ ფილოსოფიას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა იუდაისტური ფილოსოფიის ალექსანდრიულ ნაკადში. ფილონ ალექსანდრიელი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ძველი ალთქმა ყოველგვარი ჭეშმარიტების სათავეა, როგორც რელიგიურის, ასევე ფილოსოფიურის – იგი უფრო ძველია, ვიდრე ბერძნული ფილოსოფია.¹¹

ალეგორისტიკის იუდაისტური ტრადიცია მკვეთრად განსხვავდება ბერძნულისგან. ფილონ ალექსანდრიელის ეთიკურ ალეგორიებში – ფიზიკურ ალეგორიებს საერთოდ არც იცნობს იუდაისტისკა – მასში მკაცრი თეოლოგიური პრინციპი ბატონობს: ბიბლიის პერსონაჟები ქველმოქმედთა და კეთილგონიერთა სახეები კი არაა, არამედ ქველმოქმედებისა და კეთილგონიერების სიმბოლოებია; შესაბამისად, ძველი ალთქმის ბიბლიური ისტორია სულიერი განვითარების ისტორია ხდება.

განსხვავებულია ბერძნული და იუდაისტური ალეგორისტიკის საყრდენი ტექსტებიც: ბერძნული ტრადიცია ემყარება და განმარტავს ისტორიის, რეალური ამბის ფიქციას – მითს, იუდაისტური კი – ღმერთისგან შთაგონებულ ისტორიულ ტექსტებს.¹²

თეოლოგიური ინტენციის მიუხედავად, იუდაისტური ალეგორისტიკა მხოლოდ ლიტერატურულია.¹³ ძველი ალთქმის სახეობრიობაში მან „ვერ აღმოაჩინა“ ქრისტეს მისტერია და, ამდენად, ვერ ამოიცნო ძველი ალთქმის ქრისტიანული მნიშვნელობა; მაგრამ, ამავე დროს, ძველი ალთქმის ისტორიული წიგნების ალეგორიულობა იუდაისტური ეგზეგეტიკის მთავარი თემაა და ამ თემით იგი აშკარად მიუახლოვდა თეოლოგიურ

10 იუდაისტურ ფილოსოფიაში ელინიზაციის ტენდენციებისა და არისტევას წერილის ავტორის იდეოლოგიის შესახებ იხ. Hengel 1969: 295-307; Holladay 1995; Sellin 1997: 108-111.

11 ფილონ ალექსანდრიელი ტიპოლოგიურ წყვილებად განიხილავს ბერძნული ფილოსოფიისა და ძველი ალთქმის თეზებს. პლატონის შეხედულებას სამყაროს გაჩენის შესახებ (ტიმაიოსი, 28, 40) იგი უკავშირებს ბიბლიური შესაქმნის ისტორიას; მას მიაჩნია, რომ დაბადების წიგნში (დაბ. 1, 31) აირეკლა პლატონის მოძღვრება სამყაროს სრულყოფილების შესახებ (ტიმაიოსი, 30ა, 37ა); ძველი ალთქმის ციფრთა საკრალურობა მოგვიანებით პითაგორას მოძღვრებაში აისახა (ებრაულ-ბერძნული პარალელების შესახებ იხ. Böhm 2005: 239-242).

12 ბერძნული და იუდაისტური ალეგორიის ძირითადი ნიშნების შესახებ იხ. Böhm 2005: 238-255; Sellin 1997: 91-138, Stein 1929: 5-52.

13 ეს ტერმინოლოგიური შეფასება ორიგენესგან მომდინარეობს და უპირისპირდება საკუთრივ ბიბლიის ეგზეგეტიკის მიერ დამკვიდრებულ ტიპოლოგიურ განმარტებას. იხ. Gögler 1963: 122.

ალეგორისტიკას: შენიშნა, რომ ძველსა და ახალ აღთქმას შორის დროის შუალედი ბიბლიის სიტყვას წინასწარმეტყველურ ხასიათს ანიჭებს, ხოლო ბიბლიურ ისტორიებს, ამბებს – ტიპოლოგიურ აზრს.¹⁴

ალეგორიის მეშვეობით ბერძნებმა დაადგინეს, რომ ძველი მითები და პოემები ბუნების, ზნეობის კანონებისა და სამყაროს არსის პერსონიფიცირებას და მითოლოგიზებას ცდილობს; იუდაისტურმა სამყარომ კი ამ გზით ბიბლიის ლიტერატურული სიბრტყე აღმოაჩინა. მაგრამ ალეგორიულობის აღიარებამ ორივე ტრადიცია ერთსა და იმავე დასკვნამდე მიიყვანა: კლასიკური პირველწყაროები (მითოლოგია – ბერძნებისთვის, ძველი აღთქმა – ებრაელებისთვის), რომელთა მეშვეობით ისინი ეთნოსად, ხალხად იქცნენ, უნივერსალურ სიბრძნეს ქადაგებს.

ანტიკური და იუდაისტური ტრადიციების გარდა, ქრისტიანული ალეგორისტიკისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი მოამზადა ალეგორისტიკის ეგვიპტურმა ტრადიციამ, სტოელთა ალეგორიამ და რაბინულმა ეგზეგეზიკალიზმმა.¹⁵ როგორც ჰენრი ლუბაკმა აჩვენა, სწორედ ამ მრავალფეროვან ტრადიციათა ურთიერთგავლენისა და ტრანსფორმაციის გზით შეიქმნა განმარტების ახალი, ქრისტიანული ტრადიცია, რომლის ამოსავალი თეზა – ღმერთი არის „გარეშეუწერელი“¹⁶ და უსხეულო – მხოლოდ ალეგორიულად შეიძლება გავიგოთ.

ქრისტიანული ტრადიცია

ანტიკური და იუდაისტური ალეგორისტიკის განსხვავებული ტრადიციები გარკვეული თვალსაზრისით სისტემატიზაციის მოდელში ჩასვა ჯერ ალექსანდრიული, შემდეგ კი გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების გრამატიკის უნიფიცირებულმა მიდგომამ. ეს უკანასკნელი ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბიბლიის ჰერმენევტიკისთვის: ალეგორია

14 იუდაიზმი არც კანონთა ან სიბრძნის წიგნების ალეგორიულობას უარყოფს – პირველი სათქმელს წეს-ჩვეულებების ალეგორიით გამოხატავს; რაც შეეხება სიბრძნის წიგნების ალეგორიულობას, იგი ყველაზე მეტად ხელშესახებია, რადგან მათი სიბრძნე მიემართება არა მარტო დავითს და ისრაელს, ან ერთ რომელიმე კონკრეტულ ეპოქას, არამედ ყველას და ყველა დროს.

15 ქრისტიანულ ეგზეგეტიკას სტოელთა ალეგორია აინტერესებს მისი მთავარი თეზის გამო (საგანსა და მის აღმნიშვნელ სიტყვას შორის არსებობს ანალოგია), ხოლო პლატონური და რაბინული ეგზეგეტიკაში (ყველაფერი, რაც ღმერთმა ზემოთ, ცაში შექმნა, შექმნა მიწაზეც), შესაბამისად, ნეოპლატონური მისტიკური ალეგორისტიკა – მეთოდოლოგიური თვალსაზრისით.

16 ეს ტერმინი ეფრემ მცირეს ეკუთვნის. მისი ალეგორიული განმარტებისა და, საერთოდ, ამ მეთოდის რეცეფციის შესახებ ძველ ქართულ ტრადიციაში ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდები.

როდენობრივად გავრცობილი მეტაფორაა (შდრ. *metaphora continua*),¹⁷ რომელიც ბიბლიის ჰერმენევტიკაში ახალ მნიშვნელობას იძენს: თუ პოეტიკაში (რიტორიკა-გრამატიკა) მას ესთეტიკური ღირებულება აქვს – მშვენიერის ასოციაციას ქმნის – თეოლოგიისთვის ის განმარტების, „გამოუთქუმელისა და გარეშეუწერელის“ ცხადყოფის მეთოდია, ისეთი სიღრმისეული მნიშვნელობის ახსნაა, რომელიც სიტყვის სახეობრივ ზედაპირზე არ ჩანს.

საინტერესოა, რომ პოეტიკისა და ჰერმენევტიკის ეს განსხვავებული მიმართებები გადაიკვეთება შუა საუკუნეების ლირიკაში, რომელიც, ერთი მხრივ, ანტიკურობის მხატვრულ-ესთეტიკური ფიგურებით ოპერირებს (ფორმალური თვალსაზრისით) და, მეორე მხრივ, ბიბლიის ფილოლოგიისთვის დამახასიათებელი თეოლოგიურ-ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციით (შინაარსობრივი თვალსაზრისით).¹⁸

მკვეთრად გამოხატული ანტიკური და იუდაისტური ტენდენციების კომპილაციის მიუხედავად, შუა საუკუნეების ბიბლიის ალეგორისტიკამ მანძი ჩამოაყალიბა ალეგორიის დამოუკიდებელი წესები (*οὐ ἀλληγοριῶν ἄξιον*).¹⁹ ბერძნულ-ლათინურ და აღმოსავლურ ენობრივ სამყაროში ამ წესებმა საკმაოდ მწყობრი სისტემატიკა შექმნა: აღმოსავლეთში²⁰ – ე.წ. ავტოჰერმენევტიკა, ხოლო დასავლეთში – კონტექსტუალური ჰერმენევტიკა.

ბერძნულ-აღმოსავლურმა ტრადიციამ მკაცრად განსაზღვრა ალეგორიის წესები. იოვანე ოქროპირის აზრით, ალეგორიის შესახებ მხოლოდ მაშინ უნდა ვილაპარაკოთ, როცა თვითონ ბიბლიური წიგნის ავტორი იყენებს (განმარტავს კიდევ) ალეგორიას. მაგალითად, ესაია წინასწარმეტყველი თვითონ გვეუბნება, რა იგულისხმება ალეგორიაში *ისრაელის სახლი საბაოთის გენახში* (ესაია, 5, 7). ამით იოვანე ოქროპირი ხაზს უსვამს ბიბლიის ალეგორისტიკის თავისებურებას – ავტოჰერმენევტულობას; ბიბლია თავად მიგვანიშნებს, სად და როგორ უნდა განიმარტოს ალეგორია. რაც შეეხება ეგზეგეტიკას, მას არავითარი უფლება არ აქვს გამოიყენოს ალეგორიის წესები, იგი უნდა მიჰყვეს ბიბლიის ნებას; ბიბლიაში კი სადაც ალეგორიაა, იქვეა მისი განმარტებაც.

17 Quintilianus, *Institutiones oratoriae*, in: Quintilianus/Buchheit 1959, IX, 2, 46.

18 ალეგორისტიკისა და, ზოგადად, ტროპული მეტყველების ფუნქციური სპეციფიკაციების შესახებ ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში იხ. Bergjan 1992: 32-48; Krewitt 197; Hübner 2004: 113-154.

19 ამ წესების გენეალოგიისა და ავთენტურობის შესახებ იხ. Pepín 1988:126-140.

20 იგულისხმება როგორც ბერძნული, ასევე ქრისტიანული აღმოსავლეთის ნაციონალურენოვანი სალიტერატურო ტრადიციები.

(ἐπειδὴ ἀλληγορίῃ, λέγεισ καὶ ἀλληγορίας τῆσ ἐρημείασ). ამას გვიხსნის პორფიროსის ცნობილი კონცეპტი: "Ὁμηροσ ἐξ Ὁμηροσ σαφενίξεισ – αὐτὸσ ἐξήγοσμενοσ ἔαστὸσ."²¹

ამ არგუმენტაციიდან გამომდინარეობს ალეგორიის საერთო წესი, რომ ბიბლიას თვითონვე მიეწერება ავტოჰერმენევტიკა და, ამგვარად, ბიბლია წარმოგვიდგება, როგორც საკუთარი ჰერმენევტიკის agens-ი: ἡ Ἁγία Γραφή [...] αὐτὴ δὲ ἔαστῆσ ἡρημειύσα.²²

ალეგორიის სპეციფიკური წესები (შდრ. iuxta leges allegoriae) შეიშუშავა დასავლურმა ეგზეგეტიკამაც. ჰიერონიმე „თხრობისაებრი“ და ალეგორიული განმარტების სისტემურ ნიშნებზე საუბრისას გარკვევით ამბობს, რომ ისინი სხვადასხვა წესებს ემყარება.²³ მისი თქმით, ერთმანეთისგან მკაცრად უნდა განირჩეს, ერთი მხრივ, ისტორიული განვითარების ლოგიკასა და წინასწარმეტყველებაზე დამყარებული ალეგორია და, მეორე მხრივ, არაისტორიული ალეგორია.²⁴

ისტორიის არსი მრავალმხრივია, შესაბამისად, ტექსტის კონკრეტული კონტექსტი, თითოეული მონაკვეთი განსხვავებულად გაიგება; ამიტომაც არ შეიძლება, გარკვეული მსგავსების მიუხედავად, იონას მთელი ისტორია ქრისტეზე გადავიტანოთ.²⁵ შინაარსის ნებისმიერი ტრანსფორმაცია მკაცრად ინდივიდუალური, კონტექსტუალური უნდა იყოს. ალეგორიული მნიშვნელობის სიტყვები, ასევე, ტექსტის დიდი მონაკვეთები მხოლოდ მათი კონკრეტული კონტექსტის მიხედვით უნდა განიმარტოს, რადგან სხვაგან მათ სხვა მნიშვნელობა ექნება.²⁶

21 შდრ. ორიგენე: გზა, რომელსაც წმინდა წერილთან მივყავართ, თვითონ წმინდა წერილის მიერ არის მინიშნებული: ἄπ αὐτῶσ τῶσ λογιῶσ (Origenes, De Principiis, IV, 2, 4, II, in: GCS, S. 312, 1-3).

22 შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამგვარი ფორმულირება ჰომეროსის ეგზეგეტიკასთან პოულობს პარალელს. ბიბლიის ავტოჰერმენევტიკის მეთოდის შესახებ იხ. Πειρίσ 1988:129.

23 შდრ.: „Non easdem regulas esse in allegoria et quae in historiae veritate“ (Hieronymus/Hilberg 1996, Ep. 74,6). უნდა ითქვას, რომ ჰიერონიმე არა მარტო ალეგორიას, არამედ ზოგადად სახისმეტყველებას, ტროპოლოგიას გულისხმობს.

24 შდრ.: „Regula Scripturarum est; ubi manifestissima prophetia de futuris textitur, per incerto allegoriae non extenuant quae scripta sunt“ (Hieronymus/Adriaen 1969: 1, 11-13).

25 შდრ.: „Et non potius unusquisque locus secundum historiae diversitatem diversam recipientem intelligentiam spiritualem? Igitur sicut haec testimonia suas interpretationes habent, et nec praecedentia, nec consequentia eadem allegoriam desiderant, sic et Ionas propheta non absque pericule interpretantis, totus referri ad Dominum poterit“ (Hieronymus/Adriaen 1969: 1, 146-153).

26 შდრ.: „Non quia ista nomina isto solo modo intellegi et explicari possunt, sed pro locis, namquae alibi aliud significant. Et haec regula in onni allegoriae retinenda est, ut pro sen-

ბიბლიური ალევორისტიკის მეთოდს განსაკუთრებით ინტენსიურად მიმართავდა ეგზეგეტიკის ალექსანდრიული სკოლა.²⁷ ალექსანდრიულ ინტერპრეტაციას ორიგენემ საფუძვლად დაუდო აღმოსავლური წარმომავლობის კონცეპტი სიტყვის ომონიმურობის შესახებ: სიტყვის ერთი შრე ისტორიულია, მეორე – კერუგმატული. ეს უკანასკნელი Πνεῦμα-ს აღნიშნავს და არა ἱστορία-ს: იგი ოდესღაც მომხდარ ამბებს კი არ გადმოგვცემს,²⁸ არამედ მათ საზრისს (διάνοια).²⁹

ბიბლიის სიტყვის კერუგმატული შრის იდეა ორიგენემ თავისი სამშობლოდან, ალექსანდრიიდან მიიღო მემკვიდრეობით. აღმოსავლურ ტრადიციაში საკმაოდ მყარი იყო რწმენა-წარმოდგენა სიტყვის, სახელის ჰიპოსტასური არსისა და ძალის (δύναμις) შესახებ, რომელსაც ეფუძნება ეგრეთ წოდებული სახელის სასწაული; ეს უკანასკნელი კი ძველი აღთქმის ანთროპომორფიზმების განმარტების საფუძველია: სახელი შეიძლება ჩაენაცვლოს პიროვნებას, ზოგადად, რეალობას, ან თუნდაც ღმერთს. ამიტომაც სახელს აქებენ და ემსახურებიან (II სჯ. 18, 5, 7), მისი ეშინიათ (ესაია 59, 10), სახელს წმინდა-ყოფენ (გამოს. 20, 7), შიში უფლისა მის სახელზე ვრცელდება (გამოს. 20, 7), სახელი განითქმება (ფს. 43, 8), ან დავიწყებას მიეცემა (ფს. 43, 20), ღმერთის სახელის გაცხადება მხოლოდ წინასწარმეტყველს შეუძლია (იერ. 33, 9), ღმერთის სახელის შეცნობა ღმერთის აღიარებას უდრის (ტობ. 5, 11; ფს. 9, 10), ღმერთის სახელი მოდის (ესაია 30, 27), და მასში არის ძალა (ესაია 44, 5).

ეს აღმოსავლური რწმენა უდევს საფუძვლად ორიგენეს მთავარ კონცეპტს, რომლის მიხედვით **სახელი, აბსტრაქტულიც კი, ისტორიის**

tentia praesentis loci consideretur quod per similitudinem dicitur; haec est enim dominica et apostolica disciplina“ (Augustinus, Ennarationes in Psalmos, VIII, 13, 63-68, in: Augustinus/Dekkers 1990:57).

27 ბიბლიის ორი ძირითადი მეთოდის, სახისმეტყველებითისა და თხრობისაგებრის, სისტემატიზაცია ეგზეგეტიკის ალექსანდრიული და ანტიოქიური სკოლების საქმიანობას უკავშირდება. მათი სისტემური ნიშნების განხილვა ჩემი ამ კვლევის მიზანს სცილდება. ნაშრომის მესამე ნაწილში მხოლოდ იმ საკითხებზე გავამახვილებ ყურადღებას, რომლებიც ძველ ქართველ მთარგმნელთა მწიგნობრულ ტრადიციაში აისახა.

28 შდრ.: „ἐν ἱστορίας τρώπα εἰρημέα. [...] ἐν ἱστορίας σχήμασι, ἐχούσης μὲν τι καὶ ἀπόρητον“ (Origenes, CC, V, 29. 31, 4; 31, 20).

29 ამ ამბების ერთგვისობა და მარადიულობა ტექსტში გრამატიკულადაც მარკირებულია (შდრ. ქართული მეტატექსტების მრავალგზისობა) შესაბამისი ფორმით. ერთჯერად მოვლენას თხრობისაგებრი შრე გადმოგვცემს, მარადიულს – კერუგმატული. შდრ.: μεταστρέψαω τῆσ θάλλασασ. οὐκ εἶπε „μεταστρέψασ“, ἀλλὰ „μεταστρέψασ“. κατὰ μὲν γὰρ τῆσ ἱστωρίασ ἐπὶ τῆσ Ἰουδαίασ ἀπαξ ἐγένετο; κατὰ δὲ διάνοιασ α–εἰ τοῦτο συμφαίνει (Origenes, PsCo, 65, 6).

მატარებელია;³⁰ ხოლო ეს ისტორია ბიბლიის სიმბოლურ-ალეგორიული, ტროპოლოგიური ინტენციის (σκήπαι τριπολογικά) წყალობით გარდაიქმნება მარად მიმდინარე პროცესად, ანუ ისტორიულობის ალეგორიად.³¹ ამიტომაც არ შეიძლება, ალეგორია მის არქეტიპს, ისტორიულობას, დავაშოროთ.

ბიბლიის კვლევისა და ინტერპრეტაციის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ისტორიას და ალეგორიას მხოლოდ ერთად შეუძლია ახალი პერსპექტივის შემოტანა, ახალი მნიშვნელობის აგება. ამ უკანასკნელს ორი საყრდენი აქვს – ეტიმოლოგია და ალეგორია, რომელთაგან პირველი – ეტიმოლოგია – განმარტავს, რას აღნიშნავდა ესა თუ ის სიტყვა სხვა ადგილას, სხვა დროს და სხვა კონტექსტში, მეორე კი – ალეგორია – მოცემული კონტექსტის ახალ შინაარსს, ისტორიის პერსპექტივას ქმნის; მაგრამ ეს ახლადშექმნილი პერსპექტივა ისტორიული ფუნდამენტის, თნრობისაებრი ტექსტის გარეშე ვერ აიგება, ვერ იარსებებს.³²

ანტიკურობიდან გადმოღებული მნატვრულ-ესთეტიკური ფიგურებით ალექსანდრიულმა ეგზეგეტიკამ ბიბლიის ეგზეგეტიკაში ინტერპრეტაციის მრავალფეროვნება დაამკვიდრა, რამაც საბოლოოდ საფრთხე შეუქმნა ბიბლიის ტექსტის დოგმატურობას. ამიტომ, ეგზეგეტიკის ანტიოქიური პერიოდიდან მოყოლებული, ალეგორისტიკა დოგმატიზაციის ჩარჩოში მოექცა; ამის გამო მან, ბუნებრივია, დაკარგა გამონატულების სიბრტყის ანტიკური და აღმოსავლური მრავალფეროვნება. ანტიოქიური სკოლის დოგმატიზაციის მოდელი ალეგორისტიკის საპირისპირო კონცეპტს დაეყრდნო: არა ალეგორია, არამედ სწორედ ბიბლიაში მოთხრობილი რეალური ამბავი მიემართება მომავალს.³³ ამგვარი შეზღუდვა თავისთავად გულისხმობდა მნატვრულ-ესთეტიკური ფიგურების, გამარტივებას და ბიბლიის ტექსტის გამომსახველობითი სიბრტყის მიმართ ინტერესის შესუსტებას.

გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ბიბლიის ფილოლოგიის

30 თუმცა სახელთა შესახებ ეგზეგეტიკის ამოსავალი თეზა, აღმოსავლური ტრადიციისგან განსხვავებით, უარყოფს სახელის მაგიას; მართალია, ღმერთის სახელი „ითქუმის“; მაგრამ იგი მანც მიუწვდომელი რჩება. ორიგენეს თეზის და სახელის სასწაულის შესახებ იხ. Lubac 1950, აქ გვ. 146.

31 შდრ. ἄλληγοροῦσα ἱστορία (Origenes, IoCo XX, 10, 337, 31).

32 შდრ. „Primo omnium videamus, quae de ea secundum litteram referuntur [...] ut cum huiuscemodi fundamenta iecerimus, ab historiae textu possumus ascendere. [...] historica interpretatio est veluti fundamentum“ (Origenes, GenCo II, 22, 16; 6, 36, 21). ბიბლიის ტექსტის ისტორიული არქეტიპისა და ალეგორიული პერსპექტივის შესახებ იხ. Balthasar 2004; Lubac 1968: 200-216; Lubac 1999; აქ გვ. 67.

33 შდრ. Bergjan 1992: 42.

ზემოთ აღწერილი ზოგადი ტენდენციების, ძირითადი კონცეპტებისა და სისტემატიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ჩანს ქართული ტროპული ჰერმენევტიკის მიმოხილვა, ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებების გამომსახველობითი შრეების შესწავლა, ქართველ მთარგმნელთა მწიგნობრული ტრადიციის გაანალიზება; ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით ძველი ქართული მხატვრულ-ესთეტიკური „Τέχνη“ ნაკლებადაა შესწავლილი.³⁴

ჩემი ნაშრომი, ცხადია, ამ მიზანს არ ისახავს, არამედ მხოლოდ ძველი ქართული ტროპული ჰერმენევტიკის ზოგად კონცეფციას და მისი შექმნის კულტურულ-ისტორიულ კონტექსტს მიმოხილავს; ამიტომ ქართული ტროპული ჰერმენევტიკის უბრალო ნიმუშად მომაქვს თითო-ოროლა მაგალითი შუა საუკუნეების ქართველ მთარგმნელთა მწიგნობრული ტრადიციიდან.

მომავალში საგანგებო ფილოლოგიურმა კვლევამ უნდა აჩვენოს, როგორ ხედავდნენ (და განმარტავდნენ) ქართველი მთარგმნელები ტექსტის, სიტყვის სხვადასხვა შრეს, სხვადასხვა სიბრტყეს; რომელ მოდელებს, რომელ ენობრივ, რიტორიკულ, ჰერმენევტიკულ ფიგურებს იყენებდნენ ბიბლიის თხრობისაებრი, სახისმეტყუელებითი და ალყვანებითი შრეების აღსაწერად; როგორ ახერხებდნენ სხვადასხვა ლიტერატურული კომპეტენციის მქონე მკითხველებისთვის ბიბლიის ტექსტის სხვადასხვა სიბრტყის აღწერა-განმარტებას.³⁵

ბიბლიური ალევორისტიკის თეორიული საფუძვლები ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში ეფრემ მცირემ დაამუშავა. ფსალმუნთა თარგმანების შესავალში³⁶ მან პირდაპირ გადმოიტანა ალევორიული ეგზეგეტიკის აქსიომატური დებულებები, ორიგენეს ფორმულები:

„ხოლო ესეცა ცხად არს, ვითარმედ უზეშთაეს არს განმარტებით თარგმნაჲ სახისმეტყუელებით თარგმნისასა: რამეთუ ყოველსავე მუკლსა სახისმეტყუელება შესაძლებელ არს არა ერთსახედ ოდენ,

34 ძველი ქართული მხატვრული აზროვნების ცალკეულ საკითხთა კვლევას, მხატვრულ სახეთა არქეტიპების შესწავლას, მათი ბიბლიური ან პატრისტიკული გენეალოგიის დადგენას არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა; მომავალში ქართული მწიგნობრული ტრადიცია იმ ავთენტური კულტურული კონტექსტის ფარგლებში უნდა იქნას შესწავლილი, რომელშიც იგი თავად იქმნებოდა, კერძოდ, ალექსანდრიული, გვიანანტიკური და შუა საუკუნეების ფილოლოგიის, ტექსტის ახსნა-განმარტებათა ჰერმენევტიკული ტექსტის კონტექსტში.

35 ნაშრომის მესამე ნაწილში ისევ მივუბრუნდები მეტატექსტებს, რომლებშიც ქართველი მთარგმნელები ტექსტთან მკითხველის მიმართების საკითხს განიხილავენ.

36 ამ ვრცელ მთარგმნელობით მეტატექსტს საგანგებოდ მივუბრუნდები ნაშრომის მესამე ნაწილში.

არამედ მრავალსახედცა, ხოლო იგივე განმარტებად არა ხოლო შეუძლებელ არს, არამედ საცთურებადცა; ვითარ-იგი არიან ღმრთისათჳს თქუმული: დაძინებად და განღვძებად, ჯდომად და აღდგომად, რისხვად და გულისწყრომად, დავიწყებად და მოკსენებად. [...] და კუალად გესმოდინ რად კელნი და ფერკნი ღმრთისანი, თუალნი და გული, უწყოდე, ვითარმედ ამისსაცა გულისკმისყოფასა სახისმეტყუელებად უკმს და არა განმარტებად, ვინაფთჳნ არარად კორციელთა და ზრქელთაგანი იპობის უკორცოსა მას თანა და უხილავსა.³⁷

ეს მთარგმნელობითი მეტატექსტი მკაფიოდ ხსნის, როგორ ესმის ეფრემს ალევორიითა და ტროპოლოგიური ფიგურებით „ღმრთისათვის თქუმული“ დაძინება და გაღვიძება, რისხვა და გულისწყრომა, დავიწყება და გახსენება, ხელი და ფეხი, გული და თვალი თუ სხვა ადამიანური პარაბოლები. აქ იგი ორიგენეს ცნობილ კონცეპტებს იმეორებს. შდრ.

„Καὶ πρῶτον λεκτέον, ὅτι ἄσπερ ὀφθαλμοὺς καὶ βλέφαρα καὶ ἄτα, χεῖρας τέ καὶ βραχίονας καὶ πόδας εὐρίσκοντες γεγραμμένα τοῦ θεοῦ, ε-τι δέ καὶ πτέρυγας, μεταλαμβάνομενον εἰς ἀλληγορίαν τὰ γεγραμμένα, καταφρονοῦντες τὸν μόρφην ἀνθρώπων, παραπλήσιον περιτιθέντων τῷ θεῷ καὶ ἐνλόγως γέ τοῦτο πραττόμεν, οὕτως καὶ ἐπὶ τῶν εἰρημέων ὀνομάτων τὸ ἀκόλουθον ἡμῖν ποιητέον καὶ διήλόν γε ἀπὸ τοῦ φαινομένου, ἡμῖν πρακτικωτέρου. [...] Ἄλλ' ἔστω καταχρηστικῶς λέγεσθαι τὸ χειρουργεῖν, ἢ τροπικῶς. [...] καὶ χεῖρας αὐτοῦ ἔστεσαν τὸν οὐρανὸν καὶ εἰ τι τοῦτοις εἰρηται παραπλησίως τροπολογοῦντων ἡμῶν χεῖρας καὶ μέλη τοῦ θεοῦ [...] λέγεται δέ χεῖρας καὶ πόδας καὶ ὄσση αὐτοῦ [...] ἀλλὰ οὐδὲ στομα αὐτὸν ἔστιν, οὐδὲ φωνή [...] σωματικῶν μελῶν ἐπὶ τῶν δυναμέων τοῦ θεοῦ λεγόμενα, φησιν. Εἰπερ ἀνθρώπων ἰμοίωται κατὰ τὰς τοῦ ἐναγγελίου παραβολὰς ὁ θεὸς διὰ τὴν ἀκολούθως ταυταῖς ταῖς παραβολαῖς. οὐ παραδέχεται παραβολῆς εἶναι τὴν ὀργὴν καὶ τὸν θυμὸν καὶ τὴν μεταμελείαν καὶ τὴν ἀποστροφὴν τοῦ προσώπου καὶ τὴν κάθισιν καὶ τὴν στάσιν καὶ τὸν περίπατον τοῦ θεοῦ. τὸν γὰρ ἀναγεγραμμένον ἐν ταῖς προφητείαις ὑπνον αὐτοῦ ἦτοι οὐ παρετήρησαν ἢ ὁμολογήσουσιν εἶναι παραβολῆς.³⁸

როგორც ვხედავთ, ეფრემ მცირე საკმაოდ ფრთხილად, მაგრამ მაინც ადასტურებს საკუთარ დამოკიდებულებას ორიგენესა და ალექსანდრიული სკოლის ალევორიული ეგზეგეტიკის მიმართ. ალევორიულ განმარტებებს შორის მოჩვენებითი წინააღმდეგობები მან ოთხი მახარებლის ტექსტს შორის სხვაობებს შეადარა³⁹ და ლეგიტიმურად გამოაცხადა

37 ეფრემ მცირე, ფსალმუნთა თარგმანების შესავალი, იხ. შანიძე 1968: 82.

38 Origenes, IoCo XIII, 21; Origenes, MtCo XVII, 17, 636.

39 ამ ტიპის შედარებები – პარალელები ბიბლიურ სხვაობებსა და ალევორიული განმარტებების სხვაობებს შორის – ალექსანდრიული ეგზეგეტიკის კონცეპტუალურ ტექსტებში ხშირად გვხვდება.

ალეგორიული ინტერპრეტაციის მრავალფეროვნება:

„ხოლო ჩუენ ვიწყოთ სიტყუად, თუ ვითარ ჯერ-არს კმარებად ძალსა ამას თარგმანთასა, ანუ თუ ვითარ გულისკმის-ყოფად ოდესმე მსგავსებასა და ოდესმე რეცა წინააღმდეგომად საგონებელობასა მათსა. ამათ შემდეგომად მსგავსებად და არამსგავსებად განგუემარტების თანაშეტყუები-საგან ოთხთა წმიდათა სახარებათადას; ვითარ-იგი მუნ მისვე და ერთსა ქრისტეს საქმეთა წარმოთქუმისათუს ოდესმე შეიერთების და ოდესმე მცირედ რეცა განიყოფების სიტყუად წმიდათა მახარებელთად. და არცა განყოფად იგი მათი განწვალებასა იქმს, ვითარმცა წინააღუდეგობოდეს ურთიერთას, არცა შეერთებად მათი შერწყუმასა ჰყოფს, ვითარმცა ურთიერთასა ივასხებდეს სიტყუათა მათ. [...] ეგრეთვე აქა თარგმანნიცა დავითისანი: არა ხოლო ჩუენნი, არამედ გარეშენიცა, მრავალგზის ჩუენთა ამათ მიერ თარგმანებულსა მიემსგავსებიან: რამეთუ უმრავლესთა ადგილთა, რაჟამს წარიკითხო წმიდისა ბასილის მიერ აღწერილი თარგმანი მუკლისად, ყოვლითურთ თანა-შეეტყუების მისსა მას ევსევისიცა პამფილელისად. და ეგრეთვე ოდესმე, რაი-იგი ძალი აქუნდის თარგმანსა ათანასე ღმერთშემოსილისასა, იგივე ძალი აქუნდის ოროგინესსა მას ყოვლად შეცთომილისასა. ამისთუსცა მსგავსებისა ამის სიტყუათადას ნუმცა ვის ჰგონიეს, თუ წმიდასა მამასა სხუსა უვასხებიეს. [...] არა, არამედ რომელიმე განმარტებით თარგმნის მუკლსა და რომელიმე სახის-მეტყუელებით. და არა ხოლო ორნი, ანუ ორგან, არამედ თვთ იგივე ერთ და ერთსა შინა ადგილსა განჰმარტებსცა და სახისმეტყუელებსცა მასვე და ერთსა მუკლსა.“⁴⁰

ქართული მწიგნობრული ტრადიცია არაერთხელ მიუბრუნდა ალექსანდრიული ეგზეგეტიკის საწინააღმდეგოდ გამოთქმულ მთავარ ბრალდებას – ინტერპრეტაციის მრავალფეროვნებას.⁴¹ მთარგმნელობითი მეტატექსტების ავტორები ხაზგასმით მიუთითებენ ამ მეთოდის მთავარ ღირსებაზე. ესაა მრავალფეროვანი არჩევანის შესაძლებლობა, „კეთილი

40 იხ. მ. შანიძე 1968: 82-83.

41 მეტატექსტების ავტორები კი არ გაურბიან მრავალფეროვან განმარტებებს, პირიქით, „მრავალთა წიგნთაგან ერთად შემოკრებენ“ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. შდრ. გა.(4): „შორის ორთა ცხოველთასა იცნობე შენ“ გულისკმა-ყავ, რამეთუ ესე სიტყუა მრავალსახედ ითარგმანების; რამეთუ რომელნიმე თარგმანნი ორად ცხოველად იტყვან ანგელოსთა და კაცთა; ხოლო რომელნიმე – მახლობელად ღმრთისა მყოფთა საცნაურთა მათ ძალთა, ქერუბიმთა და სერაფიმთა; ხოლო სხუანი – ჰურიითა და ბაბილოვნელთა; და კუალად სხუანი – ზედა კერძო კიდობანისა მოსეს მიერ შემზადებულთა მათ ქერუბიმთა, რომელთა საშუალ იყო სალხინებელი, ქუეშე კერძო ფრთეთა მათთასა – ხილული; ხოლო სხუამან აწინდელისა და მერმისა ცხოვრებისა თქუა ნაცვალად ცხოველთადას მოხუმითა ცხოვრებათადათ.“

წურთა“ და „უმჯობესის ძიება“. ამის მკაფიო მაგალითია ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანების ერთი მეტატექსტი:

„მივყო იგავსა ყური ჩემი. და აღვადო საგალობელითა იგავი ჩემი. ესე იგი არს, მიუპყრა ყური ჩემი ღმერთსა და ვიტყოდი იგავით, რად-იგი მან მომცეს. ხოლო იგავსა აქუს ორი საქმედ, ერთი, მიფარულად მეტყუელებად და ერთი – სახისმეტყუელებად, ვითარცა-იგი არს განყოფილებად სიბრძნისა და წურთისა შორის. რამეთუ სიბრძნე არს სხუათა სარგებელი, ხოლო წურთა არს თავისა თვისისა სარგებელ. [...] სადა იყოს წურთა კეთილი, მუნ არა შეიქმნების წურთა ბოროტი. ესრეთვე გამოეძიებდეს რად გონება იგავთა და სახისმეტყუელებათა, ეძიებს უაღრესსა და უმჯობესსა. და შევალს უმეტესსა გულისკმის-ყოფასა; და ესრეთ ძალითი-ძალად აღსლვითა შეუძლებს განცდად, რომელი უფრო ერგების. ხოლო საგალობელად იტყვს ბობლანსა და ორლანოსა, რადთა სიამოვნებისა-განცა კმისა უსაწადელეს იქმნას და ადვილად გულისკმის-სათქუმელ მოძღურებად იგი საულისადა.“⁴²

როგორც ვხედავთ, მთარგმნელობითი მეტატექსტის მეორე ნაწილში განმარტების ლიტერატურულ (მხატვრულ-ესთეტიკურ) შესაძლებლობათა მრავალფეროვნების გვერდით აღიარებულია მუსიკალური (კმისა სიამოვნებისაგანი) ინტერპრეტაცია.⁴³

ალექსანდრიული ეგზეგეტიკის მსგავსად, ეფრემ მცირემაც სცადა ბიბლიის ალევგორისტიკის სისტემატიზაცია. ბიბლიური ალევგორიების ლექსიკონში, რომელიც ეფრემის „ფსალმუნთა თარგმანებას“ ერთვის, დაწვრილებითაა აღწერილი ამ სისტემატიზაციის მოდელი. შდრ.:

„ხოლო თუ ვითარ სახისმეტყუელებენ სიტყუათა ამათ წმიდანნი ესე მამანი მთარგმნელნი დავითისანი, ესე ადგილ-ადგილ მიმოგანფენილ არს წიგნსა ამას შინა და ძნელ საპოვნელად. ამისთვისცა მცირედნი მრავლისაგან ერთად შემოკრებულ იქმნა გამოეძიებელთათვის და წინა-შესავალსა ამის წიგნისა ჩუენისასა დაეწერა არა ლიტონად, არცა ურთიერთას აღრეულად, არამედ ასოთა ზედა ანბნისადა განწყობილად და განკარგულად, რადთა მარჯუე და ადვლ იყვნენ საპოვნელად მეძიებელთათვის. ვინაეცა შენ, ქრისტესმოყუარეო, ეძიებდე თუ ამას გულსმოდგინებით, მეცნიერ იქმნე და სცნა ჩუენთვის, ვითარმედ მისვე თიკისაგან ვმეკეცეობთ, და ამათვე წიგნთა მიერ მიღებულთა ძალითა

42 იხ. დობორჯინიძე 1996 (2): 48, 4.

43 შდრ. თეოდორიტი კვირინელის ზემოთდასახელებული (II ნაწ. III თავი) ციტატა მუსიკალური რიტმულობის როლის შესახებ: Τῆν γὰρ ἡδονὴν τῆς μελοδίας τῆς ἀφελείας ἢ θείᾳ χάρις κεράσασα τριπόθητον τε καὶ ἀξίεραστον τοῖς ἀσθράποισι δινασκαλίαν προτέθεικε (PG 80, 857A, 860A).

განვადლიერებთ უძღურებასა სიტყუსა ჩუენისასა და არა თავით თვისით მოვიპოვებთ თარგმანებასა მართალთა ამათ სიტყუათასა, არამედ ათანასეს მიერ და კვრილეს, ევსუქის და ასტერის ადგილ-ადგილ აღმოცენებულთა ყუავილთა ერთად გოლად სიტკბოებისა დავიუნჯებთ. და ამას არა სრულებით და უნაკლულოდ, არამედ ზოგებით და მოკლებით წინა-გიყოფთ თქუენ, რადთა კნინ-ოდენითა გემოჲს-ხილვითა გიჩუენოთ გემოჲ მდინარისა დიდისა და მცირისა მიერ ფესუსა განგიცხადოთ ყოველი ქსოვილებაჲ სამოსლისაჲ.⁴⁴

ალეგორიული მეტყველების და განმარტების აღსანიშნავად ძველ ქართულ ფილოლოგიაში რამდენიმე ტერმინი გამოიყენება: სახისმეტყუელება,⁴⁵ ქცევა-უწყებით თქუმაჲ, სახისმოღებით თქუმაჲ, სახისშემოღებაჲ. ისინი მეტნაკლები ინტენსივობით ასახავს ალექსანდრიული ეგზეგეტიკის მთავარ კონცეპტებს. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი.

სახისმეტყუელებაჲ, სახისმეტყუელებით თქუმა

„დავინთქ მე უყსა უფსკრულისასა, სადა არა არს სიმტკიცეჲ“ ვიეთ-ნიმე აღმწერელნი უყსა ნივთად სწერენ, გარნა, გინათუ ესე, გინათუ ისი, **სახისმეტყუელებით** არს სიტყუად ესე, რომელნი ეუფლნენ ესევითარსა უყსა, ვერ ჰპოებენ სიმაგრესა, რადთამცა დადგეს, ვინადთგან ლიემპალი იგი მარადის ჩაღმართ ჰზიდავს“ [...]. „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნილსა კელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო“. ჭეშმარიტად კმა არს ხილულისა ამის ცისა სიდიდე და შუენიერება ქადაგებად დიდებულებისა მისისა მიუწთომელობასა, ვითარ-იგი ვინ ნაგები დიდი იხილის და შუენიერი და დაუკვრდის კელოვნებაჲ მაშენებელისა მისისაჲ, და ნავსა რად დიდსა განიცდინ, მენავეთმოძღუარი და შემქმნელი მისი მოიკსენის, ეგრეთვე კმა არიან ხილულნი ესე ქმნილნი წარმომარინებელად უეჭველად ყოფასა უხილავისა მის ყოველთა შემოქმედისასა. [...] ხოლო **სახისმეტყუელებით** ცად გულისკმა-ყვენ წმიდანი ანგელოს-

44 მ. შანიძე 1968: 82-83.

45 სახისმეტყუელება ზოგჯერ პირიანი ფორმითაც გვხვდება. შდრ.: „ემსგავსნედ მათ მოქმედნი მათნი და ყოველნი, რომელნი ესვიდენ მათ“ ესე კრებთათვის შემოღებულ არს. ესე სიტყუანი სამმოცდამეთასამმეტესა ფსალმუნსა გინა განგვმარტების, ოდეს კერპთმსახურება იგი ვეცხლისმოყუარებად ვსახისმეტყუელეთ (ფსალმ. გამოკრ. თარგმანება, ხელნ. S 1472: 134, 18:). „ხოლო თუ ვითარ სახისმეტყუელებენ სიტყუათა ამათ წმიდანი ესე მამანი მთარგმნელნი დავითისანი, ესე ადგილ-ადგილ მიმოგანფენილ არს წიგნსა ამას შინა და ძნელ საპოვნელად“ [...] არამედ თვთ იგივე ერთ და ერთსა შინა ადგილსა განჰმარტებსცა და სახისმეტყუელებსცა მასვე და ერთსა მუკლსა. (ეფრემ მცირე, იხ. შანიძე 1968: 82, 83).

ნი, ვითარცა ესმა ესაიას, იტყოდეს რად: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანა დიდებითა მისითა. და შემდგომი. და კულად მწყემთა მიუთხრეს, რაჟამს კუმილვიდეს. და კულად მოციქულნი, რომელნი მიუთხრობენ ვნებათა ქრისტესთა, რომლისა ვნებანი დიდებად მისა შერაცხილ არიან. ხოლო სამყარო ვარს-კულაოან არიან წმიდანი აღსრულებითა მცნებათადათა და სიმრავლითა სათნოებათადათა. და კულად ცანი არიან მიდევნებულნი ხედვათა საღმ-რთოთა, ხოლო სამყარო – მიდევნებულნი საქმეთა მოლუაწებისათა [...] ხოლო დღისა და ღამისა უცვალელებლობად იგი მათი სასმენელ-ჰყოფს ყო-ველსა ქუეყანასა შელამებითა და გათენებითა – დამბადებელსა. რამეთუ არცა ნავი მიუთხრობს მავალი ზღუასა შინა მენავეთ-მოძღურისათეს, არამედ თვთ ხილვა ნავისა საცნაურ-ჰყოფს, რამეთუ ჰყავს მენავეთმოძ-ღუარი და საჭეთმპყრობელი.⁴⁶

სახემოლებით თქუმა სახის შემოლებით თქუმა

„სამოსლითა ოქროქსოვილთა შემკულ. სამოსელი დედოფლისა ეკ-ლესიისა არიან სარწმუნოება, სასოება და სიყუარული. ხოლო რადსათეს ოქროქსოვილ და არა სრულიად ოქრო? ესე **სახემოლებით** ითქუმის მრავალფეროვნებისათეს სათნოებათადასა, რამეთუ რომელნიმე ქალწუ-ლობასა იმარხავს, და სხუად ქურობასა შინა იღუწის, და სხუად სხუასა რასმე იქმს და სხუად – სხუასა“ [...] . „კიდით ქუეყანისად შენდამი ღა-ღადგყავ:“ იყოს ნუჟუჟე **სახემოლებით** შორს და კიდე ქუეყანისა ქუეყა-ნიერი და კორციელი ზრუნვა, რომელი განმამოორებელ არს ღმრთისაგან:“ [...] „მიჰსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო:“ წერილისაებრ, სისხლად უწოდს და იგონებს უსამართლოსა მას მოკლ-ვასა ჰურიისასა, ხოლო **სახისმოლებით** ერქუმის ეშმაკთაცა სისხლად, ვითარცა მოხარულთა სისხლსა ზედა დაკლვასა კაცთა და საცხოვართა-სა მლაქნელთა:“ [...] „რადთა შეიღებოს ფერჰი შენი სისხლითა.“ ესე ყო, ჰ, უფალო, რადთა სრულებით სძლო ეშმაკთა, და რამეთუ სახისმოლებით არს სიტყუად, ვინადთგან და რჩეულნიცა მძლენი მტერთანი აღვლენან კორცთა ზედა მათ მიერ მოკლულთასა და შთაყოფენ ფერჰთა მათთა სისხლთა მათ შინა მკუდართაგან კორციით წარდენილთა.“⁴⁷

ქცევით თქუმა, ქცევა-უწყებით (ქცევით და უწყებით) თქუმა/თარგ-მანება

„ვერძებითა და საკუმეველითა შევწირო შენდა ზუარაკები და ვაცები. ხოლო **ქცევით და უწყებით** საკუმეველ უწოდს განწმედლისაგან სულისა ამომფშვნავარსა მას სუნნელებასა; და ვერძ იწოდნენ მთავრებანი იგი გუ-

46 იხ. დობორჯგინიძე 1996 (2): 68, 2; დობორჯგინიძე 1996 (1): 18, 1.

47 დობორჯგინიძე 1996 (2): 44, 9. 60, 2; 67, 22.

ლის-სიტყუანი, მრქენალნი ვნებათანი; ზუარაკ – მოქმედება კორციელი, ვინაფთვან ქუეყანისმოქმედ არს ჰარი და კორცნიცა არიან ქუეყანით და ქუეყანიერთა მოქმედებენ. ხოლო ვაც – ცოდვათათუს ვედრება, რამეთუ ძუელად ვაცი ცოდვათათუს დაიკლვოდა: [...] „შევიდე სახლსა შენსა მსხუერპლებითა.“ ხოლო *ქცევა-უწყებით* სახლ ღმრთისა არსცა და მსხუერპლ არს მოქმედება უსრულესთა სათნოებათა, რომელსაცა შესწირვენ ღმრთისა ყოველნივე მართალნი: [...] „მაშინ შეიწირენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი.“ *ქცევით* ეკლესიისათუს მორწმუნეთაფსა და სახარებისა მსხუერპლსა წინაწარმეტყუელებს. [...] „და შენ მოგეცეს ლოცვაჲ იერუსალემს.“ იხილე მოსწავებჲად აღმოსლვისათუს, იყოს ნუ თუ და *ქცევით* სიონ და იერუსალემ მორწმუნეთა კათოლიკე ეკლესია და ზოგად ყოველნი ეკლესიანი: [...] „ვიდრე არა თანა-იყოს ეკალთა თქუენთა ძეძვ.“ საულის მიმართ არს სიტყუა ქცევით, ვითარმედ დაეცეს მათ ზედა ცეცხლი პირველ აღორძინებადმდე ცოდვათა მათთა:“⁴⁸.

ცალკე უნდა გამოიყოს წერილისაებრი ალევორიები, ან ჩუეულები-საებრ წერილისა განმარტებული ალევორიები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტერმინებში გარკვეულწილად ბიბლიის ალევორიის აღმოსავლური კონცეფცია, იოვანე ოქროპირისეული ბიბლიის ავტოჰერმენევტიკა აისახა. ეს კიდევ უფრო ართულებს წერილისაებრი თარგმანების საზღვრების დადგენას. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

„რომელი აღმოუცენებს თივასა პირუტყუთა და მწუანესა – სამსახურებელად კაცთა.“ ჩუეულება არს წერილთა, გულისკმის-მყოფელთა და მეცნიერთა წოდებად კაცად, ხოლო უგუნურთა – პირუტყუად. ვითარიგი პირუტყუნი, თვნიერ თივისა სხუასა არარას მიიღებენ, ეგრეთვე მათნი მსგავსნი კაცნი, სხუასა არას ეძიებენ, თვნიერ ჭამისა და ნაყროვანებისა. ხოლო თივად სიმაძღრედ გამოითარგმანების წერილთა შინა; და მისცემს მეძიებელთა ამისთა ღმერთი. ხოლო კაცთა, მეძიებელთა სათნოებისათა, მიანიჭებს სასუფეველსა, მწვანილოვნად სახელდებულსა საშუებელსა“ [...] „რამეთუ სირმანცა პოვა თავისა თუსისა სახლი და გურიტიმან ბუდეჲ თუსი, სადა დაისხნეს მართუენი თუსნი. ჩუეულება არს წმიდათა წერილთა, რომელ გურიტთა მიამსგავსებენ მოძლუართა ეკლესიისათა კმა-კეთილობისათუს მათისა:“ [...] „სლვად მდინარეთად ახარებს ქალაქსა ღმრთისასა. და ესეცა ჩუეულება არს წერილთა, მდინარედ წოდებად ქრისტე. ვითარცა სახედ ოთხნი იგი მდინარენი, სამოთხით გამომავალნი, მომრწყველ არიან ქუეყანასა, ეგრეთვე ქადაგება ოთხთა მათ მახარებელთა მომრწყველ არს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა:“ [...] „და მომაქციე და მაცხოვრე მე და უფსკრულთაგან ქუეყანისათა აღმომიყ-

48 დობორჯგინიძე 1996 (2): 65, 14; 65, 12; 50, 19; 57, 9.

ვანე მე. წეს არს წერილისა, ჭირსა სიფიცხლესა სიკუდილად წოდება, ხოლო მათგან კსნასა – ცხოვრებად. ხოლო უფსკრულად და ჯოჯოხეთად და სამარედ და ჯურღმულად მრავალგზის უწესს წერილი სიღრმესა განსაცდელთასა.⁴⁹

ზემოთ უკვე ვახსენე, რომ დასახელებული მაგალითები ვერ აღწერს შუა საუკუნეების ქართველ მთარგმნელთა მხატვრულ-ესთეტიკურ და ჰერმენევტიკულ კონცეპტებს ვერც პრაქტიკის და ვერც სისტემატიკის დონეზე; ერთადერთი, რის დასტურადაც ეს მაგალითები შეიძლება გამოდგეს, ესაა ძველი ქართული გამომსახველობითი კონცეპტების კვლევა-ძიების აუცილებლობა.

49 ხელნ. S 1472: 103, 14; 83, 3; დობორჯგინიძე 1996 (2): 45, 4; 70, 18.

ბიბლიური ტიპოლოგია და ჰერმენევტიკის უმაღლესი საფეხური – „აღყვანებითი თარგმანება“ (εἰς ἀπαγγελίαν)

ბიბლიური ჰერმენევტიკის უმაღლესი საფეხური, „აღყვანებითი თარგმანება“ უშუალოდ უკავშირდება ტიპოლოგიის ინტერდისციპლინარულ ცნებას, უფრო ზუსტად, ამ ცნების სპეციფიკურ გამოვლინებას, რელიგიურ ტიპოლოგიას. რახან ამ უკანასკნელის სპეციფიკური შინაარსი, ანუ რელიგიურ ჰერმენევტიკაში მისი არსისა და ფუნქციის გაგება ტიპოლოგიის ზოგად კონცეპტებს ეყრდნობა, ამიტომ ქვემოთ მოკლედ მაინც უნდა გადმოვცე ამ კონცეპტების ცნებითი შინაარსი.

ტიპოლოგიის (τύπος, τυπολογία) ცნებამ მეცნიერებაში, რელიგიასა და ხელოვნებაში¹ სხვადასხვა მნიშვნელობა და ფუნქციური დატვირთვა შეიძინა. ცნების ინტერდისციპლინარულმა ბუნებამ თანდათან გააფართოვა მისი გავრცელების დიაპაზონი ისტორიზმისა და სტრუქტურალიზმის პოლუსებს შორის. ამით ტიპოლოგიამ აღწერის ორი სისტემური ელემენტი დაამკვიდრა: ა) ისტორიული კონტექსტების დანაწილება-კატეგორიზაცია ისტორიული ფაქტებისა და მეთოდების ნებისმიერობის პრინციპით, ბ) კონკრეტულ მოვლენათა რიგის შემოკლება მოვლენათა განმეორების პრინციპზე დაყრდნობით. საკლასიფიკაციო ელემენტის ამგვარად დიფერენცირებამ ტიპოლოგია განსხვავებული დისციპლინების კვლევის ობიექტად აქცია.

Τύπος პოლისემიური სიტყვაა; მისი ცნებითი შინაარსი სათავეს თეოლოგიიდან იღებს და ეყრდნობა ამ სიტყვის შემდეგ მნიშვნელობებს: ა) კვალი, რომელსაც საგანი ტოვებს; ბ) მოდელი, ყალიბი, რომლის მიხედვითაც ნივთი მზადდება.² თავიდან თეოლოგიამ იგი „წმინდა ისტორიის“ (ἱερά ἱστορία) შესახებ კონცეფციის ელემენტად გამოიყენა.³

1 საერთო ნიშნებისა და ურთიერთგადამკვეთი მნიშვნელობების მიუხედავად, განსხვავებულია ტიპოლოგიის ფუნქცია რელიგიასა და ხელოვნებაში. ხელოვნების დისციპლინებს ტიპოლოგია აინტერესებს, როგორც მხატვრულ-სახეობრივი შემოქმედების საკლასიფიკაციო ელემენტი, რელიგიას კი – როგორც ჰერმენევტიკის კატეგორია. იხ. Bohn 1988: 7-22.

2 შდრ. ქართული ტყვ<Τύπος, გადმოტვიფრვა, ზუსტი ასლის დამზადება.

3 მსოფლიო ისტორიის მოდელირებისათვის რელიგიურმა ისტორიოგრაფიამ საყრდენ ტექსტად აიღო ბიბლიისეული კლასიფიკაცია (იხ. შესაქმე 10, ნეშტთა I, 4-24), ანუ ნოეს სამი ძის შთამომავალთა ჩამონათვალი (Tabula linguarum et populorum). ამ ნუსხის მიხედვით შექმნა რელიგიურმა ისტორიოგრაფიამ „წმინდა ისტორიის“ (ἱερά ἱστορία) კონცეფცია, რომლის თანახმად, მსოფლიოს ეთნოსები და ენები ორ ნაწი-

ტიპის (τύπος), როგორც საკლასიფიკაციო ელემენტის გაგება ემყარებოდა არა საგანთა განლაგებას, განწესებას სივრცეში, არამედ დროით დაყოფას ტიპურ, ესე იგი, სახეობრივ წარსულად. ეს უკანასკნელი უკავშირდებოდა თავის ანტიტიპს (ἀντίτυπος antitypos), ანუ სახეობრივ აწმყოს; თანაც ისე, რომ სახეობრივი აწმყო სახეობრივი წარსულის გამეორებად, მიბაძვად კი არ აღიქმებოდა, არამედ მის განხორციელებად, აღსრულებად.

აქედან ნათელი ხდება, რომ რელიგიური ტიპოლოგია წარსულ ამბებს, მოვლენებს, სახეებს მომავლის არქეტიპებად აღიქვამს. ამგვარი სისტემატიკით შექმნა რელიგიურმა ტიპოლოგიამ ძველი და ახალი აღთქმის ერთიანობის კონცეპტუალური საფუძველი. მასზე დაყრდნობით ეგზეგეტიკამ ბიბლიის ნაწილებს შორის შინაგანი კავშირები აღმოაჩინა: ძველ აღთქმაში იპოვა ახალი აღთქმის ალევორიული მინიშნებები, წინასწარმეტყველური გამონათქვამები და სისტემური ნიშნები.⁴

ერთი შეხედვით, ტიპოლოგია მიზეზ-შედეგობრიობას ჰგავს, თუმცა მათ შორის პრინციპული სხვაობაა: კაუზალობის ამოსავალი პრინციპი ემყარება წარსულის გამოცდილებას იმგვარად, რომ ეს გამოცდილება აღიარებულია წარსულის შესახებ ერთადერთ უცდომელ ცოდნად; ტიპოლოგია კი მომავალს ემყარება და დაკავშირებულია იმედთან, რწმენასა და წინასწარმეტყველურ, ხილვით (ვიზიონარულ) ძალებთან. კაუზალური აზროვნება მოვლენების, ამბების დროის ერთ განზომილებაში მოთავსებას უფრო ცდილობს, ტიპოლოგია კი უფრო ტრანსცენდენტურია, მიემართება მომავალ ამბებს და ერთ განზომილებაში ვერ თავსდება.⁵

ასევე მოჩვენებითია ტიპოლოგიისა და წინასწარმეტყველების მსგავსებაც. მათ შორის სხვაობა დიდია: ტიპოლოგიის არსი განმეორებაა, წინასწარმეტყველებისა კი – ძველის დასრულება ახლით. მათ დროითი პარამეტრებიც განსხვავებული აქვს, რადგან ტიპოლოგია დროის ციკლური პერიოდით მოქმედებს, წინასწარმეტყველება – წრფივი ინტერვალით. წინასწარმეტყველური განმარტების თანახმად, ისტორია, ღმერთის გვემის მიხედვით, დასრულებისკენ მიდის, ტიპოლოგიური

ლად გაიყო: ისტორიის ნამდვილ შვილებად, ანუ ბიბლიური წარმომავლობის სამოცდათორმეტ (ზოგიერთი წყაროს მიხედვით, სამოცდაათ) ეთნოსად და ენად და დანარჩენ ეთნოსებად, რომლებიც ბიბლიურ ჩამონათვალში ვერ მოხვდნენ; ამიტომ ისინი, „ისტორიის გერები“ (Stiefkinder der Geschichte), საკუთარი ეთნიკური წარმომავლობის კონცეფციას მხოლოდ ისტორიის მომდევნო შრიდან დაიწყებენ. შდრ. Borst 1957: 292.

4 შდრ. Bohn 1988: 7-8.

5 ტიპოლოგიისა და მიზეზშედეგობრიობის სტრუქტურული ნიშნების შესახებ იხ. Frye 1988: 64-96.

განმარტების მიხედვით კი, ისტორია ერთხელ უკვე არსებულის, მომხდარის განახლება, ციკლური განმეორებაა.⁶

რელიგიური ტექსტების გარდა, ანტიკური, რაბინული და ქრისტიანული ეგზეგეტიკა ამ ხერხს, ტიპოლოგიას, ინტენსიურად მიმართავდა ისტორიული ტექსტების განსამარტავად ან ისტორიული პერსონაჟების განსადიდებლად. „გამოყენებითი ტიპოლოგიის“ ამგვარი ხერხი პირველად ევსები კესარიელის საეკლესიო ისტორიაში გამოვლინდა. ამ აპოლოგეტური ისტორიის კონცეფცია რელიგიურ ტიპოლოგიას ეყრდნობა: კაცობრიობის განვითარების პროცესი იწყება ბნელი საწყისებიდან და მიემართება დიდებული აღსრულებისაკენ. ქრისტიანობის ტრიუმფი ისტორიული პროცესის მწვერვალია და ეს დიდება წინასწარ, წარსულში უკვე არსებობდა, გადმოცემული იყო ძველი აღთქმის სიბრძნესა და სიმბოლოებში.⁷

საყურადღებოა, რომ სწორედ რელიგიური ტიპოლოგიის კონცეფციას ეყრდნობა სამეფო კარის ლეგიტიმაციის იდეა, რომელიც შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიის მეტად პოპულარულ ტოპოსად იქცა. დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში სამეფო კარის ისტორიოგრაფია ხშირად მიმართავდა ანალოგიებს ბიბლიურ მეფეებსა და სამეფო კარის კონკრეტულ პატრონებს ან მთელ დინასტიებს შორის.⁸

ციკლურობის, განმეორებადობის იდეა, სამყაროს ისტორიის პერიოდებად დაყოფის თეზა, გავრცელებული იყო როგორც ძველ აღმოსავლეთში, ასევე ანტიკურობაში (ჰესიოდე). მათგან განსხვავებით, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებთან დროის პერიოდის ციკლურობას ესქატოლოგიური იმედი შეემატა: უწმინდურ ხანას წმინდა პერიოდი შეცვლის.

თეოლოგიური ტიპოლოგიისთვის არსებითად დამახასიათებელია ორი მოვლენის, საგნის ან ორი პიროვნების ერთ მთლიან კონტექსტ-

6 შდრ. ბოლო ჟამი საწყის ჟამს დაემთხვევა: Ἰνίστ ποίμ τὰ ἔσχατα, ἀὶ τὰ πρῶτα. ὥστε εἴ τις ἐν Χριστῷ, καὶ τὴ κρίσις (II კორ. 5, 17). წინასწარმეტყველებისა და ტიპოლოგიის კონცეპტუალური ნიშნების შესახებ იხ. Bultmann 1950: 99-102.

7 ისტორიის, განსაკუთრებით, ევსები კესარიელის საეკლესიო ისტორიის აპოლოგეტური ტიპოლოგიის შესახებ იხ. Korsliin 1988: 282-286.

8 ამ თვალსაზრისით ყველაზე რადიკალური ბიზანტიური ისტორიოგრაფია აღმოჩნდა: ბიზანტიის კეისარი მან ღმერთისგან კურთხეულ მეფედ და მსოფლიო წესრიგის გარანტად შერაცხა. ამის შესახებ იხ. ნაშრომის პირველ ნაწილში (II თავი). საისტორიო ტიპოლოგიის იდეა პოპულარული იყო შუა საუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაშიც, განსაკუთრებით მე-17 საუკუნის ინგლისში. ქართული სამეფო ისტორიოგრაფიაც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ღვთაებრივი წარმომავლობის იდეას აღიარებდა და ბაგრატიონ მეფეებს ბიბლიური დავითის შთამომავლებად აცხადებდა, შდრ.: „დავით წინამსწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფო“ (გიორგი მერჩულე).

ში დანახვა. ძველი ალექმის ტიპოლოგიური ერთეული – კონკრეტული მოვლენა (მეწამული ზღვის გადალახვა), პიროვნება (მოსე, დავითი), მოქმედება (ნოეს კიდობნის აგება, სოლომონის ტაძრის აღმართვა) – ტიპოლოგიურ წყვილს შეიძენს ახალი ალექმის ანტიტიპის (ἀντίτυπος) სახით ლიტურგიასა და ეკლესიაში.

ამგვარი მიდგომით ჩამოყალიბდება ძველი და ახალი ალექმის მნიშვნელობათა მყარი ტიპოლოგიური წყვილები:

შეწირული ისააკი – ჯვარცმული ქრისტე,

მეწამული ზღვის გადალახვა – იესოს ნათლობა იორდანეში,

პასექი – საიდუმლო სერობა,

ორი მსხვერპლი: ისააკი, გოლგოთაზე მიმავალი მაცხოვარი,

ორი მოღალატის სიკვდილი: აბესალომისა და იუდასი. ერთმა ისრაელის ძველი მეფე „განყიდა“, მეორემ – ახალი.

ადამი – ქრისტე, ან მოსე – ქრისტე და ა. შ.⁹

ბიბლიური ტიპოლოგიის კლასიკურ ნიმუშებს სახარების ავტორები ქმნიან; შდრ., „ვითარცა-იგი მოსე აღამალლა გუელი უდაბნოსა, ეგრეთ ჯერ-არს ამალღებაჲ ძისა კაცისაჲ, რაჲთა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“¹⁰

ამ სქემატური მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, რა რთულია საზღვრის გავლება ალევორიასა და ტიპოლოგიას შორის; აშკარაა, რომ ტიპოლოგიას შეუძლია გადაფაროს ალევორია და ეჭვქვეშ დააყენოს მისი, როგორც დამოუკიდებელი მეთოდის, საჭიროება და არსებობა.¹¹ მართლაც, რადგან ალევორიული გაგება ყოველგვარ ეგზეგეტიკას ახლავს, ამიტომ ალევორია, შესაძლოა, მეთოდი, ანუ კლასიფიკაციის პრინციპი და წესი კი არ იყოს არამედ კლასიფიკაციის საშუალება. დიფერენცირებას ართულებს ასევე ტერმინოლოგიური აღრევა და სიჭრელე. ხშირად ძველი საეკლესიო ეგზეგეტიკა მკვეთრ საზღვარს არც ავლებს ალევორიას, ტიპოლოგიასა და „აღყვანებით თარგმანებას“, საზოგადოდ, ტროპოლოგიას შორის. მათი გარჩევა მხოლოდ მოგვიანებით, მომდევნო საუკუნეებში ხდება.

9 შდრ., ტიპოლოგიურ სიახლოვეს ხედავდნენ მითებში აღწერილ ამბებსა და ბიბლიურ სიუჟეტებს შორის. მაგ. ორფევსი – ქრისტე; მხსნელი, სიკვდილის დამთრგუნველი; ჰერაკლე – წამებული ქრისტე; ორი ბოროტზე გამმარჯვებელი. იხ. Korslin 1988: 279-309. ეკლესიასა და ლიტურგიაში დამკვიდრებული ტიპოლოგიური წყვილების, ძველსა და ახალ ალექმას შორის კავშირის ლევიტიმაციის შესახებ იხ. Ohly: 1988: 22-63.

10 იოვანე, 3, 14-15.

11 Bienert 1972: 82.

ბიბლიის ეგზეგეტიკაში ითვლება, რომ ამ ცნებების გარჩევა დაკავშირებულია ბიბლიის სიტყვათა ოთხსაფეხურიანი მნიშვნელობის, ოთხი ფენის გამოყოფასთან. ეს უკანასკნელი იოვანე კასიანეს სახელს უკავშირდება: ერთი მხრივ, წმინდა წერილის ისტორიული და გრამატიკისეული მნიშვნელობები და, მეორე მხრივ, ალეგორია და ანაგოგე, როგორც არაისტორიული პლანის ორი საფეხური.¹²

ანტიკური ეგზეგეტიკიდან ათვისებულ განმარტების მეთოდს, ალეგორიას, არ შეეძლო გამოეხატა წმინდა წერილის სპეციფიკური მნიშვნელობა. ამისთვის ქრისტიანულ ეგზეგეტიკას დამატებითი სპეციალური ინსტრუმენტის, ἀναγλυή-ს, „აღყვანებითი თარგმანების“ მოშველიება დასჭირდა; ამით იგი დამაჯერებლად გამოეყო ანტიკურ და, მით უფრო, იუდაისტურ ეგზეგეტიკას, რადგან განმარტების ტიპოლოგიურმა მეთოდმა და ანაგოგემ ძველი აღთქმის მთავარი არსი – ახალი აღთქმა – წარმოაჩინა და მათი ურყევი ერთიანობაც დააკანონა.

ტიპოლოგიური ჰერმენევტიკა ორ საყრდენზე დგას. ესენია: ა) ტიპოლოგიური დაყოფის ზოგადი პრინციპი, ბ) ბიბლიის ტექსტი. ამ ჰერმენევტიკისთვის ტიპოლოგიური დაყოფის პრინციპი მეთოდია, ბიბლიის ტექსტი – ამავე მეთოდით შექმნილი საკვლევი, საანალიზო მასალა. ლუკას სახარებაში მოცემულია ბიბლიური ტიპოლოგიის, უფრო ზუსტად, ავტოჰერმენევტიკის სახელმძღვანელო ნიმუში, თუ როგორ უნდა განიმარტოს წმინდა წერილი წმინდა წერილითვე, ძველი აღთქმა – ახალით.¹³ შდრ.: „და მი-ვინმე-ვიდეს ჩუენგანნიცა საფლავად და პოვეს ეგრე, ვითარცა დედათა მათ თქუეს, ხოლო იგი თავადი ვერ იხილეს. ხოლო მან ჰრქუა მათ: ო, უცნობელნო და მძიმენო გულითა სარწმუნოებისათვის ყოველსა ზედა, რომელსა იტყოდეს წინაწარმეტყუელნი. ანუ არა ესრეთ ჯერ-იყო ვნებად ქრისტესა და შესლვად დიდებასა თვისსა? და იწყო მოსესითვან და წინაწარმეტყუელთა და გამოუთარგმანებდა მათ ყოველთავან წიგნთა მისთვის.“¹⁴

ბიბლია თვითონ გვეუბნება, რომ ისტორიულ, „თხრობისაებრ“ სიტყვას ახალმა აღთქმამ ძალა გამოაცალა და ის დაძველებულად, ყავლგასულად შერაცხა; შდრ.: „ხოლო აწ განთავისუფლებულ ვართ მჯუღლისა მისგან და მოვკუედით, რომლითა-იგი შეჰყრობილ ვიყვენით, რაათა ვჰმონებდეთ ჩუენ განახლებულითა სულითა და არა დაძულებულითა

12 სისტემური სახით ეს საკითხები, შესაბამისად, კვლევის ისტორია დამუშავებულია ჰ. ლუბაკის მონოგრაფიაში, იხ. Lubac 1999.

13 შდრ. ბიბლიის განმარტება ბიბლიითვე – ორიგენეს ამ მეთოდოლოგიის შესახებ აქ აღარ შევჩერდები (იხ. ამავე ნაშრომში მეორე ნაწილის პირველი თავი).

14 ლუკა, 24, 24-27.

წიგნიტა“; „რომელმან-იგი შემძლებელ გუყვნა ჩუენ მსახურებად ახლისა შჯულისა, არა თუ წიგნიტა, არამედ სულიტა, რამეთუ წიგნმან მოაკუდინის, ხოლო სულმან აცხოვნის“¹⁵

ახალთან დაძველებული ალთქმის კავშირი რომ დავინახოთ, ამ უკანასკნელის ალევორიულობა უნდა ვალიართ. ამისკენ გვიბიძგებს პავლე მოციქულის სიტყვები, რომ ადამი მომავლის ნიშანია; შდრ.: „არამედ სუფევდა სიკუდილი ადამისიტგან ვიდრე მოსესამდე და მათ ზედაცა, რომელთა-იგი არა ეცოდა მსგავსად გარდასლვისა მის ადამისა, რომელი-იგი არს სახე მერმეთა უამთად“¹⁶ ამით პავლე მოციქული მიუთითებს, რომ ნაწინასწარმეტყველები სიბრძნის შეცნობა და მომავალი (τὰ ἐρχόμενα) ერთიანია.

სწორედ ამ ერთიანობის პრინციპს ეყრდნობა ბიბლიის ტიპოლოგიის ამოსავალი თეზა, რომ ბიბლიის სიტყვა მარადიული სიტყვის ინკარნაციაა.¹⁷ ქრისტეს სხეული არის ჩრდილი, სარკმელი, სიმბოლო (σκία καὶ σὺμβολον), რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩვენი გონებისთვის მისაწვდომი ფორმით, გამოსახულებით და ენით შევიცნოთ მარადიული სიტყვის მინიშნებები. წმინდა წერილის ლიტერატურული გზით, ენის სიტყვებით, უმცირესი იოტიტაც კი გადმოცემული ამბავი ორმაგი სტრუქტურისაა და ბიბლიის ტიპოლოგიის საფუძველია. მოსეს ნიშნები არის დოგმის τύπος-ი, ხოლო სახარება, რომელსაც ვკითხულობთ და აღვიქვამთ (αἰσθητὸν Ἐὐαγγέλιον), „საცნაური“ და პნევმატური სახარების (შდრ. νοητὸν καὶ πνευματικόν) τύπος-ია .

ქრისტიანულ ეგზეგეტიკაში ბიბლიის ტიპოლოგიური წყვილები პირველად ორიგენემ გამოყო. შდრ. „Ἐν τοῖς Μωυσέως γράμμασι – νόγμα; ὄνομα – ἔννοια; ἱστορία – ἔννοια; τύπος – ἀλήθεια; Ἐὐαγγέλιον – λόγος.“¹⁸

ტექსტი, რომელიც ამბავს გვიყვება, არის ფუნდამენტი, რომელსაც მისი განმარტება უნდა დაეფუძნოს.¹⁹ „თხრობისაებრი“ გავებით, სიტყ-

15 ჰრომ. 7, 6; II კორ. 3, 6.

16 შდრ. ჰრომ. 5, 14: „Ἀδὰμ ὃς ἔστιν τύπος τοῦ μέλλοντος“ ადამი, როგორც ძველი ალთქმისეული ნიშანი და ჩრდილი (τύπος καὶ σκία) პირველად ფილონ ალექსანდრიელმა შემოიტანა ეგზეგეტიკაში ძველი და ახალი ალთქმის ტიპოლოგიური პარალელისთვის. იხ. Lubac 1950: 176.

17 ბიბლიის ტიპოლოგიის ენობრივ-გამომსახველობითი პლანის შესახებ იხ. Lubac 1968, აქ გვ. 200.

18 Origenes, MtCo XII, 9 (84), IoCo I, 22 (29, 33).

19 შდრ. Primo omnium videamus, quae de ea secundum litteram referuntur [...] ut cum huiusmodi fundamenta iecerimus, ab historiae textu possimus ascendere. [...] historica interpretation est veluti fundamentum (Origenes, GenCo II, 22, 16; 6, 36, 21).

ვა მხოლოდ ამქვეყნიურ აჩრდილებსა და სახეებზე მიანიშნებს, იგი კერუგმატული სიტყვის სხეულია (σάρξ); ეს სხეულებრივი, სომატური ბიბლია ჯვარზე უნდა ამალდდეს და პნევმატურ,²⁰ მარადიულ სახარებად იქცეს.²¹

მარადიული, პნევმატური სახარების შეცნობა სახარების წვდომის ყველაზე მაღალი საფეხურია; იგი მხოლოდ ალევორიითა და ტიპოლოგიით, ზოგადად, ტროპოლოგიის გზით ვერ მოხერხდება, არამედ მარადიული მისტიკის შეცნობას ბიბლიის სიტყვის „აღყვანებითად გულისკმისყოფა“ (εἰς ἀναγύψην) სჭირდება. ძველ აღთქმასა და პნევმატურ სახარებას შორის ლოგოსის განკაცების სახარება დევს: ძველი აღთქმა – სახარება – პნევმატური სახარება.

ბიბლიური ტიპოლოგია დამოუკიდებელ მეთოდად პავლე მოციქულის შემდეგ მკვიდრდება. სწორედ პავლეს ეპისტოლეებში შეიძინა τύποι-მა ჰერმენევტიკული ტერმინის მნიშვნელობა და ქრისტეს შობის შემდეგ ყველაფერი გააზრებულ იქნა, როგორც ძველი აღთქმის ტύპი-ი. რადგან ესქატოლოგიური მოლოდინი ქრისტეს ზეცად ამალღების შემდეგ ქრისტეს მეორედ მოსვლაზე გადაინაცვლებს, ამიტომ, შესაბამისად, ტიპოლოგიის ორსაფეხურიანი ფორმიდან ვითარდება ტიპოლოგიის სამსაფეხურიანი განმარტების სპეციფიკურად ქრისტიანული ფორმა. ამით ქრისტიანული ჰერმენევტიკა საბოლოოდ გაემიჯნა განმარტების ანტიკურ და იუდაისტურ ტრადიციას.

ამის მიუხედავად, მაინც საკამათოდ რჩება ალევორიისა და ტიპოლოგიის, როგორც ორი დამოუკიდებელი მეთოდის, არსებობა, თუმცა ეგზეგეტიკის მკვლევრებს შესაძლებლად მიაჩნიათ მათი გარჩევა: ტიპოლოგია თანადროულ ან უშუალო, ახლო წარსულის მოვლენებს განმარტავს, როგორც ძველი აღთქმის მინიშნებების ასრულებას, ალევორია კი არის ობიექტის ან პერსონაჟის ინტერპრეტაცია; სინამდვილეში იგი აღნიშნავს მოგვიანო ხანის რალაც ობიექტს ან პერსონაჟს და ცდილობს, მსგავსი სიტუაციის არსებობის საფუძველზე, აჩვენოს მათ შორის დამოკიდებულება.

სხვა მოსაზრებით, ალევორიისა და ტიპოლოგიის გარჩევა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი პირველს განვიხილავთ, როგორც ფორმალური ტექსტის განმარტებას და მეორეს, როგორც სინამდვილის, ამბების და მოვლენების განმარტებას. ტიპოლოგია ისტორიულ მოვ-

20 Lubac 1950: 116.

21 შდრ.: „და ვიხილე ანგელოზი მფრინვალჴ შორის ცისა და ქუეყანისა, და აქუნდა სახარებად საუკუნოდ ხარებად მკვდრთა ქუეყანისათა და ყოველსა ერსა ზედა და ტომთა და ენათა და წარმართთა“ (იოვანეს გამოცხადება 14, 6).

ლენებს, ამბებს, პერსონაჟებს განმარტავს, როგორც წმინდა ისტორიის ფაქტობრივ პრეფიგურაციებს, ალევორია კი ხსნის მათ აღმნიშვნელ სიტყვებს, სახელებს (voces, nomina), ანუ მათ ვერბალურ არტიკულაციას. ამ თვალსაზრისით ტიპოლოგია რეალობის, ამბების სემანტიკაა, ალევორია კი – სიტყვების. აქედან გამომდის, რომ ტიპოლოგია, როგორც ჰერმენევტიკული მეთოდი, ახალი აღთქმის ამბების განმარტებაა, ალევორია კი – ძველი აღთქმის სიტყვების.²²

ეს დეფინიციებიც აშკარად აჩვენებს, რა რთულია ალევორიასა და ტიპოლოგიას შორის საზღვრის გავლება. ალევორია განმარტების ვერტიკალური ფორმაა, რადგან იგი არაისტორიულ დამოკიდებულებებს წარმოაჩენს ალევორიებსა და მათ თავდაპირველ ხატებს შორის; ხოლო ტიპოლოგია განმარტების ჰორიზონტალური ფორმაა, რომელსაც წარსულის ისტორიული მოვლენები აწმყოსა და მომავალში გადმოაქვს. ის, რომ ახალ აღთქმაში ალევორია და ტიპოლოგია ტერმინოლოგიურად არაა გარჩეული, ნიშნავს, რომ ძველი საეკლესიო ეგზეგეტიკა, როგორც ბერძნული, ასევე ლათინური, არც ასხვავებდა მათ ერთმანეთისგან. ორივე მათგანს კი ახასიათებდა:

ა. სახეობრივი გამოხატულების ინტერპრეტაცია მათში ჩადებული საყოველთაო ჭეშმარიტების მიხედვით,

ბ. წარსულის ისტორიული მოვლენებისა და სახეების გადატანა მომავალ ესქატოლოგიურ მოვლენებზე.

განმარტებათა ეს სისტემა მეთოდოლოგიურად დაამუშავა ორიგენემ და როგორც ალევორია, ასევე ტიპოლოგია აქცია ბიბლიის მისტაგოგიური განმარტების ელემენტებად.

ἀναγὰγῃ, როგორც ქრისტიანული ეგზეგეტიკის ტექნიკური ტერმინი ორიგენემდე არ დასტურდება, ცნება კი გაცილებით ძველია და მნიშვნელობაც განსხვავებული აქვს. ἀναγὰγῃ, როგორც ზემოთ აყვანა, ზემოთ ატანა, თუკიდიდესგან და ქსენოფონესგან მოყოლებული იხმარება. ამ სიტყვის ერთ-ერთი გადატანითი მნიშვნელობაა სინათლისკენ წაყვანა, ფილოსოფიასთან მიყვანა (εἰς φῶς ἀνάγει, εἰς φωτισμόν ἀνάγει). მისი ზმნური ვარიანტი ἀνάγει ჯერ კიდევ ჰომეროსთან გვხვდება. ის აღნიშნავდა მიმართულებას ზემოთ.

ჰომეროსისგან მოყოლებული ამ სიტყვას მეორე მნიშვნელობაც აქვს: უკან დაბრუნება, თავდაპირველ ადგილას დაბრუნება; შდრ. τὸν

22 ეს ორი რამ – ამბის და სიტყვის (ტიქსტის) განმარტება – შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, მაგ., ქალაქი იერუსალიმი, ტიპოლოგიური განმარტებით, ეკლესიას ან ესქატოლოგიის ზეციურ ქალაქს ნიშნავს, იგივე მნიშვნელობა აქვს ალევორიულადაც. იხ. Schlieben 1974, აქ გვ. 67. ტიპოლოგიისა და ალევორიის დეფინიციების, მათი მეთოდოლოგიური საზღვრების შესახებ იხ. Bienert 1972: 66-122.

ἀργὸν ἐπ' ἀρχῆς ἀνάγειν.²³ არისტოტელესთან ἀνάγειν აღნიშნავს გარკვეული ცნების თავის ლოგიკურ საწყისამდე მიყვანას. ეს უკანასკნელი გარკვეულწილად ფიგურირებს ანაგოგეს, როგორც ქრისტიანული ეგზეგეტიკის ტერმინის, მნიშვნელობაშიც.²⁴

ძველ აღთქმაში ἀνάγειν უმეტეს შემთხვევაში აღნიშნავს ისრაელის გათავისუფლებას ეგვიპტის მონობისგან. ახალ აღთქმაში ამ ზმნის აქტიური ფორმა ნიშნავს მთაზე აყვანას (ლუკა, 4, 5), ხოლო პასიური ფორმა ἀνάγεσθαι – ზღვაში, წყლის ზემოთ, წყლის ზედაპირზე ტარებას.

ორიგენესეული გაგება ყველაზე მეტად შეამზადა ἀνάγειν, ἀναγὰγῃ-ს იმ მნიშვნელობამ, რაც ამ სიტყვებმა შეიძინა კლიმენტი ალექსანდრიელთან. მისი თქმით, რახან ღვთის სიტყვა მიწაზე, იესო ქრისტეს სახეში განკაცდა, შესაბამისად, იგი გამოიხატა ადამიანური ენის სიტყვებში შედარებების სახით. ქრისტეს, რომელიც თვითონ გახდა ადამიანი, მიჰყავს ადამიანები ღმერთის შეცნობისკენ, ანუ ამქვეყნიდან ზეციური ქვეყნისკენ. ამით ქრისტე ადამიანებს აბრუნებს თავდაპირველ, საყოველთაო ჭეშმარიტებაში, რადგან ქრისტეს ადამიანები „ხილული“ ქვეყნიდან „საცნაური“ (σοιητός) ქვეყნისკენ მიჰყავს და მათ ლოგიკურ საწყისთან აბრუნებს.

ἀναγὰγῃ-ს ორიგენესეული გაგება ახლოსაა ნეოპლატონიზმის თეორიულ კონცეპტებთან. პლოტინისტვის ἀναγὰγῃ ნიშნავს საწყისთან მიბრუნებას; ზემოთ აყვანის, ამალღების მნიშვნელობას ეს ცნება პორფირიუსთან და იამბლიქოსთან იძენს. ეს უკანასკნელი ἀναγὰγῃ-ს უკავშირებს ექსტაზს და თეურგიის საშუალებით პირველსაწყისისკენ ამალღებას (შდრ. πρὸς τοὺς θεοὺς ἀναγὰγῃ).²⁵

ეგზეგეტიკურ ტერმინად ἀναγὰγῃ ორიგენეს სისტემაში გადაიქცევა. მასში ორივე მნიშვნელობა იყრის თავს: საწყისთან მიბრუნება და ზემოთ აყვანა. ἀναγὰγῃ-ს მეშვეობით ორიგენე ერთმანეთისგან ასხვავებს ბერძნულ (ჰომეროსის) და ქრისტიანულ ეგზეგეტიკას. ფილონ ალექსანდრიელისგან განსხვავებით, ორიგენე საუბრობს არა ალევგორიის, არამედ ანაგოგეს კანონების შესახებ (σὺμοι τῆς ἀναγὰγῆς); განმარტების ეს ფორმა სპეციფიკურია და მხოლოდ მისი საშუალებითაა შესაძლებელი ბიბლიური ტექსტის გაგება.

23 პლატონი, Νόμοι, 626 D.

24 ἀνάγειν-ს მნიშვნელობათა შესახებ ანტიკურ ფილოსოფიაში იხ. Bienert 1972: 127-136.

25 ἀναγὰγῃ-ს მნიშვნელობები დასახელებულ ფილოსოფოსებთან იხ. Harder 1999: 28; ასევე, Harder 1968: 26; Pistelli 1888: 15, 3.

შდრ. βασιλεὺς δε Βαβυλωνος κατὰ μὴν τὴν ἱστορίαν Ναβυχοδονόσορ, κατὰ τὴν ἀναγὰγῆν ὁ πονερόρ.²⁶ ორიგენე თვლის, რომ ისტორიული, თხროვისაებრი განმარტების მიხედვით აქ იგულისხმება ბაბილონის მეფე, რომელმაც ისრაელი ბაბილონის ტყვეობაში უნდა ჩააგდოს, ისრაელის დამსჯელი, მათი ცოდვებისთვის საზღაურის დამწესებელი უნდა გახდეს. ამის გამო მისი სახე გაიგება როგორც ბოროტის, ეშმაკეულის პროტოტიპი; ებრაელი ხალხის ბედი პროტოტიპულად მიანიშნებს ეკლესიის, საზოგადოდ, მორწმუნე ქრისტიანის ბედზე. ძველისა და ახლის ამგვარ ტიპოლოგიურობაში ჩანს სწორედ მათი ერთიანობა. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ განმარტების სპეციფიკური ფორმით, ἀναγὰγῆ-თი აიხსნება.

ეგზეგეტიკის ალექსანდრიული ეტაპის შემდეგ ინტერესი ბიბლიის განმარტების სამსაფეხურიანი სისტემის, ალევორიისა და ანაგოგეს მიმართ თანდათან ნელდება, თუმცა მაინც ინარჩუნებს ინტერპრეტაციის ფუნქციას. მოგვიანებით, დიონისე არიოპაგელთან, ἀναγὰγῆ მისტიკურ შინაარსს იძენს. ეგზეგეტიკის სისტემატიზატორი, იოვანე კასიანე კი ალევორიას და ანაგოგეს იყენებს ორი განსხვავებული არსის გადმოსაცემად: ა. ბიბლიის ალევორიულ-თეოლოგიური არსი – ἀλληγορία, ბ. ესქატოლოგიური არსი – ἀναγὰγῆ.

შუა საუკუნეების ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში ტერმინოლოგიზებული ჩანს ბიბლიის ტიპოლოგიური განმარტებაც და ანაგოგეც. პირველის შესატყვისი უნდა იყოს *ქცევა-უწყებით თარგმანება, ქცევით და უწყებით* [თქუმა]; ἀναγὰγῆ-ს შესატყვის ტერმინად დამკვიდრებულია „აღყვანებითი თარგმანება“. ერთ-ერთი მთარგმნელობითი მეტატექსტის მიხედვით, „აღყვანებითი თარგმანება“ ინტერპრეტაციის, გაგების უმაღლესი საფეხურია, რომელიც „უცხადესისა და უსაიდუმლოესისა მიმართ გონებისა სიტყუათადას აღმიყვანებს ჩუენ“.²⁷

ამავე მნიშვნელობით ეს ტერმინი დასტურდება მიტროფანე ზმვრნელის „ეკლესიასტეს თარგმანების“ ქართულ რედაქციაში და ოლიმპიადორეს თხზულების ძველ ქართულ თარგმანებში. შდრ. მიტროფანე ზმვრნელი: ხოლო *აღყვანებით თარგმანებისა* მნებებელი ვიტყვთ (157, 24-25); ხოლო ბრძენსა ეკლესიასტეს უფროსდღა *აღყვანებით და სახისმეტყუელებით* ჰნებავს გულისკმისყოფად ამათი (153, 2,3); ოლიმპიადორე: ხოლო *აღყვანებითისა თარგმანებისა* მიერ ითქუა (61, 240ა).²⁸

ქვემოთ ჩამოვთვლი და, შეძლებისდაგვარად, განვმარტავ რამდენიმე, ჩემი აზრით, საყურადღებო საკითხს.

26 Origenes, Jer. Co. 20, 1, იხ. GCS (6): 171, 2.

27 ხელნ. S 1472: 101, 3.

28 იხ. დობორჯგინიძე 1998: 106-109.

ტიპოლოგიური თარგმანება

როგორც ვთქვი, ტიპოლოგიური განმარტების აღმნიშვნელი მგონია ძველი ქართული ტერმინი *ქცევა-უწყებით თარგმანება*. ამ ვარაუდს ამყარებს მისი ხმარების კონტექსტუალური თავისებურებაც: ყველგან, სადაც *ქცევა-უწყევით* თარგმანებაზეა საუბარი, ძველი აღთქმის კონკრეტული ადგილი ან პერსონაჟი განმარტებულია ახალი აღთქმის მიხედვით. სათანადო ვლევა-ძიებამ უნდა განსაზღვროს, რამდენად მყარი იყო ამ ტერმინის საზღვრები, რა სპეციფიკურ შინაარსს გულისხმობდნენ მასში ძველი ქართველი მწიგნობრები და როგორ ასხვავებდნენ მას „აღყვანებითი თარგმანებისგან“:

„ვერძებითა და საკუმეველითა შევეწირო შენდა ზუარაკები და ვაცები. ხოლო *ქცევით* და *უწყებით* საკუმეველ უწოდს განწმედილისაგან სულისა ამომფშვნვარსა მას სუნნელებასა; და ვერძ იწოდნენ მთავრებანი იგი გულის-სიტყუანი, მრქენალნი ვნებათანი; ზუარაკ – მოქმედება კორციელი, ვინადთგან ქუეყანისმოქმედ არს კარი და კორცნიცა არიან ქუეყანით და ქუეყანიერთა მოქმედებენ. ხოლო ვაც – ცოდვათათვს ვედრება, რამეთუ ძუელად ვაცი ცოდვათათვს დაიკლვოდა: [...] „შევიდე სახლსა შენსა მსხუერპლებითა“. ხოლო *ქცევა-უწყებით* სახლ ღმრთისა არსცა და მსხუერპლ არს მოქმედება უსრულესთა სათნოებათა, რომელსაცა შესწირვენ ღმრთისა ყოველნივე მართალნი: [...] „მაშინ შეიწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი“. *ქცევით* ეკლესიისათვს მორწმუნეთადასა და სახარებისა მსხუერპლსა წინაწარმეტყუელებს. [...] „და შენ მოგეცეს ლოცვაჲ იერუსალემს“. იხილე მოსწავებაჲ აღმოსლვისათვს, იყოს ნუ თუ და *ქცევით* სიონ და იერუსალემ მორწმუნეთა კათოლიკე ეკლესია და ზოგად ყოველნი ეკლესიანი: [...] „მამა ხილულისა უკუე ისრაელისა იაკობ, და საცნაურისა – ქრისტე, არა დამბადებლობით ხოლო, არამედ მეორედ მშობელობითცა, რომლისა მიერ კუალად იშვების ახალი ისრაელი მადლითა საღმრთოდასა სულისა მისისადათა; ხოლო საცნაური ისრაელი მრჩობლ არს ბუნებით, ვითარცა ღმერთი და კაცი. კაცისაებრ ვიდრემე მისისა ღმერთად და მამად ითქუმის – ღმერთი მამად, ხოლო ღმრთაებისაებრ მხოლოდ მამა ოდენ.“²⁹

აღყვანებითი თარგმანება

მუცლით გამო ჯოჯოხეთისა ღაღადებისა ჩემისა კჳად ჩემი, შთამაგდეს მე სიღრმესა ზღვსასა. ჯერ-არს ყოველისავე ამის გალობისა

29 დობორჯგინიძე 1996 (2): 65, 14; 65, 12; 50, 19; 64, 1; ხელნ. S 1472: მოს.გალ. 1;

ქრისტეს მიმართ *აღყვანებით* თქუმად, რომელმან-იგი ჯუარსა ზედა კმა-ყო მამისა მიმართ, რაჟამს უკეთურთა ჰურიათა მიერნი ძალნი ყოვლით კერძო გარე-მოდგომილ იყვნეს მისდა: [...] „მუნ შემუსრნეს ძალნი მშლდთანი, საჭურველი და მავხლი და ბრძოლად: წარწყმედისათვის ასურასტანელთადას არს ესე. რამეთუ უმეტესი ძლიერებად ასურთად მშვლდოსნობა იყო. ამისთვისცა *აღყვანებით* ძალსა სიტყვასა მშვლდად გულისკმა-ვჰყოფთ: [...] „ველ – გულნი მდაბალნი, რომელნი ველარას მალალსა გულისკმა-ჰყოფენ, მთა – აღლაღებულნი იგი ამოსა ზედა სიბრძნესა. ღელე – სიღრმედ ცოდვათა შთაბნეულნი, [...] ხოლო ვერძ ცხოვართა – წმიდანი მოციქულნი, რომელთაცა შეიმოსეს მალლით სულისა წმიდისად, დღესა მეერგასესა, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: *დასხენით ქალაქსა იერუსალემს, ვიდრემდის შეიმოსოთ ძალი მალლით*. ანუთუ ადგილ-ადგილ ეპისკოპოსნი და მღუდელნი, რომელთა შეიმოსეს ნათლისღებისა მიერ ქრისტჳ, ვითარცა იტყვს: *რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ-გვლებიეს და ქრისტე შეგვმოსიეს*. ჯერ-არს უკუე ამისაცა თქუმად, ვითარმედ ვერ ვჰპოვებთ წერილისაებრ ძუელისა ესევეითართა დღეკეთილობათა ღირს ქმნულად ბაბილოვნით აღმოსრულთა მათ, ვინაეცა შეეტყუების ქრისტესსა მას და ჩუენსა და ახალსა აღთქუმასა: [...] „გაქებდენ და გალობდენ“ გაქებდენ და გიგალობდენ შენ, ღმერთსა, მაცხოვარსა და ქველისმოქმედსა მათსა. ესე წერილისაებრ ძუელისა, ხოლო *აღყვანებით* სიტყვსა და დაწყებით არს წინასწარმოსწავებად სახარებისა ქადაგებისად, რამეთუ იტყვს მხოლოდშობილსა ძესა.“³⁰

როგორც ალევორიის შემთხვევაში, აქაც მხოლოდ ზოგადი კონტექსტით და მაგალითებით შემოვიფარგლე. ისინი, ცხადია, ბევრს ვერაფერს გვეტყვის იმ უდავოდ საინტერესო საკითხის შესახებ, თუ როგორ ესმოდათ ქართველ მწიგნობრებს ამ ტერმინის შინაარსი, ან როგორ ასხვავებდნენ მას სახისმეტყულებითი თარგმანებისგან. როგორც გამოჩნდა, ამ კითხვის პასუხი არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება ალექსანდრიული ჰერმენევტიკის ისტორიისა და, განსაკუთრებით, შესაბამის ბერძნულ ტერმინთა დეფინიციისათვისაც.

იმის გამოკვლევაც არანაკლებ მნიშვნელობანი მგონია, თუ რატომ ქმნიდნენ XI-XIII საუკუნეებში ქართველი მთარგმნელები სპეციალურ ტერმინს „განგდებულთა“ მიერ მესამე საუკუნეში დამკვიდრებული ჰერმენევტიკული მეთოდისთვის; ის ხომ აკრძალული თუ არა, მივიწყებული მაინც იყო;

30 ხელნ. S 1472: 75, 3; დობორჯინიძე 1996 (2): 64, 13;

როგორ ეძიებდნენ ამ ტექსტებში „უაღრესსა და უმჯობესსა, რომელი უფრო ეგების“; როგორ ყალიბდებოდა ეს „გამომეძიებლობითი“ ღირებულება და ვინ იზიარებდა, ან ეწინააღმდეგებოდა მას.

რა კავშირშია ალექსანდრიული ტერმინებისა და მეთოდოლოგიის მიმართ ეფრემ მცირის აშკარა კეთილგანწყობა იმ დამოკიდებულებასთან, რომელსაც იგი „ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალში გამოხატავს „განგდებულთა“ მიმართ: ეფრემი საკმაოდ ფრთხილად შენიშნავს, არაკანონიკური ავტორების კომენტარებს „ვჰრიდე და აღვრ ვასხენო“, თუმცა იქვე პრინციპულად იცავს განგდებულთა განმარტებებს: „წიგნებსა თანა წმიდათასა შევართე წიგნები მათი, რომელნი-იგი არიანოზთა და ოროგინიანთა თანა შეიჩუენებიან. და ბერძენთასა მას შეწყყარებასა მათისა მის წიგნისასა მაქებელვე ვარ, რამეთუ მათ ძალ-უც წამლიანთა-განცა მკეცთა შემზადებაჲ წამლისა საკურნებელისაჲ.“³¹

როგორ დამკვიდრდა შუა საუკუნეების ქართულ მწიგნობრულ პრაქტიკაში „ფილოკალიის“ კაბადოკიური ტრადიცია, რომლის თანახმად, „საეჭუელთა“ და „განგდებულთა“ ღვაწლი ხელაღებით დასაგმობი არ არის. ეფრემ მცირე ხომ სწორედ ამ დამოკიდებულებას ადასტურებს: „არიან უკუე სხუანიცა უმრავლესნი პირველ მოკსენებულთასა მთარგმნელნი დავითისანი არა უეჭუელნი, არამედ ფრიადცა საეჭუელნი, [...] მათნიცა თარგმანებანი ფრიად ღრმა არიან ძალითა და ამისთუსცა შეწყყნარებულ არიან ბერძენთა ნათესავისაგან.“³²

როგორ ყალიბდებოდა ძველ ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში ბიბლიის ჰერმენევტიკის მიმართ ისეთი ფრთხილი, მაგრამ და ამავე დროს, „უმჯობესისა გამომეძიებელი“ დამოკიდებულება, როგორიც ერთ-ერთ მთარგმნელობით მეტატექსტშია გამოხატული: „ჭეშმარიტი თსება არს მობაძაობაჲ, რომელნი გზასა საშუალსა ვიდოდიან და მარჯუენით და მარცხენით არა მიდრკებიან, არცა ოდესმე მეტსა ჰყოფენ, არცა ოდესმე ნაკლულსა.“³³

ამ კითხვების დასმის უფლებას, ვფიქრობ, ეს მწირი ნიადაგიც კი იძლევა.

31 ეფრემ მცირე, „ფსალმუნთა თარგმანების შესავალი“, იხ. მზ. შანიძე 1968: 79.

32 მზ. შანიძე 1968: 79.

33 ხელნ. S 1472: 111, 2.

მესამე ნაწილი

ბექსტისა და თარგმანის თეორიის საკითხები

ძველ ქართულ ფილოლოგიაში

შუა საუკუნეების ქართველ მწიგნობართა თარგმანის თეორია რამდენადმე პირობითი სახელია. ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართველ მწიგნობრებს არც ექსპლიციტური მთარგმნელობითი კონცეფციები შეუმუშავებიათ და არც სახელმძღვანელო დაუწერიათ ამ დარგისთვის; იმას, რაც მათ თავიანთ მეტატექსტებში აღწერეს, უფრო მთარგმნელობითი პრაქტიკის რეცეფცია, ან დოკუმენტირებული ისტორია შეიძლება ეწოდოს. მთარგმნელობით მეტატექსტებში გაბნეული ეს ისტორია ჩემს ნაშრომში სამ ნაწილად დავყავი:

მთარგმნელობითი პრაქტიკის კონცეპტუალური საფუძვლების შესახებ პირველ ნაწილში ვისაუბრე; თარგმანის, როგორც ქართული ენის „განმაბრძნობელის“ ტოპოსის განხილვისას შეძლებისდაგვარად ვცადე ქართველ მთარგმნელთა თვითშეგნების რეკონსტრუქცია, ანუ შევეცადე, მეჩვენებინა ის მიმართება, რომელიც ენას, ამ ენის მატარებელ მთარგმნელსა და მის საქმიანობას შორის არსებობდა.

მთარგმნელობითი პრაქტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები ნაშრომის მეორე ნაწილში აღვწერე. აქაც რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვი ქართველ მთარგმნელთა ჰერმენევტიკული მეთოდების გენეალოგიის შესახებ და, ასევე, იმის თაობაზეც, თუ როგორ შეიძლება მთარგმნელთა ფონეტიკურ-ორთოგრაფიული, გრამატიკული, ლექსიკოლოგიურ-ეტიმოლოგიური, სახისმეტყუელებითი ან ტიპოლოგიური მეტატექსტების თეორიული პრინციპების ახსნა-განმარტება; ერთი სიტყვით, იმ „საგნობრივი“ კონტექსტის ჩვენება ვცადე, რომელშიც საკუთრივ ძველი ქართული მწიგნობრული ტრადიცია იქმნებოდა.

ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკის დოკუმენტირებულ ისტორიას, კერძოდ, სკრიპტორიუმში თარგმანის გამოსაცემად მომზადების, მეტატექსტების დართვისა თუ ტექსტის „ძალისა“ და „საკმარების“ განმარტების თეორიას, მესამე ნაწილში აღვწერე. გავიმეორებ, რომ თეორიას ვარქმევ, რადგან მთარგმნელობითი პრაქტიკის, საკუთარი გამოცდილების აღწერასთან ერთად, წინამორბედი მთარგმნელების საქმიანობის აღწერის, კრიტიკულად შეფასებისა და ლეგიტიმაციის ამოცანასაც ისახავს.

**თქმის ისტორიის კვლევა: წინაპე (Προίμιο),
თავისა და ბოლოვსა ანდერძი**

1. გრამატიკა, გრამატიკოსი

სანამ ამ თავის ძირითად საკითხზე გადავალ, ერთ დისკუსიას მივ-
და შევეხო. იგი ანტონ პირველის ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივმა
გამონათქვამმა გამოიწვია. თავისი გრამატიკის შესავალში ანტონი გარ-
კვევით ამბობს, რომ ქართველების გრამატიკის შესახებ მას არაფერი
სმენია, რომ ძველად გრამატიკა არ უნდა ჰქონოდათ ქართველებს; შდრ.:

„წმინდა მამათა ქართველთა მეთარგმანეთა მოჰფინა ღმერთმან
სული თვისი და გადმოლუბითა წიგნთაჲთა იღვაწეს საღმრთოთა წერილ-
თა და წმიდათა მოძღვართა და ბუნებისა და ზესთა ბუნებისა წერილ-
თა გადმოთარგმანებითა რაოდენიცა კმა. და ამათნი იგი თარგმანები
წერილნი მრავალნი ჰკიან დღეინდლად დღემდე. დაღათუ მრავალნი
აკლნნ, პოებულ არიედ იგინი წმიდასა ქალაქსა იერუსალემს და წმიდასა
მთის ათონის მონასტერსა ჩვენ ქართველთასა. გარნა გრამატიკად არა-
სადა ვისმინეთ, არცა ნაშთთა წიგნთა შემდგომად აოხრებისა და არცა
პირველ, რაცა იყოსმცა ჩვენსა ზედა ენასა.“¹

ამის საპირისპიროდ, ანტონი ხშირად იმოწმებს ძველ ქართველ გრა-
მატიკოსებს: „ამისთვის შეუღლვილებად უწოდებდესთ პირველთა ჩუჴნთა
ღრამატიკოსთა“; [...] ამისთვის ზედ-წოდებულ არს პირველთაგან ღრამ-
მატიკოსთა ნაცუალ-სახელი“; რამეთუ ესე იოანე ფილოსოფოსისაგან
ქმნული კანონი არს.“²

ამ ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივ გამონათქვამებს პირველად
აღექსანდრე ცაგარელმა მიაქცია ყურადღება. მან მიიჩნია, რომ „ანტონს
გარკვევით არ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება, რას გულისხმობდა იგი
ტერმინებში – გრამატიკა, გრამატიკოსი. გრამატიკა ანტონს ესმის, რო-
გორც მართლწერის ხელოვნება (искусство правильно говорить и писать),
ხოლო გრამატიკოსი, მისი გაგებით, გრამატიკული სახელმძღვანელოს
გარდა, შეიძლება იყოს საერთოდ მწერალი, რიტორი, სტილისტი, სწავ-
ლული, კარგი მთარგმნელი, კომენტატორი. გრამატიკოსებს ეძახის ის
საღვთო წერილის მთარგმნელ კომენტატორებს, ეფრემ მცირეს, არსენ

1 ანტონ პირველი 1885, § 258.

2 იქვე.

იყალთოელს, იოანე პეტრიწს. სწორედ ასეთი ზოგადი და დაბნეული გაგება გრამატიკისა და გრამატიკოსისა უნდა იყოს მიზეზი იმ შეუსაბამობისა, რაც ანტონის ცნობაშია. გარდა ამისა, იმის მიზეზი, რომ ანტონი უარყოფს ძველ ქართულ სინამდვილეში გრამატიკის არსებობას, უნდა იყოს მისი გაზვიადებული შეხედულება გრამატიკის ხელოვნებაზე, რომლის გამო იგი გრამატიკას არ ეძახის ყველა იმ გრამატიკულ-ლოგიკური ხასიათის კომენტარს, ეგზეგეტიკურ და ეტიმოლოგიურ განმარტებებს, რომლებიც სხვადასხვა დროის ავტორთა ნაწარმოებებში იყო გაბნეული. გრამატიკას არ ეძახის იგი არც სპეციალურ გრამატიკულ ტრაქტატებს, როგორც იქნებოდა პეტრიწის გრამატიკული ხასიათის თხზულება³.

ვფიქრობ, ანტონის ცნობის საფუძველზე, გრამატიკის სახელმძღვანელოს ძიება ძველ ქართულ ტრადიციაში, გაუმართლებელია.⁴ მით უმეტეს, რომ ანტონი გარკვევით ამბობს, გრამატიკის შესახებ არაფერი მსმენიაო.

რაც შეეხება თავად ცნობების წინააღმდეგობრიობას, ის ნამდვილად მოჩვენებითი მგონია. ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოვანე პეტრიწი სწორედ გრამატიკოსები იყვნენ, ოღონდ პრაქტიკული, ჰერმენევტიკული ტექსტის მიმდევარი გრამატიკოსები; ისინი იყვნენ ტექსტის, თარგმანის ინტერპრეტატორები, ხელნაწერის, მისი ტექსტოლოგიური აპარატის მომზადების ოსტატები. როგორც ვნახეთ, სწორედ ამგვარ საქმიანობას ერქვა გრამატიკა და არა ენის თეორიულ, მეცნიერულ აღწერას.

მთარგმნელთა მრავალრიცხოვანი მეტატექსტები ორიგინალის ენის „მეყვსობის, რაბამობის,“ ან ქართულში ბერძნულისა თუ ებრაულის ფარდი „შემსგავსებული სიტყვის“ დადგენის შესახებ, ძველი ქართული პრაქტიკული გრამატიკის შინაარსია. ეს შინაარსი სტრუქტურულად და კონცეპტუალურად გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების გრამატიკის კანონიკურ სახელმძღვანელოს მიჰყვება.

რეალურად, ძველი ქართული პრაქტიკული გრამატიკის შინაარსი მთარგმნელთა მრავალრიცხოვანი მეტატექსტებია. ესაა ორიგინალის ენის „მეყვსობის, რაბამობის,“ ან ქართულში ბერძნულისა თუ ებრაულის ფარდი „შემსგავსებული სიტყვის“ დადგენის გააზრებული, დოკუმენტირებული პრაქტიკა. სტრუქტურულად და კონცეპტუალურად ეს შინაარსი მიჰყვება გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების გრამატიკის კანონიკურ სახელმძღვანელოს.

3 Цагарели 1873:13-14.

4 მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ძველი გრამატიკა ქართულ წყაროებშია საძიებელი.

რაც შეეხება მეცნიერული გრამატიკის წინამორბედ დისციპლინას, რომელსაც τὰ γράμματα ერქვა, იგი თვით ბერძნულენოვან სამყაროშიც არ ყოფილა აქტუალური. მან ვერ გაუწია მეტოქეობა გრამატიკის კანონიკურ სახელმძღვანელოს, ვერ დამკვიდრდა ბერძნულ-ბიზანტიური სასწავლო დისციპლინების კოდექსში.

როგორც ჩანს, ის არც საქართველოში ყოფილა პოპულარული; თუმცა კი გრამატიკის, როგორც თეორიული დისციპლინის, დეფინიციები, დიონისე თრაკიელის კომენტატორებისა და ამონიოსის თარგმანების წყალობით, მაინც კარგად იყო ცნობილი.

მდრ., ამონიოსი: „არიან რადმე შორის მოსახელეთა და და ერთ-სახელთა ზიარნი და განყოფილნი სახელითა და განსაზღვრებითა, რომელთა სახელ-ნართაულ უწოდიან. ვითარ-იგი საღრამმატიკოსსაგან ღრამმატიკოსნი, რომელნი-იგი ზიარ არიან სახელითა, ხოლო განიყოფებიან სახელისდებითა, რომელ არს მარცხული დასასრულისაჲ. და კუალად საზღურითაცა იზიარებიან და განიყოფებიან, რამეთუ ღრამმატიკობად უკუე მეცნიერებაჲ არს, ხოლო ღრამმატიკოსი არს არსებაჲ, რომელსა შინა არს მეცნიერებაჲ. ხოლო სახელ-ნართაულ არიან, რაოდენი განიყოფებოდინ ვისგანმე დამთხუევით, ესე იგი არს, წოდებითა სახელისაჲთა, რომლისაგან აქუნდის შესწავებულობაჲ. გარნა ესე ჯერ-არს ცნობად, ვითარმედ კელოვნებაჲ ღრამმატიკოსობისა და მუსიკობისაჲ არა ნართაულნი სახელნი არიან, რამეთუ მუსიკობა სახელ-ედების სწავლულეზასა კმათა ქცევისა და შეწყობისასა, ხოლო ღრამმატიკოსი – წიგნთა წურთილეზისაგან“⁵

ეფრემ მცირის ამ თარგმანის ორ ხელნაწერში სიტყვა გრამატიკოსის გასწვრივ დახატულია ხელი, რომელსაც გვერდით მიწერილი აქვს ასეთი მეტატექსტი: „თარგმანი: ღრამმა წერილად გამოითარგმანების, ხოლო ტიკოსი დამადნობელად, რადთა რაჟამს თქუა ღრამმატიკოსი, უწყოდი, ვითარმედ დამადნობელსა იტყოდი წერილისასა, ესე იგი არს, რომელი დაჰჰსნის სიმყურტლესა სიტ[ყუათასა], სიღრმით შეყინებულთასა“⁶

ამ მეტატექსტიდან აშკარაა, ვის უწოდებს ძველი ქართველი მთარგმნელი გრამატიკოსს – პირველ რიგში, წერილის განმმარტებელს, სიტყვის სხვადასხვა შრეების, მნიშვნელობათა დონეების „დამჰსნელს“ თანაც, ამ მეტატექსტში იმპლიციტურადაა აღწერილი ჰერმენევტიკული, პრაქტიკული გრამატიკის არსი, უფრო ზუსტად, გრამატიკოსის ფუნქ-

5 ეფრემ მცირის თარგმანი, იხ. რაფავა 1976: 111. ამონიოსის ძველ ქართულ თარგმანებში დადასტურებული გრამატიკული ხასიათის ლიტერატურის შესახებ იხ. რაფავა 1984: 128-137.

6 რაფავა 1976, იქვე.

ცია: ესაა წერილის სიტყვის [სხვადასხვა შრეში] „შეყინებული“ მნიშვნელობების განმარტება.

როგორც ზემოთ ვნახეთ,⁷ წერილის სიტყვა ადამიანის ბუნების „სამდგმობის“⁸ ანალოგიურია და სამ განსხვავებულ შრეს შეიცავს. პირველი, თხრობისაებრი შრე, ადამიანის სომატურ „მდგმობას“ შეესაბამება, მეორე, ანუ სახისმეტყველებითი – ეთიკურს, ხოლო მესამე, ანუ ალყვანებითი – პნევმატურს. ამ მნიშვნელობათაგან გრამატიკას მხოლოდ პირველი შრის, სიტყვის ჩვეულებრივი, უზუალური, თხრობისაებრი მნიშვნელობის „დაკსნა“ და ნათელყოფა შეუძლია.

წარმოდგენილ მეტატექსტში სწორედ ეს კონცეფციაა გადმოცემული. ნათელია, რომ გრამატიკის ჰერმენევტიკული ფუნქცია მასში მაქსიმალური სიზუსტითაა ახსნილი იმპლიციტურ დონეზე. დადნობის მეტაფორა მკაფიოდ გადმოსცემს თხრობისაებრი განმარტების არსს: სიმყრტლის დადნობა, ანუ მყარი, ამდენად, გაუმჭვირვალე სხეულის გადაყვანა თხევად, ანუ გამჭვირვალე მდგომარეობაში.

ბიბლიის ჰერმენევტიკაში ესაა სიტყვის სახეობრივი ზედაპირის „გულისკმის-ყოფა“, სიტყვის უცვლელი, მყარი, დაუშლელი ἄσπαστος-ის ახსნა-განმარტება, ნათელყოფა⁹. სწორედ ესაა ისტორიული და გრამატიკული განმარტების ფუნქცია. ეს „დაკსნილი სიმყრტლე“ ბიბლიური სიტყვის მომდევნო შრეში გადასასვლელ სემანტიკურ ხიდს და, შესაბამისად, ისტორიის პერსპექტივას აგებს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით აშკარაა, რომ გრამატიკის ანტონისეული გაგება ბუნდოვანი და ზოგადი როდია, არამედ იგი ზუსტად ასახავს ძველი ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიულ სურათს.

ძველი ქართული მწიგნობრული ტრადიციის ამ მნიშვნელოვან ეტაპს არ ითვალისწინებდა არც ილია აბულაძე, როცა ქართულ გრამატიკულ აზროვნებას მხოლოდ მე-18 საუკუნიდან მიაწერდა ამგვარ პრაქტიკულ მიზანსწრაფვას:

„გრამატიკის შექმნის ცდები მაშინ (იგულისხმება XVIII საუკუნე) შემთხვევითი და თავისთავადი არ ყოფილა. გრამატიკას იმ დროს პრაქტი-

7 იხ. ნაშრომის მეორე ნაწილის V თავი.

8 ტერმინი სამდგმობა „ფსალმუნთა გამოკრებულ თარგმანებაში“ ადამიანის სამბუნებოვნების აღსანიშნავად გამოიყენება (მოსეს გალობა, I იხ. დობორჯინიძე 1998: 127).

9 ამ მეტატექსტის იმპლიციტური კონცეფცია დღემდე ცოცხალია ტექნიკურ ტერმინშიც. შდრ. სიტყვის გამჭვირვალე ეტიმოლოგია, ანუ სიტყვა, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა, ἄσπαστος-ი დროთა განმავლობაში არ შეცვლილა და, ამდენად, გამჭვირვალეა.

კული მიზანდასახულობა გაუჩნდა. იგი სწორმეთქვეობისა და მართლწერის ხელოვნებად იქნა მიჩნეული. აქედან გამომდინარეობდა ისიც, რომ მას დაეკისრა როლი მომსახურისა, პირველ ყოვლისა, ე.წ. „ხედვით ანუ სააზატო“ მეცნიერებისათვის. იგი „შეყვანილობის კარად იქნა აღიარებული ამ დარგში შემავალი სქოლასტიკური ფილოსოფიის, ლოგიკისა და რიტორიკისათვის და სწორედ დასახელებული დარგების გამოცოცხლებამ გამოიწვია ამ დროისათვის ჩვენში გრამატიკების წარმოშობაც. [...] ჩვენში ძველთაგანვე ფეხმოდგმული დარგების, რიტორიკისა და ფილოსოფიის აღორძინება, უპირველეს ყოვლისა, ძველი შემოქმედების დაჩრეკასა და შესწავლაში გამოიხატა. ამ შესწავლას, ცხადია, სიძნელებიც ახლდა ტექსტის დაძლევის მხრით. მას, საგნის თავისებურებასთან ერთად, ენაც ქმნიდა. ძველი ტექსტების წესიერი აღქმისა და მართებული გაგებისათვის ნორმების გამომუშავება დაიწყო, ხოლო ამის სისრულეში მოყვანა გრამატიკას დაეკისრა. სომხეთში ანალოგიურ ვითარებათა გამო ამ მიმართულებით მუშაობა ადრე გაჩაღდა, ისე რომ, ზოგიერთ სფეროში სომხური წყაროები ბაძი შეიქმნა ქართულისათვის“¹⁰.

არ იქნება მართებული, „ძველი ტექსტების დაძლევის სიძნელები და ახსნა-განმარტებათა სისტემის შემუშავება“ XVIII საუკუნით დავათარილოთ. როგორც ვნახეთ, ეს „შემუშავება“ გაცილებით ადრე, X-XI საუკუნეებიდან დაიწყო და საკმაოდ მწყობრი, თეორიულად და კონცეპტუალურად გამართული, საფუძვლიანი პრაქტიკა იყო.

რაც შეეხება XVIII საუკუნეში „პრაქტიკული მიზანდასახულობის“ გრამატიკის გამოცოცხლებას, ის, რა თქმა უნდა, სხვადასხვა უცხოენოვანი ტრადიციით, მათ შორის, სომხურითაც სარგებლობდა. მაგრამ უნდა გავიმეორო, რომ არ იქნება მართებული მის ბაძად და ნიმუშად სომხური გრამატიკული ტრადიცია და წყაროები დავასახელოთ. როგორც ჩანს, ჯერ სულხან-საბას ლექსიკოლოგიური ტრადიცია, მოგვიანებით კი, ანტონის გრამატიკული საქმიანობა ერთი და იმავე კულტურულ-ისტორიული კონტექსტის ნაწილია. ეს კონტექსტი, პირველ რიგში, ქართულ მწიგნობრულ ტრადიციასთან კავშირის აღდგენამ შექმნა. ამას ილია აბულაძე სწორად უწოდებს „ძველი შემოქმედების დაჩრეკისა და შესწავლის განახლებას“. რაც შეეხება გავლენის წყაროს და ნიმუშად, ბაძად აღებულ მოდელს, იგი უფრო დასავლური ჩანს და საქართველოს დასავლეთთან გააქტიურებული კულტურული ურთიერთობების შედეგი უნდა იყოს.¹¹

10 აბულაძე 1976: 141-142.

11 ანტონის გრამატიკის ანტიკური გენეალოგიის შესახებ იხ. ბოდერი 2011:45-54. ანტონის ტერმინოლოგიის, მასზე როგორც ძველი ქართული პრაქტიკის, ასევე დასავ-

ამრიგად, გრამატიკისა და გრამატიკოსის ანტონისეული გაგება ძველ ქართულ მწიგნობრულ ტრადიციას ემყარება და გულისხმობს არა ენის მეცნიერულ აღწერას, ანუ გრამატიკას თანამედროვე გაგებით, არამედ პრაქტიკულ სახელმძღვანელოს, ტექსტის განმარტებათა სისტემას. ხოლო გრამატიკოსი ნიშნავს ტექსტის განმმარტებელს, ტექსტოლოგს, მთარგმნელს, ზოგადად ფილოლოგს და არა მაინცდამაინც გრამატიკული ხასიათის თხზულების, ან თუნდაც გრამატიკის ავტორს.

სავარაუდოდ, ძველ ქართველ მწიგნობრებს არც დაუწერიათ გრამატიკის სახელმძღვანელო; ისინი ყოველი კერძო შემთხვევისთვის საგანგებოდ წერდნენ შედარებით მცირე ზომის მეტატექსტებს – სქოლიოს, „შეისწავეს“ უფრო ზოგად, კონცეპტუალურ თუ თეორიულ საკითხებს კი ტექსტზე დართულ შესავალში ან ბოლოსიტყვაობაში (*წინაბჭე, თავისა და ბოლოდა ანდერძი*) აღწერდნენ.

ქვემოთ სწორედ ამ უკანასკნელს განვიხილავ.

2. მთარგმნელობითი პრაქტიკის დოკუმენტირებული ისტორია

სავარაუდოდ, ძველ ქართველ მწიგნობრებს არც დაუწერიათ გრამატიკის სახელმძღვანელო; დანამდვილებით კი ვიცით, რომ ისინი ყოველი კერძო შემთხვევისთვის საგანგებოდ ქმნიდნენ შედარებით მცირე ზომის მეტატექსტებს – სქოლიოს, „შეისწავეს“ – და ყოველ კონკრეტულ შემთხვევას საგულდაგულოდ სწავლობდნენ უფრო ფართო ტექსტუალურ თუ ენობრივ-ლიტერატურული კონტექსტების გათვალისწინებით.¹²

მთარგმნელთა ფართო ტექსტოლოგიური გამოცდილება სწორედ ამ ტიპის კერძო მეტატექსტებიდან ჩანს. ნაშრომის წინა ნაწილში ისინი მეტოდოლოგიური კლასიფიკაციით იყო წარმოდგენილი და აქ მათ აღარ მივუბრუნდები. ერთ მაგალითს კი დავასახელებ. ვფიქრობ, მასში სათანადოდ მუშავდება მთარგმნელთა მწიგნობრული კომპეტენცია.

„განძღეს ჭამადითა მათითა, დაუტევეს ნეშტი მათი ყრმათა მათთა. არა ვითარ-იგი რომელნიმე ჰგონებენ, ვითარმედ საჭმელსა ღორისასა შეასმენს აქა გალობის მომცემელი, რამეთუ არარად შემავალი შეავინებს კაცსა; არამედ ძესა იტყვს. და ეგრეთვე ჰებრაელსაცა გამოჩინებულად წერილი ვპოვეთ, რამეთუ ბანინ წერილ არს სიტყუასა მას

ლური გრამატიკების კვალი საგანგებოდ შეისწავლა ლია ქაროსანიძემ და აჩვენა, რომ ისინი ანტონისთვის იყო ბაძი და ნიმუში. იხ. ქაროსანიძე 2000.

12 იგულისხმება ერთი და იმავე ტექსტის, ან ერთი და იმავე ავტორის ტექსტების შედარებითი ანალიზი (მაგალითები იხ. II ნაწილის III თავში) ან უფრო დიდი ენობრივი და კულტურული კონტექსტები, ორიგინალის ენაში განსხვავებული რედაქციული ტრადიციები, სხვადასხვა ეგზეგეტიკური ინტერპრეტაციები და ა.შ.

ჰებრაელთა შორის გალობასა, რომელი შვლად ითარგმანების. არამედ მათ შეასმენს, ვითარცა ჯეკმა უმეცართა, რამეთუ შვლები ღვთისა მიერ მოელო სიმრავლედ და არათუ სათნოებად რაიმე დაუტევეს, არამედ ნეშტი იგი სიბოროტისა მათისაჲ სამკვდრებელისა წილ მისცეს მათ. ხოლო გამოცხადებაჲ ზემოწერილისაჲ მის არს ესრე: ბერძულსა ენასა ღორისაჲ სახელი და ვითარცა თქუა კაცმან ძებითაო შეტყუებულად საცნობელ არს, რამეთუ ღორისასა ვონ (ὄν) ჰქვან, და ვითარცა ვინ თქუა ძებითაო, ვიონვე [ὄν] ჰქვან. და მის გამო მრავალთა თარგმანთა სომეხთაცა და ქართველთაცა რომელთამე ღორისად უთქუამს და რომელთამე იგი სიტყუად რეცა სატოხე უჩნდა და ზე სიტყუად იკუმის და ჭამად გამოთარგმანეს სომეხთაცა შორის და ქართველთაცა შორის. ხოლო ჩუენ ღუთისა მოწყალებითა ისჯქის ნეტარისა, რომელი ხუცეს ყოფილიყო წმიდისა იერუსალიმისა ეკლესიასა, რომელმან დავითი გამოთარგმნა უთხად წიგნად სავსედ მისსა თარგმნილსა წიგნსა შინა, ესრე სახედ ვპოვეთ, ვითარცა-ესე დავწერეთ კრძალულად¹³

ტიქსტის ფორმალური თუ შინაარსობრივი საკითხების ამგვარი კვლევა-ძიება კონცეპტუალიზებულია მეტაფორული წარმომავლობის მყარი შესიტყვებებით, ტექნიკური ტერმინებით: *ვიეთნიმე ჰგონებენ ... ხოლო მე ვიტყვ; სხუამან ესრეთ გარდასცა ძალი... ხოლო მე მგონიეს; მრავალთა მრავალგუარად განმარტეს ... ხოლო შეჰვავს; დახედვა უნდა ამას სიტყუასა; რეცა საძიებელ არს და ა.შ.*¹⁴

ცალკე უნდა გამოიყოს შედარებით მოზრდილი მეტატექსტები, სახელდობრ *წინაბჭე, თავისა და ბოლოჲსა ანდერძი, მთარგმნელის მოზ-*

13 ხელნ. A 910, 217v. ფსალმუნის თარგმანზე დართული მეტატექსტი (შდრ., καὶ τῶν κεκρυμμένων σὺν ἐπιλήσει ἢ γαστήρ αὐτῶν ἐχρητάσθησαν σὺν καὶ ἀφ᾽ ἑαυτῶν τὰ κατὰ λείπον τοῖς σπύροις αὐτῶν).

14 შდრ.: „მსახურო მე უსუპითა და განვწმინდე მე. მრავალგზის იქმნეს ძიებანი ამის სიტყუსათჳს, და არცა ერთმან ვინ ზედმიწევნით მითხრა ჩუენ; ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ წინაწარმეტყუელებს აქა დავით თავისთავს თვისსა, ვითარმედ, და შეენდოსცა ცოდვაჲ იგი უსრულესად და სიხარულითცა აღივსოს.“ [...] „ქებაჲ გალობითი, დავითისი, ზედა-წარუწერელი ებრაელთა შორის. ვესმას რაჲ გალობითი დავითისი, გულისკმა-ყავ შემძლებელისად კელისა, რომელ არს ძეჲ ღმრთისაჲ; ხოლო ზედა-წარუწერელობითა ამას მოასწავებს, ვითარ-ესე მე მგონიეს, ვითარმედ წინამდებარე ესე ფსალმუნი არა აღწერილ არს გულთა შინა ჰურიათასა, რამეთუ ესე უბრძანებს კაცთა დადგრომად ღმრთისა თანა და მოლოდებად შეწევნასა მისსა. ხოლო ჰურიათა არა ინებეს დადგრომად.“ [...] „პატიოსან იყოს სახელი მისი მათ წინაშე და ცხონდეს“ „ამათ ვიეთნიმე ჰგონებენ, თუ იგივე ძალი აქუს, ვითარმედ სუფევისა მისისა არა არს დასარულ და ვითარმედ ცხონდეს მარადის. ხოლო მე ვჰგონებ, ვითარმედ მკუდრეთით აღდგომისათჳს მოასწავებს, ვითარმედ დაღათუ მოკუდეს, კუალად განცხოველდეს“ (დობორჯგინიძე 1996 (2): 50,7; ხელნ. S 1472: 90, ზედაწარწერილი; 71, 15).

რახული, რომელთაც მთარგმნელობითი პრაქტიკის დოკუმენტირებულ ისტორიას ვუწოდებ. მათში აისახებოდა ცალკეული შემთხვევების საფუძველზე დაგროვილი გამოცდილების განზოგადების, სისტემატიზაციის პროცესი, ენისა და თარგმანის კონცეპტუალურ ან თეორიულ საკითხებზე მსჯელობა, საკუთარი თუ სხვა მთარგმნელების პრაქტიკის განხილვა, შეფასება; ერთი სიტყვით, ქართველ მთარგმნელთა თეორიული კონცეპტები.

ქვემოთ განვიხილავ ერთ ამგვარ მეტატექსტს, სახელდობრ, ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანების შესავალს. მისი სრული სათაურია: „უწყებად მიზეზსა და ვითარებასა, და თხრობად წესსა და საკმარებასა წინამდებარისა ამის წიგნისასა, რომელ არს თარგმანებად ფსალმუნთა“¹⁵ საკითხები, რომელთაც ეფრემი სათაურშივე გამოყოფს და რომელთა შესახებ მემატიქესტში ვრცლად მსჯელობს, ტექსტის კვლევის ანტიკური და შუა საუკუნეების ტრადიციის საკვანძო პრობლემებია. ისინი ამონიოსის ცნობილ შესავალშია კონცეპტუალიზებული. ქვემოთ შევეცდები ამ სისტემატიკის მიხედვით განვიხილო ეფრემის შესავალი.

აღრე უკვე ვახსენე, რომ ბიბლიის ფილოლოგიაში ანტიკური ტრადიციის შესავალი (Προοίμιον, Ὑποθέσεις, Praefatio) ათანასე ალექსანდრიელმა დაამკვიდრა; კონკრეტულად ფსალმუნთა წიგნის ფილოლოგიური აპარატის სისტემატიზაცია კი კასიოდორეს სახელს უკავშირდება (შდრ. *Expositio in psalterium*, განსაკუთრებით, *Divisiones Psalmorum*). ისინი აგებულია ანტიკური ფილოლოგიური შესავლის მიხედვით (Ὑποθέσεις, Argumenta).

ბიბლიის ფილოლოგიაში ანტიკური ყაიდის შესავლის ტრანსფორმაციის შესახებ პირველად ჰიერონიმემ მიუთითა. თავის ცნობილ თხზულებაში „Hebraicae quaestiones in libro Geneseos“¹⁶ იგი დაწვრილებით აღწერს ამ ტრანსფორმაციის მოდელს და იმასაც, თუ როგორ გამოიყენა ტერენციუსის კომედიებზე დართული შესავლის სტრუქტურა. მართლაც, ელიუს დონატუსის¹⁷ მიერ ტერენციუსის კომედიებზე დართულ შესავალში (Praefatio) მოკლედ არის მოთხრობილი ტექსტის მთავარი პრობლემის, როლების განაწილების, კომედიის სტრუქტურის, პროლოგის მთქმელისა და კომედიის „ნამდვილი მოლაპარაკის“ (ავტორისეული ხაზი) შესახებ.

15 ეს მეტატექსტი არაერთხელ დავიმოწმე სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას. იხ. მზ. შანიძე 1968: 77-122.

16 Lagarde 1967/1868.

17 დონატუსის მიერ დამკვიდრებული ტრადიციის შესახებ იხ. Waldrop 1927: 75-142.

დონატუსის ეს მოდელი არის პირდაპირი წყარო ფსალმუნის შესავლებისთვისაც (Ἐπιόθεσις, Praefatio); მათში საუბარია ფსალმუნთა ზედაწერილის, პერსონაჟების, ადგილის, დროის, ფსალმუნის ნამდვილი ავტორისა და წარმომთქმელი პირის (prosopion) შესახებ.

ანტიკური მოდელის მიხედვით, ფსალმუნის, ზოგადად, ბიბლიის ფილოლოგიაში ორი ტიპის შესავალი დამკვიდრდა:

ა. ალექსანდრიული ტრადიციის Ἐπιόθεσις, Praefatio. იგი უფრო მორალურ-ეთიკურ და დიდაქტიკურ მიზნებს ემსახურება: ბიბლიის მნიშვნელობა ქრისტიანობის შემეცნებისთვის, ტექსტის ზემოქმედების ძალა (δύναμις), ტექსტის სარგებლიანობა, ძველი ქართული ტერმინოლოგიის მიხედვით – საკმარება (χρήσιμος), ბიბლიური ტექსტის დოგმატური და თეოლოგიური პრობლემატიკა და ა.შ.

ბ. ანტიოქიური ტრადიციის ისტორიული ხასიათის შესავალი (Ἐπιόθεσις ἱστορική);¹⁸ ალექსანდრიულის მსგავსად, ანტიოქიური ტრადიციის შესავალიც ანტიკურობიდან იღებს სათავეს; მასში ძირითადად განხილულია კონკრეტულ ტექსტთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხები: თხზულების მოკლე შინაარსი, მისი ავტორი და ისტორიული კონტექსტი, რომელშიც ნაწარმოები შეიქმნა, ნაწარმოების შექმნის დრო, ადგილი და ა. შ.

ამგვარი მიმოხილვა ზოგჯერ აღინიშნება საერთო სათაურით: σκιοπός. ალექსანდრიულისგან განსხვავებით, ანტიოქიურ Ἐπιόθεσις-ს აინტერესებს არა ტექსტის მორალურ-ეთიკური საკითხები, არამედ ის კონკრეტულ-ისტორიული რეალობა, რომელშიც ესა თუ ის ფსალმუნი, ან რომელიმე ბიბლიური წიგნის ფაბულა, ამბავი აღმოცენდა. მისი მიზანია, წარმოადგინოს წმინდა წერილის თითოეული წიგნი, ნაწილი, მუხლი, როგორც დასტური, საბუთი (testimonium) ერთი რომელიმე ისტორიული სიტუაციის, ერთი პიროვნების (ბიბლიური პერსონაჟი, ბიბლიური წიგნის ავტორი) შესახებ.

შუა საუკუნეების ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში ორივე ტიპის შესავალი მკვიდრდება. მათ აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინი გამოიყენება: წინაბჭე, წინათქუმად, თავისა და ბოლოდა ანდერძი, მოზრახული. მომავალმა კვლევა-ძიებამ უნდა დაადგინოს, რის მიხედვით ასხვავებდნენ მთარგმნელები შესავლის აღმნიშვნელ საკმაოდ მრავალფეროვან ტერმინებს და რომელი ტერმინის ან რომელი ტრადიციის ეკვივალენტად მიიჩნევდნენ თითოეულ მათგანს.

18 ანტიოქიური ტრადიციის ეგზეგეტიკური შესავლის შესახებ იხ. Bultmann 1984.

ა. ალექსანდრიული შესავალი

ეფრემ მცირის ზემოდასახელებულ ფსალმუნთა თარგმანების შესავალი ალექსანდრიული ტიპისაა. როგორც ვთქვი, ეფრემი სათაურშივე გამოყოფს ალექსანდრიული ფილოლოგიის ძირითად საკვლევ საკითხებს:

- ა. მიზეზი,
- ბ. ვითარებად,
- გ. წესი,
- დ. საკმარებად წინამდებარისა ამის წიგნისა.

ეფრემის შესავლის ტექსტში იოლად ამოსაცნობია ტექსტის ისტორიის კვლევის სხვა საკითხებიც, რაც ალექსანდრიული ფილოლოგიის ქვაკუთხედს წარმოადგენს და ამონიოსისა და კასიოდორეს მიერ კონცეპტუალიზებულ სისტემად ითვლება: წიგნის შექმნის მიზეზი, ფსალმუნის შესახებ კომენტარების წიგნთა სახეები, წიგნის ინსპირატორი, მონაცემები სათარგმნი ტექსტის შესახებ; კომენტართა შერჩევის პრინციპები და მონაცემები განმმარტებლების შესახებ, რომლებიც ეფრემმა გამოიყენა, ან რომელთაც გარკვეული მოსაზრებით „ჰრიდა და აღვრ-ასხნა“; კანონიკურ განმმარტებელთა სიტყვის ძალი და შეცდენილთა განმმარტებების „რეცა წინააღმდეგომად საგონებელი საეჭუელი სიტყვის ძალი; კომენტარის სახეები და ტიპოლოგია; „თხრობისაებრი“ (ისტორიული) და „სახის-მეტყუელებითი“ განმმარტების „ძალი“; ტექსტის ავთენტურობა, ფორმის, სტრუქტურის ავთენტურობა; ცნობილი თეოლოგიური ლექსიკონი; ფსალმუნთა განწესება და დაყოფა; ვისი პირით ლაპარაკობს მეფსალმუნე: „παρθαπον τὸ λέγειν“ და ვის მიემართება თითოეული ფსალმუნი; ფსალმუნის თარგმნასა და უეჭველი ორიგინალის მოპოვებაში დამხმარენი, გადამწერნი, გადაწერის ადგილი და დრო.

საკითხები, რომელთა შესახებაც ეფრემი ასე დაწვრილებით მსჯელობს შესავალში, თანხვედბა ამონიოსის მიერ შემუშავებულ მოდელს, საკითხებს, რომელთა შესახებაც ფილოსოფოსები საუბრობენ შესავალში: ταῦτα δὲ ἐπεσήθησαν οἱ φιλόσοφοι προλέγειν. ესენია: 1. ὁ σκοπὸς, 2. τὸ χρήσιμον, 3. τὸ γνήσιον, 4. ἡ τάξις τῆς ἀναγνώσεως, 5. ἡ αἰτία τῆς ἐπιγραφῆς, 6. ἡ εἰς τὰ κεφάλαια διαίρεσις καὶ 7. ὑπὸ ποῖον μέρὸς ἀνάγεται τὸ παρὸν σύγγραμα.¹⁹

19 ამონიოსის ეს მოდელი სრულად იყო თარგმნილი ქართულად, განმმარტებული იყო მათი ჩამოყალიბების ისტორია, ფუნქცია; შდრ.: „ხოლო გვკმს ჩუენ თქუმად ფილოსოფოსთა მიერ ესრეთ აღსაარებულთა წინააღმართქუშულთათჳს, ესე იგი არს, კელოვანნათქუამთა ყოვლისა წიგნისა ზედა, რომელ არიან ესენი: განი, საკმარი, საკუთარი, წესი, მიზეზი ზედაწარწერილისად, თავთაშორისი განწვალებად და თუ რომლისა კერძოდა ქუეშე აღიყვანების აღწერილი იგი. ამათი უკუე მოიგონეს

ბერძნულ-ლათინური, სირიული ან სომხური შესავლები, რომლებიც საგანგებოდაა შესწავლილი და გამოცემული, გაცილებით უფრო მოკლეა, ვიდრე ეფრემის შესავალი. ამდენად, ეფრემის შესავალი, ტექსტის ისტორიის კვლევის ძველი ქართული კომპენდიუმი, არა მარტო ქართული, არამედ ზოგადად შუა საუკუნეების ტექსტოლოგიური პრაქტიკის ისტორიისთვისაც საინტერესოა.

ტექსტზე ვრცელი შესავლის დართვის ფილოლოგიური ტრადიცია,²⁰ რომელსაც ეფრემი ეყრდნობა, ფუნქციური თვალსაზრისით, ყველაზე ახლოსაა სირიელ მთარგმნელთა მეტატექსტებთან. პოლიტიკური სიტუაციის მეტისმეტი გამწვავების მიუხედავად, VII საუკუნის პირველი მეოთხედი სირიელ სწავლულთათვის იყო თარგმანის აყვავების პერიოდი. სწორედ ამ დროს შეიმუშავეს მათ თარგმანის ის მეთოდი, რომელიც სათარგმნი დედნის ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოცემას, გადმოღებას ცდილობდა.²¹

პავლე ედესელმა, ორიგინალთან მაქსიმალურად დაახლოების მიზნით, ბერძნულის მიხედვით შეასწორა გრიგოლ ნაზიანზელის ძველი სირიული თარგმანი და მას შედარებით ვრცელი შესავალი დაურთო. თომა

ფილოსოფოსთა წინააღმდეგობა, არა ვითარცა ნამეტავისა რაღამე მომგონებელთა მათთვის, ანუ სხუთა კელოვნებათათვის, არამედ უგულსმოდგინეს-ყოფისა წარმკითხველთადასა მნებებელთა რამეთუ წარმკითხველი ვინმე უმეცარ თუ იყოს განსა წიგნისასა, სცონის და დააგდებს საშუალ და ამათ ივნებენ მოგზაურნიცა, რაჟამს არა უწყოდინ. და ამისთვის უკუე იტყვან განსა. ხოლო არავე კელ-ყოფს გულსმოდგინედ მეცნიერი განისადა პირველ, ვიდრე არა მისმიერი საკმარება ისწავოს,... ვინაჲ სამართლად იტყვან საკმარებასადა. მერმეცა ამათნი მსწავლელნი ურწმუნოებთ, უკუეთუ საკმარი არს პირველ ცნობადმდე, უკუეთუ საკუთარი არს ძუელისადა წიგნი იგი, რომლისადა უწყოდით დიდებულ-ყოფად, ვითარ-იგი არისტოტელისი, ანუ პლატონისი, რამეთუ მათგან ვჰკონებთ ყოვლისავე საკმარად თქუმასა. ამისთვის უკუე საკუთარსადა იტყვან. ხოლო ამათისა შემეცნებისაგან აღმოიჭვრობს წესისაძლითიცა ძიებაჲ, თუ ვინაჲ პირველად ჯერ-არს დაწესებაჲ მისი ანუ შემდგომად და ამისთვის წესადცა უწყოდენ. ხოლო ზედწარწერასა იტყვან, ვინადათგან, ვითარცა შემოკლებით ვითამე გარემუქცავს განი, ამას თანა ესეცა, თუ რომელსა კერძოსა ქუეშე ფილოსოფოსობისასა აღიყვანების შემეცნებისა მიერ, თუ სადა უფრომს შესრულდების. გამორჩნდა რაჲ უკუე, თუ რადასათვის წინააღმდეგ იტყვან ამათ ფილოსოფოსნი, ჟამი არს ეგერა ჩუენდა თქუამად წინსაბუქამათაცა წიგნისათა“ (იხ. რაფავა 1983:20). ამონიოსის გავლენის შესახებ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაზე იხ. რაფავა 1981: 128-137. მონიოსის ბერძნულ-ლათინურ და სირიულ ტრადიციაში იხ. Riad 1988: 43-45, 58-64;

20 ბერძნულ-ლათინური, სირიული და სომხური შესავლების შესახებ იხ. Hunger 1966; Riad 1988; Sanjian 1969: 7-41; Zuntz 1945; Zuntz 1951: 174-196.

21 სირიული მთარგმნელობითი ტრადიციის შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი. პრეციზული თარგმანის პრინციპების შესახებ ასევე დასახელებული იყო სებასტიან ბროკის სამეცნიერო სტატიები.

ჰარკელმაც ამავე მიზნით გადაამუშავა ბიბლიის სირიული თარგმანი; ახალი რედაქციის შესავალში მან აღწერა როგორც თარგმანის ტექნიკა, ასევე თარგმანთან დაკავშირებული ტექსტოლოგიური და მორალურ-ეთიკური საკითხები.

სირიული მეტატექსტების მკვლევრებმა დამაჯერებლად აჩვენეს ამ შესავლების ალექსანდრიული (დიონისე თრაკიელი, არისტარქე) გენეალოგია.²² თომა ჰარკელისა და პავლე ედესელის კოლოფონებზე დაყრდნობით, სამეცნიერო ლიტერატურაში ასეა აღწერილი წიგნის მომზადება-გამოცემის სირიული ტექნიკა: გამომცემელი იღებს სარევიზიოდ არჩეულ ტექსტს, ერთ ან რამდენიმე ხელნაწერს, რომლებიც, მისი აზრით, ზუსტია და სანდო. იგი ჯერ ადარებს ამ ხელნაწერებს ერთმანეთს და შემდეგ უდარებს მათ სანდო ბერძნულ ორიგინალს; აღნუსხავს განსხვავებულ იკითხვისებს კოლექციონირების საგანგებო წესებით; სარევიზიო ეგზემპლარში აღნიშნავს სპეციალური ნიშნებით, თუ რა აკლია ან რა არის ზედმეტი ამა თუ იმ ნუსხაში, ა შიაზე მიუთითებს სხვაობებს, ვარიანტებს. ეს I ეტაპია.

შემდეგ ეტაპზე იგი გადაიწერს სარევიზიო ტექსტის გასუფთავებულ პირს და და შეაქვს მასში სანდო იკითხვისები სხვა ხელნაწერებიდან. თავდაპირველი სარევიზიო ტექსტის იკითხვისები ან ქრება ტექსტიდან, ან გამოდის აშიებზე. იმ სიტყვებს, რომელთაც ცვლილება განიცადეს, სპეციალური მარკერით მონიშნავენ სიტყვის გასწვრივ ან ზემოთ. ამგვარად დამზადებული პირი, კასიოდორეს გამოთქმა რომ ვიხმაროთ, არის „codex archetypus ad cuius exemplaria sunt ceteri corrigendi“.²³ სწორედ აქედან გადაიწერებოდა ახალი ვერსია და გადაწერის შემდეგ შეუდარდებოდა ავტოგრაფს.²⁴

სირიული მეტატექსტების ეს მეთოდოლოგია და ეფრემ მცირის მიერ აღწერილი საკუთარი მთარგმნელობითი პრაქტიკა აშკარად საერთო ტრადიციის ნაწილია. მთარგმნელობით მეტატექსტებში ეფრემიც საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ამ რთულ პროცედურას:

„ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელნი მიემთხვნეთ წმიდასა ამას წიგნსა, ვითარმედ, ვითარცა-იგი დავითისა თარგმანებათა შინა, ეგრეთვე ყოველსა ამას სამოციქულოსა წიგნსა შინა ძალისაებრი მოწაფობაჲ დამიცავს დიდისა მოძღურისა და ყოველთა ეკლესიათა ჩუენთა მნათობისა გიორგი მთაწმიდელისა საუკუნოდ მოკსენებულისაჲ მე, უნდოსა მტუერსა წმიდათა ფერკთა მისთაჲსა, ეფრემს მცირესა. რამეთუ მათვე თარგმ-

22 Zuntz 1951: 174-196.

23 Cassiodorus / Mynors 1937: 163.

24 Zuntz 1951: 181.

ნილი საქმე მოციქულთაჲ, კათოლიკენი და ებისტოლენი წინა მესხნიან და სამოციქულო სიტყუად მიერ დამიწერია, რადთა არა მეორედ თარგმნილად შეირაცხოს წიგნი სამოციქულო. [...] და ესევეთარნი სიტყუანი სადაცა შემიცვალეზიან, კიდესა სტიქონისასა იოტად დამისუამს და შინა სიტყუასა წინადთ ესე, ვითარმედ: *უსაკუთრესი არს, აწ უკუე სადაცა კიდესა სტიქონისასა ანუ სიტყუასა ზედა იოტად ჰპოო და სიტყუასა თანა უსაკუთრესი, ცან, ვითარმედ მცირედ ცვალეზაჲ ჰნებებია მას სიტყუასა, რომელი-იგი წმიდასა მამასა ჩუენსა გიორგის არა ეგოდენ სხუსა რადსამე მიზეზისაგან, რაოდენ ძუელისავე პავლისა წაყოლისაგან დაუტეობია [...]* ვითარმედ რომელი მრავალსა პირსა აღიარებდა, იგი ძუელისავე თარგმნილისადა მიუყვანებია. და მეცა აგრეთვე, სამოციქულო სიტყუად ვითა მათ ეთარგმნა, ეგრეთ დამიწერია პირველ, რადთა მოწაფობად მისი სრულ ვყო. ხოლო სადა თარგმანი სიტყუსად მაიძულებდა იშუთ ცვალეზასა სიტყუსასა, იგი თარგმანსა შინა იოტადთა და უსაკუთრესითა აღმინიშნავს ყოველსა ადგილსა და ამით სახითა ძალისაებრ განკრძალულ ვარ, რადთა არ სიტყუსა სხუჭობრობამან შეცვალეზა-მცეს თარგმანისცა და დაგუაჭირვოს მართლ განმარტებული სიტყუად წმიდათა მათთა.²⁵

ამ საკმაოდ რთულ პროცედურასთან დაკავშირებით სირიული მეტატექსტების მკვლევრებს ბუნებრივად უჩნდებათ კითხვა, ხომ შეიძლებოდა თავი აერიდებინათ შედარების ამ რთული პროცესისათვის და სკრიპტორიუმში გადასაწერად პირდაპირ სუფთა, ანუ ბერძნულის მიხედვით „გასუფთავებული“ სანდო ხელნაწერი მიეცათ? საქმე იმაშია, რომ ეს იყო მართლაც ხანგძლივი ანტიკური ტრადიცია. „ჰიერონიმეც ასე იქცეოდა, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში თარგმნიდა ხელახლა. უმეტესწილად კი ადაპტირებას მიმართავდა – ძველ ლათინურ ტექსტს აახლოებდა Graeca veritas-თან. ეს მეთოდი ადაპტირებისათვის ბერძნულშიც ცნობილია და ხელნაწერების მეტატექსტებში საგანგებო ტერმინითაც აღინიშნება: ἀντεβλήθη παρά. ეს არის ცნობილი ალექსანდრიული მეთოდი. ძენოდოტე და არისტარქე სკრიპტორიუმებში ტექსტს ჰომეროსის სანდო, გასუფთავებული ხელნაწერებიდან კი არ გადააწერინებდნენ, არამედ ამ სანდოებს ადარებდნენ დანარჩენებს და ასე ასუფთავებდნენ ტექსტს.“²⁶

კარლ ლანმანამდელი ეს მეთოდი მართლაც საყოველთაოდ გავრცელებული იყო. მკვლევართა აზრით, სწორედ ამიტომ გავრძელდა ასე დიდხანს დისკუსია ბიბლიის ბეჭდური და ხელნაწერი რეცენზიონარული ტექსტების (textus receptus) შესახებ ბიბლიოლოგიაში.²⁷

25 ხელნ. Jerus. 16 2r-3v, იხ. თვალთვაძე 2009: 205.

26 Zuntz 1951: 184.

27 იქვე.

ისევე, როგორც ქართულში, ბერძნულ-ლათინურ და სირიულ ტრადიციაშიც ამგვარი პრეციზულობით შესრულებული მეტატექსტების შემცველი თარგმანები თითზე ჩამოსათვლელია. ამასთან დაკავშირებით გიუნტერ ცუნცტმა საგანგებოდ შეისწავლა ეს ხელნაწერები მათი ფუნქციური დანიშნულების „კვალის“ მიხედვით და დაასკვნა, რომ „ამგვარი აპარატივით შესრულებული ხელნაწერები მხოლოდ სწავლულთა ვიწრო წრის დაკვეთა იყო, შესაბამისად, ისინი მხოლოდ ამ ვიწრო წრეს სჭირდებოდა, მასობრივი მოხმარებისთვის კი ხელნაწერები, რა თქმა უნდა, აპარატის გარეშე მზადდებოდა.“²⁸

მკვლევრის ასეთ დასკვნაშიც იოლად ამოიცნობა ეფრემ მცირის სიტყვები მომგებელთა (ხელნაწერის შემკვეთების), მკითხველთა და, შესაბამისად, ტექსტების ორი ტიპის შესახებ: „ამას თანა ამასცა მეცნიერ იყავ, ვითარმედ ესრეთ აქუს ჩუეულებაჲ წიგნებსა ბერძენთასა, რაჲთა ანბანსა ზედა განაწყობდნენ ყოველთავე სიტყუათა გამოსაძიებელთა და ღრმათა, რაჲთა ადვლ იყვნენ საპოვნელად. [...] უკუეთუ ოდენ გამოძიებელ და გულისკმის-მყოფელ ყოფილ იყოს მომგებელი წიგნისად, რომელსა კუალთა შედგომითა კნინი ესე სახე ჩუენცა გიჩუენეთ თქუენ“ [...] ერთი იგი შემოკლებულად და ლიტონად მარტივთათუს და ლიტონთა, და მეორე იგი უვრცელესად და უღრმესად გამომძიებელთათუს და გულისკმის-მყოფელთა.“²⁹

ბ. ანტიოქიური შესავალი

ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაზე ალექსანდრიულთან ერთად, ანტიოქიურმა ჰერმენევტიკამაც შესამჩნევი კვალი დატოვა; მთარგმნელთა პრაქტიკაში ფართოდ იყო გავრცელებული ანტიოქიური ტიპის შესავალიც (ἀπὸ θεοῦ ὑσαρχία).³⁰ ბიბლიის თხრობისაებრი სიბრტყით დაინტერესებული ანტიოქიელები ბიბლიის თითოეულ წიგნს, პერსონაჟს, ეპიზოდს რეალური ამბის, ისტორიული მოვლენის დასტურად, საბუთად (testimonium) განიხილავდნენ. ამიტომ ეგზეგეტიკოსებს აინტერესებდათ ის კონკრეტული რეალობა, რომელშიც ესა თუ ის ფსალმუნი, ან სხვა ბიბლიური წიგნი დაიწერა. ანტიოქიური ყაიდის შესავალს ურთავდნენ ხოლმე კონკრეტულ ფსალმუნს. ქართულშიც ხშირია ამგვარი ფსალმუნთა შესავლები და მას ხშირად სათაურის, ანუ ზედაწარწერი-

28 იქვე.

29 Q 37, 4v (შანიძე 1968: 116).

30 შტროტმანმა (Strothmann 1988:67-92) საგანგებოდ დაამუშავა ანტიოქიური ჰერმენევტიკის გავლენა სირიულ ტრადიციაზე. როგორც ჩანს, ქართულიც სირიულის კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

ლის თარგმანებად, ან წინასიტყუად მოიხსენებენ. ამავე პრინციპს მიჰყვება ქართული ტრადიციაც.

შდრ. „გალობად სამთა ყრმათათუს. ნეტართა ამათ სამთა ყრმათათუს ზემოთგანვე დაწყებად წარმოთქუმისაჲ ნამეტნავ არს, ვითარ ვჰგონებ, ვითარმედ არა უცნაურსა, არამედ კნინლა და ყოველთა მიერ ზედმიწევნით ცნობილისა და შესწავებულისა. ხოლო რადთა არა აღმწერელობა თარგმანებისა უცნაურად იქმნეს, არამედ უცხადეს იქმნეს წარმკითხველთათუს მცირედთა სიტყუათა მიერ, მათ ძლითსა თხრობასა შევეხნეთ და ესრეთ კელ-ვყოთ განმარტებასა.

ნაბუქოდონოსორ მეფემან უზომოდსა ამპარტავანებისა ჰაერთა მიერ აღტაცებულმან შეჰმზადა ხატი თვისი ოქროდსაჲ დიდი და აღჰმართა იგი და ყოველთა მიმდგომთა თვისთა თაყუანის-ცემისა შეწირვად მისა აიძულებდა, ხოლო ურჩთა ბრძანებისა მისისათა საკუმილითა ცეცხლისა მოტყინარისაჲთა აქადებდა განლევასა. მაშინ უკუე, რაჟამს ყოველნი მეფობისა ბრძანებისა ძრწოლით დამორჩილებულ იყვნეს, შესმენილ იქმნნეს წმიდანი იგი სამნი ყრმანი, ვითარცა ურჩნი სამეფოთა შჯულთანი, რომელთა მოუწოდა მეფემან და თაყუანისცემა ხატისა აიძულა, ხოლო მისაგებელად ურჩებისა საშინელებად საკუმილისაჲ წინა-უყო. ხოლო მათ სიტყუსა ამის მიმართ არცა ერთი რად მიუგეს, თვნიერ სახელი ღმრთისა მათისაჲ მოიკსენეს შემწედ მათდა და მყის შეითხინეს საკუმილსა ცეცხლისასა. და იხილვებოდეს იგინი შეუხებელად მავალ შორის ალსა და მაკურთხეველად. რომელთა უპირატესმან, აზარია, ვითარცა საზოგადოდ პირად ძმათა გამოჩინებულმან, ალალ პირი თვისი შორის ცეცხლისა და თქუა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო, და ქებულ და დიდებულ არს სახელი შენი უკუნისამდე“³¹

ინფორმაციით მდიდარი ანტიოქიური შესავლები განსაკუთრებით სასარგებლო იყო ნაკლებად გაწაფული ქართველი მკითხველისთვის. ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც მთარგმნელები „ჩუენი ნათესავის“ გონიერ-ყოფას ცდილობდნენ, ამ ტიპის შესავალიც იყო. რელიგიური ტექსტის მკითხველამდე მიტანა, გასაგებად, მკაფიოდ ახსნა სწორედ ამგვარი თხრობისაებრი სიბრტყით უნდა დაწყებულიყო.

ანტიოქიური შესავლის ნიმუშადაც ეფრემ მცირის მეტატექსტი მომყავს. იგი თეოდორიტე კვირინელის „ფილოთეონ ისტორიის“ ქართულ თარგმანს ერთვის. ეფრემი დაწვრილებით გადმოგვცემს თეოდორიტეს ბიოგრაფიას, მის დამსახურებას ეკლესიის წინაშე, განიხილავს თეოდორიტეს ეგზეგეტიკურ თხზულებებს, საუბრობს მისი დამსახურების შესა-

31 ხელნ. S 1472: მოსეს გალობა, 7.

ხებ. ფრთხილად, ზომიერად ჰყვება თეოდორიტესა და კირილეს შორის დაპირისპირების ამბავს. შდრ.:

„თეოდორიტე არს ნათესავით ანტიოქელი, სადა-იგი იშვა და აღიზარდა და განისწავლა, რომლისა საზომსა გონიერებისა და სწავლულებისასა ცხად-ჰყოფენ აღწერილნი მისნი, რომელთა მიერ თავთა გამომეტყუელთა და აღმწერელთა შინა შერაცხილ არს ბერძენთა შორის. [...] ამას თანა ყოველთა ძუელთა და ახალთა წიგნთა თარგმანებანი აღუწერიან დაბადებითგან ვიდრე სამოციქულომდე და სხუანი პირად-პირადნი საეკლესიონი ჟამთა მოთხრობანი. [...] არამედ შურითა ეშმაკისადათა დაკნინდა წარმატებულებად მისი, რაჟამს წინააღმდეგომნი თავნი დაწერნა [...] კვირილეს მიმართ აღექსანდრიელისა. [...] ვინაითგან წინააღმდეგობა კვირილესი შემწეობად ნისტორისსა შეერაცხა, [...] ვიდრემდის ბრძანებითა ლეონ ჰრომთა ჰაპისადათა შეიწყნარა იგი კრებამან ხალკიდონისამან.“³²

ამავე პრინციპით ეფრემის არაერთი მეტატექსტია შედგენილი: სვიმეონ მეტაფრასის მოსაკსენებელი, გრიგოლ ნაზიანზელის თარგმანებზე დართული მეტატექსტები.

ზემოთ ვახსენე, რომ ეფრემის ტექსტოლოგიური შეხედულება ჰერმენევტიკის ცნობილ თეზას ეყრდნობა. პლუტარქესა და მაქსიმე ტვირელის კონცეპტი გვეუბნება, რომ რახან ადამიანის შემეცნება ჩვილი ბავშვივით უძლურია, გაიგოს ღრმა აზრი, ამიტომ მას პატარა ბავშვივით უნდა მოექცე: ღრმა აზრი ისე უნდა გაუმარტივო და მიაწოდო, როგორც ბავშვს აძლევენ რბილ, იოლად ასათვისებელ საკვებს. ამიტომ მიმართავენ ეგზეგეტიკოსები განმარტების სხვადასხვა ფორმას, რათა ძნელად ასათვისებელი მაგარი საკვები ბავშვისთვის იოლად ასათვისებელ რბილ საკვებად აქციონ.³³

სწორედ ეს ფუნქცია დააკისრა ეფრემმა ექვთიმეს თარგმანებს, ამ კონცეფციით გაამართლა და ლეგიტიმური საფუძველი შეუქმნა მეტისმეტად თავისუფალი სტილით შესრულებულ ექვთიმეს თარგმანებს. შდრ.: „მამად ჩუენი ეფთჳმე [...] სიჩოებასა ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა და მხლითა; [...] რამეთუ მას პავლესაგან ესწავა ესე და ურწყულობასა ძლიერსა ამის ღმრთისმეტყუელისა წიგნისა ღვნისასა განჰზავებდა წყალთაგან სულიერთა; დალათუ სიტყუამოკლე მოძღურისადა განავრცის ლიტონისა ერისათჳს, რამეთუ მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩჳლ მისდადმდე. ამისთჳს რაჲსმე თარგმანთაგანიცა წმიდისა სიტყუათა შინა განეზავა.“³⁴

32 ხელნ. A. 689, 187v.

33 Maximos von Tyrros, Philosophumena, IV, 1, ob. Hobein 1910: 41.

34 ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეტატექსტი, იხ. ხელნ. A. 110, 1-2.

ბიბლიის ჰერმენევტიკის ეს ამოსავალი დიდაქტიკური დებულება თანმიმდევრულად და სისტემურად გაატარა ეფრემმა თავის თარგმანებში. თუ ეფრემის მთარგმნელობით-ტექსტოლოგიურ პრინციპებს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, ეფრემის დიდაქტიკა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. ერთი მხრივ, ლიტონი და ჩჩვლი ჩუენი ნათესავის, ნაკლებად გაწაფული ქართველი მკითხველის შესაძლებლობათა გათვალისწინებით შემოკლებული, გამარტივებული, თავისუფალი, ამდენად, საკამათო თარგმანები – მეორე მხრივ, რთული, ღრმა თეოლოგიური შინაარსის მქონე შეუზავებელი თარგმანები, როგორც ეფრემი ამბობს, ღვთისმეტყველის ურწყული ღვინო.
2. ერთი მხრივ, მოკლედ, მარტივად, გასაგებად გადმოცემული სიტყვის განმაცხადებლობა, როგორც ეფრემის მიერ მაგალითად დასახელებული პავლე თარგმანიანი, მეორე მხრივ, ვრცელი, რთული საღვთისმეტყველო პასაჟებით დატვირთული პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, რომლის ძალისა და საკმარების გამომრჩეველად მცირედნი ვიეთნიმე ეგულება ეფრემს.¹
3. ერთი მხრივ, თარგმანები მცირე, მარტივი, ადვილად გულისკმა-საყოფელი თხრობისაებრი შესავლით, ბიბლიური ტექსტის მხოლოდ ზედაპირული, თხრობისაებრი შრის ახსნით, მეორე მხრივ, რთული საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური შეგონებებით, განსჯით.

ეფრემის ჰერმენევტიკული დიდაქტიკის საფეხურებრივი რიგი საკმაოდ მწყობრია როგორც სისტემატიკის, ასევე იმპლიციტურ დონეზე. ბერძნულ-ლათინური ტრადიციის მსგავსად, ეფრემის პრაქტიკა მოიცავს არა მარტო რელიგიური ტექსტის თარგმნას და განმარტებას, არამედ ბიბლიის, ამ ძნელად გულისკმის-საყოფელი ტექსტის მკითხველისთვის მიწოდების საფეხურსაც.

1 იხ. ეფრემის მთარგმნელობითი მეტატექსტი, ხელნ. A. 18, 235-238.

თარგმანისა და ტექსტის თეორიის საკითხები

შუა საუკუნეების ქართველ მთარგმნელთა ტექსტისა და თარგმანის თეორიაც გარკვეულწილად პირობითი სათაურია. მასში ვგულისხმობ მთარგმნელობითი პრაქტიკის „საგნობრივი“ სისტემატიზაციის ორ სიბრტყეს:

ტექნიკურ სიბრტყეს, ანუ სპეციალურ ტერმინებში სისტემატიზებულ საგნობრივ შინაარსს,

იმპლიციტურ სიბრტყეს, ანუ მთარგმნელობითი საქმიანობის სახეობრივ, მეტაფორულ სისტემატიზაციას.

საგნობრივი სისტემატიზაცია უშუალოდ აგრძელებს ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულ თარგმანის ფუნქციურ კონცეფციას. სწორედ ეს ორი ასპექტი – საგნობრივი და ფუნქციური – ქმნის შუა საუკუნეების ქართველ მთარგმნელთა თეორიას.

შუა საუკუნეების ქართველ მთარგმნელთა საქმიანობის კვლევას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. მათში დაწვრილებითაა განხილული თარგმანთა წყაროები, მთარგმნელთა მოტივაცია, მეთოდები, თარგმანის ფილოლოგიური მნიშვნელობა და ა.შ. ამჯერად მე არ შევუდგები ქართული მთარგმნელობითი მეტატექსტების ისტორიულ-შედარებით ანალიზს, მეტაფორული სურათების ბიბლიური ან პატრისტიკული გენეალოგიის დადგენას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია თარგმანის ისტორიისათვის.¹ მე შევეცდები გავაანალიზო ამ მეტატექსტებში დადასტურებული მეტაფორული წარმომავლობის ტექნიკური ტერმინები და ძველ ქართველ მთარგმნელთა იმპლიციტური თეორიის საკითხები, რომლებიც მათ სააზროვნო კონცეპტებში, ანუ მეტაფორებში აისახა.² ამგვარ დაყოფასთან დაკავშირებით ორი გარემოებაა ანგარიშგასაწევ:

1 ამ თვალსაზრისით საგანგებოდ უნდა იქნას შესწავლილი ძველ ქართველ მთარგმნელთა მიერ გამოყენებული სახეები, მეტაფორული სურათები, რომელთაც ბიბლიასა და პატრისტიკულ ლიტერატურაში უაღრესად საინტერესო ტიპოლოგიური პარალელები ეძებნება; მაგ., თავმდაბლობის ტოპოსები, რომელთაც ხშირად მიმართავენ ტრადიციის ერთგული ინოვაციური მთარგმნელები. შდრ.: „...ძალისაგებრი მოწაფობა და დამიცავს დიდისა მოძღურისა და ყოველთა ეკლესიათა ჩუენთა მნათობისა გიორგი მთაწმიდელისა საუკუნოდ მოკსენებულისა და მე, უნდოსა მტუერსა წმიდათა ფერკთა მისთაჲსა, ეფრემს მცირესა“ (ხელნ. Jerus. 16, 1r-2r); მე [იგულისხმება ეფრემ მცირე], უღირსმან ბრჭალმან პატროსნისა მის გუამისა მისისამან“ (ხელნ. Q 37, 1r, იხ. შანიძე 1968: 77) და ა.შ.

2 როგორც რენესანსის ეპოქის ევროპული მთარგმნელობითი ტრადიცია აჩვენებს,

ა) მთარგმნელობით მეტატექსტებში გამოვლენილი მეტაფორული სურათები და კონვენციონალური ტერმინოლოგია ინარჩუნებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირს. ტერმინოლოგიზება არ ნიშნავს მეტაფორული ხასიათის დაკარგვას. ძველ ქართულ პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული მთარგმნელობითი ტერმინები, მაგალითად, „დედა“ (ორიგინალის მნიშვნელობით), საკმაოდ მყარი ტერმინოლოგიური საზღვრების მიუხედავად, კონკრეტულ კონტექსტში „ალიდგენს“ კიდევაც თავის სახეობრივ-მეტაფორულ ხასიათს.³

ბ) გამონატვის მეტაფორულობა არ უნდა გავიგოთ, როგორც მთარგმნელთა მხრიდან აზრის გასამშვენიერებლად გამოყენებული „სამკაული“; პირველ რიგში, მთარგმნელთათვის საინტერესოა მეტაფორის „ჰევრისტული პოტენციალი“⁴ სწორედ ამის მეშვეობით იქცევა მეტაფორა შემეცნების საშუალებად.⁵ მეტაფორა გამოკვეთს, ფოკუსში მოაქცევს თარგმანის ერთ ასპექტს, მეორეს – დაჩრდილავს, ერთ გარკვეულ თვისებას წინ წამოსწევს, სხვას – მიჩქმალავს; მთლიანობაში იგი ქმნის კონსისტენტურ სისტემას, ისევე, როგორც ყოველდღიურობის მეტაფორები, რომელთა ანალიზი უკანასკნელ ხანს ლინგვისტიკაში ინტენსიური კვლევის საგნად იქცა.⁶

1. თარგმანის კონცეპტუალიზაცია ტერმინების მეშვეობით.

ძველ ქართულ პრაქტიკაში არსებობდა მთარგმნელობითი საქმიანობის აღმნიშვნელი მთელი რიგი ლექსიკური ერთეულები, რომელთა ტერმინოლოგიზება არ მომხდარა; მაგ.: „დაწერად ჩუენსა ენასა;“ „დატევენად ჩუენსა ენასა ზედა;“ „გადმოტვფრვად ჩუენსა ენასა ზედა;“

სწორედ მეტაფორულ დონეზე ვლინდება მთარგმნელთა კონცეფცია. შდრ. Denton 1992; . 255-271; Hermans 1985: 118-128.

3 შდრ.: „ლოცვა ჰყავთ, წმიდანო და ქრისტეს მოყუარენო, ეფრემისთვის თარგმანისა, რომლისა მიერ მეორედ ითარგმნა ესე საკითხავი, რამეთუ ნეტარისა გრიგოლი ოშკელისა მიერ სომხურიდან თარგმნილი ესე ოდენ ვჰპოვე. ხოლო მე სომხურისა წილ ბერძულისაგან კუალად მეორედ ვიიძულე თარგმნად, რამეთუ სომეხისა შვილსა, ბერძენისსა შვლისშვლსა, ნუუკუე და არა უეჭუელსა, თვთ უეჭვ და საკუთარი შვლი აღვირჩიე“ (ხელნ. A. 292, 312r).

4 Hermans 2004: 118.

5 შდრ. არისტოტელე, რიტორიკა, 3, 10: τὰ γὰρ μαυθάρειυ ῥᾶνῶδ ἦν δὲ φνσει πᾶσιν ἔστῃ [...] ἢ δὲ μεταφορᾶ ποιεῖ τὸντο μᾶλιστᾶ [...] μᾶθῆσῃ καὶ γυᾶσῃ (1410b, 10-15)

6 იგულისხმება კვლევები, რომელთაც სათავე დაუდო გ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის ნაშრომმა (Lakoff – Johnson) 1980.

აღწერად, დაწერად,⁷ გარდაწერად, (*trans-scribere*). სხვათა შორის, არც აღმოსავლური წარმომავლობის თარგმანი, მთარგმნელი (*Targum*) არის ტერმინოლოგიზებული. როგორც ბერძნული ἑρμηνεύει (შდრ. აქადური *targumannu*), ის აღნიშნავს განმარტებასაც და განმმარტებელსაც, ასევე, თარგმნას და მთარგმნელს.

ამოსავალი ტექსტი მთარგმნელისთვის არის „დედა“ (შდრ.: „სხუად უკეთესი დედაა ვერა ვპოვე“; „ბერძულთა დედათა შინა ვითა გვპოვნია რჩეულთა და სარწმუნოთა“; „ბერძულსა დედასა ეწერა“; „ყოველნი დაჯერებულ იყვნეს ამას დედასა“; „რამეთუ თვთ ბერძულნიცა წიგნი, ვითარცა ვინ დედად პოვის, ეგრე გარდაიწერებინან“; „გარნა დაღათუ დავწერი რადმე, რომელი არა იყვის დედასა, არა დავიცონი კუალად აღკოცად და მართლად დაწერად“; „ბერძულსა დედასა მხედველმან სთარგმნა“; ვთარგმნენ ესე დავითნი ახლად ბერძულისაგან ქართულად [...] მრავალთა ბერძულთა დედათა და დავითის თარგმანთაგან ფრიადითა გამოწულილვითა და გამოძიებითა“ და ა.შ.).⁸

სათარგმნ ენაში ამ „დედას“ ანუ ორიგინალს დაუხვდება „სიტყვისა ნაცვალი“; ეს კი ნიშნავს, რომ თარგმანის კონცეფცია ეყრდნობა ორიგინალიდან *გამოსვლის*, ორიგინალიდან წამოღების მნიშვნელობას. ამ კონცეფციის შესაბამისად, თანამედროვე *თარგმანის* მნიშვნელობით ენაში ტერმინოლოგიზებულია *გამოთარგმანება*, *გამოხუმა*. თარგმანის ამგვარი გაგება სრულ შესატყვისობაშია ტექსტის, როგორც „შინაარსების, მნიშვნელობების სათავსოს“ საყოველთაოდ გავრცელებულ კონცეპტთან.

სათარგმნ ტექსტსა და თარგმნილ ტექსტს შორის დამოკიდებულება სხვადასხვა სიბრტყეზეა ტერმინოლოგიზებული:

ა. *მსგავსების, შემსგავსების* სიბრტყე. ეს დამოკიდებულება აღიწერება ტერმინით: *შემსგავსებული სიტყუა*; შდრ: „ამათ ესევითართა ღრმათა ადგილთა, სადაცა უკმდა შეცვალებად და სხუებრ ცვალებად

7 ძნელი სათქმელია, თარგმანის რა განსხვავებული ნიუანსები განირჩეოდა ერთმანეთის პარალელურად ნახმარი ფორმებით: *დაწერად*, *აღწერად*. შდრ. ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალი: „...გუასამიეს უზადრუკისა აპოლინარისთვის, ვითარმედ ბერძულად ესევითართა სიტყვთა *აღწერა* დავითი, რომელ ძალი არა დაშთებოდა“ (შანიძე 1968: 97); იოვანე მთაწმინდლის შესავალი, რომელიც ერთვის იოვანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანების“ ქართულ თარგმანს: „ხოლო აწ უამსა სიბერისა და უძღურებისა ჩემისასა წარვჰმართე შვილი ჩემი ეფთვემ და ვიხარკე, რადთა თარგმანებადცა მათეს თავისად წმიდისა სახარებისად *დაწეროს* ენასა ჩუენსა რომელი-იგი სიმრავლისათვის შრომისა აქამომდე არა დაგუეწერა“ (შანიძე და სხვები 1996: 10).

8 ფრაზები დამოწმებულია გიორგი ათონელისა და ეფრემ მცირის კომენტარებიდან (ხელნ. A. 110, 2r; A 24 1r; A 18 236; Jer. 43, 2v; A 689, 187r, შანიძე 1960: 027).

სიტყუასა სამოციქულოსა ქართულსა, რომელი მაშინლა ძლით გულისკ-
მა-იყოფებოდის, ოდეს სამნი, გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგე-
ოდენნივე ლექსიკონნი, რომელ არიან ღრმათა წიგნურთა სიტყუათა
ანბანსა ზედა განწყობილნი სიტყუანი, ერთად შემოგვკრიბნი, მაშინლა
ძლით მოუპოდ ქართული შემსგავსებული სიტყუად".⁹

ორიგინალსა და თარგმანს შორის მიმართების აღმნიშვნელი ეს საყ-
რდენი კონცეპტი სხვადასხვა ტექნიკური ტერმინით აღიწერება: *თანა-
შეტყუება, შეწამება, შედარება*. სამივე ტერმინი შეიცავს პრეფიქსს, რო-
მელსაც ახლოს მიყვანის, მისადაგების მნიშვნელობა აქვს და სივრცული
მეტაფორის საშუალებით სიახლოვეს, აღნიშნავს.

ბ. დაპირისპირების, შედარების სიბრტყე. ეს დამოკიდებულება შე-
წამება, ან ცვალება (ნაცვალება) მეტაფორის საშუალებით არის ტერმი-
ნოლოგიზებული; შდრ.: „კულად სხუანი რომელნიმე ბერძულსა შეაწამ-
ნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა“; „ბერძული ღვთის-
მეტყუელი ვანაცვალე თარგმანსა“.¹⁰ მართლაც, ზოგჯერ ორიგინალი არ
არის გადმოცემული შემსგავსებული სიტყვით, ანუ თარგმანი ადეკვა-
ტური არაა. ასეთ თარგმანს „ცვალება ჰნებავს“; რათა იგი ისევ ორიგი-
ნალს დაუახლოვდეს, ორიგინალს თანაშეეწამოს, ნათარგმნი სიტყვა კი
მართებითი გახდეს; შდრ.: „ესევითარნი სიტყუანი სადაცა შემიცვალე-
ბიან, კიდესა სტიქონისასა იოტად დამისუამს და შინა სიტყუასა წინაით
ესე, ვითარმედ: უსაკუთრესი არს, აწ უკუე სადაცა კიდესა სტიქონისასა
ანუ სიტყუასა ზედა იოტად ჰპოო და სიტყუასა თანა უსაკუთრესი, ცან,
ვითარმედ მცირედ ცვალებად ჰნებებია მას სიტყუასა“.¹¹

დაპირისპირების შეწამების ეს დამოკიდებულება აღიწერება ტერ-
მინით: *დამართებითი სიტყუად*; შდრ.: „და ეგრეთვე მე, დალაცათუ უმ-
რავლესნი ამათ თავთაგანი ჯერეთ ვერ გამიგონებია, არამედ წყალობი-
თა ღმრთისადათა და მომადლებითა საუფლოდსა და ცხოველსმყოფელისა
საფლავისადათა, სიტყუად შედარებული ბერძულისა დამართებითი არა
აკლს“.¹²

ე.ი. მსგავსების შემთხვევაში გვაქვს: *თანაშეტყუება, შეწამება, შედა-
რება – შემსგავსებული სიტყუად*, დაპირისპირების შემთხვევაში: *ნაცვა-
ლება, შეწამება – დამართებითი სიტყუად*.

9 ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეტატექსტი, იხ. აბულაძე 1950: 029.

10 გიორგი მცირე, იხ. ლოლაშვილი 1994: 210; ეფრემ მცირე, იხ. ხელნ. Jer. 13, 241v. ეფრემ
მცირის ეს მეტატექსტი სხვაგვარადაც შეიძლება აიხსნას. იხ. ოთხმეზური 2005: 170-
173.

11 ეფრემ მცირე, იხ. ხელნ. Jer. 1, 1r-v.

12 შდრ. ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეტატექსტი, იხ. ხელნ. A 24, 2r.

მეტაფორულობის მიუხედავად, ეს ტერმინოლოგია, მაინც სისტემატიკის კანონებს ექვემდებარება და მეტ-ნაკლებად ნორმირებულ კონცეპტებს ქმნის, თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სისტემატიზაცია სულაც არ ნიშნავს მეტაფორულობასთან კავშირის გაწყვეტას. ქვემოთ განვიხილავ არსენ იყალთოელის ერთ-ერთ მეტატექსტს. მასში ფოკუსირებული თარგმანის ასპექტი, ნიუანსი ევროპული ტრადიციის ცნობილ კონცეპტუალიზაციებში (შდრ., ენობრივი შინაარსის A-დან B-ში გადატანა, გადაღება, გადაყვანა: trans-ferre, trans-ducere) საერთოდ არ ჩანს:

„შეისწავე, ვითარმედ რომელი-იგი ჩუენთა სახარებათა შინა გარნად წერილ არს ამას ადგილსა: არცა ძემან, გარნა მამამან, – და ჩუენ აქა ყოველგან თვნიერი დაგვწერია ნაცვლად გარნადსა. ბერძულად ესრეთ არს ვითარმედ იმი (ἐἰ μὴ), რომელი-ესე გარნასაცა მოასწავებს და თვნიერსაცა [...], ხოლო ერთისა არა რომლისაგან გარეშეიცვის ქართულისა სიტყვისა, ვითარმცა ერთი რადმე დაჰმართე¹³ და სხვისა მიმართ არღა ჰქონდა კუალი განსავალი სიტყვისად“.¹⁴

ამ მეტაფორული კონცეპტის მიხედვით, სათარგმნი სიტყვა არის „სივრცული შენობა“, „ნაგობა“, რომელშიც მოთავსებულია მნიშვნელობები (შდრ. ტექსტის, როგორც მნიშვნელობათა სათავსოს საყოველთაოდ გავრცელებული მეტაფორა); „კუალი განსავალი სიტყვისად“ გზით ორიგინალის ენიდან სათარგმნი ენისკენ მოემართება თითოეული ამ მნიშვნელობებიდან. მაგრამ მთარგმნელ ენაში ველარ შეიქმნება ამ „განსავლების“ სათანადო ერთობლიობა, ამ განსავალს ველარ დაუხვდება იმგვარი სივრცული „შენობა“, რომელშიც ყველა ეს მნიშვნელობა ერთად მოთავსდებოდა, როგორც ეს ორიგინალშია. თუ ერთ განსავალ კვალს გამოჰყვები (შდრ. „ვითარმცა ერთი რადმე დაჰმართე“), შესაბამისად, ერთი მნიშვნელობის ტრანსპორტირება მოხდება, ორიგინალის სიტყვის მეორე ან დანარჩენი „კუალი განსავალი“ კი ველარ მოთავსდება თარგმანის შესაბამის სიტყვაში.

2. თარგმანის კონცეპტუალიზაცია მეტაფორების მეშვეობით

როგორც აღვნიშნე, ამგვარი ექსპლიციტური ტექნიკური ტერმინების გვერდით, ანუ მათგან განცალკევებით, ძველი ქართველი ავტორები იმპლიციტურ დონეზე – მეტაფორების მეშვეობით – აღწერენ თარგმანთან, განსაკუთრებით, რელიგიური ტექსტის თარგმანთან დაკავშირებულ საკითხებს. ქვემოთ დავასახელებ რამდენიმე მაგალითს:

¹³ შდრ. დაჰმართე – დამართებითი სიტყუაა.

¹⁴ არსენ იყალთოელის მეტატექსტი, ხელნ. S. 1463, 39r-39v.

ა. თარგმანის ფუნქცია და მისი ზემოქმედების ძალა (ნსαμϭ). მთარგმნელი აგრძელებს მაცხოვრისა და მოციქულების საქმეს, როგორც ქრისტეს ვენახის სახელმოდგამი მუშაკი, ჩუენი ნათესავისა და ენის განმანათლებელი; შდრ.: [ექვთიმე] „გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენად და ქუეყანად“; გიორგის უკუე დიდსა მას სახელმოდგამსა მუშაკობისასა და მოუწყინებელად მოქმედსა ქრისტეს ვენახისასა დიდი ღუაწლი და შრომად თავს-ედვა განახლებისათუს და ახლად თარგმანებისა წიგნისა მის ფსალმუნთადას“;¹⁵ სხვადასხვა ადგილას გაფანტული სიმდიდრიდან იგი საგულდაგულოდ შეარჩევს თავლის სიტკბოს მკითხველის საამებლად. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია, „ფესვია“ იმ დიდი საუნჯის, რომლის გემოდსახილველად იწვევს მთარგმნელი მკითხველს; შდრ.: „ათანასეს მიერ და კურილეს, ევსუქის და ასტერის ადგილ-ადგილ აღმოცენებულთა ყუავილთა ერთად გოლად სიტკბოებისა დავიუნჯებთ. და ამას არა სრულებით და უნაკლულოდ, არამედ ზოგებით და მოკლებით წინა-გიყოფთ თქუენ, რადთა კნინ-ოდენითა გემოდს-ხილვითა გიჩუენოთ გემოდ მდინარისა დიდისა და მცირისა მიერ ფესუსა განგიცხადოთ ყოველი ქსოვილებაჲ სამოსლისაჲ“¹⁶

ბ. თარგმანის ლეგიტიმაცია ტრადიციის ძალით და ღვთის განგებით. მთარგმნელი საკუთარი გადაწყვეტილებით არ იწყებს ამ საპასუხისმგებლო საქმეს. მას, წინაპრების უღირს მტვერს, „უბრძანებენ“ რომ გააგრძელოს ტრადიცია და ამ საქმეში შემწეობას ჰპირდებიან. მთარგმნელი შიშით, ძრწოლით იწყებს შენებას წინაპრის მიერ ჩაყრილ მტკიცე საძირკველზე.

ტრადიციისგან განსხვავებულ, თვისობრივად ახალ თარგმანს უმეტეს შემთხვევაში წინამორბედი მთარგმნელის, ანუ ტრადიციის უპირატესობის აღიარების საფუძველზე ამკვიდრებენ. შუა საუკუნეების ბიბლიის ფილოლოგიაში თავის დამდაბლების, საკუთარი ღვაწლის დაკნინების ეს ცნობილი ტოპოსი (შდრ. ბასილი მინიმუსი, ეფრემ მცირე) ანტიოქიის სკოლის მთარგმნელთა, პირველ რიგში, ეფრემ მცირის მთავარი სალეგიტიმაციო ინსტრუმენტია. მთარგმნელი ყოველთვის ხაზს უსვამს წინაპრის უპირატესობას: დიდი და სახელოვანი წინაპრის ნამუშაკევი არის ხარისხ საპფიროვნისა, მცირე და უღირს ეფრემს მხოლოდ ისლა დარჩენია, ნაკლები ხარისხის ზღუდე შემოავლოს ამ ძვირფას თვალს. შდრ.: „ამისთვისცა მე, უღირსმან ბრჭალმან პატიოსნისა მის გუამისა მისისამან, ბრძანებითა და ლოცვითა ბერისა ჩემისა საბა სულაჲს ძისა

15 ექვთიმე ათონელი, იხ. ჯავახიშვილი 1946: 13; ეფრემ მცირე, იხ. მ. შანიძე 1968: 82;

16 ეფრემ მცირე, მ. შანიძე 1968, იქვე.

თუხარელისადათა და მადლითა და მეოხებითა თვთ მისვე წმიდისა მამისა გიორგი მთაწმიდელისადათა და ზოგად ჩუენ ყოველთა მამისა და წინამძღურისა ეფთვმესითა კნინოდენი რადმე გულსმოდგინებაჲ დავდევ, რადთა შევსძინო მის მიერ ახლად თარგმანებულსა წიგნსა ფსალმუნთასა წიგნი ესე თარგმანთა დავითისათად. ... ხოლო ამას რად ვჰყოფდ, [...] მისსავე მას მტკიცედ დადებულსა საფუძველსა ზედა მაშენებელ ვიქმენ. ესე-იგი არს, რომელ ვიტყვ, ვითარმედ მუკლი დავითისა მის მიერვე [იგულისხმება გიორგი მთაწმიდელი] თარგმანებული იგი არს ხარისხ საპფიროვნისა და ჩემ მიერ მას ზედა შენებულ თარგმანი მუკლისაჲ, ვითარცა ზღუდე პილომს ძუალისაჲ, პირველ მოკსენებულთა მათ წმიდათა მიერ აღწერილი ენასა ბერძენთასა შეწევნითა სულისა წმიდისადათა, ხოლო ჩემ მიერ თარგმანებული ენასა ქართველთასა. [...] (9) მე არა ჩემსა, არამედ მის მიერ განმართებულსა მას ზედა საფუძველსა მტკიცესა ვიწყო შენებად.¹⁷

ამავე პრინციპითაა სისტემატიზებული თარგმნასთან დაკავშირებული სხვა დეტალები თუ ნიუანსები: სათარგმნი ტექსტის ხარისხი, ღირებულება, თვისებები, თარგმნის წინაპირობები (წინასწარი ფილოლოგიური სამუშაო, სათარგმნი ტექსტის გადამუშავება, ა) რედაქციული თვალსაზრისით, ბ) ახალი ადრესატის, ანუ თარგმანის ქართველი მკითხველის გათვალისწინებით) და ა.შ.¹⁸

მთარგმნელთა კონცეპტების მატარებელი მეტაფორები ძირითადად გვხვდება ურთიერთდაკავშირებული კაუზალური „ბადის“ ანუ მეტაფორათა ჯგუფის, კომპლექტის სახით: სინათლის მეტაფორა, ოქროს მეტაფორა, ტექსტის, როგორც საკვების, მეტაფორა, მოსავლის აღების მეტაფორა და ა.შ. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

ოქროს მეტაფორა

ფილოლოგია, რომლის ნაწილიცაა მთარგმნელობითი საქმიანობა, ძველ ქართველ მთარგმნელთა მეტატექსტების მიხედვით არის არა „გონიერთა ხედვა“,¹⁹ ანუ თეორია, როგორც მაგალითად, ფილოსოფია ან თე-

17 მ. შანიძე 1968: 78.

18 ამ საკითხების შესახებ იხ. Doborjginidze 2009a: 93-109. Doborjginidze 2010 a: 391-431. ძველ ქართველ მთარგმნელთა მეტაფორების ანალიზსა და ინტერპრეტაციაში, მეტაფორების გერმანულად თარგმნასა და მათი ტიპოლოგიური პარალელების დაძებნაში დიდი დახმარება გამოიწია ვინფრიდ ბოდერმა. მანვე შეასწორა ამ ნაშრომის ინგლისურენოვანი რეზიუმე. ვსარგებლობ შემთხვევით, რომ მადლობა გადავუხადო ბატონ ვინფრიდს წლების განმავლობაში მასთან ინტენსიური თანამშრომლობის, რჩევა-დარიგებისა და სასარგებლო შენიშვნებისათვის.

19 შდრ. იოვანე პეტრიწი: „მოვედ და ელლენთავე ენადლეობასა უვაბადოთ, მომმარ-

ოლოგია, არამედ ტექნიკა (Τέχνη), რომლის მეშვეობითაც უნდა შეისწავლო, განმარტო, გადაამუშაო, თარგმნო, ადრესატამდე მიიტანო ტექსტი – ქსოვილებად სამოსლისად. ფილოლოგიის, როგორც ტექნიკურ დონეზე თეოლოგიის მსახურის, ამგვარი გაგება, შუა საუკუნეების ქრისტიანული ეგზეგეტიკის ამოსავალი კონცეფციაა; იმპლიციტურ დონეზე ეს კონცეფცია სხვადასხვა მოდიფიკაციით აისახა ძველ ქართულ ტრადიციაში. განვიხილოთ ერთ-ერთი მაგალითი გიორგი ათონელის ცხოვრებიდან:

„რამეთუ ემსგავსა იგი ოქროსა გამომღებელსა მას კელოვანსა, ვითარცა-იგი ქიმიათთვის წერილ არს, რომელნი-იგი მრავალღონებითა სიბრძნისადათა სიღრმეთაგან ქუეყანისათა ოქროსა გამოიღებენ და ბრძმედისა მიერ და ცეცხლისა ბრწყინვალეებასა მისსა წარმოაჩენენ, ეგრეთვე წმიდისა ამის მამისა ჩუენისა გონებად სიტყუერისა ამის ოქროსა ბრძმედ იქმნა, მადნობელ ცეცხლითა სულისა წმიდისადათა, განმაკურვებელ და განმარჩეველ ოქროსა ბრძენისაგან და თიკისა, რამეთუ, რომელნიმე წიგნნი, სრულიად არა ყოფილნი და ენისა ჩუენისაგან უცხონი, სიღრმეთაგან უმეცრებისათა ნათლად გამოაბრწყინვნა; ხოლო სხუანი, ოდესმე თარგმნილნი და წუთ ვერ-კეთილად გამოღებულნი, ვინათუ ჟამთა სიგრძითა, უცებთა და უგუნურთა მკმარებელთაგან დაგესლებულნი, ვითარცა ვთქუთ, ბრძმედსა მას შინა წმიდისა მის გონებისა თვისისასა გამოადვნა და გამოაკურვნა; ხოლო კუალად სხუანი წიგნნი, წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმის მიერ თარგმნილნი და წუთ უცალოებისაგან ვერ სრულ ქმნილნი, არამედ სულ მცირედ აღწერილნი, განასრულნა და განავრცელნა. კუალად სხუანი რომელნიმე ბერძულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა და სიტყუადუხჭირობისაგან და ვერაგობისა განაშუენნა და განაბრწყინვნა ვითარცა თვთ თავადი სახარებად და პავლე“²⁰

ვნახოთ ამ მრავალპლანიანი სურათის ზოგიერთი მეტაფორა:

ოქროსა გამომღებელი კელოვანი. მთარგმნელი არის *კელოვანი*, *ტექნიკოსი*, ანუ ადამიანი, ვინც ფლობს თავისი საქმისთვის საჭირო პროფესიულ მეთოდებს, ხელობას. ყველას არ შეუძლია ქიმიკოსივით განარჩიოს ოქრო „ბრძენისა და თიკისაგან“ იგულისხმება, რომ ტექნიკოსი ხელოსანი მუშაობს ერთი მხრივ, დამკვეთისთვის და, მეორე მხრივ, მომხმარებლისთვის, ანუ მკითხველისთვის. ამ უკანასკნელს რაც შეეხება, მთარგმნელობით მეტატექსტებში ადრესატის საკითხი ყოველთვის თემატიზებულია. მთარგმნელი ზოგჯერ იძულებული ხდება, გაითვალისწინოს ადრესატი და ამისთვის რელიგიური ტექსტის თარგ-

ჯუსა გონიერთა ხედვათასა“ (იხ. ყაუხჩიშვილი 1940: 107).

20 ცხოვრება გიორგი მთაწმიდლისა (ლოლაშვილი 1994: 194-195; 210).

მნის პრინციპიც კი დაარღვიოს. ამგვარად ხსნის ეფრემ მცირე ექვთიმე ათონელის თავისუფალ თარგმანებს: რადგან რეციპიენტი-მკითხველი „ჩველ და ლიტონ“ იყო,²¹ თურმე, ამიტომ გაამარტივა ექვთიმემ გრიგოლ ღვთისმეტყველის „სიტყვისა მიფარულება“; რთული რიტორიკული ფიგურები. თუ თარგმანის მკითხველი (ან დამკვეთი) „გულისკმისყოფელი და გამომეძიებელია“; მთარგმნელი აღარ ამარტივებს ტექსტს, არამედ, მკითხველს ტექსტის შინაარსობრივი სიღრმისა და გამომხატველობითი „ძალის“ (ნსაძაღ) „გულისკმისყოფად“ იწვევს. თავად ეფრემი სწორედ ასე მოიქცა: ექვთიმესგან განსხვავებით, მან „ურწყული“ ღვინის „გემოდსხილვა“ შესთავაზა გამომეძიებელ მკითხველს.²²

თიკად და პრპენი. ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე გადატანა გულისხმობს ჯერ ტექსტის დეკოდირებას, გაშიფვრას და მერე ახალ კულტურულ გარემოში მის ხელახლა მოდელირებას, დაშიფვრას. ამ ისედაც რთულ პროცესს სხვა, დამატებითი წინაპირობები ახლავს; ამ წინაპირობების გათვალისწინებით გიორგი მთაწმინდელი სხვადასხვაგვარად მოქმედებს, მუშაობს: ერთ შემთხვევაში პირველად გამოაბრწყინებს „სიღრმეთაგან უმეცრებისათა უცხო წიგნებს“ (პირველი თარგმანის შესრულება); სხვა შემთხვევაში ბერძნულს შეაწამებს დროთა განმავლობაში „დაგესლებულ“ თარგმანებს (ხელახალი თარგმანი, რედაქტირება); ზოგჯერ მას „წუთ უცალოებისაგან ვერ სრულ ქმნილი“; ან შემოკლებულად ნათარგმნი ტექსტის სრულად თარგმნა ევალება, ანუ თარგმანის ორიგინალთან დაახლოება; ყოველ ჩამოთვლილ შემთხვევაში მთარგმნელის ფუნქციაში შედის უკვე არსებული თარგმანის კრიტიკული გადამუშავება, ორიგინალთან შედარება, ტექსტის რედაქტირება, კომენტირება, ეფრემ მცირის სიტყვებით რომ ვთქვათ, დედნის „ხატი და მოქცევი“ ასლის დამზადება.²³

ბრძმედი. ბრძმედი არის მთარგმნელის, ფილოლოგის გონება – აპარატი, რომლის მუშაობა ემყარება ცოდნას (ენობრივი და დისციპლინარული ცოდნა) და მეთოდებს (შედარება, იკითხვისების მარკირება, განმარტებების დართვა და ა.შ.). ბრძმედის მეშვეობით გამოდნობას, თარგმანის შემთხვევაში, ორმაგი ფუნქცია აქვს: ერთი, რომ ბრპენი ჩამოაშოროს და მეორე, გადადნობა გულისხმობს ძველი ფორმის ახლით შეცვლას; სახელდობრ, თარგმანმა ფორმის თვალსაზრისითაც უნდა

21 შდრ. ეფრემ მცირის მეტატექსტი: [ექვთიმემ] „... დალათუ სიტყუამოკლე მოძღურისაა განავრცის ლიტონისა ერისათუს, რამეთუ მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩველ მისდამდე“ (ხელნ. A 110, 3).

22 ეფრემ მცირე, იქვე.

23 შდრ. „ხატი და მოქცევი სიტყუათაი იგივე აქუნდეს ბერძულთა“ (ხელნ. A. 689, 187v).

გადმოტვიფროს, გადმოიღოს ორიგინალი, შდრ. „გადმოტვიფრვამ ჩუენსა ენასა ზედა“. სწორედ ამ კონცეპტს გამოხატავს ეფრემ მცირის ერთ-ერთი მეტატექსტი:

„ვინადაც შენ, ქრისტესმოყუარეო, [...] მეცნიერ იქმნე და სცნა ჩუენთვის, ვითარმედ მისვე თიკისაგან ვმეკეცეობთ, და ამათვე წიგნთა მიერ მიღებულითა ძალითა განვაძლიერებთ უძლურებასა სიტყუსა ჩუენისასა.“²⁴

ცეცხლი. ბრძმედის ძალა არის „განმადნობელი“ ცეცხლი; თეოლოგიური ტექსტების შემთხვევაში კი ეს ძალა არის სულიწმინდა; სწორედ ის განარჩევს ოქროს ბრპენისა და თიხისგან. პროფანული ტექსტისგან განსხვავებით, რელიგიური ტექსტის ავტორი ან მთარგმნელი, გარდა „პელოვანისა“ არის თეოლოგი, რომელიც სულიწმინდის ძალით მოქმედებს, და ამიტომ მისი გონება არის „წმინდა“.²⁵

ოქროდ. გადასამუშავებელი ან სათარგმნი ტექსტი არის ოქრო. ბრძმედის მეშვეობით მთარგმნელი წარმოაჩენს მის ბრწყინვალეობას, ა) როგორც ავთენტური, ჭეშმარიტი ტექსტისას, ბ) როგორც განსაკუთრებული თვისებებით შემკული, „განშუენებული“ ტექსტისას და გ) როგორც მკითხველისთვის ღირებული, ძვირფასი ტექსტისას. სამივე ეს ღირსება თუ თვისება ტექსტში, ისევე როგორც ოქროში, ურთიერთგანპირობებულია. ტექსტის ეს მეტაფორასრულ შესაბამისობაშია ოქროს, როგორც ღვთაებრივის გამამჟღავნებელ-მანიფესტატორის, იკონოგრაფიულ მნიშვნელობასთან. თანამედროვე თეორიისგან განსხვავებით, ტექსტის ზუსტად, „შეუზავებელად და შეუხებელად“²⁶ თარგმნა საავტორო უფლებების დაცვას კი არ გულისხმობს, არამედ ოქროში კონცეპტუალიზებული თვისებების (ნამდვილობა, სილამაზე, ღირებულება) უცვლელად გადმოტანას. თარგმანში ტექსტის შეცვლა ამ თვისებებით მიღწეული ტექსტის ჰომოგენურობის დარღვევაა და ამიტომაც არ შეიძლება.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ჰომოგენურობის (და არა საავტორო უფლებების) ამგვარი გაგება ძველ ქართველ მთარგმნელთა მეტატექსტებში კონცეპტუალიზებულია ევროპულ ტრადიციაში საყოველთაოდ გავრცელებული მეტაფორის მეშვეობით: ტექსტი, როგორც ქსოვილი. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების ქართულ თარგმანზე დართულ მეტატექსტში ეფრემ მცირე ხსნის, რატომ არ დაასრულა ერთ-

24 ეფრემის კომენტარი, ხელნ. Q 37 (შანიძე 1988: 83)

25 ძველი ქართულში „წმიდა“ ნიშნავს როგორც სუფთას, ასევე სიწმინდის მქონეს.

26 შდრ. ეფრემ მცირე, იოვანე დამასკელის თხზულების ქართულ თარგმანზე დართული მთარგმნელობითი მეტატექსტი: „წმიდისა სიტყუად მარტივად და შეუზავებელად და შეუხებელად ვთარგმნო“ (ხელნ. A 24, 1r-4v).


ერთი ჰომილია, რომელიც ბერძნულ ორიგინალში „უბოლოო“ ყოფილა; მისი სიტყვებიდან ცხადი ხდება, რომ არა იმდენად ავტორის უფლებებში ჩარევა, არამედ უფრო მეტად ტექსტის ჰომოგენურობის დარღვევაა მიუღებელი: „ვინაიდან ოქსინო არა მაქუნდა საოლავად სკარამანგისა, ფლასითა ვერ დავოლევდი. არამედ შედარებულად ბერძულისა უბოლოო უბოლოოდ და დაბოლოებულნი დაბოლოებულად მითარგმნია.“²⁷

საავტორო უფლებების საკითხი მთარგმნელს არ აინტერესებს, მეტატექსტებში მხოლოდ აკრძალვის კერძო შემთხვევებია თემატიზებული; ლიტონი, გამოუცდელი ავტორის ან უბრალო თვითმხილველის მიერ შეთხზული ტექსტისგან განსხვავებით, დიდი ავტორიტეტის მქონე სასულიერო პირების ტექსტის შეცვლა, კაზმვა დაუშვებელია; შდრ.: „გარნა უწყითმცა, თუ რომელთა წიგნთაი ეგების კაზმვა და რომელთაი უღონო არს: რამეთუ იპოს თუ ცხორებაი, ანუ წამებაი, ანუ რაიცა რაი ჰამბავი, გინა მოთხრობაი სოფლურითა და უშუერითა სიტყვთა აღწერილი, მას სიტყვით განაშუენებენ, გარდაჰკაზმვენ და მეტაფრას უწოდენ, რომელ არს გარდაკაზმული. და ამასცა მაშინ ჰყოფენ, ოდეს აღმწერელი ჰამბავისაი მის ლიტონი კაცი იყოს და არა წმიდათაგანი, ვითარ-იგი უმრავლესთა წმიდათა წამებანი თანადახუდომილთა მონათა ვიეთგანმე აღწერილ იყვნეს, მას შეჰკაზმვენ ესევითარითა სიტყვთა, რომელი მასვე პირსა იტყოდეს და არა შეჰმატებდეს, არცა დააკლებდეს საქმეთა. ხოლო წმიდათა თქუმულთა და მართლმადიდებელთა მამათა აღწერილსა ვერვინ იკადრებს შეხებად, ვითარცა წმიდასა სახარებათა და ეპისტოლეთა პავლე მოციქულისათა, რაოდენთა ლიტონისა სიტყვთა აღწერილ იყოს, ბერძენთა და მართლმადიდებელთაგანი ვერვინ შეეხების, არათუ ვინმე იყოს სულელ, უფროდსლა მწვალებელ და განვრდომილ ეკლესიისაგან“²⁸

ოქროს კომპლექსური მეტაფორული სურათით გადმოცემული იმპლიციტური კონცეფცია სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

27 გრიგოლ ნაზიანზელის ქართულ თარგმანზე დართული ეფრემ მცირის კომენტარი ხელნ. A. 292, 215v.

28 (იოვანე დამასკელის თხზულების ქართულ თარგმანზე დართული ეფრემ მცირის კომენტარი, ხელნ. Hs. A 24, 1r-4v.).



სინათლის მეტაფორა

სინათლე, ან სინათლის წყარო შუა საუკუნეების ტროპული ჰერმენევტიკის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეტაფორაა.²⁹ მოციქულთა საქმის გამგრძელებელი მთარგმნელი ქართველთა ენის, ქვეყნისა და ეკლესიის განმაბრძნობელი, განმანათლებელია; შდრ.: [ექვთიმე] „გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და **მოხაძავად წმიდათა მოციქულთა**, განანათლა ქართველთა ენაჲ და ქუეყანაჲ. რამეთუ ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი, ამის

29 შუა საუკუნეების ტროპული ჰერმენევტიკის მეტაფორული დისკურსის, ბიბლიის ნარატივის, როგორც მეტაფორისა და არგუმენტაციის შესახებ იხ. Krewitt 1971; Reinmuth 2012: 131-14; Sellin 2011.

ღირსისა მოლუაწებითა განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებელად და შემამკობელად ეკლესიათა ჩუენთა.³⁰

მოციქულების მსგავსად,³¹ განმანათლებლობის ნიჭი მთარგმნელებს ღვთის განგებით უბოძეს; ექვთიმე ათონელმა ღვთისმშობლისგან სასწაულით მიიღო თარგმანობის ნიჭიც, მეტყველების უნარიც: პატარა ექვთიმე დამუნჯებისგან იხსნა ღვთისმშობელმა – ქართულად დაელაპარაკა მას და მეტყველების უნარი დაუბრუნა:

„აწცა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქუა მე, ვითარმედ: რაა არს, რაა გელმის, ეფთვემე? ხოლო მე ვარქუე: მოგკუდები, დედოფალო. და ვითარცა ესე ვთქუე, მომეახლა და მიპყრა კელსა და მრქუა: არარაა არს ვნებაა შენთანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ჰსნილად უბნობდი. და აჰა, ესერა, ვითარცა მხედავ, ყოვლადვე არლარაა მელმის. და იტყოდა ნეტარი იოვანე ვითარმედ: მუნ ჟამადმდე ძნიად უბნობნ ქართულად, და ფრიად მწუხარე ვიყავ ამის პირისათვს, ხოლო მიერიტვან დაუყენებელად.“³²

მთარგმნელი ამნათელს, უფრო ზუსტად, განმანათლებლობის უნარს, ნიჭს ნაკლულევანი ქართული ენის გამდიდრებასა და ბარბაროს–წოდებული ჩუენი ნათესავის განათლებას მოახმარს; შდრ.: „რაჟამს ბრწყინვალე იგი მნათობი ნათესავისა ჩუენისაა დიდი ეფთვემე აღმოგვბრწყინდა ნათლად და სიხარულად, დიდებად და გვრგვანად, გონიერ-ყოფელად და განმაბრძნობელად უგუფურებისა ჩუენისა, რომელმან უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცვა გონებათაგან ჩუენთა, და ვითარცა დღემან ღმრთივ-განათლებულმან მჭმუნვარე იგი ნისლი უგულისკმობისაა განკადა სულისაგან ჩუენისა, და სივრცითა და სიმალლითა ღმრთივ-მთარგმნულთა წმიდათა წიგნთა მისთადათა ნაკლულევანება ენისა ჩუენისა აღავსო და, რომელნი-ესე ბარბაროს-წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათვს და უმეცრებისა ჩუენისა, მათთანავე აღგურაცხნა ღმრთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა თვსითა.“³³

მთარგმნელ განმანათლებელთა საქმიანობის ეს კონცეფცია გიორგი მთაწმინდლის ცხოვრებაში უკვე კანონიზებული ჩანს. ღვთისმშობლის წინაშე მავედრებელი გიორგისა და ექვთიმეს ხატი ხატმწერს სწორედ

30 გიორგი მთაწმინდელი, „ცხოვრება მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვემესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა, აღწერილი გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა“, იხ. ჯავახიშვილი 1946: 5, 1).

31 შდრ. (ლუკა 2, 32: „ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა.“

32 იოვანეს და ექვთიმეს ცხოვრება, იხ. ჯავახიშვილი 1946: 28.

33 გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, იხ. ლოლაშვილი 1994: 177.

ამ კონცეპტის მეტაფორული სურათის მიხედვით დააწერინეს; შდრ.: „და ხატიცა დაწერად სცეს ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, და ამიერ და იმიერ ორნივე მამანი – წმიდაჲ მამაჲ ეფთჳში მარჯუნით და მამაჲ გიორგი ერთკერძო, მვედრებელად და მეოხად ჩვენთჳს მდგომარენი წინაშე წმიდისა ღმრთისმშობელისა. და ესე წმიდაჲ ხატი წარმოგზავნეს მთაწმინდას და დაუსვენეთ სამარხოსა ზედა წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგისსა [...] და რამეთუ ესრეთ ჯერ-იყო: რომელმან-იგი ადიდნის მადიდებელნი თჳსნი წმიდამან ღმრთისმშობელმან განათლებად ნათესავისა ჩუენისა; ერთსა მას სიმრთელე მიანიჭა და ენაჲ კეთილად მეტყუელი ქართულად, ხოლო მეორესა სიბრძნე და მეცნიერება.“³⁴

სინათლის, განმანათლებლობის ეს ტრანსფორმაციული ბადე ამ მეტაფორების მიხედვითაა მოქსოვილი და კონსისტენტურ სურათს ქმნის:

ღმერთი/ღვთისმშობელი → მოციქული/მთარგმნელი → ნაკლულევან ქართულ ენაში გადმოტვიფრული რელიგიური ტექსტების საუნჯე → განბრძნობილი ჩუენი ნათესავი, მათი ენა, ქუეყანაჲ და ეკლესიაჲ.

თაფლის ან ტკბილი საკვების მეტაფორა

ტექსტის ფორმალურ-შინაარსობრივი საკითხების გამოსაკვეთად ძველი ქართველი მთარგმნელები მიმართავენ ანტიკურობისა და შუა საუკუნეების ცნობილ კონცეპტებს: ტექსტი, როგორც საკვები, კერძოდ, თაფლი. უძველესი დროიდან თაფლი ითვლებოდა ტკბილი, სასიამოვნო და სასარგებლო მეტყველების მეტაფორად (შდრ. იგავნი სოლომონისნი 16, 24: κηρία μέλιτος λόγιοι καλοί); მეტყველებისა, რომელიც ენიდან მოედინება (შდრ. „ილიადა“ 1, 249) და რომლის გემო გამორჩეულად სასიამოვნოა (შდრ. ფსალმუნი 118, 103: ἄς γλυκῆα τῷ λάρυγγί μου τὰ λόγια σου, ὑπὲρ μέλι καὶ κηρίον τῷ στόματί μου). ბიბლიური წარმომავლობისაა ტექსტის, როგორც *ტკბილი საკვების*, მეტაფორაც (შდრ. საქმე მოციქულთა 10, 9: λάβε καὶ κατάφαγε αὐτό [σχ. βιβλαρίδιον] [...] ἀλλ' ἐν τῷ στόματί σου ἔσται γλυκὸς ἄς μέλι. ეზეკ. 3,3).

ძველ ქართველ მთარგმნელთა მიერ გამოყენებული ეს ძველთაძველი მეტაფორა გამოირჩევა თავისი კომპლექსურობით: მასში თავმოყრილია პროდუქტის წარმომავლობა, სარგებლიანობა, სიტკბოებით მიღებული სიამოვნება და ა.შ. ეს ტკბილი და სასიამოვნო საკვები კოლექტიური აღრესატებისთვის – ქართული ენისა და ეკლესიისთვის – მზადდება.

შდრ.: [ექვთიმე] „შეუსუნებელად თარგმნინ და რაფთურთით არა სცემდა განსუნებასა თავსა თჳსსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას

34 იხ. ლოლაშვილი 1994; 257.

თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შურებოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენად ჩუენი და ეკლესიაჲ.“ „რომელსა ეკლესიასა სუნაქსარი არა ჰქონდის, დაღაცათუ ყოველნი წიგნნი ჰქონდინ, თაფლსა ჭამს, ხოლო სიტკბოებასა სასაჲ ვერ სცნობს.“ „ყოველი აქა შემოუკრებიეს და თითოფერთა ყუავილთაგან ერთად გოლად საუკუნოჲსა სიტკბოებისა მორწმუნეთად დაუუნჯებიეს, რომელი-ესე აწ ქართველთა ენასა სრულებით მოჰმადლა ღმერთმან.“³⁵

მოსავლის მეტაფორა

სხვადასხვა მიზეზის გამო „საყუედრელად“ გამხდარი თარგმანი ხელახლა ითარგმნება დედნის „ხატად და მოქცევად“. ამ უკანასკნელის ლეგიტიმაცია, უმეტესად, წინამავალი მთარგმნელის ქებისა და თავის დამდაბლების გზით ხერხდება; შდრ.: „ყოველი მჭელი ღმრთისმეტყუელისაჲ მას [იგულისხმება ექვთიმე] აედვა ურემსა ზედა ქართველთასა. (25) ხოლო მე [ეფრემ მცირე იგულისხმება] მისთავე სანთლითა კუვილინია აღმიკრებიან დატვრთვად ურემსა მისსა.“³⁶

ამ მეტაფორული კონცეპტის მიხედვით თარგმნა სხვების მიერ შექმნილი სიმდიდრის ათვისებაა, სახლში მოტანა, მოშინაურება. მოსავალი, რომელიც მთარგმნელმა, ექვთიმე ათონელმა, აიღო, მისი დათესილი არაა, მაგრამ ორიგინალის ტექსტი ყველა მორწმუნეს ეკუთვნის.

თარგმნა, როგორც ქართველთა ურმის მჭელით დატვირთვა, მრავალპლანიანი მეტაფორაა. ურემი შეიძლება გავიგოთ, როგორც ქართულენოვანი ტექსტის ფორმა; ხოლო ურემზე დადებულ ორიგინალის სიმდიდრეს, როგორც მოსავალს, სახლში ეზიდებიან და აბინავებენ შემდგომში საკვების მოსამზადებლად.

მჭელი ამ მეტაფორაში მეტონიმიურად გამოხატავს და მიემართება იმას, რაც მჭელისგან მზადდება: პური, როგორც საკვები ქართველებისთვის. იგივე მიმართებაა სხვა მეტაფორაში ყურძენსა და მისგან დამზადებულ ღვინოს შორის; შდრ.: „წმიდასა იოვანე დამასკელსა ამათითა ეკლოვნებითა მოუზღუდავს ვენაკისა ამის თვისისა ნაყოფთა შუენიერებაჲ. ხოლო უწინარეს რაჲ ვენაკისა შევიდოდეთ და ტევნებისა მადლთაჲსა განნილვაჲ გუწადოდეს, ესე წინამწარ გუეუწყოს ზანდუკისა ამის მიერ, რაჲთა რომლისა პირისათვის გვკმდეს, მალიად მოვისთუალოთ სიტკბოებაჲ.“³⁷

ეს მეტონიმია ზემოთ რამდენჯერმე ნახსენები ეფრემისეული საკვე-

35 იხ. ჯავახიშვილი 1946: 48, 3; ლოლაშვილი 1994: 194; ხელნ. A. 18, 235-236.

36 ეფრემ მცირის მეტატექსტი, ხელნ. A. 110, 8.

37 ეფრემ მცირის მეტატექსტი, იხ. ხელნ. A 24, 1r-v

ბის მეტაფორის კოჰერენტულია; შდრ.: რბილი, იოლად გადასამუშავებელი საკვები – ჩჩვლის, ხოლო მაგარი, ურწყული ღვინო – მტკიცისა საზრდელისა მოქენესათვის. მთარგმნელის, როგორც განსხვავებული ადრესატებისთვის საკვების მომამზადებლის, ეფრემისეული მეტაფორული სურათი პავლე მოციქულის ეპისტოლესა³⁸ და რელიგიური და ფილოსოფიური ტექსტის დიდაქტიკის წესებს ეყრდნობა (მაქსიმე ტვირელი).

ეფრემ მცირის იმპლიციტურ კონცეფციაში არსად ჩანს ორიგინალსა და თარგმანს შორის იერარქიული ან დიფერენცირებული დამოკიდებულების კვალი.³⁹ მართალია, „ბერძნული ენა უფსკრულ ღრმა არს“ (ეფრემ მცირე) და ქართული მასთან შედარებით გამოუცდელია, ზოგჯერ „ულონოა“ ცნებითი ენის სიზუსტის თვალსაზრისით, მაგრამ კარგი თარგმანი ორიგინალის „ნაცვალია“, რომლის მეშვეობით ქართველები ბერძნებს უნდა გაუგებდნენ. თარგმანი ორიგინალის სუბსტიტუტია და არა მისი ულიმდამო, მწირი ვარიანტი, როგორც ეს XVI საუკუნის ევროპელი მთარგმნელების კონცეპტებშია ასახული.⁴⁰

თავმდაბლობის ტოპოსის მიხედვით, ექვთიმემ შეასრულა მთავარი, ძირითადი სამუშაო: მჭელი ექვთიმემ დადო ურემზე, მე მხოლოდ კუვილნი ავკრიფე ექვთიმესავე სანთლითო. მჭელი და კუვილნი აქ ორმაგ ოპოზიციას ქმნის. ჯერ ერთი, მჭელი სისტემურად, სტრუქტურით შეკრული მთლიანობაა, იგივე ტექსტია; კუვილნი კი ურთიერთდაუკავშირებელი ცალკეული ერთეულებია. მეორეც, მჭელი დიდი, მნიშვნელოვანი სტრუქტურაა, მაშინ როცა კუვილნი უმნიშვნელო, ცალ-ცალკე გაბნეული ერთეულებია.

ანალოგიურია ეფრემის სხვა მეტაფორული სურათიც; შდრ.: „რათა ვითარცა ძალღმან მოვლოკო ნაბიჭვევისაგან დაცვნებულისა წმიდათა მათ პირთაგან ექვთიმი მთაწმიდელისა და დავით ტბელისა ნეშტი საკითხავთა.“⁴¹ ამ იშვიათი თავმდაბლობის ტოპოსის მიხედვით, თითქოს, ეფრემმა მხოლოდ დარჩენილი, ექვთიმესთან შედარებით უმნიშვნე-

38 შდრ. „და რამეთუ ღირდა თქუენდა, რათამცა იყვენით მოძღუარ უამისა მისგან. მერმე კულად გიკმს-ვე-ლა მოძღურებად თქუენ წესი რამე დასაბამისა მის სიტყუათა ღმრთისათა. და იქმნენით თქუენ, ვითარცა გიკმდა. სძმ და არა მტკიცე იგი საზრდელი. რამეთუ ყოველი, რომელი მიიღებნ სძესა, უმეცარ არნ სიტყუასა მას სი-მართლისასა, რამეთუ ჩჩვლ არნ. ხოლო სრულთა არს მტკიცე იგი საზრდელი, რომელთა სახითა მით გონებანი წურთილნი ჰქონედ ცნობად კეთილისა და ბოროტისა.“ იხ. ებრაელთა მიმართ ეპისტოლე, 5, 12–14.

39 შდრ. Hermans 1985: 108.

40 იხ. Denton 1992: 263.

41 ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეტატექსტი, იხ. ხელნ. A. 110, 7.

ნელო საქმე შეასრულა. მთლიანი პური ექვთიმესა და დავით ტბელის ნახელავია, ეფრემმა მხოლოდ აქა-იქ დაპნეული ნამცეცები შეაგროვა. სინამდვილეში კი მან დარჩენილი სამუშაოც შეასრულა და მთელიც: ხელახლა თარგმნა ღვთისმეტყველის ჰომილიები უკლებლად, სრულად, შეადარა ისინი ექვთიმესა და დავით ტბელის თარგმანებს და გამოიძია ამ თარგმანთა „ნაკლულეგანების“ მიზეზი.

ამავე მეტატექსტის მესამე ტოპოსში მთარგმნელისა და ტექსტზე მომუშავე კელოვანის პროფესიული მხარეა კონცეპტუალიზებული; შდრ.: „რამეთუ მათითა ენითა ვზრახავ და მათითა ყურითა მესმის და მათითა კელითა ვშურები და უკუეთუ მათითავე ჩემდა დატევებულითა კეტებითა და უროებითა მათსა ახოდ გაკაფულსა და ლოდოვანებისაგან ყანობირ ქმნილსა შინა ადგილ-ადგილ სიმაშურალითა დაშთომილი მათდა ძირი ანუ კიდე აღმოვკაფო, ამას მათსა მათთაგან მათდავე შევსწირავთ.“⁴²

